114
1941/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

5

ფ ა ი ს ი

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

3847
~~107339~~

წელიწადი მეთვრამეტე

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

5

19 მაისი
სახელგამი 41

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე — **კარლო კალაძე.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-41 წ. ᲣᲔ18397. ანაწყობის ზომა 7×12. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688. საავტორო ფორმათა რაოდენობა = 12.5. შეკვეთის № 686. ტირაჟი 2450.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

სამკარიანი რომანი

კარი პირველი

IV

წაღვლისთავი [1])

...„სადგომი სამეფო წაღვლისთავი"...
დავითის ქრონიკიდან.

ვეჟინის შემდეგ გადაუხიდავი უფსკრული აღმოჩნდა ცოლსა და ქმარს შორის. მამისადმი სათუთი გრძნობაც შეებღალა დავითს.

კლდეკარის ციხეში დედისიმედთან კვლავ შეხვედრამ იკმარა და თვალით დანახვაც აღარ სწადდა რუსუდანისა.

აღარც იმერს აპირებდა წასვლას. იცოდა: ვეჟინიდან მობრუნებული, ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა გეგუთის სასახლეში მეფე. მხოლოდ მალემსრბოლნი მიმოდიოდნენ გეგუთსა და წაღვლს შორის.

დედოფალი რუსუდან თავის ასაკისადმი შეუფერებელ ლტოლვილებას იჩენდა ამ ბოლო ხანს სარწმუნოების მიმართ. ბერ-მონაზნებით გაავსო სასახლე.

კაცმა რომ სთქვას, წაღვლისთავი სასახლე როდი იყო, არამედ მცირე „სადგომი სამეფო". ბაგრატ კუროპალატს განუახლებია ეს ოთხგოდოლიანი ბასტიონი, რომელსაც „გალავნებს" უწოდებენ მოაქჟამამდე.

მასვე გამოუყვანია ციხისთავის ჩორჩანას სერიდან წყალი, აუზები მოუწყვია ციხის ეზოში.

გალავნებში მოთავსებული იყო რამდენიმე მცირე დარბაზი, მათ ქვემოდ თავლები იყო, სახაბაზონი, ხპათა სამყოფლონი სანიადაგო, ტალანები და შრამელები. გაშლილ ტაფობზე აგებულ ციხეს სამი მხრიდან გარს არტყია ჩორჩანას, ბროლოსნისა და ტკოცის სერები, ხოლო აღმოსავლეთით დიდი ვაკე ქართლის ზეგანისა.

ჩრდილოსკენ გალავნის ხევი ჩამოუდის წაღვლს, ძნიად მისასვლელი ხრამებით დასერილი.

სამი დანარჩენი კიდიდან ხელოვნური ფლატეები იფარავდა, მგლის ორმოებითა და ხაფანგებით დაცული.

---

[1]) იხ. „მნათობი" № 4.

ალაგალაგ დიდრონი მშვილდები იყო მიწაზე დაგებული, საგდებელზე მისადაგებულის ქვიბურებითა. საბელს მოკიდებული ჰქონდა თოკები, რომელთა მეორე თავი პალოებზე იყო მიბმული, ასე რომ გუშაგთაგან გაპარული მსტოვარი[1]) ან მგლის ორმოში ჩავარდებოდა, ან ხაფანგში გაჰყოფდა ფეხს, ან მშვილდის თოკებს გადააწყდებოდა სადმე.

წაღვლის ციხეში ცხოვრობდნენ ხოლმე ლიხის ამიერ და იმიერ მიმომავალნი მეფენი, თავათ ბაგრატ კუროპალატიცა იმ წელს, როცა სასირეთში დაამარცხა ლიპარიტ დიდმა იგი.

მასვე განუახლებია ორი კოშკი, უკვე დარღვეული, ბროლოსნისა და ჩორჩანასი. ეს უკანასკნელი გაუხდია თავის სადგომად მეფეს.

დავით უფლისწულმაც ჩორჩანას კოშკი აირჩია სამყოფლოდ, აქ დაუხვდა მას ბაგრატისეული მშვილდი ვერცხლისა, მისივე თორნი, ბარე სამი და ხორასნული მახვილი. დედოფალნი: ელენე და რუსუდან დარბაზებში ცხოვრობდნენ.

წაღვლის სამეფო სადგომი უფრო სადად იყო მორთული, ვიდრე ციხე-დარბაზი რომელიმე დიდაზნაურისა, როგორც ამერში, ისე იმერში.

მესაწოლე ბერი უქრუაი ათევდა დავითთან ერთად ჩორჩანას კოშკში ღამეს. იგი იყო მემაშხალეცა და მეწიგნეცა, აქვე ჰქონდა უფლისწულს თავისი წიგნთსანახი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა იგი.

ოდესღაც მხედრული ბანაკი წაღვლი თითქმის სამონაზნო ხანაგად გადაიქცა რუსუდანის მოყვანის შემდეგ.

არც ბაგრატ მეოთხე, არც გიორგი მეორე შავი სამღვდელოების მოყვარულნი არა ყოფილან. არც დავით უფლისწულს უყვარდა ის უცნაური სუნი, რომელიც საოსტიგნოებიდან,[2]) სენაკებიდან თან გამოჰყვებოდა ხოლმე ბერ-მონაზონთა ჩოხებს.

წაღვლში ამოდიოდნენ სინას მთიდან, იერუსალიმიდან, პეტრიწონისა და ათონის ივერიელთა მონასტრებიდან გეგუთსა და ცხუმს მიმავალნი მეროჭიკე[3]) ბერ-მონაზონნი. როცა დარბაზების ტალანებშიაც ტევა აღარ იყო, ისინი საანდირო შრამელებსა და სახაბაზოებში ათევდნენ ღამეს. დედოფალი რუსუდანი იყო ამ მოგზაურ შავოსანთა მასპინძელი და მოამაგე. დავითს არ მოსწონდა ეს. ითმენდა უსიტყვოდ.

უდრტვინველად იტანჯებოდა რუსუდანიცა.

პირველსავე ორსულობისას უცნაურად აუტრელდა სახე ისედაც უჩინოს, დაპატარავდა, დამრგვალდა, ხელ-ფეხიც დაუმოკლდა თითქოს. ისეთი მრუმე ტალები დაეტყო ლოყებზე, როგორიც ოდნავ, სულ ოდნავ შეშწიფებულ თამბაქოს ფოთოლს გადაჰკრავს ხოლმე. ცახცახებდა დედოფალი ელენე, ამ პატარა დედაკაცის სხეულში ეგულებოდა მას ტახტის მემკვიდრე მომავალი, დიდი იმედი ბაგრატოვანთა გვარისა.

ცალკერძ თავისი პირმშოს მწუხარება გულს უსეტყვავდა სათნო დიაცს, ცალკერძ გამწარებული სვე უთვისტომო ქალისა, რომელსაც თუმცა დედოფალს უწოდებდნენ მანდატურნი, მაგრამ იგი მაინც უფრო უბედური იყო, ვიდრე რომელიმე მესთველეს ცოლი. დედ-მამა აღარ ჰყავდა რუსუდანს, ანი-სიდან გაქცეული ძმები კილიკიაში ებრძოდნენ თურქებს.

---

[1]) მ ს ტ ო ვ ა რ ი—ჯაშუში.

[2]) ს ა ო ს ტ ი გ ნ ო ი—ბერების სასადილო მონასტრებში.

[3]) მ ე რ ო ჭ ი კ ე ბ ე რ ი—სამადლოს მოსაგროვებლად მოგზაური ბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუცნობლად ზნე იცვალა უფლისწულმა. აქამდის იგი ხან ცხენოსნობით ერთობოდა, ხან სპათა წვრთნას ესწრებოდა, ხანაც ნადირობდა.

წაღვლისთავიდან ვიდრე ჰავჭალამდის აყრილი იყო ხალხი ... ... და სამალავში გახიზნულთ გუთანი და ერქვანი გაეგდოთ ხელიდგან. ამიტომაც ნადირს აკლებული ჰყავდა ქვეყანა.

აიყოლიებდა დავითი მუხლმაგარ ცხენებზე შემსხდარ სპათა, — ეს იყო ერთგვარი ვარჯიში ომისათვის, რადგან წარამარა თურქთა ბრბოებთან უხდებოდათ შეტაკება მენადირეთა.

ახლა ნადირობაზედაც აიღო ხელი. მახარაის მეტს არავის იკარებდა. დღენიადაგ ჩორჩანას კოშკში ჩაკეტილი, კითხვით ერთობოდა მხოლოდ.

ელენე დედოფალს არ უყვარდა მახარაი, იჭვი ჰქონდა: იგი სთიშავსო ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

ეგეც იცოდა: მახარაი თავიდანვე წინააღმდეგი იყო მათი შეუღლებისა, ნაწყენი იყო მეფეზედაც იგი, უჩემოდ როგორ მოიყვანაო რძალი?

ჰერეთიდან მობრუნებულს, მრავალგზის შეუჩნდა ელენე თავის ვაჟს, გეგუთს უნდა წახვიდე, ინახულოვო მამაი.

სდუმდა უფლისწული, მიზეზს ისაფრებდა მრავალგვარს, არც კი აპირებდა ლიხს გადალმა წასვლას.

ჭყონდიდელი ხან აფხაზეთში იყო, ხან სვანეთში, ხან საეგროში. ელენეს უნდოდა მიეწერა მისთვის, ეგებ ზეგავლენა რამ მოახდინოსო გაჯიქებულ ვაჟზე.

უქარწყლდებოდა ეგ ერთადერთი იმედიცა ხანდახან, რადგან იცოდა: ვაზირთა შორის მხოლოდ ჭყონდიდელი ერთი უჭერდა ლიპარიტთან დამოყვრებას მხარს.

ცუდი ამბები მოდიოდა გეგუთიდანაც.

გიორგი მეფე გაეტეხა ვეჟინის მარცხს. გულფიცხობდა, სვამდა, დღენიადაგ ნადირობდა აჯამეთის ტყეში.

ახალ-ახალი გართობანი გაიჩინა მეფემ, სასახლეში მოაყვანინა უამრავი ბელები დათვისა და ლეკვები მგლისა.

აიჩემა თურმე: სანადიროდ უნდა გამოვწაფოვო მგელი.

ისპაჰანიდან თურქმანული მწევრები ჩამოაყვანინა, აფხაზეთიდან მშვლის ნუკრები, თავათ უვლიდა მათ, ათასგვარი საალერსო სახელი შეარქვა თითოეულს.

სახელმწიფო საქმენი ჭყონდიდელს გადააპირა, უმართებულოდ სტუქსავდა მანდატურთა, უხიაგად უხვდებოდა სადარბაზოდ მოსულთაც საერთოდ პურადი და მომლხენი მეფე.

გული უკვდებოდა ისედაც დასნეულებულ დედას ოჯახისას ამ აღრეულ საქმეთა შემყურეს. ებრალებოდა მოხუცებული ქმარიცა.

ეწყინა: გეგუთს წაეყვანა როგორმე დავითი, იცოდა: რიდი ჰქონდათ ურთიერთისა მამასა და შვილს.

წინასწარ ატყობდა: ცოლს არ წარიტანდა იმერში დავითი და მაშინ საქვეყნოდ იქცეოდა ცოლ-ქმარს შორის არსებული უსიამობა.

ღამღამობით ესმოდა, თუ როგორ გულსაკლავად ქვითინებდა გრძნობიერება მოძალებული ფეხმძიმე დედოფალი, ლოცულობდა სამთავეს მაგივრად, ხატის წინ დაჩოქილი სტიროდა თავათაც.

ეს ზამთარი მაინც მთლად უცნაურად წარიმართა: ნოემბრის მიწურულამდის ია ჰყვაოდა სერებზე, ისეთი თოვლი დასდო ერთ მშვენიერ დღეს, ველარ იძროდნენ ცხენოსნები. მალემსრბოლნი ვერ გადადიოდნენ ლიხს-ამბარეს.

აიყარნენ ბროლოსნისა და ჩორჩანას სერებიდან ყორნები, შემოეხიზნენ უფლისწულის კოშკის სამზერებს, ნაბადივით გარს ეხვიენ ტიალნი გოდოლებს ციხისას.

ძრწოდა დედოფალი ელენე, აუგი რამ ნიშანი არ იყოსო ბედისწერისა? უბრძანა მოისართა დახოცვა მათი. მუსრავდნენ მყივართა სპანი, ახალახალი ლეგიონები აწყდებოდნენ წაღვლის ციხეს მაინც...

გრგვინვით გადადიოდნენ წაღვლისთავზე ზამთრის ქარები, ყმუოდნენ ჩორჩანას სერზე გადმომდგარი მგლები, ჭიხვინებდნენ ნასუქალი ულაყები. საყვირის ხმები ენატრებოდა უძილობისაგან მოქანცულს. წაღვლის ორივე ტბაზე მომრავლებული ვარხვებისა და ბატების გნიასი დილითაც არ აძინებდა ღამენათევს.

ელენემ არ იცოდა უფლისწულის კლდეკარს ჩასვლის ამბავი, მხოლოდ გვიან დასცდა იგი მახარაის. მიხვდა: დედისიმედთან კვლავ შეხვედრა იქნებოდა დავითის ესდენ ჭმუნვის მიზეზი.

იჭვიც დაებადა დედოფალს: რუსთავს თუ მიდიოდნენ, თრიალეთზე რაღად წასულან? იდუმალი რამ განზრახვა ხომ არ ედო ჭყონდიდელს გულში, კლდეკარზე რომ წაეყვანაო ჰერეთს მიმავალი ლაშქარი?!

სხვა მიზეზსაც ჰხედავდა გულმეცნიერი დედა: ეს პირველად წავიდა უფლისწული ომში, ამდენი მსხვერპლი დასჭირდა ჰერეთს გალაშქრებას, ნიანია ბაკურიანს ჭრილობა გაურთულდა მოუვლელობით გზაში, შერგილ ლიპარტიანს ცხენი გამოუკლეს და ფეხი ელრძნა, ჭყონდიდელი გაცივდა ლიხზე გადასვლისას. ამდენი სისხლი და ჯაფა გაიღეს სპათა და ეს ყოველივე იავარჰყო მეფე გიორგის ახირებამ გაუგონარმან.

თითქმის ყოველდამ ამჩნევდნენ მოისარნი ჩორჩანას კოშკზე ფეხაკრეფით ამომავალ ლანდს რიდით პირშებურვილის ქალისას.

შეიპარებოდა იგი უფლისწულის საწოლ დარბაზში, დაემხობოდა ხატის წინ, შემდგომ ამისა ჰკოცნიდა მძინარეს შუბლზე.

თვალგაუხელელად გრძნობდა დავითი დედის ცრემლებისგან მოგვრილ სილამეს ღაწვებზე, შეხმიანება ეწადა, მაგრამ იმდენი სალბუნი იყო ლოცვით დაფრქვეულ მდუღარებაში, მარტოობის დასათრგუნველად იკრებდა მდუმარე ძალას.

V

ჟუჯაი

ყორნებმა და ქარებმა თან წაიღეს ვიშვიშით ზამთარი. უთენია ამჩნევდნენ მოისარნი მეფისა, თუ როგორ მოდიოდნენ ბროლოსნის სერებზე ნეკერის საკვნეტად ირმები.

კორდელა მოედო გორაკებს, შეყვითლდა მანეული, გულწითელა აწრიპინდა კატაბარდებში.

ჩორჩანას სერებზე ტყის პირად, ახლოს, ძლიერ ახლოს წაღვლის ციხიდან, ტყის ქათმები გამოდიოდნენ ტევრიდან, კრიახობდნენ, უხმობდნენ წიწილებს.

წაღვლისთავის თავლებთან მოგროვდებოდნენ სინდიოფალები მზვარეში, უკვე სავსებით ზურგშეწითლებულნი, მოთეთრო მკერდს მიუშვერდნენ მზეს. ზამთრის ღამეებში გამუდმებულ კითხვისაგან მოდუნებულ სხეულს მოძრაობა მოსწყურდა. ნადირობა მოეწადინა.

დილით მახარაი ამოვიდა ჩორჩანას კოშკში, ნიანია ბაკურიანის აზნაურებითურთ ჩამოსვლა ამცნო.

ჭრილობები მოიკითხა უფლისწულმა მყისვე. მოჰშუშებოდა ნახმლევი ბარძაყზე, ოდნავ აკლობდა სიარულის დროს ნიანია.

„ომი მომენატრა, უფლისწულო, ომი. ვაგლახ, რა ამაოდ ჩაგვიარა ჰერეთს გალაშქრებამ!

ხომ ნათესავია ჩემი ორბელიანი რატი, გულით მეწადა რატისა და კვირიკეს თავებიც მიგვეგდო მახარაისთვის, დაამშვენებდნენ უთუოდ აბუ-მუჰამედ-ატტავილის თხაწვერა თავს“.

უფლისწულმა გაუღიმა:

„ომი გენატრება, ნიანია. არაფერია, წინ გვიძევს არა ერთი მე და შენ“.

ისაუზმეს თუ არა, იმ დღესვე აიყოლიეს მცირე ამალა, მტკვრამდე იარეს ცხენით, შებინდებისას შემოიქცნენ ნანადირევითა.

დავითმა შენიშნა, უძრაობისაგან დახუთულიყვნენ ზამთარში ცხენები.

გამგეთუხუცესს უბრძანა: მეორე დილისათვის ეხმოთ გუთნისდედები ოცდაათი უღელი ხარ-კამეჩითა.

გაოცდა მოხუცი: ვეღარ გაეგო, რად დაჭირვებოდა გუთნისდედები უფლისწულს?

თავათვე ახსნა თავის გუნებაში: ნიანია მოუვიდა, დაიწყებაო სასახლეში ყმაწვილობაი ვაჟთა.

დაცდილი ჰქონდა: ნიანიას წაღვლში ჩამოსვლას თან მოჰყვებოდა ჯირითი, ნადირობა და თევზაობა. გახარებულნი იყვნენ მენადირენი და მესათხეველნი. გამოცოცხლდებაო მჭმუნვარე პატრონი.

გამგეთუხუცესს ძილში ჩაჰყვა ეს დარდი: ხარ-კამეჩი რაღად დასჭირდაო უფლისწულს?

უთენია ადგნენ უფლისწული და ნიანია.

ბროლოსნის სერების გასწვრივ შეიგულეს ერთი ნაკვეთი სამიოდე უტევანი[1]) სიგრძისა. დააყენეს გუთნისდედები, უბრძანეს ღრმად გაევლოთ სრიელნი[2]), ხელი არ ეხლოთ ბელტებისა და ხორგებისათვის.

უკვირდათ სასახლეში ეს ამბავი, ხუმრობდნენ სულწასულნი:

რუისი შემოვიმტკიცეთ, ახლა ხვნა-თესვას უნდა მოვეკიდოთო.

გამგეთუხუცესი თავის ქერქში აღარ ეტეოდა, დედოფალს მოახსენა ელენეს:

ეგ მინდორი ცხენთ საწვრთნელად ჰქონდათ მიჩნეული სულკურთხეულ ბაგრატ კუროპალატსა და გიორგი მეფეს, ჩვენს პატრონს, რად უნდა მოიხნასო აგრე უსაზმნოდ, განა ცოტა გვაქვსო ყამირები წაღვლის გარშემო?

„ამიერიდან წესად გქონდეს, სუმბატ ჩემო, თავისებურად, ტკბილად ეუბნება დედოფალი კარისკაცს, როცა მოყვასი შენი საქმეს დაიწყებს რაიმეს, სანამ მას არ მოათავებს, არ უნდა განიკითხო იგი.

---

[1]) უ ტ ე ვ ა ნ ი—143 ნაბიჯი.

[2]) ს რ ი ე ლ ი—გუთნის კვალი.

ეგეც იცოდე, მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტ საქმე ბოლოთი.“

„გიორგი მეფე გაგვიჯავრდება, დედოფალო ბატონო, ამდენ მოგახსენებთ, შენი რისხვაც ნუ მომცემია“.

სთქვა და გაიძურწა გამგეთუხუცესი.

როცა მინდორი უკვე მოხნული იყო, დავითმა და ნიანიამ გამოაყვანინეს ცხენები, თავათაც შესხდნენ, დავითი — თურქზე, ნიანია—თავის ლურჯაზე და მიუშვეს ნაგუთნევზე. მათ უკან მისდევდა ხუთასიოდე ცხენოსანი ჭენებით.

ყირამალა გადადიოდნენ გაუჩვეველნი სპანი. უფლისწული მივიდოდა დარცხვენილებთან, თავათ ასწავლიდა, თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხედარმა ცხენს თავი ხორგებზე ჯირითის დროს.

დაასვენეს სპანი. ახლა სხვანი მიუშვეს ნაგუთნევზე, საწრთვნელად.

ისევ შეჯდა უფლისწული თურქზე, ახლა უჩვენებდა მხედრებს ჰოროლითა და ქამანდით მტრის ცხენოსნებთან ბრძოლას, ცხენზე გადაწოლას მოქნეული ხმლის ასაცდენად.

მეორე დღისთვის ორმოცდაათი ხუროო ახმობინა გამგეთუხუცესს დავითმა.

„ეგ ხუროები რაღათ უნდა ნეტავი?“

ბუზღუნებდა სუმბატი, რომელსაც დიახაც არ მოსწონდა „ახირებული“ უფლისწული.

უფლისწულმა დაუხატა ხუროებს გოდოლი, ჩორჩანას კოშკის მინაგვარი, იმდენივე სამზერებითა და საისრებით, წინ და უკან კარითა.

ოთხ ბორბალზე შემდგარს, ყოველ მხარეს არეები უნდა ჰქონოდა დატანებული, ჰოროლების გამოსაყოფი. ზომაც მისცა, ჩორჩანას კოშკის სიმაღლე ჭნდა ყოფილიყო ძელის გოდოლი.

მოთავდა თუ არა იგი, მოისარნი და შუბოსანნი ჩასხა შიგ, ჩორჩანას კოშკში ჩააყენა სხვანი და აბრძოლა ორივე მხარე ურთიერთთან თამაშით.

როცა „გახურდა ბრძოლა“, მოიერიშეთაგანმა ოციოდე მოისარმა იფარეს ფარები, საბელები გამოაბეს ხის გოდოლს და ჩორჩანას კოშკზე მიაყენეს იგი.

უკვე ისრებს ველარ აწვდენდნენ „ჩორჩანელები“ პირობით მტერს, გამოცვივდნენ სპანი ხის გოდოლიდან, ხუთხუთი კაცი შეადგა ერთმანეთს მხრებზე, საბელისაგან კიბეები გაიკეთეს, თავსდაესხნენ ჩორჩანელებს და „აიღეს“ ციხე.

დედოფალი ელენე გახარებული იყო, შავნაღვლიანობამ რომ გადაუარა უფლისწულს.

„რომელი ციხე უნდა აიღოთ მაგ თქვენი ძელის გოდოლითა, შვილნო?“ ეკითხება ვაჟკაცებს.

„ტფილისი გვინდა, ტფილისი, დედოფალო ბატონო“, ეუბნება ნიანია ღიმილით.

„ნეტარხსენებულმა ბაგრატ კუროპალატმა თავისი კაცობა შეალია ტფილისს, ორგზის აიღო და ველარ შეირჩინა. ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს, შვილო“.

„სანამ ტფილისი ჩვენი გახდება, მე ვერ მოვისვენებ, დედი, სამი სიცოცხლეც რომ გებოძა ჩემთვის, სამივეს ტფილისის ასაღებად დავლევდი, იცოდე“.

სთქვა უფლისწულმა და დედას უთხრა, მშიაო, სწორედ ისევე, როგორც ბალღობის დროს უთქვამს ხოლმე მრავალგზის.

მაინც დაგვიანდა სადილი, რადგან დედოფალი რუსუდან გვიან გააფრთხილეს, პირისფარეშს ლაკლაკის უმარილისა და გუნდას შემზადება, დავიწყნოდა, რუსუდანი დიდხანს იჯდა ვერცხლის სარკესთან. როგორც იქნა, გამოვიდა სასტუმროში.

ტაოელი აზნაურები შეფარვით გადახედავდნენ ხოლმე ღაწვებგაპუტულ, ფერ-უმარილით მოკაზმულ დედოფალს, საკაზმავსაც ვერ წარეხოცა წარბებისა და ლოყების არეში დარჩენილი ტალები ნაბეწვარისა.

შეჰყურებდნენ ახალგაზრდა დედოფალს, ებრალებოდათ პირმშვენიერი უფლისწული.

ერთი ჭიქა ღვინო მოსვა დავითმა და მახარაი შემოვარდა შეშფოთებული, ჯიქურად მიეჭრა და ეუბნება დავითს:

ქუჯაი კვდებაო.

უფლისწული ზე წამოიჭრა, სტუმრებიც წამოცვივდნენ ანაზდად.

„ქუჯაი ვინღაა?“ იკითხა ნიანია ბაკურიანის აზნაურმა მორკნეველმა, რომელსაც სიტყვა არ დასცდენია პურობის დროს.

„ბაგრატ კუროპალატისეული ცხენია, ნეტარ ხსენებულისა“, განუმარტა დედოფალმა ელენემ სტუმარს.

უფლისწულმა, ნიანიამ და მორკნეველმა სადილი მიატოვეს და საჯინიბოსაკენ გაეშურნენ.

ერთ თავლაში ორი ცხენი ჰყავდა დავითს: თავისი ულაყი თურქი და პაპისეული ქუჯაი, რომელზედაც მხოლოდ ნადირობის დროს ჯდებოდა ხოლმე.

ორ-სამჯერ ჰავჭალამდის უვლია ამ ცხენით, ერთხელ დაუკოდეს კიდევაც გავაზე, თურქის ბრბოებთან კენწლაობისას. უცნაური სანახაობა თვალწინ დაუდგათ თავლაში შესულთ:

ქუჯაი სოხანეზე იწვა, ფლოქვებით დაეღარა მიწა. კაცივით ხვნეშოდა, ხანაც ხვიხვინებდა საწყალობელად, ნესტოები გაგანიერებოდა, დაბორკილივით ფორთხავდა.

წამოიწეოდა წინა ტორებზე, მოფოცხავდა მიწას, ვეღარ აიტანდა სიმძიმეს ტანისას, დაიჭიხვინებდა და წაიქცეოდა, უკვე ძირს გართხმული თავს ურტყამდა ნიადაგს. მთელი სხეული უცახცახებდა დუქმორეულს, უჩვეულოდ დაბერვოდა ძარღვები.

„ქუჯაი!“

დაუძახა ალერსიანად დავითმა.

ცხენმა ხმა შეიცნო, თავი ასწია, დიდრონი თვალები მიაშტერა პატრონს, ეეედრებოდა თითქოს, მიშველეო რამე.

კვლავ წამოდგომას შეეცადა, უკანა ფეხებმა უღალატეს, წინა ტორებით ფოცხავდა ნიადაგს, ხვიხვინებდა უკვე წაქცეული, თავს ახლიდა მიწას, თითქოს ნანობსო ამ ქვეყნად გაჩენას.

მორკნეველი დააცქერდა ცხენის სხეულს, რუმბივით გაბერილს, ნახმლევებითა და ნაისრალებით ჭქონდა დაჩითული თავ-კისერი, მუცელი, გავა და ბარძაყები.

უსიტყვოდ შესცქეროდა გულნატკენი უფლისწული, თუ რა გააფთრებით ებრძოდა სიკვდილსა და მიწას პაპისეული საომარი ცხენი.

ვაჟკაცებმაც ვეღარ გაუძლეს ამის ყურებას.

ციხეში მიბრუნდა უფლისწული, სადილი აღარ ინება, სასტუმროდან გავიდა. არც ნიანიასა და მორკნეველს უხლიათ ხორცისათვის ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწრიალებდა ციხეში დავითი, მაგრამ რომელ დარბაზშიც არ შევიდოდა, ყველგან მოესმოდა ცხენის ხმა. ჩორჩანას კოშკში ავიდა, ... მომაკვდავის ჭიხვინი.

ისევ სასტუმრო დარბაზში ჩამოვიდა, აიყოლია ნიანია და მორკნეველი, მილის ტბისაკენ გავიაროთო.

ღელავდა მახარაი. იგი მრავალგზის შესწრებოდა ცხენის სიკვდილს ბრძოლის ველებზე.

„მანციკერტთან ცხენი გამომიკლეს, უზანგიდან ფეხის გამოტანა ვერ მოვასწარი, ზედ შემომაკვდა ბედშავი, მაგრამ ასეთი შემზარავი ჭიხვინი ჯერ არ მსმენია“.

ამბობდა მახარაი.

„რამდენი წლისაა ეგ ცხენი?“

იკითხა აზნაურმა მორკნეველმა.

ოცდაათისა, თუ მეტის არა“.

„რამდენი დღეა, რაც დაუძლურდა აგრე?“

„ვეჟინს შემდეგ დავარდა ქუჯაი, ჰერეთიდან მარქაფად წამოეყვანათ მეჯინიბეთა. ეს სამი დღეა, რაც სიკვდილს ებრძვის დღედაღამ, ჭიხვინი ამ დილით დაიწყო მხოლოდ.“

ნასამხრალზე ცხენის მოსაკითხავად მიბრუნდნენ საჯინიბოში ოთხნივე.

უკვე ბინდს შეესწრო თავლაში.

უფლისწულმა შიგ შეიხედა და დაიძახა: „ქუჯაი!“

დაჭიხვინა ცხენმა.

ორიოდე ნაბიჯიც გადასდგა დავითმა და ხედავს: ქუჯაი გაშოთილიყო მიწაზე გრძლივ, ლაშებიდან გადმოსულ დუქში ჩაედო თავი.

ისევ დაჭიხვინა ცხენმა, მაგრამ არა ქუჯაიმ, არამედ უფლისწულის ულაყმა თურქმა. დაღონებული გამობრუნდა დავითი.

მეჯინიბეს უბრძანა: ამიერიდან ჩემს ულაყს დაარქვითო ქუჯაი.

VI

სამთა იმედი

დავითსა და ნიანიას ლომისაის მთებში ჰყავდათ ღამისსათევად წაყვანილი სპანი, მიმწუხრისას შინ მიბრუნებულს პირველ გოდოლთან შემოეგება უფლისწულს დედა.

გადაკოცნა და ეს უთხრა:

„სამახარობლოს რას იძლევი, შვილო?“

„რაო, რა მოხდა, დედი?“

„მალემსრბოლი მოვიდა გეგუთიდან“.

მიუგო ელენემ, ხელში მისცა გრაგნილი. თვალი გადაავლო უფლისწულმა აუჩქარებლად.

მარიამ დედოფალს დღე დღეზე მოელიან ხუფთაში, სახლეულითურთ ჩამოდიო დაუყოვნებლივ. ხელს აწერდა ვაზირთა უპირველესი.

გახარებული იყო დედოფალი ელენე, გულამღვრეული იგონებდა იმ ზამთრის საშინელ საღამოებს წაღვლში, როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ისე ეძვირებოდა ურთიერთისათვის სიტყვა, დუმილის აღთქმა დაედოთო თითქოს. უფლისწულმა გრაგნილი დაუბრუნა დედას.

ცხენით მგზავრობას როგორღა აიტანსო დიოფალი?

მიუხვდა დედა, მიზეზს ეპოტინებოდა საპატიოს ვაჟი.

„გეგუთს წასვლა რა ბედენაა, შვილო! როცა შენზე ფეხმძიმე ვიყავ, სამშვილდეში თურქებს ებრძოდა მამაი, ნაშუაღამევს მოვარდნენ ურბნელი და ბედიელი უფლისციხეში, სამუხლე თოვლი იყო, გამაღვიძეს, ცხენზე შემსვეს. მცირე სპა გვახლდა თან, გზადაგზა გადაგვიდგებოდა თურქის მარბიელი, ვიგერიებდით მტერს, ასე ვიკაფავდით გზას. უსაშველო ქარბორბალა გვაყრიდა ნამქერს, წაღვლში ამომიყვანეს ჭენებით“.

„ეგ შენ იყავი ძვალმაგარი და ჭირთამთმენი, დედი“.

მიუგო დავითმა.

მოისაზრა გულმეცნიერმა დიაცმა:

„ეტლით წამოვალთ მე და დიოფალი, შენ და ამალა წამოხვალთ ცხენებით“.

დადუმდა უფლისწული, უკუსაქცევი გზები რა დაუხშო დედამ.

კეისრის ნიკიფორე ბოტანაიტესის მიერ ნაჩუქარ მოოქროვილ ეტლში ჩასხდნენ ორივე დედოფალი, რუსუდანის პირისფარეში — სომხის ქალი, ლაკლაკაი და ურბნელი ეპისკოპოსი.

ხოლო უფლისწული, ნიანია, მახარაი, ქართლელი და ტაოელი აზნაურები ცხენდაცხენ ეახლნენ მათ.

ჭერათხევიდან ლომისაის გადასავლით მიდიოდა თემშარა. ტყეშლები ჰყვავოდნენ სოფლებში, ნასუქალი ცხენები იოლად ძლევდნენ შეღმართებს.

შვენოდა კორდებს ზედშეფენილი ფარები ცხვრისა.

დედოფლები მობრძანდებიანო, რა შეიცვნეს სოფლებში, დედაწულიანად გამოცვენილი ხალხი ორღობეებს აწყდებოდა, ყვავილებსა და ბზას უფენდნენ გზადგავლილთ.

დედოფალი ელენე წარამარა ხსნიდა თავის ქისაკებს, შავი დღისათვის შემონახულ დრაჰკანებსა და ბოტინატებს ურიგებდა ქვრივ-ობლებს.

ზოგს განაგონი ჰქონდა: ხნიერი ცოლი შეურთავსო უფლისწულს. ელენეს წინამო ჰქონდა გაკეთებული ისედაც ახალგაზრდა, მშვენიერ სახეზე, დიაცებს იგი ეგონათ უფლისწულის მეუღლე. სხვანი და სხვანი ლაკლაკაის უჭვრეტდნენ, მაღალ-მკერდიან, ბროწეულივით ლოყებ შეფაკლულ დიაცს, იგიაო დედოფალი, ასე ფიქრობდნენ.

ერთი მოხუცი დედაკაცი დაასაჩუქრა დედოფალმა ელენემ, რადგან სამი ვაჟი მოეკლათ ვეჟინში მისი.

ცრემლმორეულმა მადლი მიაგო ელენეს, მერმე ლაკლაკაის დაუკოცნა ფეხები, გიდღეგრძელოსო უფლისწული, დედოფალო ბატონო.

გაფითრდა რუსუდანი, ინატრა: მიწა მიყოფდესო ნეტავი პირს.

დავითმა ეს შენიშნა, მაგრამ წაიყრუა ყური, ნიანიას მიუბრუნდა და ეუბნება:

„მადლი უფალს, ამ მხარეში მაინც ვნახეთ მომუშავე გუთნეულები“.

მართლაც, ათიოდე გუთნისდედა ღიღინით უკან მიჰყვებოდა გუთნებს..

ეტლი დაიძრა, მწარედ ამოიოხრა რუსუდანმა.

„რა მოგივიდა, შვილო?“

შეეკითხა ელენე.

„ჭეშმარიტად მიჯობდა, დედოფალო-ბატონო, არ გავეჩინე ამ ქვეყნად ჩემს უბედურ მშობლებს. მუცელს გადაჰყვა ბედშავი დედაი, მეც ამ სვეს მაღირსებდეს ნეტავი უფალი“.

უჩურჩულა დედამთილს.

„ღმერთს ნუ ჰგმობ, გეთაყვანე, შვილო, იგივე მოგიზღავს ჭირთამთმენს ლხენას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ხსენებაზე თვალები აუწყალდა რუსუდანს, ატირდა დედოფალი ელენეც, რიდე აიფარა სახეზე, რა შენიშნა, შემამჩნიაო ურბნელმა, მოიბოდიშა, ამატკივაო თვალები ეტლის სრბოლისაგან აღძრულმა ქარმა.

მიუხაროდათ მარიამ დედოფლის სანახავად სამთა.

დავითს ყრმობიდანვე უყვარდა თავისი ღვთივმშვენიერი მამიდა. ამ წუთშიც იგონებდა სურნელს მუშკისას, რომელიც ასდიოდა მის საკკოს, ოქრომკედით ნაკერს, ტარბეასა და ლორს,[1]) პატიოსანი თვლებით მოოჭვილს.

დავითს ისე სადად ეცვა, თორიც ზედ ჰქონდა საომარი, ჩვეულებრივი, გლეხები ვეღარ არჩევდნენ რაინდთა შორის მას.

ზოგს ნიანია ეგონა უფლისწული, ზოგსაც არტანუჯელი აზნაური მორკნელი.

ყოველ სოფელში ამას ჰკითხავდნენ ურთიერთს გლეხნი: რომელიაო უფლისწული დავითი?

გაქაფული ცხენები მიჰქროდნენ ღორღიან გზებზე.

იგიც კარგად ესმოდა უფლისწულს, თუ რად ახსენებდა ეგზომ ტკბილად ლიპარიტი მარიამ დედოფალს. ეს მან შეარქვა ათიოდე წლის დედისიმედს ხუმრობით: „უფლისწულის თვალმშვენიერი სასძლო“.

დედისიმედის მარტოოდენ სილამაზე როდი ხიბლავდა მარიამს, იგი ხედავდა: დასასრული არ უჩნდა ბაგრატოვანთა და ორბელიანთა შუღლს. ბიზანტიის კეისრებიც არა ერთხელ ჩარეულან ამ ბრძოლაში, მაგრამ ისინი თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ მას, ხან ერთ მხარეს ემხრობოდნენ, ხანაც მეორეს. მეტწილად ორბელიანებს უჭერდნენ მხარს, რადგან ბაგრატ კუროპალატი, თუმც საბერძნეთში იყო აღზრდილი, მიუხედავად ამისა, მაინც თავგამოდებით ებრძოდა ბიზანტიას, იბერიის საკატეპანოს[2]) გამო, რათა დავით კუროპალატისეული მხარე ბასიანისა საქართველოსათვის შემოემტკიცებინა როგორმე.

მხოლოდ კეისარმა კონსტანტინე მონომახმა იკისრა კეთილსინდისიერი შუაკაცის საქმე, მანვე შეარიგა დროებით ბაგრატ კუროპალატი და ლიპარიტ დიდი.

მარიამ დედოფალიც არა ერთხელ ჩარეულა ამ დაუცხრომელ ბრძოლაში, შეარიგებდა მოქიშპეთ, კონსტანტინოპოლს წავიდოდა მარიამი, ისევ ატყდებოდა ბრძოლა. ბოლოს ასე განსჭვრიტა გონიერმა დიაცმა:

რაც კეისრებმა ვეღარ მოახერხეს, სიყვარულმა შესძლოსო ვინძლო.

ამიტომაც მოუხშირა თრიალეთის საერისთაოში სტუმრობას. თან წარიტანდა უასაკო უფლისწულს, აშოშმინებდა ლიპარიტსა და კატაის, საჩუქრები დაჰქონდა, სევასტოსის ტიტულს ჰპირდებოდა ერისთავს, მხოლოდ ამ პირობით, თუ დავმოყვრდებითო.

---

[1]) ლ ო რ ი—საკკოზე გადასაცმელი ოლარის დარი სამხრეა, რომელიც ეცვათ ბიზანტიის კეისრებსა და მათ მეუღლეთა, აგრეთვე თამარსა და დავითს. ტარბეა წინსაფარის დარია.

[2]) ი ბ ე რ ი ი ს ს ა კ ა ტ ე პ ა ნ ო ანუ თემა იბერიისა იმყოფებოდა სომხური პროვინციის ეასპურაკანის ჩრდილოეთით. XI ს. უფრო ადრე იბერიის თემა შესდგებოდა იმ მამულებისაგან, რომელნიც დავით კუროპალატმა უანდერძა ბიზანტიის საკეისროს.

როგორც იქნა, დაიყოლია თავისი ძმა გიორგი მეორეცა, მაგრამ თავი წამოჰყვეს აფხაზეთის, სვანეთის, საეგროს, ჯავახეთის და ტაო-კლარჯეთის დიდაზნაურებმა, აყაყანდნენ დარბაზის ერნი: ორბელიანნი, ციციშვილნი, ყენ სამეფო ტახტისა, ახლა თუ ისინი ნათესავად მოიგო უფლისწულმა, ეს იგივეა შინაგამცემი შემოვიყვანოთო ციხეში.

სულ სხვა ზრახვები ედოთ იდუმალ გულში ქვაბულისძეს, ვარდანისძეს, კახაბერისძესა და ლიპარტიანს, არც ერთ მათგანს ლიპარიტ ორბელიანზე უმცირეს აზნაურად არ მოჰქონდა თავი, მათაც ჰყავდათ გაუთხოვარნი ქალნი.

მერმე ის იყო, ბიზანტიაში ატეხილი კარის რევოლუციის გამო, კონსტანტინოპოლს წავიდა მარიამი სასწრაფოდ, აზნაურებმა და ეპისკოპოსებმა იდროვეს და გიორგი მეფეს მოაყვანინეს რუსუდან, სომეხთა მეფის სისხლისმიერი ნათესავი.

გეგუთს მიმავალ უფლისწულს ახალი იმედი დაებადა ამ ჯერად. უმთავრესი მაინც გაყრის საკითხი მიაჩნდა დავითს. მარიამს დიდი ზეგავლენა ჰქონდა კათალიკოსზე, ეპისკოპოსნიც ხელში შესცქეროდნენ მას. იგი უგზავნიდა უამრავ ოქროს ბედიელს, ქუთათელს, ურბნელს, მტბევარს და მანგლელს ეკლესიების ასაგებად და მოსაკაზმავად.

ელენესა და რუსუდანს პირუკუ ეგონათ:

მარიამ დედოფალი ყოვლად სათნო ქალია, შეგონებანი მისნი კეთილ გზაზე წარმართავენო ჭაბუკს.

ერთადერთს მახარაის არ მიუხაროდა თავისი ნახევარიდის სანახავად ბედშავს. ყველა ჭირისდღესავით სძაგდა მას, ყველაფერი, რაც მოაგონდებოდა იმ „დასაქცევ კონსტანტინოპოლს“ (როგორც თავათ იტყოდა ხოლმე), იმ ქალაქს, სადაც თავისი კაცობა დაატოვებინეს მას, მამაკაცობა და სვებედნიერი დღენი სიჭაბუკისა.

კონსტანტინოპოლში ჩავიდა იგი როგორც განსაცდელთა და ტკბობათა მონატრული რაინდი და იმავე მარიამ დედოფალმა წარმოგზავნა მახარაი, როგორც დასაჭურისებული, უბედური კაცი, რომელსაც ეგზომ მძიმე სასჯელი მიუზღეს იმავე ვნების გამო, რისთვისაც სევასტოსის და მაგისტროსის ტიტულებს მოიხვეჭდნენ ხოლმე კეისრების, ლოგოთეტების, დომესტიკების მეუღლეთა კურონი ხშირად.

მთელი ქვეყანა ყბად იღებდა მახარაის უკანასკნელი გამიჯნურების ამბავს, ხუმრობდნენ კიდევაც გეგუთში იმ ჟამად: ახალი კეისრის დედას ანნა დალასინასაც ჰყვარობდაო მახარაი.

უცნაური ეს იყო, კეისარი ალექსი კომნინი მართლაც წააგავდა მახარაის. ალექსისაც მასავით უბორძიკდებოდა ენა ასო „რაეს“ გამოთქმისას, ორივეს ჭროლა თვალები ჰქონდათ, თანაბრად ტანმორჩილნი იყვნენ, ბეჭპრტყელნი და მხარგრძელნი.

ავი ენები ასეთ რამესაც დასძენდნენ ხოლმე: მარიამ დედოფალს დროზე რომ არ გამოეგზავნა მახარაი გეგუთში, ალექსი კომნინი და ძმა მისი ისააკ ბუკოლეონის სასახლიდან ზღვაში გადაგდებას უპირებდნენო საჭურისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

გეგუთი

...„ძევეს როდი ბეფიცები ბგელარ,
არამედ, მამაჩემის ტკივილებს“...

ჰომიროსი.

ელენე დედოფალს ელდა ეცა. დათვის ბელები და მგლის ლეკვები დაბობღავდნენ გეგუთის სასახლის კიბეზე. ორხოვანი, ფარდაგები, სასთაულები და ოქრომკედით ნაქარგი დორები ძაღლის ბეწვებით იყვნენ დაფიფქულნი სრულად.

ძაღლისა და ნადირის სუნი იდგა სასახლეში.

მეფის საწოლ დარბაზისაკენ მიმავალს მსახურთუხუცესი წინ გადაუდგა ელენეს.

მეფეს აგრე აქვს ნაბრძანები: ნურავინ შემოვაო, დედოფალო ბატონო.

დედოფალმა ერთი შეხედა წარბშეყრილად მოხუცს, ხომ არ შეშლილაო, ეს გაიფიქრა და შეაღო კარი.

საკინძეგაღეღილი იწვა გიორგი მეფე უზარმაზარ ვეფხის ტყავზე პირაღმა, უცნაურად ხროტინობდა. ოფლი ასკდებოდა ნახმლევებით დაღარულ შუბლზე. დატანჯული სახე ჰქონდა, ნაოჭები მომრავლებოდა თვალების არეებში.

ხრჩოლავდა მის თავთით მდგარი სასანთლე ოქროისა, ყვითელი შუქის ლიცლიცზე მიცვალებულს უფრო წააგავდა იგი, ვიდრე მძინარეს.

ალყისა და ქონის უსიამოვნო სუნი იდგა დარბაზში. ხელიდან გავარდნილი ფსალმუნი იატაკზე ეგდო, ბალიშიდან გადმოვარდნოდა მკლავი, ეს იყო მარჯვენა, რომელსაც სამი თითი წაკვეთილი ჰქონდა ფარცხისთან ბრძოლაში, ცერი მოედრიკა, მხოლოდ სალოკი თითი გაწვდილი იყო სივრცეში. თითქოს ვილაცას უჩვენებსო მძინარე რაღაცას.

ფეხისსმაზე თვალი გაახილა სისხლმოძალებული, დააფახულა ცვილისფერი წამწამები ორ-სამჯერ, რაღაც წაიბუტბუტა უკმაყოფილოდ და კედლისაკენ მიბრუნდა.

გულნაწყენი გამობრუნდა დედოფალი ელენე.

„ჭყონდიდელი სად ბრძანდება დიანოზ?“

შეეკითხა მესაწოლე ბერს.

რიონის დიდროაი[1]) ატეხილიყო ჯერარყოფილი, სამოცზე მეტი სოფელი წაელეკა წყალს. გუშინწინ დილით წასულიყვნენ ვაზირთა უპირველესი და მანდატურთუხუცესი. ჯერაც ამბავი არ მოსვლოდათ მათგან.

ეს მოახსენეს დედოფალს და წამოვიდა უცნაური მერეხი. ჩიტის კვერცხის ოდენა სეტყვა დაუშინა სასახლის ხილნარს, ახლად გაფოთლილს. დაიქუხა ცამ, ელვის მახვილებმა დაჰკეპეს აჭარის მთებზე გადამდგარი ღრუბლის ქორედები.

სანადირო ფარდულებში აწრიალდნენ ძაღლები და მხეცები, ისხდნენ დაგმანულ კარებთან მგლის ლეკვები, ისე საწყალობლად წკავწკავებდნენ, უფლისწული შეზარა ნადირის ერთობლივმა ყივილმა.

ნიანიამ გაიღიმა და ეუბნება დავითს:

---

[1]) დიდროაი—მდინარის მოდიდება, წყლის გადასვლა.

„ქარიშხალი შემესწრო გვირგვინას მთაზე ერთხელ, ვყმუოდი, ვიტყუებდი მგლებს, ოციოდე ლეკვი გამომიდგა დამშეული, ისეთი ტირილით შემომეხვიენენ, ცრემლი მომადგა თვალზე, უცნაური ვიშვიში სჩვევია [illegible] იელვა, დაიგრიალა ისევ. შინაური დათვი ამორბოდა [illegible] შეძრწუნებული.

დაფრთხნენ ტალანში თავმოყრილი მანდატურნი, გზა დაუთმეს აქოჩრილ მხეცს.

გიორგი მეფის საწოლ დარბაზს მიაწყდა იგი, დინგი ჰკრა ღორულად კარს, შეაღო და შეუვარდა მძინარე მეფეს.

„ეს ერთად-ერთი ერისთავია, რომელსაც უკითხავად შეუძლია გიორგი მეფეს ეახლოს“.

იჯღანებოდა მახარაი.

სწორედ ამ დროს მოახსენეს უფლისწულს, ასიოდე ცხენოსანი, სვანნი, მოადგნენ სასახლეს.

სვანთა ერისთავი ვეშაგ ჩამოსულიყო და აზნაურნი მისნი: გალდაშალ მობეჩვიანი, ქარიმან სიტელი და ჩარგას გოშგოთელი.

დავითი დაქანცული იყო, ჯერაც თორი არ გაეხადნა, მან იცოდა, გიორგი ჭყონდიდელს ქუთათელი მთავარეპისკოპოსი მიეგზავნა ვეშაგისათვის, სვანთა ერისთავის ვარდანის ძისათვის, ეპისკოპოსს დაუთანხმებია გეგუთში ხლებოდა გიორგის, მეფის სახელით დაჰპირებია მღვდელმთავარი, გაპატიებთო იმასაც, ვეჟინს გასალაშქრებლად რომ არ მოგვეცია ჯარი.

ეაჯა თურმე ქუთათელს სვანთა ერისთავი ვეშაგ, ლეჩხუმი შემომიმტკიცეთო ცაგერამდის.

გაცოფებულა გიორგი მეფე, შეურისხავს ქუთათელი, როგორ გაგიბედაო ამგვარი ჩმახვა?

აგრე ვარაუდობდა დავითი: სჩანს, ალარ უცდია მეფის თანხმობისათვის სულწასულ ერისთავს, ამალიანად წამოსულიყო გეგუთს.

ლიპარიტის განდრეკილობამ დაარწმუნა ჭყონდიდელი: საჭირო იყო უფრო მტკიცე კავშირის დადგენა დასავლეთის აზნაურებთან, ამიტომაც არც ჰო შეუთვალა ვეშაგ ვარდანისძეს და არც უარი.

ასე ივარაუდა: ჯერ ეთაყვანოსო მეფეს, გეგუთს ჩამოსული ვეღარ გაგვიბედავსო ლეჩხუმის მოთხოვნას.

რაკი სვანთა ერისთავმა მეფის ნახვა ითხოვა, უფლისწულს ეუხერხულა მისი მიღება, მით უმეტეს, რომ ასე გართულებული იყო საქმე; ამიტომაც უბრძანა მსახურთუხუცესს: სასტუმრო დარბაზში შეიყვანეთო ერისთავი და მისი ამალა, გააღვიძეთო მეფე.

ფერი ეცვალა მოხუცს, ოღნავ გაჯანჯღლდა კარისკაცი.

შეატყო დავითმა უზომოდ დაეშინებინა ხელშინაურნი მეფეს. მოღუშულად შეხედა უფლისწულმა მსახურთუხუცესს, სხვა გზა არ იყო, მანაც შეაღო საწოლი დარბაზის კარი.

ზანტად წამოდგა გიორგი მეფე, გაშალა თავისი გრძელი მკლავები, გააზმორა, თვალი მოიფშვნიტა.

როცა სვანთა ერისთავის ვეშაგის ხლება გაიგო, მრისხანედ შეიჭმუხნა ბანჯგვლიანი წარბები. დათვის დანახვა უფრო გაეხარდა, ვიდრე სტუმრების

მოსვლა. მოეალერსა ნადირს, ერთი პეშვი ჩამიჩი ჩასჩარა ლაშებში, ხელი გადაუსვა ქოჩორზე, წამოდგომა უბრძანა.

დათვი ორფეხზე შეიმართა კაცივით, თან გაჰყვა სასტუმრო დარბაზისკენ მიმავალ მეფეს. კარი შეაღო გიორგიმ და შეუძახა შიგ. თავათ ოფლიანა და უჭვრეტდა, თუ რა მოხდებოდა.

სასტუმრო დარბაზში ოდნავ ბნელოდა, შარიშურზე წამოიჭრა ვეშაგ სვანთა ერისთავი, ასე ეგონა: მობრძანდებაო მეფე.

უცხოთა დანახვაზე აღრიალდა ტყიური და წინა თათები დაჰკრა ფოლადის სამკერდეზე ერისთავს.

ხმალი გაიძრო შემკრთალმა ვეშაგმა, სიბრტყით უთავაზა დაღრენილ ნადირს. მერე გაბრუნდა ალეწილი, ბრაზი წაეკიდათ აზნაურებსაც, გამოაყვანინეს ცხენები მყისვე, გამოუსალმებლად დაადგნენ გზას.

გამოენთო მსახურთუხუცესი სტუმრებს, დედოფლისა და უფლისწულის სახელით ეეედრებოდა: ნასმურევი იყო მეფე, ამიტომაც გაგეხუმრათო.

ყური არ ათხოვა ვეშაგ ერისთავმა კარისკაცის მუდარას, სეტყვისა და თავსხმის მიუხედავად, გაჰქუსლეს სვანმა აზნაურებმა ანაზდად ცხენები.

უფლისწული დააღონა ამ ამბავმა.

სადილზე უარი სთქვა. თავის იმედი აღარ ჰქონდა, აუგი რამ სიტყვა არ შევკადროვო მამას, დედის ცრემლებსაც არ ათხოვა ყური.

ხედავდა დავითი: შავნაღვლიანობა ეუფლებოდა მეფეს. ერთი ამბავიც დასცდა მსახურთუხუცესს თეოფანეს:

ქუთათელი მთავარეპისკოპოსი სწვეოდა გასულ კვირას გიორგის. ჭყონდიდელიც დასწრებია ამ დარბაზობას.

აჯამეთის აღმოსავლეთით დიდი მუხნარი იყო ერთი, ჯვარის ტევრს უწოდებდნენ გლეხნი. ამ მუხნარში შემოკდომიათ აჯამეთიდან გაქცეული ეშვი[1].

გაკადნიერებულა ქუთათელი, წმ. გიორგისაა ეგ ტყე, არამც თუ ნადირობა, გავლაც არ შეიძლებაო მანდ.

გაფიცხებულა მეფე, ხელი წამოუსვა თურმე ბროლის სამწდეურს, ჭყონდიდელი ჩავარდნილა შუაში, გადაფოფრებია გაფითრებულ ქუთათელს. ძლივს გაუყვანიათ მღვდელმთავარი უვნებლად.

როცა ამას უამბობდნენ უფლისწულს, მსაჯულთუხუცესი შემოვიდა დარბაზში, თაყვანისცა და მოახსენა:

ჭყონდიდელის ბრძანებით, უფლისციხიდან ჩამოიყვანესო სამი აზნაური, მუხათგვერდელ მეციხოვნეთა მიერ შეპყრობილნი შემოდგომაზე.

„ვაზირთა უპირველესი აქ არა ბრძანდება, აღარ ვიცი, რა ვუყოთ ამ ტყვეებს, მცირე დილეგში ჩავაგდოთ თუ წარვგზავნო ქუთათისს?“

ამას ამბობდა მსაჯულთუხუცესი.

ნიანიას შეეთათბირა დავითი.

თავათ განსაჯე, როგორც გენებოსო.

მიუგო ბაკურიანმა.

კვლავ უხერხულად იცნო უფლისწულმა მეფის მანდ ყოფნაში განრიგება საქვეყნო საქმეთა.

ასე ბრძანა:

მოახსენეთო ხელმწიფეს.

---

[1]) ეშვი—ტახი.

აცახცახდა მოხუცი. მსახურთუხუცესიც გაჯიქდა:

ისადილა თუ არა მეფემ, გადამაკეტინა მაშინათვე კარი. დილითაც არ მაცალეთო გამოძინება, მესაწოლე ბერსაც უბრძანა: არავინ გამაღვიძოსო, იცოდე.

სხვა გზა აღარ იყო, მახარაი ახმობინა დავითმა. ყველამ იცოდა: უგუნებოდ შექმნილ ხელმწიფესთან მხოლოდ მახარაის შეეძლო ხელაღებით შესვლა.

უაღრესად გულნაზი ურთიერთობა ჰქონდა მეფე გიორგის თავის ნახევარძმასთან. მხოლოდ ერთადერთ მახარაის არასოდეს გაწყრომია გიორგი.

მახარაიც გრძნობდა: მთელს სასახლეში მხოლოდ მეფე და უფლისწული ჰხედავდნენ ადამიანურ ღირსებებს მასში.

მახარაი თავზე ადგა მესათხეველთა იმ წუთს.

იგიც აბურტყუნდა უხიაგად. რა დროს მეფეა, ბადეები უნდა შევაკეთებინო, სათევზაოდ მიმყავსო უფლისწული და ნიანია ხვალ.

ხელახლა სთხოვეს დავითის სახელით.

საწოლ დარბაზში შევიდა თუ არა მახარაი, გიორგი წამოდგა, გადაკოცნა, გამოკითხა, რად არ მეჩვენეო მოსვლის უმალვე, პური რად არ სჭამეო ჩემთან?

სათხეველები დაუფხრეწიათ მებადურეთა, იმათ ვადექი თავზე, შენი საბაზიერო მოვიხილეო.

ისპაჰანური მწევრები უქო, კოლხური მშვლის ნუკრები მოუწონა, წალკოტებში უნდა გადავაყვანინოთ, თორემ თვალები უცრემლდებათო უკვე, საეშვე ნაგაზებს ყურები დავაჭრათო ახლავე.

გაიხარა გიორგიმ, თავის საყვარელ არსებათა ხსენება რა ესმა.

„ხვალ სანადიროდ მივდივართ, ხომ არ წამოგვყვები თან?“

ეკითხება თავის ნახევარძმას.

„ჯერ საქმე მაქვს შენთან მცირედი“, ესა სთქვა მახარაიმ და თვალი უყო მესაწოლე ბერს. როცა მარტო დარჩნენ, ეუბნება მეფეს:

„ეგ აზნაურები ჩამოგიყვანია, ვეჟო, შენ ბრძანებას უცდის მსაჯულთუხუცესი, რას უპირებ მაგ აზნაურებს, ვეჟო?“

„ვინ აზნაურები?“

იკითხა გიორგიმ, აწკიპა ბანჯგვლიანი წარბები.

„მუხათგვერდელ მეციხოვნეთა მიერ შეპყრობილნი“.

მიიღო პასუხი.

„ეჰ, ჩემო მახარაი, მე უკვე მომეწყინა ადამიანთა საქმენი, სანადიროთა განვაგებ მხოლოდ, რაც გენებოთ, იგი უყავით მაგ არამზადებს შენ და უფლისწულმა“.

მახარაიმ ამ უკანასკნელ სიტყვაზე შეატყო ნაწყენი იყო თავის ვაჟზე გიორგი.

„გნებავთ აქ მომგვარეთ, მე გავუჩენ იმ აზნაურებს საქმეს. ორი ბელი გვყავს დამწყვდეული გომურში, ამაოდ დავშვერით მე და მენადირეთუხუცესი, უკანა თათებზე სვლა ვერ ვასწავლეთ ვერას გზის. ამ აზნაურებს მივუჩენ, ეგებ მათ შეასმინონ რაიმე. ბევრი ვეწვალე, ჩემო მახარაი, მაინც ვერ შევათვისებინე კაცურად სიარული ადამიანებს, ეს ღა მწადია ახლა: ნადირებს შევასმინო ადამიანურად სვლა“.

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

როცა მახარაიმ უამბო ეს ყოველივე უფლისწულს, დალონდა იგი, ეს ღა უთხრა ხმადაბლა ნიანიას:

2. „მნათობი“, № 5.

Тифлисский

„საბრალო მამაი“...

უბრძანა მსაჯულთუხუცესს დავითმა: მცირე დილეგში დაამწყვდიეთო ტყვე აზნაურნი, მერმე სათითაოდ გამოიყვანეთ, დაჰკითხეთო.

გაჯიქდნენ კვლავინდებურად ტყვენი.

ჰკრეს ტაჯგანაგები აზნაურებს, ოც-ოცჯერ თითოეულს. მთელ სასახლეში გაისმოდა მათი ღრიალი.

სთქვეს: ბორკილები აგვხსენით, ვიტყვითო სიმართლეს.

ახსნეს ჯაჭვები და გამოტყდნენ:

თრიალეთელნი ვართო, ლიპარიტ ერისთავის ყმანი, თავდაპირველად ასეთი განზრახვა გვქონდა: თრიალეთის საერისთაოში უნდა დავხვედროდით, სადმე ტყეში, სტუმრად მომავალ უფლისწულსა და ჭყონდიდელს.

ტფილისის ამირას შეეთათბირა ლიპარიტ, უხერხულად მიიჩნიეს ეს, მერმე ოს იყო ტფილისის ამირასთან წარგვგზავნა პატრონმა, კასპის ციხის სანახებში უნდა დავხვედროდით ათას ხუთასის მოისარითა, ორივენი უნდა მოგვეკლა საფრიდან.

მუხათგვერდელ მეციხოვნეებს მოერთვნენ სახიზნო ქვაბებიდან გადმოცვენილნი გლეხნი. ცხენები გამოგვიკლეს ისრითა, მერმე შეგვიპყრეს ჩვენ სამნი და სამოცნი თურქნი.

მაშინ ბრძანა უფლისწულმა: წლოვანება გამოჰკითხეთო თრიალეთელ აზნაურებს, და ისევ ჰკრეს ტაჯგანაგი სათითაოდ იმდენჯერ, რამდენი წელიც ყოველ მათგანს შესრულებოდა.

ხელახლა დაადვეს ბორკილნი ქედზე და მცირე დილეგში ჩააგდეს ჭყონდიდელის მობრძანებამდის.

VIII

მოგონებანი მწუხრის ჟამისა

იმავ დღეს გამოიდარა ნასამხრალზე, გაიღიმა იმერეთის უნაზესმა ბუნებამ კვლავ. ერთადერთი ღრუბელი შერჩენოდა დასავლეთით ცას, როგორც უშველებელი, თითგაშვერილი მკლავი უფლისა.

აჭარის მთებზე ნისლის ფრთილებს სწეწდა და პენტავდა უჩინარი მხატვრის ხელი, მზემ ალერსიანი თვალი დაადგა სეტყვისაგან დარეჯგვილ ყვავილსა და ფურცლოვანს. ასწლოვანი ბლისხენი ჰყვაოდნენ ხილნარში. თავი სტკიოდა უფლისწულს, უქუდოდ გამოსულს. ქინძის სუნი, ბლისა და ვაშლის ყვავილის სურნელი იდგა თავბრუდამხვევი ბაღში.

იღიმოდნენ დიდრონ ნეკერჩხლებზე გასული ვაზების კვირტები, ჯერაც ვერ ბედავდნენ თავიანთ მწვანე სამალავებიდან გამოსვლას.

მხარმარჯვნისაკენ გადაუხვია დავითმა, მიჰყვა ცაცხვებისაკენ მიმავალ ბილიკს.

ამდენი უსიამო ამბები აროდეს დახვედრია გეგუთში ჩამოსულს.

როცა უფლისციხიდან, წაღვლიდან ან ჭყონდიდიდან აქ მოჰყავდათ ხოლმე იგი სავსებით ყრმა, მოუხაროდა მუდამ, წინა ღამით არ ეძინა სიხარულისაგან არასდროს.

წინასწარ იცოდა: ყოველი კაცი იმას სცდილობდა საამური რამ ეთქვა ან დაეხვედრებინა მისთვის.

მონადირეთუხუცესს ირმის ნუკრები ჰყავდა შეპყრობილი, მერემეთუხუცესი კვიცებს უზრდიდა, მახარაი და ბაზიერნი მისნი მტრედის ხუნდებს, ბუს მართვეებს, არწივის ბახალებს უნახავდნენ გალიებში, მესათხეველეს ... ჯურის თევზები ჰყავდათ რუებსა და აუზებში უფლისწულისთვის.

გეგუთშივე ეგულებოდა ყრმას თავისი ასმანაკები, კაკანათები, სასირენი, ხალბადენი, ტრედბადენი და სათხეველნი.[1])

მახარაის წყალობით დავითი კარჩაკეტილი როდი იზრდებოდა სხვა უფლისწულთა დარად მიუხედავად მამამძუძის — ჭყონდიდელის სასტიკი წურთვნისა, მახარაის მაინც გაჰყავდა თავისი, რიონის ჭალებში, მდაბიორთა ბიჭებთან ერთად დაბობლავდა გუბეებში ფეხშიშველი ყრმა უფლისწული, მათთან ერთად თევზაობდა, ხელს ჰყოფდა კიბორჩხალისა და ცხრაფეხას დარანებში, კარგად იცოდა, სად ჰქონდათ სამალავნი მელიას, მაჩვსა და წავს, ან ქორები სად ბუდობდნენ, ან ყვავნი. სახრით ნადირობდა ტოლებთან ერთად მწყერზე.

ჰერეთს ლაშქრობიდან მობრუნებულს იგივე სასახლე დაუხვდა, იგივე ხელშინაურნი. კაკლისა და ბლის ხეები ისევ ძველ ადგილას იდგნენ, იგივე ფუღურო ცაცხვები, ჩრდილმრავალნი და ტანკორძიანნი.

ჰყვაოდა მთელი ბუნება ირგვლივ, საამოდ პუტუნებდნენ ფუტკრები სკებში. ყოველივე ძველებურად დაუხვდა, მაგრამ სიხარული გაპარულიყო სადღაც, რადგან თავათ შეცვლილიყო ჭაბუკი.

ეს იყო ასპარეზი მისი ბალღობის გარდაუვალი ლხენისა, ამ შემოგარენში ურბენია ფეხშიშველა ნამცვრევ ბალახზე, ამ საყვარელ კაკლების ქვეშ უოცნებნია პირალმა დაწოლილს მდელოზე. ეგერ მისი სანუკველი ლეღვისა და ატმის ხეებიც, ჯერაც პირში აქვს სიტკბოება მათი ნაყოფისა.

ე, მანდ, წალკოტში, სადაც გიორგის მეფის მშვლისნუკრები დაკვინტრიშებდნენ, იქვე ურბენია მასაც, უკან დასდევდა მახარაი, უშველებელი არგანით ხელში.

იქითკენ ნუ წახვალ, ტურაოო ჩირგვებში, იმ ორმოს ერიდე, ჯოჯოებია შიგ, იმ მუხნარში ქაჯებია, იმ მთის ძირას დევები.

რიონში ურჩხულებიაო, შავი ზღვიდან გადმოხვეწილნი, უცებ შესანსლავენ გაუგონარ ბიჭუნას და რა ჰქნას დედილომ მერმე?

სჯეროდა ყმაწვილს მახარაის შეგონება ყოველი, ეშინოდა შგლისა, ღამისა და მოჩვენებისა, ახლა არც ეშინია რაიმესი, არც თუ ისე იოლად აჰყვება სხვის ნათქვამს და თრიალეთიდან თან ჩამოყოლილ ჭმუნვას ვერ მორევია გული.

ცაცხვის ქვეშ ჩამოჯდა, გოლიათურ ურთხელის მორზე. ასე ჭგონია: სულ ორიოდე დღის წინად მჯდარიყოს იგი აქ, ჯერაც უასაკო ყრმა. აქ უამბობდა მახარაი ხილთა ქებას და თევთა ქებას.

„მიჰრაკანი[2]) — მეომარია, ჭრელი ჯაჭვი აცვია ზედ, ბუკი ჰკიდია ქამარზე და ასე იტყვის...“

დაიწყებს მახარაი, დადუმდება განზრახ, რათა ცნობისწადილი გაუსინჯოს ბავშვს.

„რას იტყვის, ძია ბატონო, მიჰრაკანი?

---

[1]) ს ა თ ხ ე ვ ე ლ ი—ბადე, სათევზაო.

[2]) მ ი ჰ რ ა კ ა ნ ი, იგრიკა, ვარდობისაი და სხვა თვეების სახელებია ძველქართული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აკი გუშინ გითხარი, აღარ გახსოვს?

„კიდევ მითხარი, კიდევ.“

ევედრება ყრმა.

„მიჰრაკანი ასე ამბობს: რაინდი ვარო თოროსანი, ეს მე შევმუსრე ზამთარი, ყინვის ჯავშანი შემოვაცალე მიწას და აწ ზაფხულს ვუხმობ ბუკითა.“

„იგრიკა“?

იკითხავს ყრმა.

„იგრიკა, მწყემსია, სალამური გაუჩრია პირში, ტკბილად უკრავს და თეთრ ბატკნებს მიელალება სერებზე“.

ვარდობისაჲ?“

„ვარდობისაჲ — ქალწულია, ყვავილებით შემკული.

„მარიალი“?

„მარიალი მეცელეა, თაველების გვირგვინი დაუდგამს თავზე“.

სიხარულისაგან თვალებს ნაბავს ყრმა, რადგან მახარაი შეუჭირვებლად განაგრძობს თვეთა ქებას.

„ქველთობისა—მებოსტნეა, სურნელოვანი ნესვები ჩაუყრია გუდაში.

ახალწლისაჲ — მეხილეა, ატმებით, ვაშლებით, მსხლებით დატვირთული, სთვლისაჲ — მეზვრეა — მწიფე მტევნების ჯაგნები ჰკიდია მხარზე, ტირისკონი — მეწისქვილეა, კვნესით დადის წელში მოკაკული და მიათრევს ფქვილის ტომრებს“.

ამბობს მახარაი, წელში მოიხრება ისე, თითქოს თავათ მოჰქონდეს ეს ტომრები ფქვილისა.

„ტირისდენი?“

„ტირისდენი — ბერიკაცია, ბუხარს ეფიცხება“.

„აპანი?“

„აპანი — მენადირეა, თეთრი ქორი უზის მარცხენაზე, თეთრი მწევრები წინ მიჰყვება, თეთრმშვლებს მისდევენ მწევრები.

სურწყუნისი—რა თქმა უნდა, გუთნისდედაა და ჰოროველას მღერის, ხანაც ხარებს შეუძახებს ჰამოს“.

„ახლა ეს მითხარი, ძია ბატონო, თეთრი მშველი თუ არის მართლაც სადმე?“

არა, თეთრი მშველი მხოლოდ ზღაპარშიაო ცნობილი.

შეღამდებოდა თუ არა, ვარსკვლავეთს უჩვენებდა მახარაი. ასწავლიდა, რა და რა თვენი მიითვლიან ზოდიაქებს ვერძისას, კუროსას, ღრიანკალისა და სასწორისას.

აჭიხვინდა ტოილოთი დაბმული ქუჯაი პატრონის დანახვაზე, უფლისწული შეკრთა, ფიქრიდან გამოერკვა, ცხენს ალერსიანი მზერა ესროლა და ხილნარისაკენ გადაუხვია.

ნელი ნიავი მიდიოდა დასავლეთიდან, თოვლის ნამქერივით ძირს სცვივოდა ტყემლებისა და ბლების ყვავილები, ათოვდა ხეივნებში მოხეტიალეს თავზე, ისე გაუთეთრდა წაბლისფერი კულულები, თითქოს ჭაღარით შეფიფქოდა თავი.

ამას ხედავდნენ ბოსტანში მომუშავე დიაცები, ველარ იკავებდნენ ღიმილს, მოხუცებულაო უფლისწული ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგუთის სასახლეში ასწავლა ანბანი მახარაიმ უფლისწულს. მანვე უჩვენა ბაგრატოვანთა გერბი საგვარეულო.

გვირგვინის ქვეშ შეტოტებული ორი ლომი, რომელთაც ჭრისტეს ხიტონი უჭირავთ თათებში.

ლომების თავებზე გადაჯვარული სკიპტრა, ხმალი, ქნარი და შურდული.

უამბო გაოცებულ ყრმას: სამოცდამეთვრამეტე შვილი-შვილთაგანი ხარო მეფსალმუნე და მეშურდულე დავით მეფისა.

მიდის უფლისწული მარტოკა, მიჰყვება სიყრმეში ათასგზის გავლილ ბილიკებს. ხილნარს გადაღმა გალავანია მაღალი, გალავნის გაღმა ნათესები, მესრებით გამიჯნული, მესრებს იქით ველია ვრცელი.

ახლაც მანდა სდგას ნამეხალი მუხა.

ამ მუხის ქვეშ მჯდარა უფლისწული მახარაის მუხლზე.

გიორგი მეფის ცხენოსნები ვარჯიშობდნენ ველზე.

ერთი დასი მუხნარის პირად დაბანაკებულა აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთისკენ, ნეკერჩხლის ტევრის მახლობლად.

მოხუცი უამბობს ყრმას, თუ როგორ სძლია ბაგრატ მეფემ განძის ამირას ფადლონს, მერმე როგორ შეიპყრო გაქცეული ფალდონი ერთმა გლეხმა, ჯორზე როგორ შესვა და აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარა ტყვე.

„შლეგი ყოფილა“ ამბობს დავითი.

„აბა, მეც მაგას არ ვამბობ, არა სჯობდა ბაგრატ კუროპალატისათვის მიეგვარა იმ ოჯახეორს!“

ბაგრატ კუროპალატის მიერ გადახდილი ომების გამო თხრობა ახარებს ყრმას.

მახარაიც უამბობს, თუ როგორ შემოეწყო ბაგრატი ტფილისს „დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს ისანთა და ესროდეს ისარსა“. ან როგორ გახდა ტფილისში ერთი ლიტრა ვირის ხორცი — ხუთასი დრამა.

აროდეს მოსწყინდება ციხეთა შემოწყობის, გოდოლთა შელეწვისა, ძელზე გასმისა და თვალების დაბნელების ამბები.

ამასობაში დაიძრნენ ცხენოსნები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ყიჟინით, შეუტიეს ურთიერთს, ჰოროლები გამართეს და სწორედ ისე უნდა აძგერონ ერთმანეთს, როგორც ეს უქნიათ ბაგრატ კუროპალატისა და ალაფ-არსლანის სპათა, ახალქალაქის ომში.

გაფითრდა, აცახცახდა ყმაწვილი, მოიღუშა, ცრემლები შემოადგა თვალებზე.

„ნუ გეშინია შვილო“, ეუბნება მოხუცი.

გაიღიმა ყმაწვილმაც. ხედავს თუმც ჰოროლები აძგერეს ურთიერთს სპათა, მაგრამ არავინ დაშავებულა, კვლავ გაიყარნენ, ზოგმა ნეკერჩხლის ტევრს მიაშურა, ზოგმაც მუხნარს.

დავითს უწინაც ენახა ცხენოსანთა წვრთნა ამ ველზე, მაგრამ შუბის ცემა ჯერ არ ენახა.

გაოცდა ყმაწვილი. საკუთარი თვალით ხედავდა წეღან, შუბებს აძგერებდნენ ერთმანეთს სპანი, მაგრამ არავინ მომკვდარა, არც დაშავებულა, ორიოდე მხედარი ჩამოვარდა, ისევ წამოდგნენ, მკვირცხლად შემოახტნენ ცხენებს და მიერთვნენ თავისიანებს.

თორ-მუზარადების ლაპლაპს აქედანაც ჰხედავს, ჯაჭვი აცვია ყველას, ეგეც იცის ყრმამ, ჯაჭვ-საჭურველსაც რომ გაატანს მარჯვედ მოქნეული შუბი?

განა ხმლითაც არ გაუკვეთიათ თურქის მეომარნი, თორიანად და ჯაჭვიანად პაპას ბაგრატსა და მამას — გიორგის? ამასაც ხომ მახარაი უამბობდა მას.

რაღაც ოინბაზობაა აქ, ფიქრობს დავითი და კვლავ გასცქერის მოკეთეს მხედრებს. მახარაი ამჩნევს: ცნობისწადილმა შესძრა ყმაწვილის გული.

მოხუცს ეღიმება, მაგრამ სდუმს.

„ჰოროლები უჭირავთ მაგ სპათა ხელში?“

ეკითხება მახარაის დავითი.

„ჰოროლები, თავათაც ხომ ხედავთ აქედან?“

ადგა მახარაი, გადაატარა კაპანზე ყრმა, ლასტის კარი გააღო, მესრებში დატანებული. მუხნართან მიიყვანა დავითი.

ასმეთაურს ეუბნება მახარაი.

„გაოცებულია უფლისწული ჩვენი, ვერ გაუგია, მართლა თუ ომობთ, ნამდვილი ჰოროლები თუ გიჭირავთ ხელში?“

გაეღიმა ასმეთაურს.

ჰოროლი გამოართვა მხედართაგანს ერთს.

„აი, ხომ ხედავ, უფლისწულო, ვიდრე ომს დავიწყებდეთ, ამგვარ ფოლადის წვეტს მოვაძრობთ ჰოროლებს, ხოლო ძელის წვერი ვერას ავნებს თოროსანს“.

ეს უთხრა, მოაძრო წვეტი შუბს.

გაიცინა და გაიხარა ვაჟმა.

ასე ღელავდა უფლისწული ოდესღაც ომიანობის თამაშის შემყურეც. ხოლო რუსთავში, ამ სამიოდე თვის წინად, ფოლადის წვეტიან ჰოროლს სცემდა თავათაც კაცსა და ცხენს, წინ მიუძღოდა სპათა, შეუზახებდა ომახიანად, კაცისკვლისათვის აქეზებდა სხვათაც.

მეორე დღეს საკუთარი თვალით ნახა ყორნების ლაშქარით დაფარულიყო ჭაობები, სვავები ჰკორტნიდნენ დახოცილ თურქებს, მგლები და ტურები დაათრევდნენ ადამიანის შიგნეულს ტლაპოში, ვირთხები სვამდნენ ჭაობში ჩაგუბულ სისხლს კაცისას და სიბრალულის ნატამალიც არ უგვრძნია.

ბალღობისას ბუს მართვე რომ მოკდომოდა, ან შოშიის ბარტყი, ტირილით შეაჯერებდა უფლისწული ქვეყანას, წეღან თავათ ესმოდა, თუ როგორ ღრიალებდნენ ტაჯგანაგებით გვემული თრიალეთელი აზნაურები, სიბრალულიც არ გაჰკარებია გულს.

შესცქერის დავითი ნამეხალ მუხას ამ წუთში, განვლილ სიყრმისაკენ უკანიხედება გულნაღვლიანი და თავათაც უკვირს, თუ რაოდენი მანძილი გაუვლია მას, ამ მუხის ჩრდილიდან რუსთავის ციხემდის!

მიმწუხრის ნისლი დგებოდა რიონის ჭალებიდან, ერთად ერთი ვარსკვლავი კიაფობდა დასავლეთისაკენ, ბინდი ეფინებოდა აჭარის მშვენიერ მწვერვალებს, საყვირის ხმები მოისმოდა გეგუთის ციხიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

მუცლითმეზღაპრენი

„ვიდრე თუალითა არა ვიხილო, არა მრწამს".

ბაგრატ IV.

„In manu omnium Deus signa
Posuit noverint singuli opera sua".

დიდ ხუთშაბათს მიწა იძრა.

ამბიონზე მდგარ მთავარ დიაკვანს სახარება გაუვარდა ხელიდან, ბაგრატის დედის, მარიამის მიერ იერუსალიმიდან გამოგზავნილი, ოქროთი შეჭედილი სრულად, ძირს დაეცა წიგნი და ორად გაიპო.

დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ამბავს როგორც გეგუთსა, ისე ქუთათისში.

ათასგვარად ახსნეს იგი ბერებმა და ხუცებმა. ერთნი ასე ამბობდნენ: მამასა და შვილს შორის მოსალოდნელ განხეთქილების მაცნეაო ეს; დავით უფლისწული გვირგვინს დაიდგამს, ტაოსა და ქართლს წარსტაცებსო მამას.

სხვანი უფრო მეტს ვარაუდობდნენ: ლიპარიტ ერისთავი საქართველოს მეფედ აღვიარებსო თავს, მცხეთაში ეკურთხებაო აღდგომას.

გიორგი მეფე ცრუმორწმუნე იყო, შეკრთა ოდნავ, ქუთათელთან წაკიდება მოაგონდა: ხომ არ შემაჩვენაო ამ წყეულმა ხუცესმა?

საქართველოსა და ბიზანტიაში უცნაური ხმები დადიოდა იმ წელს, უამრავი მუცლითმეზღაპრე,[1]) მარჩიელი და ბერი დაღოლავდა, ჩურჩულებდნენ: ათასი წლისათვის დანიშნული წარღვნა ათას ას წლისათვის გადაუტანიაო ღმერთს. კოზმან ბერის მიერ უხვად ჩამოტანილი ამბები ელვისებრ მოედო სრულიად საქართველოს მონასტრებსა და სამრევლოთა.

რომელიღაც ბერძენ ბერს ძაღლი გაუღმერთებია კონსტანტინოპოლში. ალექსი კომნინის დედა — ანნა დალასინაც აჰყოლიაო „ძაღლების სექტას".

ყიფჩაღებზე გამარჯვება წინასწარ უთქვიაო ხირომანტს. აცინგანს ერთს. თავათ კოზმან ბერს ჩამოუტანია თრიალეთში შავი წიგნი: „გამოცხადებანი ღვთისა, მიწისძვრების სახითა".

სწორედ წითელ პარასკევს გეგუთის მახლობლად, ჭალაში დაბანაკდა ასიოდე სულისაგან შემდგარი ელი ტომი, რომელსაც ბიზანტიიდან თან მოჰყვა სახელი აცინგანი.

აცინგანები ინდოეთიდან გადმოხვეწილიყვნენ ეგვიპტეს, აქ ორად გაყოფილან, ერთმა ნაწილმა ირანს მიაშურა, ერთ წელს ისპაჰანში დაჰყო, მერმე გურგენის ზღვის კიდეებს გამოჰყვა და ივრის ნაპირებზე იწყო ხეტიალი კახეთში, ხოლო მეორემ კონსტანტინოპოლიდან ტაო-კლარჯეთით გადმოსულმა, გეგუთამდის მიაღწია.

კახეთ-ჰერეთში ჩამოსულთ ფარსული ვერ შეეთვისებინათ, არავის ესმოდა მათი ნაუბარი, ამიტომაც ქაჯები ეგონათ, დახოცეს კიდევაც კახელებმა ზოგნი, ხოლო იმერში გადმოსულთა ბერძნული თან მოჰყვათ.

ესენი მოვიდნენ როგორც ჯამბაზნი და მუცლითმეზღაპრენი, მკითხავნი.

ჯამბაზები ხშირად დახეტიალობდნენ იმ ჟამად, სახიობას ეწეოდნენ ათასნაირს. მრავალგვარი ოინბაზობით ართობდნენ ხალხს.

---

[1]) მ უ ც ლ ი თ მ ე ზ ღ ა პ რ ე—მკითხავი, ხირომანტი.

აცინგანების სიშავემ სახისამ, უზომოდ წაზრდილმა ფრჩხილებმა /მათმა, ძრწოლა ნარევი გაოცება დაჰბადა ცრუმორწმუნეთა შორის.

ჭინკებიაო, ამტკიცებდნენ ერთნი, სულ სხვას ამბობდნენ სხვანი: ეგენიც ჩვენებრ ადამიანებია, მაგრამ ბნელეთის კიდიდან წამოსულთ, ჯოჯოხეთში გამოუვლიათ და ამადაც შეტრუსვიათო თმა-წვერი.

მახარაი და მესაწოლე ბერები წავიდნენ რიონის პირად, აცინგანების ბანაკში.

მახარაის მრავალგზის ენახა აცინგანები მცირე აზიასა, კონსტანტინოპოლსა და დუნაის მხარეში, დაადასტურა: კაცნიაო, რაიმე ვნების მოტანა არ შეუძლიათ, მუცლითმეზლაპრენი არიან, ოღონდ თუ რაიმე მოახელეს, მოიპარავენო კიდევაც.

ეგეც განაგონი ჰქონდა: როცა ქალაქ პერგანას შემოეწყვნენ სარკინოზნი, აცინგანმა დიაცმა ერთმა უმარჩიელა ციხისთავს: ფეხმძიმე ქალი მოაყვანინეთ თორმეტი, წილი უყარეთ, ვისაც შეხვდება, მდუღარეში ჩააგდეთ იგი და მყისვე უკუიქცევაო მტერი. ერთი დიაცი დამდუღრეს აგრე, მაგრამ სარკინოზებმა მაინც აიღეს ქალაქი და გაეუჟეს მკვიდრნი.

დილიდანვე აუხირდა მახარაი უფლისწულსა და ნიანიას: რიონის პირად წავიდეთ, ვაკითხვინოთო აცინგანებს.

ძლიერ ეწადა გაეგო, თუ რას ეტყოდნენ ხირომანტნი მომავალ მემკვიდრეს ტახტისას.

„იციან რამე შენმა აცინგანებმა, მახარაი?“

შეეკითხა დავითი მოხუცს.

— „მათ სიბილური წიგნები გაუშალეს მარიამის პირველ ქმარს, მიხაილ მეშვიდე დუკას, ორი წლით ადრე ამცნეს, ნიკიფორე ბოტანიატესი რომ ჩამოაგდებდა ტახტიდან“.

უფლისწულმა გაიღიმა და არა მიუგო რა.

„ეჰ, რა ვუყო მერმე, ჩემო მახარაი, სთქვა ნიანიამ, ერთმა ტერტერამ უღელი გადააგდო თურმე, კურდღელს მოახვედრა, შემთხვევით გავლილსა და მოჰკლა იგი, კაი ვირეშმაკები არიან მაგ აცინგანები, დაბანაკდებიან თუ არა სადმე, გამოიკითხავენ, ვინ სად რაა, ვის რა ჭირი აწუხებს და შემდგომ ამისა მოჰყვებიან მისნობას.“

ნიანიას მაინც უნდოდა სალაღობოდ წასულიყვნენ აცინგანებთან, მაგრამ არა ჰქნა უფლისწულმა და ორივენი სასახლეში დარჩნენ.

ორიოდე ბერი აიყოლია მახარაიმ და ისე წავიდა. დილიდანვე უამრავი ხალხი მიაწყდა აცინგანების ბანაკს.

ოციოდე უიარაღო კაცი იდგა კარვის წინ, დედაწულიანად წითელ-ყვითელი ძველმანებით მორთულნი.

ზურგდაშავებული ცხენები ბალახს ციცქნიდნენ ტოიოლოთი დაბმულნი.

შავნი იყვნენ აცინგანნი სახითა, თეთრი კბილები უელავდათ პირში, უზომოთ წაზრდოდათ ფრჩხილნი წითლად ნაღებნი ინითა, ასე ეგონებოდა მაცქერალს: ესეცაა სისხლში ჩაუყვიათო ხელები.

მხოლოდ მამაკაცები ელაპარაკებოდნენ ბერძნულად ბერებს, დიაცები და ბალღები ჯღაოდნენ თავიანთ აცინგანურ ენაზე და ეს აძლიერებდა ძრწოლას მათ გულში, ვისაც ეშმაკისთანაზიარნი ეგონათ ისინი.

ხალხი მოუთმენლობას იჩენდა. ქართულად უყვიროდა: დაიწყეთო.

აცინგანებს არ ესმოდათ, რას უყვიროდნენ. გამოვიდა ბერი უჭრუაი და გადაუთარგმნა.

მაშინ ათმა კაცმა გამოსთრია მოზრდილი ძელები, გემის ანძებად დარად გარანდულნი, დაარჭვეს მიწაზე, ანძების ზეთავზე მოკიდებული საბელები პალოებზე მიამაგრეს, ისე რომ არც ერთი არ იხრებოდა განზე.

თოკები გააბეს ანძებს შორის.

დალეული, ცხვირპაჭუა მშვილდოსანი აცოცდა ფეხშიშველი ძელზე, გავიდა თოკზე, მშვილდისარი გადმოიღო, დაიყვირა აცინგანურად.

კარვიდან გამოვიდა დიაცი, თავზე კვერცხი დაიდო. ესროლა ისარი ცხვირპაჭუამ და გადმოაგდო კვერცხი. მერმე ორივე ფეხი შემოჰხვია საბელს, ტრიალებდა, სხვადასხვა მხარეს ისროდა ისარს. ჯღაოდა, ხარხარებდა დაუცხრომელად.

მეორემ ცხენი წინ გაიგდო, შოლტით გამოუდგა, ძუაზე მოეკიდა და ზედ შეახტა.

მესამე აცინგანმა თავზე შუბი დაიდო ათიოდე წყრთის სიგრძე, საბელ შებმული წვერზე. შვიდიოდე წლის ბიჭუნა წაეპოტინა საბელს, იმდენი იმარჯვა, შუბის წვერამდის აცოცდა.

ნახევრად შიშველნი, ძუძუებგადმოყრილი დიაცები კარვის წინ ისხდნენ, მუნჯურად ემასლაათებოდნენ გარს მოჯარულ ქალებს.

ნეკრესის ქარების, მუცლის სალმობის, ფილენჯისა და უკანაკარის ქავილის წამლებს ურიგებდნენ თითო კვერცხის საფასისათვის.

თვალჩაღამებულ, უკბილო დედაბერს ურწანი დიაცები გარს მოსხდომოდნენ. იქვე ენთო ცეცხლი, თიხის კოჭობებში მრავალგვარი წამალი იხარშებოდა, აქოთებული სუნი იდგა ირგვლივ.

პაწია კასრებში უამრავი წურბელები იკლაკნებოდნენ.

დედაკაცი ოდნავ ამტვრევდა ბერძნულს, მგლის დვრიტას ურიგებდა ქალებს, მგლის ნეხვს ხამ თაფლში აღრეულს, გველის პერანგის ნამუსრევსა და ბაყაყის მაჭს.

მის გვერდით ლოყებდაფერილი დიაცი ასოთ სამღერელს ამბობდა ბერძნულად, მოხუცი ბერი თარჯიმანობდა:

„თუ კაცს მარჯვენა თითი ემღეროდეს, — მტერს აჯობოს, უკეთუ ჭიპი ემღეროდეს დიაცს, — შვილი მიეცეს, თუ მარჯვენა იდაყვი ემღეროდეს ვაჟკაცს, — მტერი მოუვიდეს, თუ დედაბერს ნიკაპი ემღეროდეს, — ლხინი შეემატოს“.

უშვილო მამაკაცებსა და ცვედნებს მოხუცი აცინგანი აძლევდა თათბირებს.

ნარგიზის კურკას ურიგებდა მათ, ურჩევდა: ბაყაყის სისხლი, ძროხის ნაღველი ცომში არიეთ და ასოზე წაიცხეთო.

ქინძის სარივით დაბალი აცინგანი ქუდს იხდიდა, კვერცხებს აგროვებდა და ქაქანებდა ბერძნულად:

„თუ ქურდი ან მსტოვარი შეიპყროთ და არ გამოტყდეს, თავკოპალების ენები დანაყეთ ბლომად, კურდღლის ცურცლში ამოსვრილი შეაჭამეთ და გამოტყდებიან მყისვე“.

მახარაის გაეღიმა, დროზე მოეტანა ეს ამბავი ამ ოჯახქორს, ტაჯგანაგებით გვემას ასცდებოდნენო ლიპარიტის აზნაურები.

მავწვერა აცინგანი და მისი ქალი დათვს აცეკვებდნენ ვაგლახად გაპუტულს, სახელურიანი კასრი ქამარზე ჰქონდა მოკიდებული აცინგანს, მღვრიე წყალი თახთახებდა შიგ.

გოგონა ცეკვავდა, დაირას აბრახუნებდა, ზანზალაკებს აჟღარუნებდა, მერმე შესდგებოდა, მიეჭრებოდა დათვს, ქეჩოზე შერჩენილ ბეწვებს მიაჭრიდა,

წყლიან კასრში ჩაჰყრიდა, მერმე წაიპუტუნებდა შელოცვას. ჩაჰყოფდა ხელს, ამოიღებდა ბეწვებს, ურიგებდა მაცქერალთ: ავგაროზებად შეიბეთო ყელზე.

თვალებგადმოკარკლული, ტუჩებგაბუშტული, თმახუჭუჭა ახმახი ტრიბუნაზე დამჯდარიყო ინახით.

მის ფერხთით უზარმაზარი ხელი იყო დახატული ქვიშაზე.

მარჯვენა ზეაწია თითებმოკაკვული.

ჯერ სალოკ თითს გამართავდა, ბერძნულად ეუბნებოდა ყმაწვილ კაცებს: ეს იუპიტერიაო.

მერმე შუათითს უჩვენებდა:

ეგ სატურნიაო.

უსახელოს უწოდა: მზე.

ნეკს შეარქვა: მერკური.

მახარაიმ თვალი დაადგა ამ აცინგანს. თავათაც გაწაფული იყო ასტროლოგიაში, მარჯვე დროს ეძებდა: გამოლაპარაკებოდა როგორმე მარტოკას.

* *

უფლისწული და ნიანია მწუხრიდან მობრუნდნენ თუ არა, განმარტოვდნენ, ქუთათისს აპირობდნენ მეორე დღეს წასვლას. ადრე დაწოლას ლამობდნენ იმ ღამეს.

ნიანია შეეეედრა სიყრმის მეგობარს: ქუთათელს არ შემახვედროვო როგორმე ხვალ.

ქუთათელ მთავარეპისკოპოსს არ უყვარდა ბაკურიანი.

განა მარტო ნადირთა და ფრინველთა გამოჯავრება უყვარდა ნიანია ბაკურიანს, იგი ზედმიწევნით გარდმოსცემდა ხოლმე ყოველი ადამიანის ხმას.

ბერიკობა მოიგონეს სიყრმის მეგობრებმა, ამ ათი წლის წინად გამართული გეგუთის სასახლეში.

ნიანიამ აყირო[1]) აიღო მოზრდილი, ყელი წააჭრა და ეპისკოპოსის კამილავკას[2]) დაამგვანა, ანაფორა გადაიცვა, სახარება აიღო, დადიოდა სასტუმრო დარბაზში და ქუთათელის ხმაზე კითხულობდა.

სწორედ ამ დროს შემოაღო ქუთათისის მთავარეპისკოპოსმა კარი.

„ეს რა მკვრეხელობაა!“

უყვირა ყმაწვილს, გამგუნებული გაბრუნდა ქუთათელი და მეფე გიორგის მოახსენა: ბაკურიანის ყმაწვილი სასახლიდან თუ არ დაითხოვე, ურწმუნოებას შთაუნერგავსო უფლისწულს.

ნიანია იწვა ახლაც და ქუთათელის ხმაზე ღიღინებდა:

„რამეთუ შენია სუფევა ძალი და დიდება“.

უფლისწული ხარხარებდა სიყრმის მოგონებათაგან გახარებული.

სწორედ ამ დროს ვიღაც ახმახი შემოეხეტა დარბაზში.

ნიანია შეკრთა თმახუჭუჭა, თვალებგადმოკარკლული ზანგის დანახვაზე და კედელზე დაკიდულ მახვილისაკენ გაიხედა შეფარვით.

გაოცდა უფლისწულიცა. როგორ შემოვიდაო ეს კაცი ასე უგრძნეულად, გუშაგებისა და მანდატურთაგან შეუმჩნეველი?

დახვეწილი ბერძნულით სთქვა სტუმარმა:

---

[1]) ა ყ ი რ ო—მწარე გოგრა.

[2]) კ ა მ ი ლ ა ვ კ ა — გვირგვინის დარი, მოოქროვილი ქუდი მღვდელმთავართა.

„კატას ლოდსატყორცნიც რომ ზედ დაჰკიდო, ორ ლომს ერთ/ददაკ-ლებს იგი?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაემხო იატაკზე, თაყვანისცა ორთავეს, მერმე მუხლებზე დადგა, დასთქვა:

„ამ ორში ერთი მეფეა და ერთიც ვაზირი. მოიტათ მარჯვენანი და ბრეყალისაგან გამოვიცნობ ლომსა“.

უფლისწული მიხვდა: აცინგანი იქნებაო ალბათ.

გაეღიმა ორივეს. სახუმაროდ გაუწოდეს მარჯვენანი. უცნობმა ითხოვა მემაშხალენი იხმეთო. როცა სამი მემაშხალე დარბაზში დადგა, შეხედა სახეში უფლისწულს, მცირე ხანს სდუმდა და მერმე სთქვა:

„ხელსა შინა ყოვლისა კაცისასა დანიშნავს, რათა ცნას ყოველმან კაცმან უძლურებანი თვისი“.

ხელის გულებს გადაუსვა მარცხენა, მერმე დაიჩოქა უფლისწულის წინაშე და წარმოსთქვა: „პოლიხრონიონ“ [1]).

ნიანიამ გაიცინა და ეუბნება უფლისწულს:

„აცინგანია ეგ კაცი, ალბათ“.

ერთ სიტყვაზე მიუხვდა უცნობი და ეუბნება ბაკურიანს ბერძნულად:

„მე აცინგანი არა ვარ, ბატონო, ქაირში მიშვილა აცინგანმა ხიროომანტმა ერთმა და შევრჩი მათ ბანაკს, მეგვიპტელი ვარ თავათ“.

მერმე დავითს მიმართა ისეთივე ხოტბით, როგორსაც კეისარს შეასხამდნენ ხოლმე, — ბასილევს [2]) უწოდა მას, და სთხოვა თავმოდრეკილად, კვლავ გაეწოდა ორივე ხელი.

თმახუჭუჭა დიდხანს უჭვრეტდა ხელის გულებს, აკვირდებოდა ნაკვთებსა და ძარღვებს, ფალაშურად [3]) ბუტბუტებდა რაღაცას, თითქოს ლოცვას იზეპირებდა თანაც.

სთხოვა: მემაშხალეთ ახლოს მოსვლა უბრძანეთო. თავზე წაადგნენ მემაშხალენი.

უჭვრიტა, უჭვრიტა ხელებს და მერმე ასე უთხრა ნიანიას:

„მის მარჯვენაში მზეგრძელობა ცნაურდება, ხოლო მარცხენაში მორჭმულობა და დიდება“.

მერმე დაცუცქდა აგურის იატაკზე, ცალ მუხლზე წამოჯდა, ცალიც წინ დაიდგა, მარჯვენა ხელი მაჯაში წაავლო უფლისწულს, თავისი ხორკლიანი მარცხენა გადაუსვა ხელის გულზე ნაზად, გადმოკარკლული თვალები მიაშტერა, მერმე თავი აიღო და სთქვა:

„სასიცოცხლო ნიშატნი მძაფრია, თავისმიერნი — მტკიცე, გულისმიერნი — (შეყოყმანდა) და მერმე ჩაიპუტუნა: მერყევი, ბედისმიერნი — აქაც დადუმდა მცირეს და შემდგომ ამისა დასძინა: — სახიფათო.

ოღონდ ეგაა, სხვა უფლისწულნი ბედნიერ ვარსკვლავს აჰყავს ხოლმე დიდების ტახტზე, წინაპართა მონაგარია მათი ზედსაყრდენი, ხოლო შენ, ო, ბასილიეუ, უბედობის ცეცხლში უნდა გამოიბრძმედო, შენ ის ფოლადი ხარ, რომელსაც სუსხში აწრთობენ ხოლმე სარკინოზნი, გრიგალებში გამოზრდილს ყერას გავნებენ ამ სოფლიურნი ღელვანი.

ზღვის ქვიშაზე უმრავლესნი მტერნი გყავსო, ო, ბასილეუ. შავთმიანნი და მხარგრძელნი, მაგრამ ერთ მათგანს სპილენძისფერი თმაწვერი აქვს, ციხენი

[1]) პ ო ლ ი ხ რ ო ნ ი ო ნ—ბერძნულად მრავალჟამიერ, ასე მიმართავდნენ კეისრებს ქვეშევრდომნი.

[2]) ბ ა ს ი ლ ე ვ ს—ბერძნ. მეფე.

[3]) ფ ა ლ ა შ უ რ ი—ენაა, აგაუს ერთერთი ტომისა.

მისნი შეულეწავია, იმ ციხეებს ერთი კლიტე აქვს და ულამაზესს ქალს აბარია იგი, იმ დიაცის გული თუ მოიგე, იოლად აღიხვამ იმა ციხეთა“.

მცირე ხანს სდუმდა სტუმარი, ისევ ხელს დასცქეროდა, ბოლოს თავი აღო და სთქვა:

„ეგ სახიფათო ნაკვთია, ისევ ნიანიას გაუმართა თვალი და უთხრა: მას ვერც ისარი, ვერც მახვილი მტრისა ვერას ავნებს: ორ რამეს ერიდოს: დიაცსა და ცხენს, ერთი მათგანი საშიშია უთუოდ“.

„ქორწინების ნაკვთი?“ შეეკითხა ღიმილით ნიანია.

„ქორწინების ნაკვთი ბნელია, ეგეც სახიფათო ნაკვთია“.

დავითმა ხელი წაართვა ხიროომანტს.

ღიმილით ეუბნება ნიანიას:

„მე პაპიჩემის შეგონებას უფრო მეტად ვენდობი. ვიდრემდის თვალით არა ვიხილო, არა მრწამს!“

ადგა მუცლითმეზღაპრე, უკუსვლით გავიდა დარბაზიდან, მწუხრი მშვიდობისა უსურვა მასპინძელს.

უფლისწული ისე სახტად დარჩა, ორიოდე ფლურის ჩუქებაც ვერ მოასწრო, მერმე წამოდგა, კარებამდის მივიდა.

უცნობს უკვე მოესწრო გარედ გასვლა, ანაზდად გაერია სვეტების ლახდებში.

კარის უკან მახარაი იდგა სულგანაბული.

„ვინ იყო ეგ კაცი, მახარაი?“

„სტუმარია მწუხრისა“.

სთქვა ზღურბლზე გადმოსულმა და ამოიოხრა, შემდგომ ამისა ნიანიას მიუჯდა იგი და ეს უთხრა ერისთავს:

„მალიქ შაჰს სასახლეში ყოფილან, ნიკეაში, აცინგანები. უმკითხავნიათ. ამ თმახუჭუჭას უთქვამს: ექვსი ერთზე ვერ დაჯდებაო. მალიქ შაჰ მიმხვდარა ბნელის მიმთხრობის იგავს: მალიქ შაჰს შვილის-შვილი ხომ ექვსი წლისაა, ხოლო ხალიფის ტახტი ერთადერთია ამ ქვეყნად.

განრისხებულა სულტანი, ნიკეადან გამოურეკია აცინგანები.

თავჩაქინდრული იჯდა მახარაი.

დაღვრემილობის მიზეზი ჰკითხა დავითმა.

„ეგ კაცი მე არ მომწონს“.

სთქვა მახარაიმ.

„რატომ?“

შეეკითხა ნიანია.

„ყორნის ბოლოსებრ შავი თმა აქვს, ზანგია როგორც სჩანს.“

„მერმე რაი რომ ზანგია, ზანგი სამი ჰყავდა სასახლეში ბაგრატ კუროპალატს“.

ამბობდა დავითი.

„ზანგები ეშმაკისა და ევას შვილებია“.

„თუ აგრე გეშინოდა, რაღას მოგყავდა?“

ეუბნება ნიანია ღიმილით.

„არ მომეშვა ი ოჯახქორი, უნდა მაჩვენოთო თქვენი უფლისწული“.

დადუმდა მახარაი, ბოლოს ადგა.

„ეჰ, ვინ იცის, ეგებ ყველაფერი რასაც მიველტვით, ეშმაკის მოჩმახული აღმოჩნდეს ერთ დღეს“.

ესა სთქვა და დარბაზიდან გავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. აბაშელი

ახალი მთვარე

სველი ღრუბელი ქარმა წალეკა,
ჩაჯდა ბუდეში ოქროს არწივი.
ცაზე გამოჩნდა ჯიხვის ცალი რქა,
დაზარნიშული ვერცხლის ყანწივით.
ვზივარ სარკმელთან წყნარი და ფრთხილი,
გულში უსიტყვოდ ამღერებული,
ახალი მთვარის უეცარ ხილვით
მოულოდნელად გახარებული.
ასდის სურნელი მიწას ნამიანს
და ბაღში თითქო მღერის ლერწამი.
ეს ჟრუანტელი — ერთი წამია,
მაგრამ რა ტკბილად ფეთქავს ეს წამი!
ბრწყინავს ცალი რქა, ოდნავ წახრილი,
ჩნდება თანდათან ვარსკვლავთ კრებული.
ახალი მთვარის უეცარ ხილვით
ვარ უცნაურად აღელვებული.

ჩემო ქვეყანავ! შენს წმინდა ცაზე
ღრუბლის ნაგლეჯიც არ დარჩენილა,
და შენი სახე, სინათლით სავსე,
ნორჩ მთვარესავით გამოჩენილა.
დღე დაგდგომია თბილი, უქარო,
მწვანე ჯეჯილი რომ დააპურო,
ნაგრიგალევო და ნაბუქარო,
საუკუნეთა ღრუბლით ნაბურო!
მე შენ გიმღერი, შენი ვარ მარად,
შენი დიდების გამომსახველი.
ჩემი სიცოცხლის სიამედ კმარა
მხოლოდ ხსენება შენი სახელის.
მე ამ ტკბილსა და ნეტარ მიწაზე
სიმღერის ძალას შენგან ვღებულობ.
მე შენ ამწიე, შენ ამიტაცე,
სამშობლოვ, ცამდე ამაღლებულო!
მხოლოდ შენა ხარ ჩემს გარეშემო,
მეც ჩემი გულით მხოლოდ შენი ვარ,
რადგან პოეტად, ქვეყანავ ჩემო,
მე შენს სიყვარულს გავუჩენივარ!

30 მარტი, 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ა ვ ნ ა ნ ა

როცა საღამო იწვის ჩუმად, როგორც სანთელი,
და მთის ქედიდან ვარდისფერი ცა იჭვრიტება,
როცა მზისაგან დარჩენილი დიდი ნათელი
მიწის გადაღმა ლურჯ უფსკრულში ჩაიშრიტება, —

ჩემ წინ უეცრად გაიელვებს ცისფერ ლანდივით
მეგრელი ქალი, მოღუღუნე ჩონგურით ხელში,
ჰაერში თეთრად შეირხევა მისი მანდილი
და ისევ ჰქრება, როგორც ნისლი დაბინდულ ხევში.

მომელანდება არა ჩონჩხი, ცივი და მქრალი,
სიკვდილის ელდა რომ უელავს თვალების ხვრელში,
არამედ სათნო, ლმობიერი მეგრელი ქალი,
მეგრულ სიმღერით ანთებული ჩონგურით ხელში.

მაშინ მე ვამბობ: „ხომ ვიცოდი, რომ ეს ასეა,
ჩვენი სიცოცხლე ერთ წერტილზე რომ არ ჩერდება! —
ღილა სინათლით და ჭაბუკურ ეშხით სავსეა,
მაგრამ დრო მიდის და საღამოს იგი ბერდება.

ეს დღეც დაბერდა და შეაღო ღამის კარები,
დათქმულ მიჯნამდე მიიტანა ცის ბრწყინვალება,
და თბილ საღამოს წუთიერი აელვარებით
მან დაასრულა მარადიულ მზის დავალება.

ჩემი სიბერეც მე ასე მაქვს წარმოსახული:
მივაღწევ მიჯნას ოქროს ტვირთით დამძიმებული.
ჩვენს დიდ გაზაფხულს უდიდესი შესცვლის ზაფხული,
თავისუფალი შრომის მადლით მომწიფებული.

ძმაგებებენ მოხუცს პატივს და მოკრძალებას
ჩემი ურიცხვი შვილები და შვილიშვილები,
კიდევ მოვასწრებ მე საჩემო სხივის დალევას,
ვიდრე ჩემამდე მოაღწევენ ღამის ჩრდილები.

დაიწმინდება წყაროსავით ჩემი ოცნება,
მუდამ სინათლის და სიამის უხვად მთოველი,
ნელი ფიქრები სიბრძნის შუქით შეიმოსება
და გამიტკბება არსებობის წუთი ყოველი.

ამ დროს მეწვევა მე ის ქალი ჩონგურით ხელში,
ხელს არ შემახებს, მაგრამ ვიგრძნობ მოახლოებას.
მეტყვის:„ ხომ ხედავ, ძლივს დადიხარ მიწაზე ხვნეშით,
დროა მოშორდე წუთისოფლის ამაოებას!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვუპასუხებ: „ვერ გავძელი ლექსების წერით,
მიტომ გიბედავ კადნიერად შეკამათებას, —
მაჩუქე კიდევ რამდენიმე მზიანი წელი:
გულს ჩარჩენილი სიტყვა ითხოვს ამონათებას“.

წავა. დავრჩები ტკბილ ხმათათვის ჩაფიქრებული,
რომ ამოვწურო ჩემი წილი საგალობელი,
რომ მშობელ მიწის სიყვარულში ჩავფერფლო გული,
ისე დავტოვო ეს ბრწყინვალე წუთისოფელი.

და შემდეგ, როცა ის კვლავ მოვა გარდუვალ ბედად,
არ მომინდება, ძილის მსურველს, მასთან კამათი, —
ის დამაძინებს, ვით დაღლილ ბავშვს აძინებს დედა,
ტკბილი ჩონგურით და უტკბილეს იავნანათი.

27 აპრილი, 1941 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ბალიაური

ხოგაი

თავი პირველი

საიალაღოს მგლის ფერი გადაეფინა. ცხვრის ფარები ფერდობს შეჰყვნენ და ზარმაცად შევიდნენ საბინაოში.

ცხვრის პატრონი ფშაველი, ტანმაღალი, ავსერი ვაჟკაცი მწყრალად აკვირდებოდა მწყემსებს.

— ხოგაი რაღა იქნა! — დაიღრინა მან და შავი დიდრონი თვალები გააცეცხლა.

მწყემსებს ხმა არ გაუციათ. ბინის ძაღლმა წამოიყეფა, ბინის ძაღლმა მხარეს შეუტია რაღაცას და გაჩუმდა.

— ხოგაი! — კვლავ გაბრაზდა შავბნელი კაცი.

არც მაშინ გაუციათ პასუხი მწყემსებს.

ცხვრის პატრონმა ველარ აიტანა მოჯამაგირეთ დუმილი, იქვე ნადებ ჯოხს წამოავლო ხელი, ჰაერში შემართა და ამ დროს ღონიერმა თითებმა მაგრად მოუჭირეს მკლავზე...

მან ნელა მიხედა: ტან მაღალი, ტანისამოსჩამოხეული ჯმუხა სახის, მხარბეჭიანი ვაჟკაცი უმზერდა მკაცრად.

— დაგაგვიანდა, ხოგაი! — თქვა ცხვრის პატრონმა და ხელის განთავისუფლება სცადა.

ხოგაიმ უფრო მაგრად მოუჭირა ღონიერი თითები. მიწაზე დაცემული ჯოხი ყრუდ აჩქამდა. უხმოდ გაშორდა ხოგაი. ცხვრის პატრონმა ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ.

— უკანასკნელი დღე!.. — მიაძახა ხოგაის და ღამეში მიეფარა.

ქუფრი ღამე მოედვა მიდამოს, სალამურის ხმა გაისმა უკუნეთში, საბინაოზე დაწოლილი დუმილი შეირხა, შეირხა წუთით და შემდეგ გაჩუმდა ყველაფერი.

შუაღამეს ჟამს ცის ტატნობზე მოჩანდა თეოზე მდგომი ხოგაის მაღალი ტანი, ჯოხზე დაყრდნობილი ხოგაი ოცნებობდა: ნადირობაზე, იმ საღამოს ნახულ ჯიხვზე და ერთ ჯიდევ ვისმეზე, დილის ცისკარს, რომ ადარებდა მარად...

ღამემ უამური ფარფაშით გაიარა; სევდიანმა მთებმა შავ ნაბადივით მოიხსნეს ქუფრი და დილის ლაჟვარდში ჩამოდგნენ ომ-გადახდილ დევ-გმირებივით.

ხოგაიმ ტანი ამართა, დილის მადლს მიეგება სალამურის ამო ხმით, შემდეგ თეთრი თექა მოიხადა, ხელები დამალა, შემოტრიალდა, თითქოს ბასრენად ემზადებაო, მაღალ ჭაუხის თავზე აშლილ არწივებს ესროლა მზერა, დაიცინა: და ის იყო ნამიან ბალახზე გაგორებას აპირებდა, რომ თვალი მოჰკრა ცხვრის პატრონს, — იგი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა; პირკუშტი, უძილო, ამაყად შედგა მწყემსის წინ.

— ხოგაი!.. — სთქვა და მკაცრი მზერა ესროლა.

ხოგაის ეუცხოვა პატრონის საქციელი. დააკვირდა.

— წადი, სადაც გინდა წადი... — სთქვა მან და მძიმედ ამოიოხრა.

ხოგაის ხმა არ გაუცია.

ცხვრის პატრონმა მხრები შეიჩეჩა. საუბარი განაგრძო:

— წადი... მეტი თავისუფალი დრო გექნება. ინადირე ჯიხვებზე, მე სხვანაირი მწყემსი მჭირდება. მომვლელი სჭირდება ცხვარს. შენ შენი ჩაიბარე და გამშორდი...

ეს სთქვა და ცივი, უამურად გაბრუნდა უკან.

წამით ჩაფიქრდა ხოგაი, შემდეგ ცხვრის ფარას გახედა, უამური რამ იგრძნო, დაუსტვინა, ხელები გაშალა, კვლავ შეხედა ლაჟვარდს, არწიობა ინატრა, — ჭაუხებს ჩავუვლიო სანადიროდ და სახე მოღრუბლული წავიდა ქოხისაკენ.

ქოხის კარზე იდგნენ ჩაფიქრებული მწყემსები. იდუმალად უმზერდნენ ხოგაის. მზერაში სინანული და მუდარა იხატებოდა.

„ნუ, ნუ წახვალ ხოგაი!..“ — კითხულობდა ხოგაი მათ მზერაში.

ხოგაიმ სწრაფად აკრიფა: ტანისამოსის ძონძები, ჯიხვის რქები, ჯიხვის ტყავები, სავაზე მათარა: ხანჯლის ძველი და დანა. შეიარაღდა, — ორლულიანი თოფი მოიმარჯვა. გამოემშვიდობა მწყემსებს და ნელი სტვენით გაშორდა ცხვრის საბინაოს, მოშორებით შედგა: მიხედა ქოხს, ცხვარსა და მწყემსებს. სატირალმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ, აი, მან თვალი მოჰკრა ცხვრის პატრონს, სახე გაუცივდა, ხელი მკაცრად გაიქნია, გახედა საჯიხვეებს და სიარული განაგრძო — ეწადა ჩქარად გაშორებოდა ცხვრის პატრონს.

— სამაგიეროს გადაუხდი!.. — სთქვა და თექა წამოიხურა. შეჰყვა გორებს, მიდიოდა სწრაფად და შეუსვენებლად, — ეხალისებოდა მაღალ მწვერვალებზე ასვლა. რამდენადაც ზევით ადიოდა გული უფრო უხალისდებოდა. ქვიშიანებში, რომ შეხდა შეისვენა, ერთხანს შურთხების ხმაურს მიაპყრო ყური, შემდეგ საიალაღოს გახედა, საიალაღოს გაშლილ ცხვრის ფარებს გადაავლო თვალი, სახე მოეღრუბლა, გული მაგრად, მაგრა შეეკუმშა, სალამური ამოიღო, გულის გასაოხებლად ააკვნესა. ტყვიისფერი ნისლის მწვერვალები გაეთამაშნენ, დაფარეს ხოგაი, საიალაღო. ნიავმა გაიქროლა და ნისლში დაძირული ხოგაის სალამურის ხმა ჩაიტანა მთიდან ბარად.

* * *

უკუნ ღამეში ელვანი თამაშობდნენ, წვიმა იღვრებოდა. შრიალებდა ტბორი ღამე. ელვათ სინათლეზე კაცი გამოჩნდებოდა, გამოჩნდებოდა მხოლოდ წამით და გაქრებოდა, თუმცა მამაცად მიაბიჯებდა, მაგრამ ტანი მაინც ეძროდა,—გზის დაბლა ვარდებოდა, გზა ეკარგებოდა. გზის მაჩვენებლად შორეული სინათლე ჰქონდა მიჩნეული. გული იქით მისწევდა, არ ისვენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იყო მიახწია სოფელს.

სოფელი წვიმისა და ჭექა-ქუხილის ქვეშ განაბულიყო. ადამიანები—მოსვენებას მისცემოდნენ, პირუტყვი—შიშსა და სიცივეს.

იგი სოფლის შუა ადგილას შედგა, გადახედა სოფელს, ამოიგმინა, მოლილმა, მოთენთილმა განაგრძო გზა, ძლივს მოიგერია დაცოფებული მყეფრები, შარაზე აწოლილი პირუტყვების ჯოგი აშალა. შემკრთალივით შედგა მაღალი შენობის წინ, — უძნელდებოდა სახლში შესვლა, როგორც იყო გაბედა, ეზოს კარები შეაღო, აწყვეტილი წკმუტუნით შემოეგება შავი მყეფარი, შეუტიეს ურთიერთს.

ხმაურის ატეხისთანავე სინათლემ გაითამაშა აივანზე, შემდეგ ფანჯარას ვიღაც მიუახლოვდა, წუთით დააყურა და ოთახის სიღრმეში მიეფარა.

— მასპინძელო!.. — გაისმა უკუნეთიდან.

ხმა სიბნელემა და მყეფრის ყმუილმა დაფარა. ცოტა ხანიც და ოთახის კარები ახმაურდა, მქრალი სინათლე გამოიჭრა ეზოში.

— ვინ არი? — იკითხა ვიღაცამ.

— სტუმრად მოსული!

იარაღი ახმაურდა, კიბე ვიღაცამ ჩაირბინა, მიეხმარა მოსულს, ვინაობა ჰკითხა, შეყოყმანდა. შეკრთა რატომღაც. ორივეს ცივმა ერუანტელმა გაუარა, წუთით გაჩუმდნენ, შემდეგ დამხდური გაუძღვა წინ და სტუმარი ქვიტკირში შეიყვანა.

სინათლეზე გამოჩნდა ტანმაღალი, ჯიხვის რქებითა და ხორცით დატვირთული ხოგაი. მის წინ იდგა დაბალი ტანის შავგვრემანი ვაჟკაცი და შურიანად უმზერდა მონადირეს.

— შენ სტუმარი ხარ, ხოგაი!..

უამური სიჩუმე ჩამოვარდა მათ შორის. დაეჭვებულნი მკაცრად უმზერდნენ ურთიერთს.

— ხოგაი!.. — გაისმა მოულოდნელად.

წკრიალა ხმამ შეაკრთო ხოგაი, სწრაფად მოიხედა, ძლივს მოჰკრა თვალი კარებთან გათამაშებულ ღამესავით შავ ნაწნავებს. გულმა იქითკენ გასწია, მაგრამ დამხვდური გადაუდგა წინ, მკაცრად შეხედა.

— სტუმარი ხარ, ხოგაი!.. — უთხრა ბრაზიანად.

ელვამ დაუარა გორებს. უკუნეთი გატყდა წამით და კვლავინდებურად დაბნელდა ყველაფერი. ელვის ხმაურზე ოთახის კედლები შეინძრნენ, ხოგაიმ ტანი შეიბერტყა, ხოგაის ტანზე ნაკიდები იარაღი აგრიალდა იდუმლად.

— დღეს მასპინძლობა უნდა გაგიწიო, ხოგაი! — უფრო რიხიანად გაისმა დამხვდურის ხმა.

ხოგაის ყურადღება არ მიუქცევია, გადახდა, სკამზე დაჯდა დაოსებული, დააკვირდა თავის ტვირთს, ჯიხვის რქასა და მასპინძელს.

მასპინძელი შურით უჭვრეტდა ხან სტუმარს, ხან სტუმრის ნანადირევს!

— შენ სტუმარი ხარ, ხოგაი!..

— მასპინძლობა ნუ მამიშლას!..

— ეხლა დამინდვიხარ, ხოგაი, შემდეგ კი... შემდეგ გაფრთხილდი, ხოგაი, გაფრთხილდი: ავია სულაკაური, შეგხვდება და განანებს სანადირო ჭაუხების თელას...

— სტუმარი ვარ შენი, სულაკაურო...

— სულაკაურმა იცის მასპინძლობა, მაგრამ... ჩვენ შორის დაღვრილი სისხლის თქრიალი ესმის სულაკაურს... სულაკაურის იარაღი ეზიზღება სისხლის საღვრელად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სტუმრად რატომ არ მთვლი, სულაკაურო?

სულაკაური სტუმარს დააკვირდა. ბრაზით აინთო სულაკაურის თვალები.

— ჯიხვი რამდენია მთებში, სულაკაურო?

სულაკაური შეკრთა.

— ჯიხვის მოკვლა სჯობია, სულაკაურო, საჯიხვეებში ივლიდე შენც...

სულაკაურმა ერთი ნაბიჯით დაიწია უკან.

— მე შორს მივდივარ სულაკაურო... ამის შემდეგ ველარ გნახავ...

სულაკაურმა კედელზე საკიდებ აბჯარს გადახედა.

— დღეს მისტუმრე, მხოლოდ დღეს, სულაკაურო, და შემდეგ... ეთრხელ ნახვა მაინც მეღირსოს...

სულაკაურს ფერი გაუქრა სახეზე, გონება დაებნა, ბრაზი მოაწყდა, მთელი ტანი აუთრთოლდა, მაგრამ...

— ნეტამც სტუმარი არ იყო, ხოგაი...

წკრიალა ხმამ შეაკრთო ორივე, — სიცილმა კარების იქით გაითამაშა და გაქრა.

სულაკაური კარებისკენ წავიდა, შემდეგ შემოტრიალდა, ხოგაი წინ დადგა მწყრალი სახით.

დუმილი ჩამოვარდა. ურთიერთს ზვერავდნენ ვაჟკაცები.

— ხოგაი, გაჰყევი გზას!..

— ღამეა უამური...

— ღამე სიარული დაირჩიე სიკვდილს!..

— სულაკაურო!..

— ხოგაი, წყდება მოთმენის ძალა!..

— შენი მზერა მწყრალია, მახვილი მრისხანე, მაგრამ... სულაკაურო, სტუმარი ვარ შენი!

— სისხლი...

— სიმამაცეს მოთმენა შვენის: რად გავიწყდება მამაპაპათ ადათი? თავი შევაფარე შენ ჭერს, ერთი ღამე... ვნახავ და შემდეგ...

სულაკაურმა გაცეცხლებული თვალებით გადახედა აბჯართ, ფხა ალამს ხანჯალს დააკვირდა, შემდეგ ჯიხვის რქებს, ბოლოს ხოგაის. მგლის ფერი ედებოდა ორივეს. ორივეს ტანი უთრთოდა.

— ხოგაი!.. გულს მეტის მოთმენა აღარ შეუძლიან: გულს სურს გებრძოლო.

— გატეხილი ვაჟკაცი მოკვდეს, სულაკაურო!..

ცამ დაიქუხა კვლავ. იარაღი აწკრიალდა კედელზე.

ხოგაი ბრაზიანად წამოდგა ფეხზე, მაგრამ აღარ დასცალდა:

სიცილი გაისმა და ოთახში მაღალი ტანის ქალი შემოვიდა, სახე მკრთალი. დადგა სულაკაურის წინ, შეხედა. სულაკაურს სახე გაუცივდა.

— ხოგაი სტუმარია შენი, სულაკაურო!.. — უთხრა ქალმა.

ხოგაის მხოლოდ წამით გაუსწორა მზერა, მოწითალო ფერმა გადაჰკრა სახეზე, შავი თვალები აენთო, აენთო გაუგებარი გრძნობით, ნაბიჯი დაეძრა ხოგაისაკენ.

— სტუმარი ხვთისაა! — სთქვა და ისე ტკბილად გაუღიმა სულაკაურს, თითქოს პირველად იხილაო დღის სინათლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაკაურმა თავისუფლად ამოისუნთქა. ხოგაი დაჯდა და იდუმალი მზერა ესროლა სულაკაურს. სულაკაური ხოგაის მიერ მოკლული ჯიხვის რქას მისჩერებოდა, შურის ცეცხლში ლივლივებდნენ მისი თვალები.

*
* *

ღამის სიავით შემკრთალი ნიავი აწყდებოდა ფანჯრის მინებს, ასქდებოდა და ქრებოდა, ქრებოდა წამით და კვლავ ჩნდებოდა, ისევე ხმაურობდნენ ფანჯრის მინები და სახურავზე დაშლილი წვიმა.

ოთახში სიჩუმე იყო გამეფებული. ოდნავ ელერდნენ ფანდურის სიმები: სახე-სევდიანი სულაკაური მწყრალად აკვნესებდა ფანდურს, თითქოს გულის იდუმალ ბოროტს იოხებსო.

ხოგაი ღვინონასვამივით გაბრუებული იჯდა ქალის მახლობლად. ქალის ყოველი გამოხედვა, მოძრაობა და სუნთქვაც კი ცეცხლი იყო მისთვის, გულს გადაშლილი ნაღვერდალი. იწოდა გული ხოგაისა... ხოგაის სახეზე ხან წითელი ფერი მოედებოდა, ხან ფითრდებოდა, იდუმლად თრთოდა ტანდიდი ვაჟკაცი; რალაცის სათქმელად მოემზადებოდა, მაგრამ შეხედავდა თუ არა ქალს, სათქვამი იმავე წუთს უქრებოდა: ქალის სახე მკაცრი იყო, თვალები ცივად იმზირებოდნენ, წამით გაუსწორებდა მზერას ხოგაი.

„ნუ!" — ამოიკითხავდა ქალის მზერიდან და გულს ალად მოედებოდა შავი თვალების ფოფინი.

იმ წუთს არც ერთი ხმას არ იღებდა. დუმილს მხოლოდ ფანდურის კვნესა არღვევდა, — სულაკაური იდუმლად უმზერდა ქალ-ვაჟს და საკუთარ გულში დამღეროდა მონადირის სიმღერას.

ბოლოს ქალმა დაარღვია სიჩუმე:

— სტუმარს მასპინძლობა უნდა გაუწიოთ!

სულაკაური შეკრთა. ხოგაი შეიშმუშნა და სულაკაურს დააკვირდა.

— ნამგზავრია... — სთქვა ქალმა.

სულაკაურმა ფანდური გადადვა გვერდზე. ფეხზე წამოდგა. დააკვირდა ქალს. შეყოყმანდა.

— მასპინძელს მასპინძლობა შვენის! — უთხრა ქალმა და მკაცრად შეხედა.

— დიაღამც! — სთქვა სულაკაურმა. ხოგაის გახედა. სულაკაურის თვალები იდუმლად აენთნენ.

ხოგაის ყურადღება არ მიუქცევია, გაქვავებულივით იდგა, მხოლოდ მაშინ შეირხა, როდესაც სულაკაური კარებს მიეფარა.

ხოგაის შერხევამ ქალი შეაკრთო, უფრო მეტად შეკრთა, როდესაც ხოგაის ხელი ნაზად შეეხო მის მთრთოლვარე თითებს.

— ლელა!

ლელას მთელი ტანი აუთრთოლდა, გონება დაებნა, დაებნა წამით და შემდეგ შიშის ერუანტელმა გაუარა.

— გეხვეწები, წადი!.. — ძლივს გასაგონად სთქვა ქალმა.

— ლელა!

— გეშუდარები, ჩქარა წადი აქედან... ახლავე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოგაის მთელი ტანი გაუცივდა.

— მაშ ეგრე...

— გემუდარები!

— მე კი მეგონა...

— ყველაფერი დაივიწყე, ყველაფერი...

ხოგაიმ ქალისაკენ გაიწია, უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ აღარ დასცალდა; კარები გაიღო და ორი შეიარაღებული ახალგაზრდა შემოვიდა, ერთმა მათგანმა ტაბლა შემოიტანა, შუა იატაკზე დადგა, ცივად მიესალმა ხოგაის.

— სულაკაური ახლავე დაბრუნდება. — უთხრა მკაცრი სახის ახალგაზრდამ და ხოგაის პირდაპირ დაჯდა.

ორივენი ეჭვის თვალით აკვირდებოდნენ ხოგაის.

სახეგაფითრებული ხოგაი მუნჯადქცეული მისჩერებოდა მიწას.

ლელამ მსუბუქად ამოიოხრა. ფეხზე წამოდგა.

— ხოგაი! — სთქვა მან და გაჩუმდა.

ხოგაიმ მძიმედ ასწია დახრილი თავი: შეხედა ლელას — ლელა უხმოდ მისჩერებოდა.

„შენ ახლავე წახოლ, ხოგაი!“ — ამბობდნენ ქალის თვალები.

ქვადქცეული ხოგაი კაბის შრიალმა შეაკრთო: ლელა მაღალი ტანის რხევით მიდიოდა კარებისაკენ. კარებთან შედგა. ერთხელ კიდევ გაუსწორა მზერა ხოგაის.

— შენ ახლავე წახოლ... — სთქვა და ცივად გაიხურა კარები. კარების იქით ბნელაში გაისმა მისი კვნესა.

ხოგაის მძიმე, მძიმე რამ დააწვა ფართო ბეჭებზე, მოეჩვენა, რომ ოთახში ჰაერი დაშრა, გაქრა ყველაფერი, ყველაფერი ბურუსად იქცა.

— უნდა წახვიდე ხოგაი!.. — იდუმლად ესმოდა მას ლელას ხმა.

თავი მეოთხე

ხოგაიმ ერთხელ კიდევ მიხედა სულაკაურის სახლს, დაიმუქრა რაღაცა, მაღალი ტანი შეიჩეჩა, ზურგზე ნაკიდები ტვირთი შეისწორა, ხელი მაგრა გაიქნია და წვიმის წყლით ატბორებულ სოფლის შარას გაჰყვა.

ხოგაის ირგვლივ ყველაფერი სველი იყო. მიწისა და მცენარეთ სუნი ტრიალებდა. მქრალი ნისლები ეფრქვეოდნენ ხევებს, ხევების ბოლოს გაშლილ სოფელს, — შეშინებულივით ცრიდნენ წვიმას. ცაზე ღრუბელნი შეთხელებულიყვნენ. იქსაქსებოდნენ. ბადრი მთვარე მამაცი ვაჟკაცივით მიიკვლევდა გზას ღრუბელთ შორის, მქრალ სხივთ აფრქვევდა მიდამოს, ვერცხლისფრად ჩნდებოდნენ ხოდაბუნები, წკრიალებდა შარაზე დაგუბებული ნაწვიმარი. შავად იმზირებოდნენ ბაღები, სახლის სახურავის ჩრდილები. სოფელი გაჩუმებულიყო. ძაღლები ზარმაცი ყეფით არღვევდნენ გათანაბრებულ ჩქროს.

ხოგაი მისდევდა შარას, არაფერს აქცევდა ყურადღებას. სოფლის ბოლოს შედგა. შეხედა სოფელს, სულაკაურის სახლს, კვლავ დაემუქრა და სიარული განაგრძო.

ხოგაის კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი სოფლიდან, რომ ღამე გატყდა, — თენება მოახლოვდა. კაშკაშა ცამ გადაიწმინდა, გადახსნა ღრუბელთ ღილები და რიჟრაჟის მოლოდინში მყოფ მიდამოს გაუცინა.

ხოგაი ერთხანს მდინარის ნაპირს ჩაჰყვა, შემდეგ დიდი მუხის ქვეშ შეისვენა, დაოსებული მიეყრდნო მუხას და ფიქრში მყოფს რული მოეკიდა...

დილამ თავზე გადააბერტყა ცისფერნი ფრთენი ხოგაის. ლაკვარდი ქოფინა მიდამოს, მიდამო ახმაურდა, ამღერდა სულიერი თუ უსულო. ხმაურმა მშვიდი ძილი დაურღვია ხოგაის. ეზმანებოდა: დილის სიამით ახმაურებული სოფელი. სოფლის ბოლოს გაშლილი თეთრი ბატკნები, ყვავილოვანი ველი, შავთვალწარბა ლელა, — მზის სხივებში მოცქრიალე გოგონა, ყმაწვილების ჟრიამული...

ხოგაის გული შეეკუმშა მაგრად, ხელები გაშალა.

— ლელაი... — სთქვა მძინარემ.

ლელას ზმანება იმ წუთში გაქრა. შემკრთალმა ხოგაიმ გაიღვიძა.

— ლელაი! — გაიმეორა კვლავ, ჭირის ოფლდასხმული სახე მოიწმინდა. მკაცრად გახედა თვალწინ გაშლილ ველს: ოქროსფერ-მიდამოს იისფერი ეფრქვევოდა, ჩიტები ხმაურობდნენ და მდინარის ნელი დუდუნი მობანესავით მისდევდა ბუნების ჩქროს.

ხოგაი წამოდგა, მკაცრად დადგა მუხასთან, ნაწვიმარი ტანისამოსი ჩამოიბერტყა, გახედა მთებს: საჯიხვეებს მშრალი ნისლები ეხვეოდნენ, ფიფქი თოვლი დაშლოდა ჭაუხებს, შეთეთრებულიყვნენ გულსევდიანნი. ჯიხვების ხილვა და ჭაუხებში ყოფნა მოენატრა ხოგაის, მაგრამ... ხოგაის ახლა სხვა წადილიც ჰქონდა: წასულიყო ქალაქში, ეხილა დუქან-ბაზარი, ქალაქელი ხალხი. ჯიხვების რქები და ტყავები გადაეცვალა ტყვია-წამალზე და შემდეგ...

ძაღლის ყეფამ შეაკრთო ხოგაი, შემკრთალმა ხოხობმა გადაუარა თავზე, ქედნების გუნდები შემოეფინენ მუხას, იმავე წუთს აიშალნენ და ხოხობს გაჰყვნენ უკან. ცოტა ხნის შემდეგ წაბლის ფერის მონადირე ძაღლი გამოჩნდა ბუჩქებიდან, მკაცრი, დაგერშილი დარბოდა იქით-აქეთ. პატრონის სტვენაზე შედგა იგი, დაიყეფა, მიხედა ხოგაის და ბუჩქებში შევარდა.

ხოგაიმ მზერა გააყოლა მონადირე ძაღლს, ბუჩქების მაღლა მამაკაცის ქუდს მოჰკრა თვალი, შემდეგ ბეჭებს, — უცნობი მონადირე დადიოდა ბუჩქებში...

ხოგაის სახე გაუმკაცრდა, ჯიხვის რქებს გადახედა, შემდეგ თავის თოფს და კვლავ უცნობს აადევნა მზერა.

უცნობი ნელა გამოდიოდა ბუჩქებიდან. ტანმაღალი, სახე წამოწითლებული, ხელთოფიანი სწრაფად იმზირებოდა აქეთ-იქით. გაშორდა თუ არა ბუჩქებს, შედგა, დაუსტვინა. ისეთივე სტვენა გაისმა ბუჩქებიდან. ცოტა ხნის შემდეგ ორი კაცი გამოჩნდა მოშორებით, ისინიც ხელთოფიანები იყვნენ, აჩქარებულები წამოვიდნენ უცნობისაკენ. მიუახლოვდნენ თუ არა, ხმამაღლა გაიცინეს.

— ეშმაკმა დალახვროს! — სთქვა ერთმა მათგანმა.

— წაგვივიდა ხელიდან! — დაინანა მეორემ და მკაცრად გახედა ბუჩქებიან ველს.

მონადირე ძაღლი წკმუტუნით გამოვიდა ბუჩქებიდან, უცნობებთან შედგა, წამით, ერთ მათგანს შემოურბინა და სწრაფად მიხედა ხოგაის, ყურებწინწამოყრილი დააკვირდა.

მონადირეთ თვალი ჰკიდეს ხოგაის, რაღაცა სთქვეს, მიუახლოვდენენ.

იდგა ხოგაი. თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა უცნობებს.

— გამარჯობა შენი! — სამივენი ერთხმად მიესალმნენ.

— მუდამამც გაიმარჯვებთ! — ცივად მიუგო ხოგაიმ. თოფები შეათვალიერა, თავის თოფს ესროლა ალმაცერი მზერა, წელზე ნაკიდები მათარა შეისწორა, ხელი გაუყარა სავაზნეს და ისევე თოფებს შეავლო თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მონადირე ჩანხარ, — უთხრა ერთმა ახალგაზრდამ.

— აგერ! — გაოცებით წამოიძახა მეორემ და ჯიხვის რქებზე მიუთითა ამხანაგებს.

— სადაური ხარ? — იკითხა მესამემ, შავგვრემანი რომ იყო, ცივის იერით.

მაღალი ტანი შეიჩეჩა ხოგაიმ. ნელად მიხედა.

— მთიდან ჩამოვედი! — უპასუხა მოგვიანებით. კვლავ შეისწორა მათარა, ძაღლს გადახედა, შემდეგ უცნობებს და ისევე თოფზე დარჩა თვალი.

— მონადირე ხარ? — აღარ ეშვებოდა უცნობი.

ხოგაიმ ახედ-დახედა, ჯიხვის რქებზე ჩამოჯდა.

— დიახ! — სთქვა ისეთნაირად, თითქოს პასუხის გაცემა ეზარებაო.

უცნობებმა ერთი მეორეს გადახედეს. დასხდნენ.

მონადირე ძაღლმა ერთხელ კიდევ გაირბინა პატარა ველი, მივიდა ბუჩქებთან, ისუნსულა, შემობრუნდა და მონადირეთ მახლობლად დაწვა, ყურებწინწამოწეული მიაშტერდა ხოგაის, თითქოს მასაც სურსო უცნობის ვინაობის გაგება.

ერთი მონადირე, რომელიც ხოგაის მახლობლად დაჯდა, ხმას არ იღებდა. ტანმაღალი იყო, მკაცრი შეხედულებისა, მარად ველს გასცქეროდა, იშვიათად გაიღიმებდა, წამით გადაავლებდა თვალს ხოგაის და ისევე ველს გაუჰვრეტდა. ხოგაის თვალში დაუჯდა ეს ვაჟკაცი. ეუცხოვა მისი ჩაცმულობა: მოკლე ფარაჯა, ტილოს ყელიანი ჩექმები, ტილოსავე სავაზნე, ჩანთა, ორლულიანი სუფთად შენახული თოფი...

— მოვსწოთ, ბაგრატ! — მიმართა მას ამხანაგმა.

ბაგრატმა ველს ააცდინა მზერა, ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, გახსნა.

ამხანაგები ერთი მეორეს არ აცლიდნენ პაპიროსის აღებას.

ბაგრატმა ხოგაის შესთავაზა პაპიროსი.

ხოგაი მზერას ვერ აცილებდა ვერცხლის სათუთუნეს, ოქროს ფერი რომ ედებოდა მზეზე.

— მოსწიე! — გაუმეორა ბაგრატმა.

ხოგაიმ გაუცინა, სქელი თითებით ძლივს აიღო პაპიროსი, მადლობა გადაუხადა, ბავშვივით გაიცინა — პაპიროსის სუნი ეუცხოვა.

— სადაური ხარ, ძმობილო? — ჰკითხა ბაგრატს.

— ქალაქელი... — მიუგო ბაგრატმა.

ხოგაი შეიშმუშნა: თავი ეუცხოვა ქალაქელ ხალხთან:

— ქალაქში ხარ დაბადებული?

— თბილისში.

— რა გვარი ხარ?

— ლომიძე.

ყრუ გუგუნმა გაუარა ველს, შორს, ცისტატნობზე გამოჩენილმა შავმა მფრინავმა რისხვასავით მოიყოლია ხმაური.

ხოგაის სახემ გამოიდარა. იგი ალმაცერ მზერას ესროდა ხან თვითმფრინავს, ხან ლომიძეს.

ბაგრატმა მხოლოდ ერთხელ შეხედა თვითმფრინავს, ხოგაისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ეუცხოვა ხოგაის: უცნობები ყურადღებას არ აქცევდნენ თვითმფრინავს.

— ჰო, ჰო, — სთქვა ახალგაზრდა მონადირემ, რომელსაც ვახტანგს ეხმობდნენ.

ხოგაიმ გადახედა.

— ალალაი! — გაიკვირვა თავათაც.

ვახტანგმა გაუცინა ხოგაის, შემდეგ ბაგრატს გადახედა, ბაგრატზე რაღაც ანიშნა ხოგაის, ხელი ასწია, მკლავი ჰაერში შეათამაშა, თვითმფრინავს ესროლა მზერა, თვალები დააჭყიტა, ლოყები გაბერა.

მიუხვდა ხოგაი: თითი დააღირა ბაგრატს. შემდეგ თვითმფრინავისკენ გასწია ხელი.

— სწრაფად მოდის! — სთქვა ერთმა მონადირემ, ტანდაბალი რომ იყო, ცოტას მოსაუბრე.

ბაგრატმა თვითმფრინავს გახედა.

— ფოსტის დამტარებელია. — სთქვა უბრალოდ. პაპიროსის ნამწვავი გადააგდო. ეხლა შეხედა ხოგაის.

— უკეთესი იყო, გვენადირა. — უთხრა ვახტანგს, მაგრამ ხოგაის თვალთ ბრწყინვალება ეუცხოვა.

— მოგწონს? — თვითმფრინავისკენ ანიშნა და გაუღიმა ხოგაის.

— ჩემს გულს მარად ენატრება!

მონადირეებმა გაიცინეს.

ხოგაის თავი ეუხერხულა: დამცინიანო გაიფიქრა.

— მაღლა ყოფნა მენატრება ბალღობიდან... — სთქვა ნელა, სახე წამოწითლებული ჩამოჯდა, ერთხელ კიდევ მიხედა თვითმფრინავს, მთის ყელს რომ მისდევდა სწრაფი. ამოიოხრა ხოგაიმ.

ყურადღებით დააკვირდა ბაგრატი.

— ბარში რისთვის ჩამოხვედი? — ჰკითხა მან.

ხოგაის სახემ გამოიდარა.

— ბაზარზე, ბაგრატ...

— შემდეგ?

— ისევე მთაში...

— ნადირობით ცხოვრებას აპირობ?

— მწყემსი ვიყავი...

— ეხლა?

— დამითხოვა ცხვრის პატრონმა...

— თქვენ სოფელში კოლექტივი არის?

— მალე აპირობენ...

— ასეთი მივარდნილი კუთხე! — გაიკვირვა ახალგაზრდა მონადირემ, ვახტანგმა.

— კავკასიის მთის იქით...

— რომელი მხარეა? — იკითხა ბაგრატმა.

— ბორბალოს იქით.

ბაგრატმა ამხანაგებს გადახედა:

— ბორბალოს კალთებისაკენ მივდივართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სპეროზიაში. — მიუგო აქამდის ჩუმად მჯდომმა ამხანაგმა. ხოგაი რატომღაც შეყოყმანდა.

— შენ თუ გინადირნია იმ მხარეში? — ჰკითხა ბაგრატმა. გაიცინა ხოგაიმ.

— ეგ ჯიხვები სად დახოცე?

— ლეკის მთებისკენ...

— ჩვენ ჯიხვებზე ვინადირებთ!—სთქვა ბაგრატმა და მაღალი ტანი ამართა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— შენ საით, ხოგაი?

— გავყვები ჭალებს...

— ინადირებ? — გაიცინა ბაგრატმა.

— თუ რამე შემხვდა...

— ჩვენთან წამოდი!

ხოგაის მხიარულმა იერმა გადაჰკრა, — ჯიხვებზე ნადირობის წადილმა ერუანტელად გაუარა.

— თუ მიამხანაგებთ... — სთქვა თავმდაბლად.

— წამოდი, წამოდი! — შეემუდარა ვახტანგი.

ხოგაი ზანტად აიბარგა, მათარა და სავაზნე შეისწორა. მონადირე ძაღლმა გადირბინა მწვანე ხოდაბუნი, ორთქლი აშალა დედამიწამ და შემკრთალმა ხოხობმა ჩაუარა მდინარის ნაპირს...

*

* *

მზემ საჯიხვეებს გადაუარა თავზე, სწორად წამოიხარნენ მთათ ჩრდილები, ომში მყოფ ვაჟკაცებივით გაწვნენ ჭალებზე, გადაიხიდნენ უფსკრულებზე. საბალახოდ ჩამოსულმა ჯიხვებმა სიმაგრეს მიაშურეს. გულნაღვლიანი მონადირე შედგა, შეხედა მზეს, შემდეგ მიდამოს და კლდის მუხლს მიეყრდნო.

მზის სხივებმა ნისლები აშალეს საიალაღოდან, ნისლებმა თავზე გადაუარეს მონადირეთ და მოტირალივით ჩამოაბნიეს ცვარნამი ლურჯ ქვიშიან ფერდობზე.

ცის ტატნობზე გამოჩნდა ბურუსში გახვეული ხოგაი. ვიწრო ბილიკი გაიარა, ქარაფის ყელზე გადახტა და მონადირეთ წინ დადგა უფსკრულის შუბლზე გადაკიდებულ კენწეროზე; უფსკრულიდან ამოჭრილმა ნიავმა აუშალნა ჩოხის კალთანი, სუსხი შეაშალა სახეში, მაგრამ ხოგაი უნძრეველად იდგა, იცქვა და აოცებდა მონადირეთ, — მაღლა ცა, ლაჟვარდი, ცაზე გაბნეულ ნისლთა ბადეები, დაბლა პირდაღებული უფსკრული... ერთი შერხევა, ნიავის ოდნავი დაჯახება, ან შიში თვალისა და უფსკრულს მიეცემოდა ტანდიდი ხოგაი.

ბაგრატი მიუახლოვდა, დაუშალა უშიშრობა, გადმოახდინა კლდის კენწეროდან.

— მაგარი თვალი გქონია, ხოგაი! — გაიღიმა ბაგრატმა და პაპიროსი შესთავაზა.

— მიყორს მაღლობი... — სთქვა სახეწამოწითლებულმა ხოგაიმ, თვალი გადაავლო მქრალ ნისლდაფენილ საჯიხვეებს: ციცი მიდამო, მიდამო კლდიანი, მქრალი ნისლების თამაში, შორეული ჩქამი ქვიშისა, წყაროს დუდუნი და კივილი ალწვებისა.

— მომწონს ქარაფზე დგომა... — გაიმეორა ხოგაიმ. ჯერ ბაგრატს დააკვირდა, შემდეგ სანადიროს გახედა, საიალაღოს გაუღიმა.

— ნეტავ ამიყვანა სულ ზევით...

ბაგრატს ხმა არ გაუცია, ჩაფიქრებოდა რაღაცას.

— ცაში! — ამბობდა ხოგაი.

— რად გინდა ხოგაი? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ბაგრატმა.

ამ დროს ბაგრატს საკუთარი სიჭაბუკე ეზმანებოდა: აი, ბაგრატი ხის ტოფლის, მდინარის ნაპირზე, მისჩერებია ლაკვარდში მოთამაშე არწივს... „ნეტავ რას ხედავს არწივი... ჰო... სიმაღლეე!“ ფიქრობს ბაგრატი და ენატრება უცხო მხარეში გაფრენა... წადილმა თავისი გაიტანა...

— ცაში გაფრენა მენატრება! — ამბობს ხოგაი.

ბაგრატს გულს მოხვდა ვაკაცის ნატვრა. ისევე სიყმაწვილე და ოცნება ფრენაზე.

— ეხლა შენ ქალაქში წახოლ... სამსახურს დაიწყებ: თავის თვითმფრინავით გაფრინდები, ბაგრატ...

ბაგრატს ხმა არ გაუცია, — ისევე სიყმაწვილე და მფრინავთა სკოლაში პირველად მისვლა ახსენდებოდა.

— როდის წახოლ ქალაქში? — იკითხა უყურადღებობით განაწყენებულმა ხოგაიმ.

ბაგრატი გამოფხიზლდა.

— ორი დღის შემდეგ...

— იმავე დღეს ჩაჯდები თვითმფრინავში... ეხ! სიხარულით წავიდოდი ქალაქში...

ბაგრატმა ლაკვარდს შეხედა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: ვახტანგი მიუახლოვდა.

— ჯიხვები! — უთხრა დაბალი ხმით.

მგლისფერმა გაითამაშა ხოგაის სახეზე, ცეცხლიანი თვალებით გაფლითა ნისლდაცემული მიდამო.

ფეხზე წამომდგარ ხოგაის ბაგრატი აჰყვა. სმენად გადაიქცნენ:

გაღმა ფერდობიდან ქვიშის ჩქამი ისმოდა, ოდნავად ჩანდნენ ნისლში გახვეული ჯიხვები.

ბაგრატმა დურბინდი ამოიღო, გაუჭვრიტა ჯიხვებს: ანგრილი შუნ ჯიხვები კლდის ფეხს მისდევდნენ, ქარაფებს ეფარებოდნენ. მანძილა ჯიხვი ედგათ წინ, დინჯად მიაბიჯებდა, თითქოს რქების სიმძიმეს დაუჯალდიაო ჯიხვი, სხვანიც მისებრ დინჯად იქცეოდნენ, ერთი შუნი დარაჯად უვლიდა წინდა უკან, იცქირებოდა, გრძნობდა ადამიანის სიახლოვეს, ყნოსვას იმახვილებდა, მაღლობზე დგებოდა და აქეთ-იქით იჭვრიტებოდა ყურებდაცქვეტილი...

ჯიხვებმა ნელად გაიარეს პატარა ფერდობი და „სიმაგრეს“ მიეფარნენ.

ხოგაი მშიერად აკვირდებოდა ჯიხვებს. მიფარებისთანავე შეკრთა

— გზა უნდა შევუკრათ! — წამოიძახა და იარაღი შეისწორა.

— აქედან ვესვრი! სთქვა ახალგაზრდა მონადირემ.

ხოგაიმ გაიცინა.

— ჯიხვები გახლავს! — სთქვა ხოგაიმ.

ხანი აღარ დაუყვიათ: ხოგაიმ ბილიკზე შეირბინა, ბაგრატი უკან მიჰყვა, ახალგაზრდა მონადირე ადგილზე დასტოვეს: ნადირი უნდა დაეფრთხო, როდესაც ბაგრატი და ხოგაი საყელოს შეუკრავდნენ...

მონადირენი დაიშალნენ, მძიმე ნისლმა ჩაუარა სიმაგრეთ, ჩაუარა უღრანებს და აბორეილებული შეეტინა კლდოვან გორებს...

შუადღის ჟამს დიდხანს ისმოდა თოფის ხმა, ხვიოდნენ ხევები, კივილი ელვასავით უვლიდა ნისლებს, ბოლოს ქვიშის ჩხრიალი გაისმა და ჩამოშლილ კლდეებს სისხლის კვალი ჩაჰყვა.. ყორანმა გადაიარა ყეფით და ფენზე წამომდგარმა ხოგაიმ მძიმედ ამოისუნთქა, მადლობა შესწირა ნადირთ ღმერთს ოჩოპინტეს და ბაგრატს გაუცინა...

*

* *

მთები ნელნელა იძირებოდნენ უკუნეთში. ნისლებმა ერთხელ კიდევ გადაუარეს საჯიხვეებს, მწვერვალებს შემოეხვივნენ, გაირინდნენ და გაქრნენ, თითქოს შეეშინდათო ღამის. უკუნმა გაშალა ფრთები, არემარე გაქუფრდა, სიმყუდროვეში ჩამოდგნენ სიმწარით თავბრუდახვეული ვაჟკაცებივით გარინდული გორები, პირქუშნი დადგნენ პირისპირ, გადასულ დროთა სიავეს შესჩივიანო თითქოს ერთი მეორეს.

ვახშმის ჟამს ცეცხლი აენთო ქვიშიანებში, წითელმა ალმა გაითამაშა, კლდეებზე ჩამოშლილი ხმელი ბალახი შეტრუსა და გაქრა, კვლავ გაითამაშა, დაიძაბა ენებად და ფერფლი გააყოლა გამქისებულ ჰაერს. ცეცხლის დანთების უმალ ახალი ხორცის სუნი დატრიალდა. ცეცხლის მახლობლად მაღალი ტანი დახარა ხოგაიმ: მწვადი დააწყო აღმუვლებულ ცეცხლზე. აშიშინდა ხორცი ჯიხვისა, ცვარი აისხა, თეთრმა ფერმა გადაჰკრა, აშხივლდა და ამო სუნი გაიბნა ჰაერში.

ცეცხლის სინათლეზე გამოჩნდნენ: ჯიხვის ტყაპ-ხორცი, რქები და ცეცხლის გარშემო მსხდომი მონადირენი.

ბაგრატი ჯიხვის რქებს მისჩერებოდა, სინანული ეფინებოდა ვაჟკაცის სახეს.

— ჯიხვი მრავალია ჭაუხებში, მაგრამ კაცი...

— შეუდარებელი მონადირე ყოფილხარ, ხოგაი!

— ბალღობიდან ვნადირობდი...

— დაუღალავი მუხლები გქონია!

— მთა-გორებს ვაწყდებოდი მარად.

— შენს თვალს სიმაღლისა არ შინებია...

— კაცნი ყველაფერს ეჩვევიან.

— სიცუდესაც!

— მე მეცოდება ჯიხვი, ხოგაი!

ხოგაიმ გაიღიმა, მაგრამ იმავე წუთს სახე გაუცივდა: „ხოგაი ნუ მოჰკლავ ჯიხვს“, — ეუბნებოდა ლელა ხოგაის. მუდარა გაახსენა ბაგრატის ნათქვამმა... ხოგაიმ ვარსკვლავს შეხედა... გაიოგა ცივად და ჩაფიქრდა...

სიჩუმე ჩამოვარდა იქ მყოფთა შორის. ღამის ჩქრო გაძლიერდა. ცეცხლის ალის ღუღუნი ისმოდა ოდნავად.

ბაგრატმა დაარღვია სიჩუმე:

— რისთვის მოიწყინე, ხოგაი?

ხოგაი შეიშმუშნა.

— როდის წახვალ ქალაქში, ბაგრატ?

— ჩვენთან წამოსვლას ხომ არ აპირებ?

ხოგაის პასუხი არ გაუცია — გაჩუმდა, ისევ სიჩუმე და მისი ჩქარი ამეფდა. უკუნეთში დაიფაჩუნა რაღაცამ, ღამურამ გაითამაშა, ცეცხლის ალი მდევარივით გაჰყვა უკან და ჯიხვის ხორცის სუნი გააბნია უკუნეთში.

ვახტანგი ფეხზე წამოდგა, სუფრა გაშალა, ხოლო ხოგაიმ მწვადი მორთვა მეგობრებს.

სდუმდნენ: ვახშამს შეექცეოდნენ, თითო-ოროლა სიტყვას იტყოდნენ და გაჩუმდებოდნენ. ვახშამის სიამე, მშვიდი ღამე და სულ ახლოს მოკაშკაშე ვარსკვლავების სიტურფე საკუთარ ფიქრს უძლიერებდა. თვითეულ მათგანს ატკბობდა ფრთებგაშლილი ოცნება.

ბაგრატის მკლავს ხელი შეეხო უკუნეთში: ხოგაი მიუახლოვდა.

— მფრინავიაო, გავიგე, — წასჩურჩულა ნამალევად.

ბაგრატმა კაშკაშა ცას გახედა, გაიცინა.

— ეხლა მე შვებულებაში ვარ, ხოგაი!

— ნაომარი... — წაისაუბრა ხოგაიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ტანისამოსის შრიალი, ცეცხლის ღუღუნი და ნიავის სისინი არღვევდა სიმყუდროვეს.

— ხვალ წახვალ ქალაქში... — სთქვა ხოგაიმ და თავის ნათქვამმა შეაკრთო, თითქოს იდუმალი ნაფიქრალი ათქმევინაო წადილმა. მორცხვად შეხედა ბაგრატს.

— მივდივართ, — მოგვიანებით უპასუხა ბაგრატმა.

ხოგაიმ მწყრალად გატეხა ხელში ნაჭერი პური, გახედა ვარსკვლავებს და ამოიოხრა.

—მწვადი მიირთვი, ხოგაი!

პატიჟი რად უნდა ვაქკაცს, მგელი მგელია მაინც... მონადირე მგელს ემსგავსება, მაგრამ ხოგაი...

— რა დაგემართა, ხოგაი?

ხოგაის პატიჟი არ უნდა, არც სიცოცხლე უნდა ხოგაის:

გულს ნუ ჩაესაუბრები, ჩემო ხოგაი!

ჩემო, ხოგაი, ამოსთქვი გულის წადილი! ქვა ხომ არ დაგაწვა გულზე, ვაჟკაცო! ან ჭაუხები ბეჭებზე?

აუ, დედასა მტრისასა!..

თავი რას დაგიხრია უკუნეთში!

ნუ, ეგრე ნუ, აგრემც გენაცვალები, ჩემო ხოგაი!..

ხოგაიმ ბაგრატს შეანათა სევდიანი თვალები, მზერა მზერას მოხვდა.

— ქალაქის ნახვა მენატრება, ბაგრატ?

— სილაღეა ქალაქში...

— წავიდოდი... — ხმა ჩაუწყდა ხოგაის, ვერხვის ფოთოლივით ათრთოლდა ვაჟკაცი: შავი თვალები ლელაისა! უფრო შავი, ვიდრე უკუნეთი!

— ჩვენ მასპინძლები, შენ სტუმარი, ხოგაი!

— ქალაქში ასეთი მწვადი არ იქნება, არც ამნაირი ვარსკვლავების თამაში, მაგრამ ქალაქში... — სახე უცინოდა ვახტანგს.

თავბრუდახვეული ხოგაი ხმას არ იღებდა: ისევ შავი თვალების ზმანება და ღიმილი ლელაის! უტკბილესი ღიმილი ქვეყანაზე!

ტანდაძრული ხოგაი ფეხზე წამოდგა. შორს, გორის ბოლოს გაშლილ სოფელს გაუჭვრიტა. კვლავ ათრთოლდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელა!“ — შრიალებდა უკუნეთის ჩქრო.

„ლელა!“ — ციმციმებდნენ ვარსკვლავნი...

...ხოგაიმ იდუმალად მიიხედ-მოიხედა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და გაქრა უკუნეთში.

ხუმრობა ეგონათ მონადირეთ...

დრო გავიდა.

— ნეტავ რა იქნა, ხოგაი?

პასუხად ღამემ გაიშრიალა, სისინა ნიავმა ჩაითამაშა ხეებზე, ცეცხლის ალი დაკეცა ფარჩასავით და ახალგაზრდა მონადირეს თეთრი ფერფლი შეაშალა შავგვრემან სახეზე.

— ჰაუ, ხოგაი!

ღამის ჩქროში დაიძრა ძახილი და დადუმდა ყველაფერი.

*

* *

მთვარე ნელნელა ამოდიოდა ცის კიდურზე, ვერცხლისფერი ედებოდა შავს მიდამოს. ველზე გაშლილი მდინარე მცურავივით მისდევდა მწარე მთის კალთებს, თქრიალებდნენ თეთრი ტალღები, ტალღები ტალღებს ასკდებოდნენ, გააკვებულნი ულრენდნენ კლდის კალთებს და აფაფრულნი იფშვნებოდნენ ქარაფებზე. მდინარე გარს უვლიდა სოფელს, სოფლის გარშემო გაშლილ ბალვენახებს ჩაუვლიდა, გაიდუდუნებდა და სუსხს გაიყოლებდა კვალად. მდინარის ნაპირს ჩრდილი მისდევდა, ჩრდილი ხეებისა, ხოლო ჩრდილს—ლანდი კაცისა.

უცნობი სწრაფად მიდიოდა, ხანდიხან გამოჩნდებოდა ხეებს შორის, ჩაურბენდა მდინარეს და გაუჩინარდებოდა. ბოლოს შედგა. შეხედა მდინარის ნაპირას მდგომ მაღალ შენობას, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, გაშორდა ხეებს და მთვარის შუქზე ტანმაღალი ხოგაი გამოჩნდა.

ხოგაი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ სალამური მოიმარჯვა: აამღერა ხმამაღლა. ოქროსფერ ლაჟვარდივით დაირხა სალამურის ხმა მთვარის სხივთ შორის და მინელდა ყველაფერი, მინელდა მდინარის ხმა, სოფლის ხმაური, ბუნების იდუმალი ჩქრო, სალამურის ხმა კი... გაძლიერდა, აბიბინდა, ოქროს ფრთენი გაშალა... აკანკალდა იდუმალი გრძნობით დამთვრალი ხოგაი, მისი თვალები სევდის ცეცხლში ალივლივდნენ. შენობის მეორე სართულზე განათებულ სარკმელს მიაშტერდა. ოთახის სიღრმეში მხოლოდ ერთხელ გაიარა ადამიანის ლანდმა, გაიარა და გაქრა. ცოტახნის შემდეგ სინათლე მინელდა, დაილია... ცივად დაეშვნენ ხოგაის მკლავები, მიწაზე დაცემული ლერწამი ყრუდ ახმაურდა, ხოლო ხოგაი მდინარის პირად მდგომ კლდეს მიეყრდნო, გაირინდა სიმწარით დამთვრალი...

„ლელა!“ — ჩურჩულებდა მიდამო.

წყრებოდა ხოგაი...

ნეტავ, რად იქცევა აგრე ლელაი?

ქალბნელი სინათლეს უქრობდა ხოგაის...

გაცეცხლებული ვაჟკაცი ფეხზე წამოიჭრა, შეუჭვრიტა სარკმელს, მიიხედ-მოიხედა და ჯიქური ნახტომით გადაუარა თავზე ღობეს. ღობის იქით შედგა: გააფთრებული მყეფარი შემოეგება. მყეფარმა ცას ზარად შესდვა წკმუტუნი და მიწას უკბინა ბრაზით, ხოგაი გამოეხმაურა: ჩუმად უთხრა სახელი. მყეფა-

რი გაკვირვებულივით შესდგა, დააკვირდა ხოგაის. ერთხელ კიდევ გაცეხლდა, ერთხელ კიდევ უკბინა მიწას და როდესაც მეორედ უთხრა ხელი ხოგაიმ, მიჩუმდა, ნელად დაულრინა უკუნეთს... ორი ნახტომით ... ხოგაი სარკმელის წინ გაჩნდა. შედგ. სუნთქვა შეინელა. ამ დროს სინათლე გაშალა სარკმელმა. ხოგაიმ თოფი მოიმარჯვა:

— სიკვდილი სულაკაურს! — უთხრა ბნელეთს და სარკმელთან მივიდა.

*

* *

მჭრალი სინათლე აშუქებდა ოთახს. გრძელი სკამის სათავეს, სარკმლის მახლობლად, იჯდა სულაკაური, ჩაფიქრებული მისჩერებოდა სარკმელს. სანთლის შუქი კანკალებდა, ფარვანანი უვლიდნენ გარს. ფარვანებისა და მჭრალი სანთლის შუქი თამაშობდა ლელას სახეზე... ლელას ფერმკრთალი სახე ერთი ორად მშვენიერი მოსჩანდა. სევდიანი თვალები გულს დაყრილი ცეცხლი იყო ვაჟკაცისთვის...

ხოგაი მაგრა მიაწვა სახლის კედელს, — სულაკაურის ჯავრმა და ქალის სიახლოვის წადილმა დაათრო.

სულაკაური შეირხა, მიხედა ლელას:

— სალამურის ხმა: — სთქვა და შემკრთალივით გაირინდა.

ხოგაის მოეჩვენა, რომ ლელა აკანკალდა. თითქოს საიდუმლო ძაფები ჩაუწყდაო გულში. ლელას ლეგა ფერმა გადაჰკრა, წუთით დაიბნა, მხოლოდ წუთით და შემდეგ ამაყად შეხედა სულაკაურს.

— სალამურის ხმა... — დაასწრო სულაკაურმა.

ლელა უფრო შეკრთა, ხოლო ხოგაიმ თოფი მოიმარჯვა.

სულაკაური ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა ლელას, დააკვირდა.

ლელამ მკაცრად შეხედა სულაკაურს:

— მე ჩაუქერი სინათლე სარკმლისა!..

— დიალამც!

— მაგრამ...

— ჩემი ხარ ლელაი!

ლელას სახე წამოუწითლდა, თვალები გაუცოცხლდნენ. მზერა ააცდინა სულაკაურს.

—ლელაი, ჩემი ხარ!

ლელამ მწარედ გაიცინა.

— ლელაი!

— მძულდი!

სახლს იდუმალმა ერეოლამ დაუარა. ქარმა დაილმუილა უკუნეთში.

— მძულდი! — გაიმეორა ლელამ.

სულაკაური ჯერ ქვად იქცა, სიცივის ერუანტელმა დაუარა, თვალები გაუცეცხლდნენ, შემდეგ მოდუნდა, მოიკაკვა: მკაცრად აკვირდებოდა ლელა.

— მე სინათლე ჩაუქერი ხოგაის!

ტანდაძრულმა სულაკაურმა უნებურად გადადგა ნაბიჯი ქალისკენ.

—ახლოს არ მოხვიდე!

— შენ ჩემი ხარ, ლელაი!

ლელამ ხელი მიიფარა თვალებზე.

— მძულხარ! — გაისმა მისი ყრუდ ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმწარით დამთვრალი სულაკაური კედელს მიეყრდნო. გმირი აღმოხდა დაგესლილივით. მზერას ვეღარ უსწორებდა ლელას.

ხოგაი დააკვირდა ვაჟკაცს. ნელნელა დაეშვა დამიზნებული ფეხი.

— მიყვარდა ხოგაი...

სულაკაური წამოიმართა.

— მე სიცოცხლე ვაპატიე ხოგაის! — სთქვა მწყრალად.

— ღალატი გსურდა, ღამემ დაიფარა ვაჟკაცი!

— იქნება შენ!

— მე გზა ვასწავლე მას: სიკვდილი არ მსურდა ხოგაისა.

— ეხლა...

— ეხლა კი...

ლელამ სათქმელი აღარ დააბოლავა, ადგა, სარკმელისკენ წავიდა. შემკრთალმა ხოგაიმ უკან დაიწია, კედელს ამოეფარა.

— სალამურის ხმა... — შემოესმა ხოგაის ნელი ხმა. შემდეგ იარაღის ხმაური. მძიმე ნაბიჯით ვიღაცამ გაიარა ოთახში...

— ღმერთო, მოუმართე ხელი!.. — ამბობდა სარკმელთან მდგომი ლელაი.

ხელი შეეხო ლელაის მხარს. ლელა გაქვავდა. არ მიუხედია.

— დაივიწყე ხოგაი! — გაისმა მუდარის ხმა.

— მძულდი, სულაკაურო... — უკმეხად სთქვა ქალმა.

ხელი ნელნელად გაშორდა მხარს, მძიმე სუნთქვა გაისმა, ოთახში იარაღი აწკრიალდა.

შემკრთალმა ლელამ მხოლოდ მაშინ მიხედა, როდესაც კარები ახმაურდა: სახე კუშტი ახალგაზრდა შევიდა ოთახში. შესვლის უმალ შედგა, შეხედა შემკრთალ ლელას. ეტყობოდა, ვაჟკაცი არ მოელოდა ლელას იქ ყოფნას.

— ქავთარო! — მწყრალად სთქვა სულაკაურმა.

ქავთარი მორცხვად მიუახლოვდა სულაკაურს.

სალამურის ხმა მიწყდა, მთვარეს ღრუბლები შემოეფარა, უკვალოდ გაქრა ხოგაი! — თავდაბლად სთქვა ქავთარმა.

ცივად გაიცინა სარკმლის იქით მდგომმა ხოგაიმ.

ერთხელ კიდევ მივიდა სარკმელთან: ლელას დააკვირდა, — ლელა მკაცრად მისჩერებოდა სულაკაურს, ხოლო სულაკაური თავდახრილი იდგა ქალის წინ...

— ქავთარს რა ესაქმებოდა ხოგაისთან? — გაისმა ლელაის ხმა.

სულაკაური შეკრთა.

— სულაკაურო!

სულაკაურმა თავი დახარა.

— სიკვდილს ვინატრიდი შენთვის!

ხოგაის მეტი აღარ მოუსმენია, ვაჟკაცის სინანული რადმე იგრძნო, მარცხნივ გადახტა და, ღილის სიახლოვით შემკრთალი, გაჰყვა ხეების ჩრდილებს. მთიდან ჩამოჭრილი ქარი უთამაშებდა ირგვლივ, დახრილი ხეების რტოებს აცვეთდა, მიღმუოდა.

ხოგაი მიდიოდა ქარში და ლელას მკაცრი სახე მიჰყვებოდა ხატებად.

თავი მესამე

ცისპირი გატყდა. მძიმე ლაჟვარდი დაეფრქვა მიდამოს, — ხოგაი კვლავ მისდევდა გზას, უძილარი იყო, სახე სევდიანი, გულჯავრიანი მწყრალად უჭვრეტდა ჭაუხებს:

საჯიხვეები მქრალად მოსჩანდნენ დილის ბინდბუნდში. ცოტა ხნის შემდეგ წითელიფერი დაეფრქვია, — მზის სხივები მოეფინენ მადლად და ბოლოს ნისლები გადაეფარნენ კუშტი ქალის სახეზე გაფრიალებულ [illegible] — უჭვრეტდა ხოგაი, ამოიოხრებდა და სიარულს განაგრძობდა...

შარა გზაზე მგზავრი მგზავრს ემატებოდა, მგზავრობა ხშირდებოდა. ერთი მეორეს მისდევდნენ დატვირთული მანქანები, ურმები, ქვეითები — ხალხს საკოლმეურნეო ბაზრობისკენ მიეჩქარებოდა, გვაგვიანდებაო, ეტყოდნენ ხოგაის და ნაჩქარევად გასცდებოდნენ...

შუადღის დროს მივიდა ხოგაი ერთ პატარა ქალაქში. ხალხის ნაკადს შეჰყვა, სოფლელებს აედევნა და ბაზარში აღმოჩნდა.

ტანმაღალი, დინჯი ხოგაი მძიმე ნაბიჯით შევიდა ბაზრის კარებში. გახედა ბაზარს და გაუკვირდა: არსად ენახა იმდენი ხალხი, არც იმდენი საკაჭრო... ერთხანს ერთ ადგილზე იდგა ხოგაი, შემდეგ ბაზარს ჩაუარა, — ჯიხვის რქები გადასცვალა ფოლადის დანაზე, თოკზე, ორიოდე ჯიხვის ტყავი ტანისამოსზე: შალის შარვალ-ხალათი გამოიცვალა, ჩუსტები და თუშური ქუდი იყიდა. მონადირეთა კავშირის მაღაზიაში შეიყვანა ვიღაცა უცნობმა: ტყავები გადააცვლევინა ტყვია-წამალზე და ხალხის სიმრავლემ გაიყოლია შუა ბაზრიდან. პატარა მოედანზე თავმოყრილ მოქალაქეთ წააწყდა, მიუახლოვდა წრეს. წრის იქით გადაიხედა. არავინა სჩანდა. ხალხს მიხედ-მოხედა. მაცქერლად გადაქცეული ხალხი ელოდებოდა რაღაცას. ცოტახანი და წრეში ერთი ახალგაზრდა გამოვიდა, მკლავებდახვასტული იყო, წელქამრიანი. წრეში გასვლის უმალ ხელები გაშალა, ზურნის ხმას აჰყვა, ჩამოუარა დაქუჩებულ ხალხს. ჩასხმული ტანისა იყო, კისერა, ბეჭებგანიერი. სწრაფად მოძრაობდა. ორჯერ შემოუარა წრეს, შუა ადგილზე შედგა. ამ დროს მოპირდაპირე ჯგუფი გაირღვა, — ტანმაღალი, ცქანტლი ახალგაზრდა გადახტა წრეში. ხელი გაუშვირა წრეში მდგომს, გაშორდა, შემოუარა წრეს და პირისპირ დადგნენ. წუთის შემდეგ ერთი მეორეს გაეთამაშნენ, ზურნამ ხმა გააძლიერა. კაცები წუთით შეეჭიდნენ ურთიერთს და ელვად ქცეულნი გახტნენ განზე, შემობრუნდნენ, კვლავ დაეჭიდნენ. ერთი მათგანი ოდნავ დაიხარა, მეორემ ზურგზე შემოიდო, ჰაერში შეათამაშა და მიწაზე დასცა, დასცა, მაგრამ ბეჭები ვერ დაუხარა... კალმახივით გაუსხლტა. ახლა მან წამოიკიდა კისერზე...

ტაშმა იგრიალა: ტანმაღალმა ახალგაზრდამ ბეჭები დაიბერტყა, თავდახრილი გავიდა წრიდან, ხოლო მეორემ არწივებურად გაშალა ხელები, ჩამოუარა წრეს, გაეთამაშა მოჭიდავეთ, სამი გალახა, მეოთხეს მკლავი ატკინა და ქორებულად დაიკივლა მკლავმაგარმა.

ხოგაი გაკვირვებით აკვირდებოდა გალახულთ. უფრო მეტად გამლახველი აკვირვებდა. უნებურად მიიწევდა წინ. აწვებოდა წინამდგომთ. მარტო დარჩა მოულოდნელად. მოჭიდავე სულ ახლოს, ხოგაის წინ აცქმუტდა, ხელიც კი გაჰკრა ხოგაის, გაუღიმა, გასცდა, კვლავ შემობრუნდა, დადგა ხოგაის წინ, დააკვირდა ხოგაის.

ხოგაი ცივად უჭვრეტდა, მომდურავს ჰგავდა, თითქოს ხუთჯერ გაულახიაო გამარჯვებულ მოჭიდავეს.

— ხომ არ მიცანი? — გაეხუმრა მოჭიდავე.

ხოგაის სახე უფრო გაცივდა, მწყრალი მზერა ესროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ გინდა გადმოდი, ტანდიდო! — ხალხის გასაგონად უთხრა მოჭიდავემ, ამაყად შეხედა, გაითამაშა წრეში.

— აცა! — დინჯად სთქვა ხოგაიმ.

ხალხმა ხოგაის მიხედა: ბარგს იხსნიდა ხოგაი, თოფი და ტანისამოსი მოჭიდავეთა ნივთების შემნახველს ჩააბარა, მძიმე ნაბიჯით შევიდა წრეში. შუა ადგილზე გაჩერდა, თვალი შემოავლო ხალხს: ყველა გაკვირვებით მისჩერებოდა.

— წააქცევს!

— არ იცნობს, ალბათ!

გაისმა ნელი თქმები.

მალალი ტანი შეიშმუშნა ხოგაიმ, გასწორდა, — მხარკისერი შეხარა, ვითარცა ირემმა. ელვის სისწრაფით მიეჭრა მოჭიდავე. ქარდაჯახებულ მუხასავით შეირხა ხოგაი, მიწა დახნა ფეხებით, მკლავები გაიფოლადა. მოჭიდავემ ფეხი მოჰკრა მარჯვენა ფეხს, გადახარა, მაგრამ სიმძიმით სძლია ხოგაიმ. მკლავებში შემოიგდო, მიბნიდა და ის იყო მიწას დავსცემო გაიფიქრა, რომ მოჭიდავეს ფეხები რკინასავით მოხვდა ფეხებს, შებორძიკდა ხოგაი და მოჭიდავე ხელიდან გაუსხლტა, მოულოდნელად შეუტია, მაგრამ ვერ სძლია.

ხოგაი დაემდურა:

— ღალატი ნუ! — უთხრა დინჯად, მკლავები შემოხვია, მკერდზე მიიკრა, დააწვა ზევიდან, გადახარა და ნელა დააწვინა მიწაზე... მხოლოდ მაშინ გაუშვა, როდესაც ფერი გაულურჯდა მოჭიდავეს სახეზე.

— იწექი! — უთხრა. ტანისამოსი ჩამოიბერტყა, გახედა ხალხს. ხალხი გაკვირვებით უჭვრეტდა.

— რა აოცებს? — ცივად სთქვა ხოგაიმ და წრიდან გავიდა.

ხალხი უკან გაჰყვა ხოგაის, — გარშემო უვლიდნენ, აკვირდებოდნენ, აქებდნენ.

ხოგაიმ ბარგი აკრიფა, იარაღი აისხა და ამ დროს ხელი ვიღაცამ დაჰკრა მხარზე.

მკაცრად მიხედა ხოგაიმ: მის წინ იდგა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი სამი ვაჟკაცი.

—ხოგაი!

— ბაგრატ!

— რატომ გაგვექეცი, ხოგაი?

— ქალაქი მენატრებოდა...

— სახელოვანი მოჭიდავე წაგიქცევია, ხოგაი!

— გამარჯვება ნუ მოგიშალოს! — უთხრა ვახტანგმა.

— ნურც თქვენი ძმობა!

ხელი ჩამოართვეს ურთიერთს.

*

* *

წვიმდა. ჩქარი მატარებელი ქარაშოტს მიაპობდა. შხუოდა. გრიალებდა. წიოდნენ ბორბლები. ელვანი გაუთამაშებდნენ და რკინის ჩქამს გაიყოლებდნენ თან. წვიმა და ქარი ეხლებოდა მატარებლის ფანჯრებს. შუშას გუგუმებად ესხმოდა წვიმის წვეთები, მიგორავდნენ ნელად, მოწყვეტილად. ფანჯარას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისჩერებოდა ხელზე დაყრდნობილი ხოგაი. მის გარშემო სამი ვაუკაცი იჯდა. ფიქრს რასმეს მისცემოდნენ.

— მაშ კაცის მოსაკლავად წახვედი ხოგაი? — დაარღვია სიჩუმე ბაგრატმა და პაპიროსი შესთავაზა ხოგაის.

მოკრძალებით შეხედა ხოგაიმ.

— სულაკაურის მოკვლა მსურდა...

— ეგეთი რა დაგიშავა, რომ მოსაკლავად გაგიმეტებია ვაუკაცი!

— ლელა მთელ ქვეყანას მერჩივნა. სიცოცხლესაც... ლელას მე უყვარდი.

— მაშ რაღად წაჰყვა სხვას?

ცივად გაიცინა ხოგაიმ, გახედა ფანჯრის იქით ატირებულ ღამეს.

— წაჰყვა...

— ლელა ყოფილა დამნაშავე.

ხოგაი ოდნავ შეირხა, პაპიროსის კვამლმა გადაუარა თავზე, გაითამაშა და ზანტად შეეფინა ფანჯარას.

— სულაკაურს ბავშვობიდანვე ვძულდი, — დაიწყო ხოგაიმ. — ვერიდებოდი, საჯიხვეებში თუ შევხვდებოდით ერთი მეორეს. მე გაურბოდი, ის მსდევდა, — მოკვლა სურდა ჩემ: მამაპაპათ დაღვრილი სისხლი ჩქეფდა ჩვენ შორის. ამას ისიც დაემატა, რომ ლელას მე ვუყვარდი, სულაკაური სძულდა, მაგრამ... — ხოგაის რკინის ფერმა გადაჰკრა სახეზე, გაჰხედა ღამეს და ამოიოხრა. — მე ღარიბი ვიყავი. მწყემსი. სულაკაური ცხვარ-ძროხის პატრონი იყო, თორმეტი ჩემისთანა ვაუკაცი ჰყავდა მწყემსად. ხშირად მომისევდა ვაუკაცებს, მაგრამ... — გაიღიმა ხოგაიმ. — მე მათ ვსჯობნიდი, კვეხნით არ ვიტყვი, ვსჯობნიდი, ბოლოს კი... სულაკაურმა მაჯობა: წამართვა ჩემი სიხარული...

ხოგაი გაჩუმდა, ქარი და წვიმა დაეჯახა ფანჯარას, ბორბლებმა რელსებზე გაიწივლეს და ელვის შუქი გაეთამაშა მატარებელს.

— დიახ... მან წამართვა სიხარული. იმ დღის შემდეგ ჩემ გულს ლხენა არ მიჰკარებია, თვალს საამური ძილი. ჭირით ვტეხდი ღამეებს, ვუყურებდი ვარსკვლავებს და ლელას სახე მეზმანებოდა... ლელას ვუყვარდი, ვუყვარდი ძალიან... ხშირად ვხვდებოდით ერთი მეორეს. მე მინდოდა სამუდამოდ ჩემი ყოფილიყო. მაგრამ ლელას რატომღაც არ ეჩქარებოდა. ვატყობდი: ეშინოდა სიღარიბისა — შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ამაყად გაზრდილი.

— გაგვიჭირდება ცხოვრება! — მეტყოდა, ტკბილად გამიღიმებდა. მე მაინც ჩემსას ვცდილობდი. როგორც იყო, დავიყოლიე: შემოდგომაზე უნდა გადაგვეხადა ქორწილი. სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... და აი, ერთხელ მივედი თუ არა ცხვრის ბინაში, თავი მივანებე სამწყესურს: ლელას ნახვა მენატრებოდა. მივედი დანიშნულ ადგილას, ამოვიღე სალამური, დაუკარი, დაუკარი ნიშნად, მაგრამ... ღამეში გაქრა ჩემი სალამურის ხმა, გაქრა უკვალოდ. ვიდეე და ველოდებოდი ლელას, ლელა არ ჩანდა. ბოლოს ველარ მოვითმინე, გადავწყვიტე, თითონ მივსულვიყავი ლელასთან. ის იყო მივუახლოვდი ეზოს კარებს რომ ეზოდან სამი ცხენოსანი გამოიჭრა, ცხენების ფეხის ხმას ქალის სუსტი კივილი გაჰყვა და მე... სიმწარით ტანდაძრული მივეყრდენი კედელს: მივხვდი, რომ ლელა... ლელა სამუდამოდ დავკარგე: მომტაცა სულაკაურმა. დავბრუნდი უკან, ჩემ დაბადების დღეს ვეუბნებოდი საწყევარს... გავიდა ხანი. მწარე გულისტკივილით ვიგონებდი ლელას, ლელას შავ თვალებს, ლელას

სიტყვებს... რაც დრო გადიოდა, მოუსვენრობა მეუფლებოდა. ბოლოს გადავწყვიტე მენახა ლელა... ლელამ ნახვის ნება არ დამრთო. მთხოვდა დავიწყებინა ყველაფერი: ჩემდა უნებურად მოხდაო ყველაფერი. ბავშვს ეკუთვნოდა ჩემი უძვირფასესი საგანძური... დამივიწყე ხოგაი! — მითვლიდა იგი.

მცირე ხანს შეჩერდა. მერე კვლავ განაგრძო:

— მე გავჯიუტდი. მივდიოდი სულაკაურის კოშკის მახლობლად, ვჯდებოდი მდინარის ნაპირზე, ვიფარებდი ღამეს და სალამურის ხმით მოუხმობდი ლელას. ლელა მოდიოდა სარკმელთან, უსმენდა სალამურს და ვგრძნობდი, თუ როგორ ფითრდებოდა მისი სახე შიშითა და ჩემი სიახლოვის წადილით, მაგრამ... ავია სულაკაური: ჩიტის გაფრენა არ გამოეპარებოდა კოშკის გარშემო... არ იქნა: ვერ შევხვდი ლელას. ბოლოს გავბედე, — მივიპარე კოშკთან და ის იყო ვიგრძენი ლელას სიახლოვე, მესმოდა მისი მძიმე სუნთქვა, ვგრძნობდი მის სითბოს და სწორედ ამ დროს გამიტყდა ხმა... სულაკაურმა ვაჟკაცები დამადევნა. გადამარჩინა ჩემი მუხლის სიმაგრემ. სულაკაური უფრო გამწარდა, ცდილობდა მოკვლას. მე გზაკვალი დამებნა. სამწყემსოს ყურადღებას აღარ ვაქცევდი. ნადირობით ვერთობოდი. არც ეს მოსწონდა სულაკაურს: თავათაც ნადირობდა ჯიხვებზე. მე ჩემსას არ ვიშლიდი: ვეჯიბრებოდი ჯიხვების ხოცვაში. სამაგიეროდ ცხვრის პატრონი გამიორგულდა, დამითხოვა სამწყემსაოდან. უკანასკნელად ვესტუმრე სულაკაურს: მე მეგონა სტუმრობით დამინდობდა. ლელა ვნახე, თავათ ლელამ არ მომცა სულაკაურის სახლში ღამის გათევის ნება. სულაკაურმა სტუმრობით მაპატია ის ღამე. და გათენებამდე დავტოვე ის კოშკი. დილით თქვენ შეგხვდით, ვაჟკაცებო. კვლავ გავიპარე, — სიმწარემ დამათრო: სულაკაურის მოკვლა გადავწყვიტე. ჰო! მოვკლავდი მას, მოვკლავდი, რომ იგი ჩუმ ტანჯვაში არ მენახა: ჩემი ხელები მოდუნდნენ, ჩემი გული მოტკბა, როდესაც მისი გაცრეცილი მონადქცეული სახე დავინახე ლელას წინ... შემეცოდა... გადავწყვიტე გავშორებოდი იმ მიდამოს, სადაც სულაკაურის ფეხი დაიდგმებოდა, სადაც ლელა დაიბანდა პირს და მზის სხივთ ეტყოდა მადლობას... გადავწყვიტე წავსულვიყავი ქალაქში და აი, შენ შეგხვდი...

ჩაფიქრებული ბაგრატი ყურს უგდებდა ხოგაის. მოათავა თუ არა საუბარი ხოგაიმ, ბაგრატმა მშვიდად შეხედა.

— ჩვენ ძმობილები ვიქნებით! — უთხრა ტკბილად.

კვლავ გაითამაშა ელვამ. კვლავ დაეჯახა ქარ-წვიმა ფანჯარას, ბორბლები აწივლდნენ რელსებზე და რკინამ რკინაზე გაილაწუნა, თითქოს უკუნმა ღამემ დაკბინაო დედამიწა.

— შენ მფრინავი გახდები, ხოგაი!

ელვამ გაუარა მიდამოს და მატარებელი მაგრა დაეჯახა უკუნეთს...

*

* *

ღრუბელნი ჰქრებოდნენ, ცა იწმინდებოდა, ცა ლურჯდებოდა, ცას სიწითლე ეპარებოდა აღმოსავლეთის მხარეს. ლაჟვარდი ეფრქვეოდა მიდამოს. ლაჟვარდში მიჰქროდნენ ველები... გორ-გურები. მატარებელი ღრენით გადაუვლიდა მათ და შემკრთალივით მიეფარებოდა გორის ბოლოს...

ბაგრატი ხოგაის უამბობდა ამბავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო!...

ნეტამც ხოგაი გახდებოდეს მფრინავი!

მატარებელი ნელა შედიოდა ქალაქში.

ხოგაის აოცებდა ბაგრატის ქართული, საბჭოთა მფრინავების გმირობა. ათრობდა სწავლის სურვილი და ქალაქის სანახავთა საკვირველებანი...

ქალაქი უხვი მასპინძელივით ხვდებოდა მატარებელს და ორთქლში გახვეული ყვიროდა ღრეობიდან გამოსული ხევსურივით...

თავი მეოთხე

ლაქვარდში გათამაშებული ვარსკვლავივით გაჰყვა დილა დილას და გათენდა ხოგაის გამარჯვებით. სამხედრო ექიმმა ახედ-დახედა ხოგაის:

— ვარგისია! — უთხრა თანამშრომელს. ხოგაის გაუღიმა: — თავისუფალი ბრძანდებით!

ხოგაიმ ტანისამოსი აკრიფა. მათარა და დანა ხელში დაიჭირა, მძიმე ნაბიჯით გავიდა ფართე დერეფანში. საექიმო კომისიის გამოძახების მოლოდინში მყოფი ახალგაზრდები სიცილით შემოეხვივნენ.

„რა ჰქენი?“ — კითხულობდა ხოგაი მათ სახეზე.

მორცხვად გაიცინა ხოგაიმ.

— ვერ გაუგია! — გაისმა ფოლადივით ძგრიალა ხმა.

სწრაფად მიიხედა ხოგაიმ: თვალუუეუნა გოგონა იცინოდა ტკბილად.

— ვერ გაუგია! — დასცინა მან. ხოგაის უამურ მზერას წააწყდა და გაჩუმდა.

— რა ჰქენი? — შეეკითხა ხოგაის ქერა სახის ყმაწვილი.

— ვარგისი! — გაუბედავად უპასუხა ხოგაიმ.

— ვარგისიო! — გაიცინა გოგონამ.

ხოგაის ყურადღება არ მიუქცევია: კარებში შემოსულ ბაგრატს მოჰკრა თვალი და პირდაპირ მისკენ წავიდა.

— რაო? — იკითხა ბაგრატმა.

— ვარგისი...

ბაგრატს სახეზე ღიმილმა გაურბინა. ხელი დაჰკრა ხოგაის.

— გავფრინდებით! — წასჩურჩულა და გაშორდა.

— ვარგისი... — შემოესმა ხოგაის: კვლავ იცინოდა გოგონა.

ნეტავ ვინ არის ეს ქალი?

ნუ, გაუწყრები, ჩემო ხოგაი! ჰო!.. როგორ ციმციმებენ გოგონას შავი თვალები.

გაუღიმე, გაუღიმე, ჩემო ხოგაი!

ჰო!.. როგორ ანათებენ გოგონას თეთრი კბილები!

სახე ვარსკვლავების ციმციმი ხომ არ არის ნეტავი!

ვაუღიმე, ხოგაი, ჩემო ხოგაი, გაუღიმე!

— ვარგისი! — შრიალებდა მსუბუქი ხმა ქალისა. თმის ნაწნავებმა გაითამაშეს და დერეფნის ბოლოს მიეფარა ლამაზი...

ნეტავ ვინ არის ეს ქალი?

იქნებ შენი საბედოა, ჩემო ხოგაი?

*

* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხოგაი დილის სიამეს ეგებებოდა ხალისით სკოლაში მიეჩქარებოდა, როდესაც თვითმფრინავის ხმა შემოესმა. ჯერ მათარას რადმე გადახედა, შემდეგ თოფს, წიგნები აიღო ხელში და ის იყო გასცილდა საერთო საცხოვრებლის კარებს, რომ თვითმფრინავმა სიახლოვეს გაუქროლა.

ხოგაის გული გაულაღდა. გახედა თბილისის თავზე გაშლილ ლაჟვარდში გათამაშებულ თვითმფრინავს და კინაღამ წამოიკივლა სიამით: თვითმფრინავმა კამარა შეჰკრა, შეითამაშა ჰაერში, შეტრიალდა, დაეშვა, — ელვის სისწრაფით გამოქანდა დედამიწისკენ. მოულოდნელად შებრუნდა და ისევე ლაჟვარდში შებერტყა ფრთები... უჰვრეტდნენ და იცინოდნენ: მოსწავლეები, ახალგაზრდა მფრინავები, პარაშუტისტები. ბაგრატს მოჰკრა თვალი ხოგაიმ. იდგა ბაგრატი და მოღიმარი უცქერდა თვითმფრინავს...

ჰაერი ივსებოდა ხმაურით, მფრინავთა გული ხალისით.

— ჰო!..

ნეტავ ვინ არის ეგ მფრინავი?

არწივი ხომ არ ქცეულა კაცად?

ხოგაიმ მზერა ვერ მოაცილა თვითმფრინავს.

ნეტავ თუ მალე გახდება ხოგაი მფრინავი?

— გადის დღეები, მე კი...

ნუ ხოგაი!

სიჩქარით წყალი წყალს არ გაულევია, ჩემო ხოგაი...

ხოგაის მხარზე ხელი დაჰკრა ბაგრატმა.

— ხედავ? — გაიღიმა მან.

თვითმფრინავი ნელნელად ეშვებოდა ძირს. მედიდურად აკეთებდა წრეს ჰაერში. შემოტრიალდებოდა, კვლავ გაიქროლებდა, თითქოს ვერ დაუოხებიაო სილაღე...

ხალხი იკრიბებოდა თვითმფრინავთა სადგურის გარშემო, ხალხს უნდოდა ეხილა მფრინავი: აოცებდა მისი ოსტატობა.

ხოგაი ბაგრატს მიჰყვებოდა აკრეფილი ნაბიჯით. მათ გარშემო ირეოდა მფრინავები, პარაშუტისტები, სხვადასხვა თანამდებობის ჭაბუკები.

— ნეტავ ვინ არის ეგ მფრინავი?

ხოგაი! სულსწრაფი ნუ ხარ, ჩემო ხოგაი!

— მე როდის გავფრინდები, ბაგრატ?..

— მალე...

თვითმფრინავმა მიწას გაჰკრა ბორბლები, გაიფხრიალა და შედგა.

— ყმაწვილი ყოფილა მფრინავი!

ხოგაი!..

რამ დაგაოხა, ჩემო ხოგაი!

დგას ხოგაი და მზერას ვერ აცილებს მფრინავს:

ჰო!.. როგორ ციმციმებენ გოგონას შავი თვალები!

ეს თმა არის, თუ აბრეშუმს ეთამაშება ხმაურით შემკრთალი ჰაერი!

როგორ ანათებენ გოგონას თეთრი კბილები!

გაულიმე ხოგაი, ჩემო ხოგაი, გაულიმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვარგისი! — უცინის ხოგაის გოგონა. ბაგრატს უახლოვდება. ხელს ჩამოართმევს.

მუდამ გაიმარჯვე, გოგონავ!

ხოგაის ფერი უკრთება: გული ეძახის გოგონას!

— ბაგრატ, ვინ არის ეგ ქალი?

— ნინო!

ღმერთო! რა ტკბილად იღიმებოდა!

სახე რად გაგიფითრდა, ხოგაი?

რამ დაგაღონა, ვაჟკაცო?

— სადღაა ვაჟკაცობა!

ნუ, ნუ დაღონდი, ჩემო ხოგაი!

— მე მეგონა მხოლოდ ვაჟკაცებს შეგვიძლია ფრენა!

ქალი ვაჟკაცების რიგში ჩამდგარა, ხოგაი...

ხოგაი უჭვრეტს ნინოს ცქრიალა თვალებს, ღამესავით შავ თმას და ტანის ნარნარს...

მხოლოდ ვაჟკაცობა...

მაგრამ... გული უცნაურად რად გიცემს, ხოგაი?

— ჰო! რა ტკბილად იცინის ის ქალი!

შენაც გაუცინე ჩემო, ხოგაი!

. . . . . .

. . . . . .

* * *

...თითქოს ფარაგი გახსნაო ცამ, — თეთრი ღრუბლები მსუბუქად გაიშალნენ ცის მკერდზე.

ხოგაიმ ცას შეხედა: სადარო სჩანდა ცის სახეზე.

— ავფრინდები!

— ხოგაი, მშვიდობით!

— მშვიდობით, ბაგრატ!

ბაგრატი მზერას მიადევნებდა თვითმფრინავს: თვითმფრინავმა საგარეჯოსკენ აიღო გეზი. ცივს ჩაუარა, შემობრუნდა და ამ დროს მეორე მფრინავი წამოეწია, გაეთამაშა. ლაქვარდი შეჩქვიფა, ღრუბელნი შემკრთალნივით დაიძრნენ დასავლეთისაკენ.

არწივების მსგავსად თამაშობდნენ ჰაერში: ერთი უთმობდა, — დინჯად მისცურავდა და უმალ ზევით მოექცეოდა. შურდულივით გატყორცნილ ქვასავით გაიჭროლებდა წინ და მედიდურად შემოეგებებოდა.

— ნეტავ ვინ არის?

ხოგაი გულდინჯად იყო, ფრენა მედიდური ჰქონდა, სიდინჯეში არწივს ბაძავდა: უნდოდა არწივის მსგავსად ეფრინა, მაგრამ...

— ნეტავ ვინ არის ეს მფრინავი?

თვითმფრინავმა გაუთამაშა და წინ გაუძღვა...

ხოგაის კახეთის ხილვა ჰქონდა დანატრულებული.

— ლელას სამშობლო!

მაგრამ უცნობმა მფრინავმა არ ადროვა: გაეჯიბრა, გაეთამაშა, გაიყოლია.

— მამაცი ვაჟკაცი იქნება! — ხოგაი მხოლოდ ამით დაიოხებდა გულს.

ვარჯიში მოათავა და ნელა დაეშვა ძირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემფასებელი კომისია ბაგრატთან ერთად შეეგება ხოგაის.
— მოსაწონია! — გაისმა უფროსის ხმა.
გახარებულმა ხოგაიმ ცას შეხედა: უცნობი თვითმფრინავი ელვივით ეშვებოდა ძირს.
— შენ მფრინავი ხარ, ხოგაი!
— ის მფრინავი ვინ არის, ბაგრატ?
ბაგრატმა გაიცინა.
მფრინავი გაბედულად გადმოვიდა მიწაზე დაშვებულ თვითმფრინავიდან.
რა გაოცებს, ჩემო ხოგაი?
ნინოს თვალები ციმციმებდნენ ტკბილად!
ნინოს კბილთ სიმშვენე ნასესხებია მთის ბროლისგან!
ნუ, ნუ დაღონდი, ჩემო ხოგაი!
მაშ ვაჟკაცობა რაღაა, ბაგრატ, თუ ქალი.... ქალაი....
ნუ, ნუ, ჩემო ხოგაი!
ჰო!.. რა ტკბილად იცინის ნინო...
— სხვა სიტყვა თუ იქნება ვაჟკაცობის მაგიერ...
ვაჟკაცობასაც მოესწრები, ჩემო ხოგაი....

* * *

რა უცნაური გამხდარა ქვეყანა: ვარსკვლავებიც ციმციმებენ, ელნათურებიც!
ფიქრი უნდა ხოგაის...
— ხმაურიანი ყოფილა ქალაქი...
რას დაფიქრებულხარ, ჩემო ხოგაი?
ხოგაი, ფერი რად დაგკარგვია სახეზე, ხოგაი?..
— გაშლილი საიალაღო და საჯიხვეები მენატრება...
ცა ლაჟვარდია საიალაღო შენთვის, ხოგაი!
იქნება ლელას ნახვა მოგენატრა, ვაჟკაცო?
— ნეტავ ვინ არის როიალს რომ უკრავს, ბაგრატ?
ჰო, ხოგაი!
როგორ ცქრიალებენ ნინოს თვალები!
თითები მთის ბროლისა თუ გაუთლიაო დამბადებელს!
ხოგაი, გაიღიმე... გაიღიმე, ჩემო ხოგაი!
— ვინ მღერის, ბაგრატ?
ჰო, ხოგაი!
როგორ ელვარებენ ნინოს კბილები?
ხმა... თითქოს ბულბულს უჩუქებიაო დილის ჟამს!..
ხოგაი, გაიღიმე... გაიხარე სტუმრობით...

* * *

ღამე შემკრთალივით კრეფდა თბილისის თავზე გაშლილ ფრთებს. ბურუსდებოდა, თეთრდებოდა ნაცრისფერი. ხმაურით გაჟღენთილ ქალაქს სიწყნარე ეუფლებოდა.
მაღალი შენობიდან გამოსულმა ბაგრატმა ხოგაის გაუსწორა მზერა.
— ხოგაი...
— რას მერჩი?
— სამშობლო გვეძახის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედიანად გაიცინა ხოგაიმ...

ხოგაი... შენ გულგატეხილი სჩიოდი: ვაჟკაცობას ელფერი ეკარგებაო...

— ეხლა გამოჩნდება ვაჟკაცის ვაჟკაცობა!

ხოგაიმ ნაბიჯი შეანელა: ნინოს სახე გაელანდა. სახე გაუცივდა, უგემურად გაიქნია ხელი: „ნეტავ, ნინო თუ წავა?"

— სამშობლო გვეძახის. გული ბასრი უნდა იყოს საბჭოეთის დაცვაში!

დიაღამც, მაგრამ... ხოგაის გულს სამშობლოს სიკარგე გაახარებს. მამაცი ვაჟკაცისთვის ლხინია სამშობლოსთვის ბრძოლა, მაგრამ...

„ნინო თუ წამოვა...."

— მამაცად გვიბრძოლნია სამშობლოსათვის ქართველებს, ხოგაი!

ჰო! იცის ხოგაიმ... იცის... ქართველს სისხლით ნაწრთობი ხმალი უნახია, მოხუცთ ნაამბობი მოუსმენია და უნატრია სამშობლოსთვის სიკვდილი... ეხლა...

— ჩვენი თვითმფრინავები გადაუვლიან ველებს, ხოგაი!

ჰოი! ვაჟკაცნო მამაცნო და გაუტეხელნო!

— ჩვენი ვაჟკაცები დადგებიან სადარაჯოზე...

— მე არწივებისთვის მიცქერია, ბაგრატ, არწივს ჩაუვლია შურთხებისათვის. არწივის ფრთეთ შიშის ცეცხლი მოუდვია ფრინველთათვის, მაგრამ... — „ნეტავი ნინო... ნინო... ნინო თუ წავა ვაჟკაცებთან?"

— ჩვენ დაუყოვნებლივ გავფრინდებით, ხოგაი!

— რომელ მხარეს?

ჩრდილოეთის მხარეს ელვამ გაიელვა და გაქრა.

— ცა დაიქუხებს! — სთქვა ბაგრატმა.

ნაბიჯაჩქარებული მისდევდა ბაგრატს, ჯერაც ნინოს მოლიმარი სახე თვალწინ ედგა. „ნეტავ ნინო თუ გაფრინდება..."

ჰო...

ტიალო სიმამაცევ!

მაგრამ...

— რა ტკბილად იცინის ნინო!..

თავი მეხუთე

დრო გავიდა. ზამთარი ზაფხულად შეიცვალა. რამდენმა თვითმფრინავმა გადაიარა თბილისის თავზე! რამდენჯერ ამღერდა როიალზე ქალი! რამდენჯერ გაუცინა დილის ლაჟვარდს ნინომ! რამდენჯერ გაითამაშა მისმა თვითმფრინავმა ვარსკვლავთა სამეფოში და შავლამეში მაცინარმა ნინომ იფიქრა შორს გაფრენილ ვაჟკაცებზე... ეხლაც იჯდა ნინო და ფიქრობდა. ფიქრში მყოფი გასცქეროდა ახლად ბინდდაცემულ ქუჩას. ტანმაღალი ვაჟკაცი დარჩა თვალში: იგი პირდაპირ გადმოდიოდა ქუჩაზე. ნინოს სახე წამოუწითლდა, მაგრამ... არა, რა თქმა უნდა, არა... — ფიქრი ზარის წკრიალმა შეაწყვეტინა. ჟრიალით გაივსო ოთახი.

ეხ!

რა თქმა უნდა, არა... ის არ იქნება!

ისევ ზარის წკრიალი...

ტახტის წინ მწოლი თეთრი ფინია მწყრალად წამოდგა ფეხზე, მიირბინა კარებთან და წკრიალა ხმით აყეფდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელა გაუღო ნინომ კარები.

— ნინო!

. . . . . .

ხოგაი!

ქალვაჟი ხედ იქცა წუთით.

გამწყრალმა ფინიამ წამოიყეფა, ყურადღება რომ არავინ მიაქცია, ხმა ჩაწყვეტილი გაბრუნდა უკან. იატაკის შუა ადგილზე შედგა, წრე გააკეთა, შეუღრინა ნინოსთან მდგომ ხოგაის.

ფინიამ კუდი დაუშვა, ნინოს ფეხს ამოეფარა და იდუმალი სიმწყრალით ალმაცერად დააკვირდა ხოგაის...

— ჩამოხვედით?.— ძლივს შესძლო კითხვის მიცემა ნინომ.

ხოგაიმ გაიცინა:

— ყველანი!

დასხდნენ. მზერა მზერას გაუსწორეს.

— რა ჰქენით?

— ვიფრინეთ...

ნინომ მაღალ მკერდზე გადაავლო მზერა ხოგაის... ვაკკაცს შვენოდა სიდინჯე და სიმამაცის ორდენი... შურით გაუციაგდა გაბრწყინებული თვალები ნინოს: „შენ ქალაი ხარ!“ ამოიკითხა ხოგაის მზერაში.

— მე მეგონა, რომ...

— რა გეგონა, ხოგაი.

— შენც წამოხვიდოდი.

სახე წამოუწითლდა ნინოს.

— ჰექა-ქუხილში ვეძებდი შენ სახეს...

— იბრძოდით?

— ჰექდა მიდამო... ჭრიალი გაჰქონდა შეშფოთებულ ჩრდილოეთს...

ნინო სულ ახლოს დაუჯდა. გაუღიმა.

— მითხარი... ყველაფერი მითხარი...

ხოგაიმ ოთახს გადახედა, შემდეგ ნინოს დააკვირდა:

„ეხლა არის ნინო ქალი,“ — გაიფიქრა და ბრძოლის ამბავი უამბო: ...ისეთი ღამე არ უნახავს ხოგაის, არც ქარიშხალში შეძრწუნებულ ჭაუხების ჟამს, არც გრიგალით გადალეწილ ველებზე... მთელი დედამიწა ზანზარებდა შფოთიანად.

— ელვა იყო ფრენა ჩვენი თვითმფრინავებისა. მეხი იყო ყუმბარა და დელგმა წივილი „გამანადგურებელთა“ მრისხანებისა... „სამშობლო!.. საბჭოეთის სიტკბოს ძალა!“ — მისძახოდა ჯარს მიდამო. ყველა ჩვენგანს ესმოდა ტკბილი ძახილი. დედის ძახილს ჰგავდა იგი... არწივის რისხვა და ჭაუხის ჟრუანტელი სდევდა... შენი სახე... — ვეღარ დაამთავრა სათქმელი ხოგაიმ: ტელეფონი აწკრიალდა სწრაფად.

ნინომ მიირბინა ტელეფონთან. ფრთხილად აიღო ტელეფონის მილი. გამოელაპარაკა. სახე მოეღრუბლა. ხოგაის გახედა.

— ახლავე! — სთქვა და ხოგაის გაუშვირა ტელეფონის მილი: — გეძახიან, ხოგაი!

ხოგაიმ ყური მიაპყრო, ჯერ გაიღიმა, შემდეგ შუბლი შეიკრა.

— ახლავე, ამხანაგო ბაგრატ! — სთქვა და ტელეფონის მილი დაჰკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს დააკვირდნენ ნინო და ხოგაი.

— სასწრაფო საქმეა!

მშვიდობით, ხოგაი!

კარების ხმაურმა ფინია შეაკრთო...

ხოგაი მშვიდობით!

კარგა ხანს იდგა ნინო კარებთან. ყრუდ ესმოდა ხოგაის ფეხის ხმა, კიბეზე რომ ჩადიოდა ტანდიდი...

ნინო უკან გაბრუნდა. მივიდა ფანჯარასთან. უცნაურად უცემდა გული. გული ხოგაისკენ მისწევდა. მან იხილა, თუ როგორ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ხოგაი ქუჩაში და როდესაც თვალს მიეფარა ვაუკაცი, ქალს მუხლები გაუცივდა, სავარძელზე დაეშვა. მწარე ნარევი სიტკბო ათრობდა მას.

ნეტავ რა იყო იგი?

იქნება შური...

იქნებ ხოგაის გულის ძახილი...

ან იქნებ სიყვარული ხოგაისა...

ეხ, ბრძოლის ამბავი მაინც დაესრულებინა ხოგაის...

ხოგაი!..

* * *

ბაგრატმა გახსნილი ვერცხლის სათუთუნე გაუწოდა ხოგაის.

— სამი მონადირის ხსნა შენზეა დამოკიდებული, ხოგაი!

ხოგაის ერეოლამ დაუარა ტანში: გაუელდა თხელ ნისლებში გახვეული, დათოვლილი მთები, პირდაღებული უღრანები, აწყვეტილი ქარის შორეული ღმუილი...

— დღესვე უნდა გაფრინდე, ხოგაი!

ხოგაი ისევ ფიქრში იყო გადავარდნილი: სპეროზია! ამაყი შუბლი ქარაფებისა... ხოგაის თვითმფრინავი ღრუბელთ გადაუვლის თავზე, შეკრთებიან ჯიხვები, შუნი შიშით დაუსტვენს და სიმაგრის კალთას გადაირბენს!

ჰო!

იქნება ლელამ გახედოს თვითმფრინავს და გაიცინოს.

— უნდა გაჰფრინდე, ხოგაი!

ჩემო ხოგაი, რათ ხარ ჩაფიქრებული?

ხოგაის თვითმფრინავი შეაკრთობს ჯიხვებს!

ლელაი გაუჭვრეტს თვითმფრინავს და გაეღიმება!

— ხოგაი, უნდა გაჰფრინდე!

სისინა ქარაშოტი გაეთამაშა ფანჯარას და მიჩუმდა. ზვიადი ტანი შემართა ხოგაიმ...

— ხოგაი შენზეა დამოკიდებული სამი მონადირის ბედი!

ჩემო ხოგაი, რად გაგიბრწყინდა თვალები!

— შენ გაჰფრინდები, ხოგაი!

ამხანაგო ბაგრატ!

ჰო!

ხოგაის თვითმფრინავი ჩაუვლის საჯიხვეებს, მაგრამ...

უნდა გაჰფრინდე, ჩემო ხოგაი! მართალია, ნინო ტკბილად იცინის მაგრამ...

— ნუ, ეგრე ნუ, ბაგრატ!

ჰო!..

ჰო, რა ტკბილად იცინის ნინო...

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმფრინავი ელვის სისწრაფით მოსწყდა მიწას და არწივის სილინჯით აიღო გეზი კახეთისკენ.

მშვიდობით, ხოგაი!

ხოგაი, ხელი მოგიმართოს ვაჟკაცობის მადლმა!

თავი მეექვსე

თეთრი ღრუბლების თავზე ღუღუნებდა თვითმფრინავი, მისი ხმა ელ-ელდათ შეწყდებოდა, ნელდებოდა, შემდეგ ისევე ძლიერდებოდა, მძლავრი გრიალი ყრუ ღუღუნად იქცეოდა. ადი-ჩადიოდა თვითმფრინავი ღრუბლების თავზე, თითქოს ღრუბლების ზღვას მინდობიაო, — აჰყვ-დაჰყვებოდა ღრუბელთა დენას და ტალღების სვლას ემსგავსებოდა მისი ნახტომი. ხანდიხან ღრუბლები გათხელდებოდნენ, დაჩნდებოდა დედამიწა, — მადლიანი კახეთის გულმკერდი... ლეგად მოსჩანდა ალაზნის ველი, მთაგორაზე თოვლი დაფენილიყო. საჯიხვეებში ქარბუქი ღმუოდა, ეჯახებოდა ჭაუხებს, და იმსხვრეოდა უღრანების ხახაში.

მფრინავს გეზი ჭაუხებისკენ ჰქონდა აღებული, — უშიშრად მიიწევდა წინ: ამაყად მდგომი სპეროზია ჰქონდა მიზანში ამოღებული, მაგრამ რამდენადაც ჭაუხებს უახლოვდებოდა თვითმფრინავი, იმდენად მაღლა იწევდა, ღრუბელთა ხშირ ტალღებში ეხვეოდა...

თვითმფრინავმა მსწრაფლ გადავლო კახეთის ველი,—შეჰყვა ალაზანს, პანკისის თავზე გაიღუღუნა, მარცხნივ შებრუნდა და უცბად დაიწია ძირს, უფრო გამკაცრდა, უფრო მრისხანედ და ფიცხლად გაისმა მისი ფრთეთ ხმაური. ღრუბელთ რომ დასცილდა, შეანელა ძირს დაშვება, შეანელა ფრენა, თითქოს ძალა მოიკრიფაო — ოდნავ შესცურა, უფრო დასავლეთისკენ აიღო გეზი, სოფელს გადაუარა თავზე და კვლავ დაყირავდა, დაექანა ძირს და სულ ახლოს გაეთამაშა მუხნარით დაფარულ მთებს. სოფლის თავზე დაწოლილი ზამთრის სუსხიანი ბურუსი გაცელა.

ჰო!..

ძველო კარმიდამო, სოფელო სატიალევ!

ხოგაიმ ფრენა შეანელა: ლურჯად მომზირალი ტყეები, გორის ბოლოზე გაშენებული სოფელი, სოფლის ბოლოს ალაზანი და კოშკი... ტიალი კოშკი სულაკაურისა...

— ლელა! — მისძახოდა მთელი ბუნება ხოგაის.

— ლელა! — იმეორებდა ხოგაი, იმეორებდა, მაგრამ სიტყვა რადმე უქრებოდა, სამაგიეროდ გული ევსებოდა ბრაზით და რამდენადაც სოფლის სიახლოვე სურდა, იმდენად მწუხარე იყო მისთვის სოფელი.

— სულაკაური!

ვინ იცის, იქნება ნელა უცინის თვითმფრინავს...

აი, კოშკები, კარმიდამო...

რა მწარედ დაილია დღეები!

თვითმფრინავმა მკაცრად დატუქსა ჰაერი, მძლავრი გრიალი გაიყოლია და გამწყრალივით გასცილდა სოფელს.

— შეგხვდები, სულაკაურო! — დაემუქრა ხოგაი.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ქვეყანას, შეცურდა ღრუბლებში, ღრუბელთ სათავე გადაიარა და სპეროზიას მიაშურა.

ფრთხილად ხოგაი, — ჯიხვებმა ბევრ ვაუკაცს მისცეს ზიანი!

ნუ აჩქარდები, ჩემო ხოგაი: ეამ-კარი მიეცი გონებას!

საჯიხვეებში იღუპება სამი ვაუკაცი — სამი ვაუკაცის სიცოცხლე ფუნდა იხსნა, ჩემო ხოგაი!

საბჭოთა გმირი გქვიან ხოგაი!

ჰო, სიმამაცე!

იქნებ კიდევ სხვა რამეა დასაკვეხი, ჩემო ხოგაი!

სიმამაცე აძლევს ყველაფერს გზას, შენც გზა დაგილოცოს სიმამაცის მადლმა! — ეძახოდა ცარვალი ხოგაის და თვითმფრინავი მისცურავდა საჯიხვეებისკენ. აი ხოგაის წინ დარჩნენ ნაცნობი ადგილები... რამდენჯერ უნადირნია ხოგაის ამ ადგილებში, რა მკაცრად იყურება ნისლით შებურული სპეროზია!

თითქოს შეეშინდაო სიავისა, — თვითმფრინავმა სისწრაფეს უკლო, დაეშო — გვერდზე ჩაუარა მონადირეთ სადგომ გამოქვაბულებს.

კლდეთ გაეთამაშა ხოგაი, ბურუსის მკაცრი წივილი გაიყოლია თან, გაშორდა ქარაფებს და კვლავ შემობრუნდა: ჩაათვალიერა გამოქვაბულები...

არსად კაცის ძე...

არსად ნაკვალევი ადამიანისა...

დამფრთხალი ჯიხვების ფრენას მოჰკრა თვალი ხოგაიმ და გულს ცეცხლად მოეკიდა ძველი ალღო!

ჰოი, ჯიხვებო!

ჯიხვნო, მძიმენო გუნებით!

ხოგაიმ ელვის სისწრაფით ჩაუარა ქარაფებს, გაშორდა, შემოტრიალდა, თითქოს ბრძოლას უმართავსო ჯიხვების ხროს.

დამფრთხალი ჯიხვები ფხა-გორს შეჰყვნენ, მალი-მალ შედგებოდნენ, იჭვრიტებოდნენ:

სჩანდა — ვერ ამჩნევდნენ ხმაურის მიზეზს!

ვერ ამჩნევდნენ მოხმაურეს...

ყოველი მხრიდან ასკდებოდა ხმაური დაცქიოტებულ ჯიხვებს... ნეტავ, რა მოხდა!

იქნება შიმშილით გამწარებული არწივის ფრთეთ ჩქამი იყო.

ან იქნება ქუხილი იყო ზვავისა...

იქნება ოჩოპინტე აძლევდა ნიშანს...

გაიღიმა ხოგაიმ, გაუღიმა ჯიხვებს და ადამიანების ძებნას შეუდგა... ბურუსი გაჰქრა — გაჰქრნენ ნისლები, თითქოს შეეშინდათო უცნაური ხმაურისა, გაოცდნენ ჭაუხები უცხო ფრინველით და ნისლების პირბადე გადაიხადეს სახილველად... უფრო ნათლად დაჩნდნენ თოვლიანი, ტანდიდი მთები, თეთრად გაშლილი ფერდოები, თოვლით ჩამძიმებული ხევები, ზვავის ვარდნილები, ზარს რომ სდებდნენ ხევებს.

მზეშ თვალი შეავლო საჯიხვეებს და ხოგაის ნათლად დაუჩნდა დედამიწაზე მყოფი სულიერი თუ უსულო. ცოტახანიც და თვალი მოჰკრა მან ადამიანთა ნაკვალევს! თოვლს შავად მისდევდა ძაფი ნაკვალევისა და ვიწრო ხეობაში შედიოდა, იკარგებოდა წინწამოწეულ ქარაფების უბეში. ხოგაიმ დაბლა ფრენა ირჩია: მარცხენა მხარეს ჩაუარა ჭაუხებს, მარჯვნივ გაეთამაშა, გაუთანასწორდა გამოქვაბულს, — ადამიანებს მოჰკრა თვალი: თოვლში ამოგანგლულნი იყვნენ, დაღლილნი, როგორც სჩანდა ფეხზე დგომაც კი უჭირდათ. აიწევდნენ, ისევე ეცემოდნენ. ხოგაიმ თვალი შეავლო, გასცდა, შემობრუნდა — ფრენა

შეანელა: ადგილმდებარეობა შეათვალიერა. უფრო დაბლა დაიწია, მიწის მახლობლად დავიდა...

ერთი მონადირე ფეხზე წამოდგა: რაღაც ანიშნა ხოგაის, ეტყველი ალბათ ემცნაურა ხოგაის, მაგრამ...

— ვაჟკაცობის გამჩენო, ეს ხომ...

ხოგაის გული გამკაცრდა, გული მაგრად აძგერდა. თითქოს ჯიხვის რქები დაეჯახაო ქარაფებს.

ნუ, ნუ, ჩემო ხოგაი!

ხოგაი, შენ, გმირი ხარ, გმირი საბჭოეთისა!

ადამიანს დახმარება სჭირდება, შენ კი...

— ვაჟკაცს ვაჟკაცობა შვენის, ჩემო ხოგაი!..

უცნობის ხილვით დაეჭვებული ხოგაი ბურუსს გაუმკაცრდა. ბურუსი იფანტებოდა, მქისდებოდა, აწყდებოდა ქარაფებს, იხერგებოდა უღრანებში. ხოგაის თავზე ბურუსი იშლებოდა, დაბლა ჭაუხები, თოვლით შეგანგლული ფერდოები, პირდაღებული უღრანები, თითქოს დამშეულნი ცდილობენო უჩვეულო სტუმრის სალუკმოდ გახდომას, მაგრამ... გინდაც მოკვდეს ხოგაი, გინდაც ცა დაატყდეს თავზე, დედამიწამ მკერდი გაუხსნას, სირცხვილიანი არ დაადგამს ფეხს საბჭოეთის მიწას...

ხოგაი არწივისებურად ჩაეტანა გამოქვაბულს, უცნობთ ბარგი გადაუგდო: თბილი საცვლები, ტანისამოსი, სანოვაგე, მოკლედ დაწერილი წერილი:

„მხნედ იყავით. კვლავ გესტუმრებით!“

თვითმფრინავმა თავზე გადაუარა მონადირეთ. ღრუბელთ თავზე გაინავარდა და ნელნელა მისწყდა მისი ფრთეთ ჩქამი.

ვაჟკაცობის მადლო, მოუმართე ხელი მფრინავს!

მონადირემ წერილს დახედა. გაიცინა:

— ადამიანისთვის პატივისცემავ!

— საბჭოეთის სიამევ!

იცინოდა ცივი მიდამო.

* * *

დილამ მადლიანად გაუცინა დედამიწას, შუბლი გაეხსნა დაღვრემილ მთებს, და ის იყო მზემ სხივნი გამოაშუქა, რომ მონადირეთ თვითმფრინავის ხმა შემოესმათ. ისინი ხოგაის მოწოდებულ ტანისამოსის სითბოსა და სანოვაგის სინოყივრეს მოესულიერებინა. თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გადადგნენ გამოქვაბულის კარზე და სახემოცინარი ხელების ქნევით მოუახლოვდნენ თვითმფრინავს... თვითმფრინავმა ქარაფებს ჩაუარა, ველად გავიდა, შემობრუნდა, ქარაფების კალთაზე გაშლილ ველს შემოუარა, შემოუარა სალუკმოს მაძებარ არწივივით. წამით შეჩერდა, შავი რამ მოსწყდა მის ფრთეთ, ელვის სისწრაფით დაეშვა ძირს, ცოტა ხნის შემდეგ პარაშუტი გაიშალა ჰაერში...

ადამიანი დინჯად დაეშვა თოვლით დაფარულ სუფთა მოედანზე, ხოლო თვითმფრინავი შემობრუნდა ჰაერში და რამდენიმე წრე გააკეთა დინჯმა, მძლავრხმიანმა...

გაოცებული მონადირენი ერთხანს დაბლა დაშვებულ ადამიანს უჭვრეტდნენ, თოვლში რომ იგანგლებოდა ტანმაღალი, შემდეგ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ.

უცნობი თოვლში ტრიალებდა, ქარაფის კალთას ათვალიერებდა, რამდენჯერმე შემოუარა მას, დაფიქრდა, შუა წრეში დადგა, თვითმფრინავს შეხედა, ხელით რაღაც ანიშნა, წრე გააკეთა თავათაც და განზე დადგა.

თვითმფრინავი, თითქოს შეჩერდაო წუთით, ფრთენი შეძრნა და ნელად დაეშვა...

გაღმა მხარეს ზვავი აქუხდა, თვითმფრინავის ხმაურმა თუ დაძრა დამძიმებული თოვლი, ხეებმა ამოიგმინეს და მონადირეთ თავზე გადაუარა ზვავის ატეხილმა ბუქმა. შემკრთალმა შურთხმა დაიჭყივლა ჭაუხში, ცალი თვალით გაჰხედა თვითმფრინავს და გაჩუმდა. გაჩუმდა ყველაფერი, გარდა თვითმფრინავისა...

თვითმფრინავი სწორედ იმ დროს დაეშვა თოვლ-ყინულით დაფარულ ნატბევზე, როდესაც მონადირენი დაოსებული სახით წარდგნენ პარაშუტით დაშვებულის წინ. უცნობი მაღალი იყო, ცივი იერისა, მიესალმა მონადირეთ და იმავ წუთს თვითმფრინავთან მიირბინა...

თვთმფრინავიდან ხოგაი გადმოხტა, ამოიშქუნა, გახედა მიდამოს და გაიღიმა: ყველა, ყველაფერი ნაცნობი იყო ხოგაისთვის... რამდენჯერ უნადირნია ხოგაის ამ მიდამოში, აი ლიეხები, სადაც მას ჯიხვი მოუკლავს, აი ტბაც, შუნები რომ ჩამოდიოდნენ სასმელად. აი მონადირენიც... ერთი მათგანი ეუცხოვა ხოგაის, მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, შედგა, შედგა უგემურად, სახეზე ფერი გაუკრთა, შემდეგ წამოწითლდა.

— სულაკაურო!.. — გაისმა გატეხილ რკინასავით წკრიალა ხმა.

მოულოდნელობით შემკრთალ სულაკაურს ნაბიჯი დაეძრა, შემდეგ გამამაცდა, გაშორდა მონადირეთ: ხოგაის წინ დადგა.

— ხოგაი!..

ზვავი აქუხდა ჭაუხის შუბლზე და მრისხანედ მინელდა.

— ხოგაი, მხსნელი ხარ ჩვენი!

სამი მონადირე, სამი ვაჟკაცი მისჩერებია ხოგაის.

საჯიხვეებს გახედა ხოგაიმ, გახედა და უამურად გაიცინა.

— შენ გმირი ხარ, ხოგაი!

ეჰ! სულაკაურო!..

— არწივობა დაგილოცოს, ხოგაი!

სულაკაურმა ხელი გაუწოდა ხოგაის. ქარმა ღმუილით ჩაუარა უღრანებს და გაღმა მხარეს დაეჯახა უჩინარი.

ხოგაის თვალწინ წამით გაიქროლა სულაკაურთან შეხვედრის უკანასკნელმა ღამემ, შემდეგ ლელას იდუმალი ხმა შემოესმა: „შენ წახოლ, ახლავე წახოლ, ხოგაი“...

გამწყრალივით შეტრიალდა ხოგაი, ქარმა კვლავ გაღმუვლა საჯიხვეებს, თვითმფრინავმა მძლავრად შებერტყა ბურუსი და მისმა ხმაურმა დაჩრდილა ყველაფერი.

„შენ წახოლ, ხოგაი“!..—იდუმალად ესმოდა ხოგაის ლელას ხმა და მკაცრად მისჩერებოდა უზარმაზარ სივრცეს, ღრუბლიანებში სრულის სისწრაფით მიექანებოდა თვითმფრინავი. ისმოდა: წივილი, სტვენა, ძგრიალი, ყრუ, იდუმალი ძახილი გაურკვეველ ხმათა. უცბად დაყირავდა თვითმფრინავი, ელვის სისწრაფით დაეშვა ძირს. ხოგაიმ ერთხელ კიდევ მიხედა მგზავრებს, მიხედა და უფრო მეტის სისწრაფით დაეშვა ძირს... სოფელს გაუთანასწორდა.

— ლელაი! — იძახოდა მიდამო.

ძახილზე ხოგაი გამოფხიზლდა. ძლივს შესძლო თვითმფრინავის შეჩერება, ალმაცერად შეატრიალა, თავზე გადაუარა სოფელს და ისევ ძახილი: „შენ წახოლ, ხოგაი, ხოგაი, შენ წახოლ!..“

გაცეცხლდნენ ხოგაის თვალები, მაგრამ...

ნუ ხოგაი, ჩემო ხოგაი, ნუ! არ შეგშვენის თავდავიწყება!

სულაკაურმა იდუმლად გადახედა ხოგაის, შეაჟრუოლა ფერმკრთალი: წინ ხოგაი, მაღლა სივრცე, დაბლა თვალუწვდენელი სიდაბლე დედამიწისა...

ჰოი, ხოგაი...

ცა კიოდა, ჰაერი წივილად ქცეულიყო და ნაცრისფრად ჩანდა ატორტმანებული დედამიწა.

ხოგაიმ მზერა გაუსწორა სულაკაურს.

— ჩვენ მოსისხლენი ვართ, სულაკაურო!

ჰაერმა უფრო მკაცრად დაიწივლა, თანაბარი ძგრიალი გაისმა, ღრუბლის ნამსხვრევებმა გაირბინეს და ცა და დედამიწა დატრიალდა:

ხოგაის თვითმფრინავი ელვის სისწრაფით მიჰქროდა ჰაერში.

* * *

პატარა ქალაქის ბოლოს თავმოყრილი ხალხი მისჩერებოდა თვითმფრინავს. ალისფრად მოსჩანდნენ დროშები ჰაერში. მტრედის ფრთებივით ფრიალებდნენ ცქრიალა გოგოების ცხვირსახოცები...

— ხოგაი!

ძირს დაეშვი, ჩემო ხოგაი...

— გაიხარე, ვაჟკაცის გულო!

ხოგაის თვითმფრინავი თავს დასტრიალებდა ხალხს...

ჰოი, ხოგაი!

იქნება ლელა გელოდება ხოგაი!

ან იქნება ნინო დგას ხალხში და ელიმება!

ფერი რად შეგეცვალა, ხოგაი, ჩემო ხოგაი, რამ დაგალონა?

ხოგაიმ სულაკაურს გადახედა, ერთხელ კიდევ შემოატრიალა თვითმფრინავი და ნელა დაეშვა...

სალამმა ფოთოლთ შრიალივით გაითამაშა თოვლდაფენილ მოედანზე.

მძიმედ ამოისუნთქა ხოგაიმ.

— სამშობლოს მიწავ! უტკბილესო მიწავ საბჭოეთისავ! — ფეხი დასდგა მიწაზე ხოგაიმ და მოეჩვენა: მთელი დედამიწა ზანზარებსო, მოზვავებული ხალხი აწყდებოდა გარშემო. ხალხს სურდა ეხილა საბჭოეთის გმირი, ხოგაი...

— შენი გული გაუტეხელი რკინა ხომ არ ყოფილა, ხოგაი!

— თვალი არწივისა ხომ არ გჯდომია, ვაჟკაცო?

— აგრემც იდღეგრძელებს, ვაჟკაცი ხოგაი!

მოხუცმა დიაცმა გაუწოდა ხელი ხოგაის. ხოგაი დაიხარა: შუბლზე აკოცა დიაცმა:

— შენფერი შვილები გაეზარდოს ქართველ დედებს!

ამ დროს ხოგაიმ თვალი მოჰკრა ქალების ჯგუფში მდგომ შავტანისამოსში გამოწყობილ ქალს და ჟრჟოლამ გაუარა: ლელა შავ ბაღდადს იფარებდა სახეზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლელაც მოსულა!

სულაკაურს ელოდებოდა ლელაი...

— ხოგაი! — ხელით ვიღაცა შეეხო ხოგაის.

ხოგაიმ ნელად მიხედა: გაცრეცილი, ნაცივარი სულაკაური იდგა მის მახლობლად.

— მასპინძლობას მაღირსებდი, ხოგაი!

— შენთან სტუმრობა სიხარული იქნება, მაგრამ...

ერთადმყოფთ ლელა მიუახლოვდა: ქმარს ტკბილად გაუცინა, სახე მჭრალმა ხელი გაუშვირა ხოგაის და ხოგაის ღონიერ ხელში ათრთოლდნენ ლელას თითები. შეხედა ხოგაიმ.

— ხოგაი... — ძლივს გასაგონი ხმით სთქვა ლელამ.

მუსიკის ძლიერმა ხმამ გაითამაშა ველზე და გაჰქრა. ხალხის ტალღა მოზვავდა ხოგაის გარშემო დ გაიყოლია.

„შენ წახოლ, ხოგაი!“ — ამოიკითხა ხოგაიმ ლელას მზერაში.

— ხოგაი!

— ხელი მოგიმართოს!

— სამი ვაჟკაცი შენგან ვცოცხლობთ!

საბჭოეთი! — იცინოდა ცივი მიდამო.

ხოგაი ყურადღებას არ აქცევდა მონადირეთა ხვეწნა-მუდარას, ხალხის ხმაური, მოღიმარი სახეები და ყვავილთ თამაში ფარავდა ყველაფერს...

მშვიდობით, სულაკაურო, შენც, სახე სევდიანო ლელაი, და მონადირენო...

— ხოგაი შენ წახოლ! — იღიმებოდა სახესევდიანი ლელაი.

იქნება ტიროდა ლელაის გული...

ან იქნება...

ხოგაის კი... ხოგაის ცა უძახოდა, სამშობლოს სადარაჯოზე მისწევდა გული...

— მშვიდობით, ლელაი...

* * *

თვითმფრინავმა საღამოს ჟამს გადაუარა ცივგომბორს თავზე. ვაზიანში თვითმფრინავი შემოეგება. დედალ-მამალ არწივებივით გაითამაშეს და თბილისისკენ აიღეს გეზი. ორჯერ მიუახლოვდნენ ურთერთს, გაუღიმეს.

— ნინო! — შრიალებდა ლაქვარდი...

იმ დღეს მრავალი ყვავილი გაიყიდა თბილისის მაღაზიებში და ასოთამწყობებმა ათასჯერ ახსენეს ხოგაის სახელი.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ძიგვაშვილი

წერილი

თქვენ, საქართველოს ერთგულ ქართველებს,
საქართველოზე შეყვარებულებს
ბედნიერ გზებში ღამის გამთევებს,
ულრუბლო ცისქვეშ შეფარებულებს
ვაჟკაცს, მთის წყაროს აქ რომ გაზარდა,
დღეს კი ზღვებს იქით რომ გაჰყიჟინებს,
ქართველ მეომარს სადმე ხასანთან,
სადმე ტულაში ქართველ ინჟინერს —
მე მინდა გითხრათ ისე უბრალოდ
როგორც არ მითქვამს ჯერ არასოდეს —
რომ ყველაზე წინ თავისუფალი
დიდი სამშობლო უნდა გვახსოვდეს.
უნდა გვახსოვდეს ერთხელ ტანჯული
აწ კვლავ აღმდგარი ხალხი გამზრდელი,
მისი ნანინა და კრიმანჭული,
მისი ნათელი გზა დღევანდელი.
გვახსოვდეს, რომ ჩვენც ფართოდ გადაშლილ,
შრიალა მუხის გვადგა ტოტები,
ყრმობის უხსოვარ, ველურ ხანაში
არწივი იყო ჩვენი ტოტემი,
ჩვენი სახელიც გავდა ქვის კედელს,
მძლავრი სახელი — ვეფხვა, უშიშა,
და კერის ერთგულ ჩვენს ქართველ დედებს
შვილები ვერვინ გადაუჯიშა.
მაშ დღეს ის კერა სხვამ რომ გასთელოს,
სხვამ რომ შებღალოს ჩვენი დიდება —
გაგვკიცხავს ძმებო ეს საქართველო,
ეს ტკბილი დედა აგვიტირდება.
მაშ თქვენც შორეთშიც ნუ შეშინდებით,
გწამდეთ, რწმენაა ძლევის თავდები,
არ შეკრთეთ, როგორც ეს ჩვენი მთები,
თეთრი თმებით და ლურჯი ნაბდებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ბრძოლას ხელი ავაღეთ,
არ გვეყო მტერთან გაბედულება, —
გახსოვდეთ, ჩვენი თეთრი არაგვიც,
ჩვენი მყინვარიც დაგვემდურება,
შინ მოსულთ სახეს არ დაგვანახვებს
და შავი ნისლით დაიბურება...

* *

აწ კი გულისთქმით თქვენაც მოგმართავთ
ჩემი სამშობლოს ქალნო ლამაზნო —
თქვენ რაც რუსთველმა ეშხი მოგმადლათ
ათას წლის სუსხმაც ვეღარ დააზრო.
მაშ კვლავ გახსოვდეთ უცხო მხარეშიც
იმ უკვდავ ყალმით გადახატული
დიდი დედები — ნესტან-დარეჯან,
თინათინი და ფატმან-ხათუნი;
გწამდეთ ნაქები პატიოსნება —
რომ კრძალვით შედგეს თქვენ წინ მნახველი,
რომ უმანდილო მანდილოსნებმაც
არ შეურცხვინოთ დედებს სახელი,
რომ კვლავ ეტრფოდეთ მტკიცედ, უზადოთ,
სიყვარულს მტრობამ ვეღარ აჯობოს
და ისევ ბევრი გამოუზარდოთ
კარგი შვილები ჩვენს დიდ სამშობლოს.

* *

თქვენ, საქართველოს ერთგულ ქართველებს,
საქართველოზე შეყვარებულებს,
ბედნიერ გზებში ღამის გამთევებს,
ულრუბლო ცისქვეშ შეფარებულებს
ვაჟკაცს, ნიავმა აქ რომ გაზარდა,
დღეს კი გრიგალში რომ გაჰყიჟინებს,
ქართველ მეომარს სადმე ხასანთან,
სადმე ტულაში ქართველ ინჟინერს —
გახსოვდეთ ძმებო, სიტყვა „სამშობლო“
არ არის უქმი მარადისობა:
ეს ისევ თქვენ ხართ, მისი ბავშვები,
და მისი ძალაც თქვენში იცნობა.
მაშ თქვენც გიყვარდეთ, ყველას გააცნეთ
ჩვენი ფშავი თუ ჩვენი სვანეთი.
ჩრდილოეთ ძმათა გული დაატკბეთ
ჩვენი ქართული „გენაცვალეთი“.
სთქვით, რომ კვლავაც ვზრდით ვაჟებს დევგმირებს
და ალბად ელვაც დაიჩრდილება —
ერთი ღიმილით ცას რომ შეჰღიმონ
ჩვენი მინდვრების ქალიშვილებმა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ ვაჟკაცურად გაჰკვეთეს კლდენი
და ვრცელ გზას ადგას ჩვენი დროება,
მათ გაამაგრეს საზღვარი ჩვენი —
ჩვენი სიმძლავრის უსაზღვროება.
... და ასე, თხრობა როცა დაიწყოთ
ჩვენს ბედზე ამგვარ ზღაპრულ ამბავთა —
ძმებო, ის მიწაც არ დაივიწყოთ,
ის სახლი — ხალხთა მზე რომ დაჰბადა;
არ დაივიწყოთ ის ფუძე მყარი —
ყრმას რომ გვიზრდიდა თვალმარგალიტსა,
გვერდით, ლურჯ ველზე გაჭრილი მტკვარი —
თეთრი ქამარი თამარქალისა;
არ დაივიწყოთ, ყველას უთხარით —
ტრფობით ანთებულ გრძნობა-გონებით —
როგორც ბაღისკენ ილტვის ფუტკარი,
აქეთ ილტვიან მილიონები;
უთხარით ყველას — რაც უნდა მოხდეს
თვით იგრძნონ ის მზე, ის ლურჯი წყალი,
უთხარით ყველას — ისე არ მოკვდნენ,
იმ უკვდავ სახლს რომ არ დაჰკრან თვალი!...

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უიარალო

მაძიებელნი*)

10

შაბათს, შუადღისას, ფარნა თოხიტარია დაპირებისამებრ მიეჩქარებოდა. ცხენი დაღლილი იყო, ძლივს მიჩანჩალებდა. წისქვილს მიუახლოვდა. წისქვილის წინ, მაღლობზე მაძინია მეწისქვილე იდგა და დაფიქრებული მაღალი სიმინდით დაბურულ მიდამოებს ათვალიერებდა. ფარნამ ახლოს გაუარა და ტკბილად გამარჯვება უთხრა.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბატონო! — ტკბილადვე მიუგო მაძინიამ.

— ასე რამ დაგაფიქრა, ჩემო მაძინია? — ჰკითხა ფარნამ და ცხენი შეაჩერა.

— ცოლთან ავიშალე, კინჩხ-მოსატეხთან! — დინჯად გაეხუმრა მაძინია.

ფარნამ ჩაიცინა. მოდი ცხენს ამას მივაბარებ, გაიფიქრა მან. ცხენ-და-ცხენ მისვლა დანიშნულ ადგილას შეუძლებელი იყო.

— რა გითხრა, მაძინია! — ალერსიანად შეეკითხა ფარნა.

— ბრძანე, ბატონო.

— ბრძანე კი არა, სათხოვარი მაქვს შენთან: ამ მტვრიან გზაზე სიარულით, რაღა დაგიმალო, სწორედ გავჭუჭყიანდი; ერთი ტანი მინდა დავიბანო და მიყავი სიკეთე, მანამდი ეს ცხენი სადმე მიბალახე. ძალზე მშიერია საწყალი და თუ არ დავასვენე, ფეხსაც ვერ გადადგამს.

— ბატონი ბრძანდები, თუ გინდა ცხენსაც გიბანავებ.

— ბანაობა კი არ უნდა, გუშინ აბანავეს ბიჭებმა, ბალახი უნდა, ბალახი, მაგრამ სადა გაქვს, არ ვიცი, საბალახო ადგილი? ამ წისქვილის წინ, ჩემო ძმაო, საბალახო კი არა, ისეა მოტრუსული, ენა მოავლო, მგონი მტვერიც არ აგყვეს.

— ის მაძინიამ იცის, აქვს თუ არა საბალახო.

— ბაწარი გაქვს?

— მაქვს მაშ, სიდედრი რომ მომიკვდეს, აბა, თავი რით უნდა ჩამოვიხრჩო?

— მაშ, შენი ჭირი შემაყაროს, ჩემო მაძინია, და მეც... — მოიბოდიშა ფარნამ და ცხენიდან ჩამოხტა.

— საბრალო ცხენი როგორ გაგიოფლიანებია! — თანაგრძნობით სთქვა მაძინიამ. —ქალაქებში მცხოვრებლებმა არ იცით ცხენის მოხმარება. ახლა მაგას უნაგირი დაუყოვნებლივ უნდა მოხადო, თორემ დაშავდება და თუ ერთხელ

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 4.

დაშავდა, მისი მორჩენა ტყვილია! მორჩენა გგონია, დაადგამ უნაგირს, ისევ გვერდი აუსივდება, — ამ სიტყვებით მაძინიამ უნაგირი მოხადა, ცხენს, გავაზე ხელი გადაუსვ-გადმოუსვა და მარდად ზედ მოახტა, — ეჰ, გუშინ, შემარვია სიბერე! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან და აღვირი მოზიდა. ცხენი ერთხანს შედგა და მერე სწრაფად გაუდგა გზას.

— თო, თო! — გაიკვირვა ფარნამ. — ჩემთან რომ ეს წყეული, რამდენი არ ვურტყი, ფეხსაც არ ანძრევდა...

— მაძინიამ იცის მაგისთანები, — სთქვა მაძინიამ და ცხენი შემოატრიალა. — განა ყველაფერი თქვენ უნდა იცოდეთ? თქვენი საქმეა არშინი, ოყა და რაც შეიძლება მეტი ტყუილი. ტყუილი, ბაბა, ვაჭრობის კირივით გამამაგრებელია.

— ხა, ხა, ხა! — ჩაიცინა ფარნამ. — შენ კი არავის არ ატყუილებ, მაძინია?

— აბა ერთი მიჩვენე, ვინ არ ატყუილებს ახლანდელ დროში, დიდი, პატარა, ერი, ბერი... ვინც ხერხიანი ტყუილი იცის, ქვეყანაც მისი სახრავია და ვინც არ იცის, სასმელ წყალსაც ვერ იშოვნის. არ ვატყუილებ კი არა, ისე ვატყუილებ, როგორც ლამაზი ცოლი მოხუცებულ ქმარს.

ფარნამ გადიხარხარა.

— მაშ, მე ეხლა შემიძლია საბანაოდ წავიდე?

— ღმერთმა გაამოს და ჩიტებიც დაგაჭერინოს.

— რომელი ჩიტები?

— რომელი იქნება! ჩიტები, როგორც მოგეხსენება, ყველა ორფეხიანია, მაგრამ ზოგი ფრთებით დაფრინავს და ზოგიც თვალებით.

— ოო! — წამოიძახა ფარნამ, საჩქაროდ სიმინდებში შევიდა და დანიშნულ ადგილისაკენ გაეჩქარა. სიმინდებში ფრთხილად მიდიოდა, თუმცა ხანდისხან ძალაუნებურად ბელტებს წააწყდებოდა და სიმინდის ღეროს დაეტაკებოდა, რომელიც თავის მხრივ შრიალს მოახდენდა ხოლმე.

სიმინდები მშვიდობით გაიარა და ქუჩუმელა ძეწნას გულის თახთახით მიუახლოვდა. იქაც არავინ დახვდა. ბასილის სახლისაკენ ჯერ მორიდებით, მერე თამამად მიიხედა და ერთი-ორი ნაბიჯი კიდევ წარსდგა წინ.

— კა, კა, კა! — მოისმოდა კრუხის კაკანი ბასილის ეზოდან. — ჭვიტ, ჭვიტ, ჭვიტ! — დაიჭყივლა კვინჩამაც მახლობელ ტყეში.

ფარნა ძეწნის ძირში ჩამოჯდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც იმ ღირსსახსოვარ დღეს იყო წამოწოლილი. ფარნამ ლოდინი დაიწყო: მცირეოდენი ტკაცუნ-შრიალი ბასილის სახლიდან მთელ მის გულისყურს იქცევდა.

უეცრად ფოთლებში რაღამაც შრიალი მოადინა. ფარნას გააჟრჟოლა, საჩქაროდ მიიხედა. ხშირი თხმელონიდან ბეღურები ჭივჭივით გამოფრინდნენ. ერთი წინ მიჰქროდა, სხვები კვალ-და-კვალ მისდევდნენ. „ჭივ-ჭივ!“ — იძახდა მოწინავე, ხან ალმა ასხლტებოდა, ხან დალმა დაინავარდებდა და ცის ლაჟვარდში ოსტატურად ცურაობდა.

„ამ ერთიბეწო არსებებს შორისაც არის, ალბათ, შური და მტრობა. ესენიც, ალბათ, გრძნობენ სიხარულს და სიმწუხარეს, სიძულილს და სიყვარულს“, — გაიფიქრა ფარნამ და ისევ ღობისკენ მიიხედა, მაგრამ არავინ სჩანდა.

„სწორედ დამიგვიანდა. ალბათ, მოვიდა და რაკი ვერ მნახა, ცოტას მოიცდიდა და ისევ წავიდოდა, — ნაღვლობდა ყმაწვილი კაცი. — ძალიან ცუდად

მომივიდა, მაგრამ რას უზამ მაგ ნავრად და ოხრად დასარჩენს, რომ თავს დროზე ვერაფერი გზით ველარ დააღწევ! განა არ მოვდიოდი დროზე? მაგრამ ოჯახ-დაქცეულმა ბიჭიამ გამაჩერა. რომ ვთქვათ, იმას რაღა ბრალი ქვს, ჩემთვის სასიხარულო საქმისათვის დამარჩინა... მადლობელიც უნდა ვიყო... ვსთქვათ, ორასი ბიჭიასი, — ფიქრობდა ახალგაზრდა ვაჭარი: — ასოცი მისი ძმის, ორ-მოცდაათი მისი ბიძის, ესეც სამას სამოცდაათი. კარგი! ახლა მათი მეზობლის ასი, ესეც ოთხას სამოცდაათი, თითქმის ხუთას ფუთამდე. აგაშენა ღმერთმა! მარტო საათნახევარი დრო დავკარგე და ოცდახუთი მანეთი ნაღდი წმინდა მოგება. ეს სულ, უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ჯიბაშია. მეტი რაღა გინდა? ღმერთმა თუ მშვიდობა ქნა და ამ ერთ წელში...

— ჭვიტა? — მოესმა ამ დროს ქალის ნაზი ხმა თითქმის ცხვირწინ.

ფარნა შეკრთა და ასადგომად მოემზადა, მაგრამ ტასიამ მხარზე ხელი დაადო და მიწაზე დაამაგრა..

— ბევრი ხანია, რომ მიცდი?

— არც მაინც და მაინც.

— მე მესამედ მოვედი ახლა, პირველად კარგა ხანი გიცადე, მაგრამ შენ გამოჩენას არ ველირსე.

— ოხ, ღმერთო მომკალი! მერე შინაურების არ შეგეშინდა? არ გკითხეს, სად მიდიხარო?

— ვის უნდა ეკითხა, სულიერი ადამიანი, ჩემს გარდა, დღეს შინ არავინაა. დედა და ბაბა სატირალში წავიდნენ. ძუკუ წუხელ, მგონი, შუადამეზე დაბ-რუნდა, დღეს შეიძლება სულაც არ დაბრუნდეს. ირინემ თავის ბიძის სახლში წასვლა გააპირა და მეც სიამოვნებით გაუშვი...

— მოჯამაგირე ბიჭი?

— ვინ? ჩვენი ივაკია? ვაი მისი ცოდო! სად ცალია ივაკიას, ათასი საქმე აქვს, დარბის საწყალი, დაჩანჩალობს, თავს არ ზოგავს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოიმადლიერა, ყველა უკმაყოფილოა.

— მე ძლიერ უკაცრავად ვარ, — ბოდიშით გააწყვეტინა ფარნამ, — სამჯერ კი ყოფილხარ. ვერ მოვიცალე, ეგ ოხრად-დასარჩენი, საჩქარო საქმეა. დროზე თუ არ შესრულდა, ზარალი ზარალია და ჩემ აღას ჯარიმაც გადახდება...

— შენ როგორმე საქმე არ გაიფუჭო და დაგვიანება არაფერია, — თანაგრ-ძნობით მიუგო ტასიამ. — შეიძლება ახლაც არა გცალია, ჩემი გულისთვის საქმე არ წაგიხდეს. მე ერთი-ორი სიტყვა მინდოდა შენთვის მეთქვა...

— არა, არა, არაფერია, ახლა მე არ მეჩქარება: ამ შუადღეზე, მართლაც და, რკინა ხომ არა ვარ, ცოტა დასვენება მეც მინდა და ცხენი თუ არ დაასვენე...

— მართლა, — გააწყვეტინა ტასიამ, — ცხენი რა უყავი?

— ცხენი მაძინიას მივაბარე!

— მაძინიას? — უკმაყოფილოდ თვალები დააჭყიტა ქალმა.

— ჰო, მაძინია მეწისქვილეს, ვითომ რაა?

— მერე სად მივდივარო, უთხარი?

— ფიქრი ნუ გაქვს, ასე და ასე მივდივარ-მეთქი, ხომ არ ვეტყოდი!

— ეჭვი არ აიღოს რამე დასალუპავმა, თორემ მთელ ქვეყანას მოსდებს და მაშინ უყურე...

— არა, ფიქრი ნუ გაქვს, — ალერსით უთხრა ფარნამ, მოსიყვარულე თვა-ლები დააშტერა და ქალის ხელი ფრთხილად ხელში დაიჭირა.

— იმ დღესებურად ხელი არ მატკინო, — ნაზად უთხრა ტასიამ.

— ოხ, უკაცრაოდ! — მიუგო ფარნამ და საჩქაროდ ხელი გაუშვა.

— ხელი გამიშვი-თქვა როდი გითხარი! — სიცილით შეხედა ქალმა და თვითონ გაუწოდა ხელი. ვაჟმა მოწიწებით პირთან მიიტანა გოგოს ფუნთუშა ხელი და რამდენჯერმე ზედიზედ აკოცა, მერე გულზე მიიკრა, ქალი კი ძირს დახრილი, დაფიქრებული უყურებდა.

— ტასია, გიყვარვარ? — ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა ვაჟმა.

ტასიამ მოსაყვედურე თვალებით შეხედა. ფარნამ ხელი წელზე მოხვია და თავისკენ მიიზიდა. გოგო არ ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს ერთმანეთს მაგრა ჩაეკონნენ.

— კარგი, დამშვიდდი, ფარნა, — მიმართა ბოლოს ტასიამ. — მე, იცოდე, კიდევ გეტყვი, მიყვარხარ. არავისზე მე შენ არ გაგცვლი, დარწმუნებული იყავი.

ფარნამ კვლავ ხელი დაუჭირა და ხარბად გადაუკოცნა.

— კარგი, ახლა მითხარი, შენი საქმე როგორ მიდის?

— ჯერჯერობით კარგად, თუ ღმერთმა ქნა და ეს საქმე დავაბოლავე, გვარიანად გავიმართავ წელს: კონსტანტინე მოგების ნახევარს დამპირდა, ჩემი ჯამაგირიც ჯამაგირად დარჩება და...

— ეცადე, ეცადე. შეიძლება ახლა მე გაცდენ?

— არა, მაცდენ კი არა, ერთი წუთი შენთან ყოფნა ჩემთვის დაუფასებელია.

— ოჰ, ფარნა, შენ არ იცი ქალის გულის ამბავი, — მტკიცედ უთხრა ტასიამ, — მე შენზე უფრო მიღელავს გული, მაგრამ, რა ვქნა, ვითმენ და კიდევ მოვითმენ. ხომ გახსოვს სევერიანესთან რომ ვკითხულობდით: ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასო. მასწავლებელმა ქალმაც ბევრი რამე დამასწავლა, ეხლაც რამდენ წიგნს მიგზავნის. მართლა, შენ ძლიერ გიყვარდა წიგნის კითხვა, იქ ბევრი გექნება...

— ჰაი, ტასია, რა ადვილად ლაპარაკობ! წიგნის საკითხავად სადა მცალია, ერთი წამის მოსვენება არა მაქვს. დილიდან შუაღამემდე სულ ფეხზე ვდგევარ ან აქეთ-იქით დავრბივარ. მთელი მაღაზია ჩემ თავზეა. ბიჭებსაც თვალყური უნდა ვადევნო, მუშტარსაც უნდა ვეღრიჯო, ანგარიშიც უნდა ვწერო. ერთი-ორი წლის შემდეგ შეიძლება ცოტა მომეშვეს და მაშინ მეც არ დავაყოვნებ. ახლა მხოლოდ გაზეთს ვკითხულობ და რა კარგია, რომ იცოდე, გაზეთის კითხვა? ქვეყანაზე რაც ამბები ხდება, ყოველდღე გაიგებ...

— მე მინდა წერილები მოგწერო. შენ გარდა, სხვა ვინმე ხომ არ გახსნის? — გააწყვეტინა ტასიამ.

— რავა შეიძლება, პირდაპირ მე მომივა. მე კი ვერ მოგწერ?

— მომითმინე, სანამ მე არ მოგწერო. ჯერ მასწავლებელ ქალს მოველაპარაკო და მაშინ შეგატყობინებ, როგორც უნდა მოიქცე.

— მასწავლებელი ქალი? — იეჭვა ფარნამ.

— მასწავლებელი ქალის გეშინია? არა, ის საიმედოა, პატიოსანია. მეც გოგონა არა ვარ, მეცხრამეტე წელში ვდგევარ. მე ყოვლისფერს მოგწერ და როგორც მოგწერო, ისე მოიქეცი. ახლა, იცი, რა გითხრა...

ამ დროს ხშირ სიმინდში ვიღამაც მიაკიჟინა.

ახალგაზრდები გაფითრდნენ.

— აქეთკენ ხომ არ მოდის ვიღაცაა? — სთქვა შეწუხებული ხმით ტასიამ.

— რა ვიცი, დასწყევლა ღმერთმა!.

— თუ ერთად გვნახა, შენი მტერი... შენი ჭირიმე, ფარნა, ... წავალ, რა ვიცი, ეშმაკს თვალი დაუდგება!

ერთმანეთს განშორდნენ, ტასია ეზოში შევიდა, ფარნა კი — სიმინდებში.

— ნახე თუ არა? — მოისმა ისევ მაღალი ხმა.

პასუხი ძლივს აღწევდა ფარნამდე. ბავშვის ხმას ჰგავდა, მაგრამ რას ამბობდა, გარკვევით არ ისმოდა.

ფარნა ფრთხილად მიდიოდა სიმინდებში. წისქვილის წყალში ხელ-პირი დაიბანა, თავიც დაისველა, რომ ტანნაბანს დამსგავსებოდა და შუა სიმინდში მიმავალ გზაზედ გავიდა. იქ, გზის პირად, იმავე სოფლელი, გლეხი ივა ბურთია შენიშნა. იგი რქებზე ბაწარ-მობმულ ხარს გზის პირად აძოვებდა.

— ყვე, დაილოცა შენი სახელი! ეს აქეთ სად ყოფილა? — გაიკვირვა ივამ. — შე დამწვარო, გოგო ხომ არ გყავდა მოპრიანებული? არ დამღუპო კაცი და ყანა არ გამიუპატიურო, თორემ თუ ღვარი მოვიდა და სოფელი გაასწორა, ათასობით კი არა, ძლიერაც რომ მოინდომო, ასობითაც ვერ იყიდი სიმინდს.

ფარნა გაწითლდა. ბედზე ივა შორს იდგა მისგან.

— სად არის, ჩემო ძმაო, ასე ოხრად გოგოები? სიმინდებში კი არა, სახლებშიაც სანთელით ვერ მოსძებნი! — მშვიდად მიუგო ფარნამ.

— ჰეი გიდი! რჯულძაღლი სადაა აღლაკი? თორემ არ არის კი არა, ისეთებია, რომ... — ხალისიანად, მოკლე წვერ-ულვაშზე ხელის ჩამოსმით მიუგო ივამ, დაგლეჯილი კრავის ქუდი მოიხადა, ჭუჭყიანი თავი ძალზე მოიფხანა და ქუდი ისევ დაიხურა. — ეხ, არ არის კი არა, ზოგიერთი ისეთია, როგორც მზე და მთვარე ერთმანეთში არეული... აქვე, ახლოს, — გაიშვირა ხელი ბასილის სახლისაკენ, — ერთი ისეთი მტრედია, კალამ ხანტილიო[1]) რომ იტყვიან, სწორედ ისაა. მაგას თუ ხელი წაავლე, ძმაო, მერე ოხრად დარჩეს შენი ყანაც და შენი ბოსტანიც!..

„ამ კაცმა ხომ არ დაგვზვერა, ნეტავი? — შიშით გაიფიქრა ფარნამ და ერთ წუთს საშინელი სიძულვილი იგრძნო ამ კაცისადმი, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ ის უდანაშაულო იყო. ივა მხოლოდ ისე ლაპარაკობდა.

ფარნა მიუახლოვდა. უცნობის დანახვაზე ხარმა თავი მაღლა აიღო და გაკვირვებით შეაჩერდა ფარნას.

— კაცო, ეს ხარი ხელში რად გიჭირავს? — დაეკითხა ფარნა.

— აბა რა ვუყო?

— გაუშვი.

— სად?

— მინდორში.

— რომელ მინდორში?

— საცა მინდვრებია, ყველგან! — ფარნამ ხელი სვრებისაკენ გაიშვირა.

— მერე იქ რა სჭამოს? გვიმრა? ეჰ, ჩვენი ცხოვრება! ასეთ ტანჯვას, მართლაც და ღმერთი გამიწყრეს, თუ სიკვდილი არ სჯობდეს. ერთი ეს და მეორე ამისთანა მოზვერი ახლახან ვიყიდე. ორივე თუ ასე ხელში არ დაიჭირე,

[1]) კალმით დაბატული.

შიმშილით მოკვდება. საბალახო, საბალახოა, საყანეც ნაკლებადა გვაქვს. სადაა, ბატონო? სოფელი აივსო. ახლა ზოგიერთები რომ ესახლებიან, ესეთ ადგილას კაცი კვამლს გაუშვებდა, არ მეგონა. აბა, რა ქნას [illegible] ცაში ხომ არ გაფრინდება?

— მოსავალი კი რიგიანია წრეულ, თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა? — გააწყვეტინა ფარნამ.

— თუ ღმერთმა არ მოგვიძულა და ერთი-ორი კვირა ასეთი დარები დაიჭირა. მაგრამ რა გინდა: დღე და ღამე არ გაგაჩნია. სულს და ხორცს ყანაში სტოვებ და შენი მარტო ნახევარია. რაც მე წრეულს მიწები დავამუშავე, — რიხიანად სთქვა ივამ, — ყველა ჩემი რომ იყოს, რა მიჭირს! მტერსაც გავუძლებ და მოყვარესაც, მაგრამ ნახევარით რა გამოვა. აი მარტო ეს იყოს ჩემი საკუთარი, — ივამ ხელი წისქვილის წყლისკენ გაიშვირა. — ხომ ნახე მაღალი სიმინდი, დიდტაროებიანი? მაშინ შეიძლება ეს პერანგიც გამოიცვალო.

— შენი დამუშავებულია?

— ჩემია, ადგილი კი ბასილისაა. სამი ქცევა ადგილია იქ, მე რომ ვამუშავებ. ის სამი ქცევა ჩემი იყოს და რაც ხანი მაქვს, შუაში გამიყოს. სალაპარაკო არაა, თუ რიგიანად დაამუშავე, სამასი ფუთი თუ გინდ ხელში გქონდეს, ისეთი მიწაა. კიდევ იმ მიწით მიდგია სული.

— მაინც რჩეული მიწები აქვს ამ ბასილს, — სთქვა ფარნამ. — ზოგიერთს, ძმაო, ასეთი მიწების სანახევროდ შოვნაც უჭირს. შენ ბედი გქონია, თორემ მე მახსოვს ამ მიწის გულისათვის ერთი-ერთმანეთს აკლავდენ...

— ვმუშაობ, ბატონო, რაც შემიძლია, ჯაფას არ ვაკლებ, მაგრამ მიწის პატრონი კი სხვანაირად ფიქრობს, და არ ვიცი, მე და მაგას როგორ მოგვივა საქმე. თუ იმდენი უსინდისობა იხმარა და წამართვა, ქე მაინც თავის ხელით ყელი გამომჭრას და ის იქნება! ღმერთი არ იცის: ადგილი ჩინებულად დამუშავებულია, ჩალა-სიმინდს ნახევარს უკლისად ვაძლევ, სხვა რა უნდა? — ამბობდა ივა.

მაგრამ აქ ფარნამ სიტყვა გააწყვეტინა ენაწყლიან ივას, გამოემშვიდობა და თავის გზას გაუდგა.

— ჩემო მაძინია, მაგიერი პატივისცემა როგორ გადაგიხადო? — ეუბნებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ ფარნა მეწისქვილეს და მართლა რომ მაძღარ და რიგიანად დასვენებულ ცხენს სიამოვნებით ათვალიერებდა.

— ეს რა დიდი პატივისცემაა, შე კაცო, მე პატივისცემად ისიც მეყოფა, რომ შენ ასეთ კაი ბიჭს გხედავ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ძლიერ მოხარული ვარ, ვხედავ, რომ წარმატების გზას ადგიხარ. ეხლანდელ ამბებს რომ ვუკვირდები, — მცოდნე კაცის კილოთი გააგრძელა მაძინიამ, — სულ სხვა დროებაა მოსული. მოგიკვდეს მაძინია, თუ მაგას სხვაზე ნაკლებ ან თვალი, ან ყური უჭრიდეს, მაგრამ უბედურად გაჩენილი კაცის საქმეს რა გამოაკეთებს? პატრონი რომ მყოლოდა, შეიძლება მეც კაცური კაცი გამოვსულიყავი. მაგრამ ეშმაკებთან გავიზარდე და ეშმაკებთან, აბა რა სახეიროს დავისწავლიდი! ჩემზე ბევრი რამე გექნება გაგონილი. ტყუილსაც ურევენ, მაგრამ ბევრი მართალიცაა. კაცი არ მომიკლავს, — მადლობა უფალს! — დაჭრით და გალახვით, რითაც გინდა — ხმლით, ხანჯლით, თოფით, ხელით, ტუკით, ანგარიში არაა. ეს სამოძღვროსავით მითქვამს შენთვის. სხვა, ქურ-

დობას რაც შეეხება, ეს ხომ სათქმელი არაა. ჩემი მოპარული ცხენები, ხარები და ძროხები ერთად რომ მოაგროვო და ამ სიმინდებს შეუსვამ, ორი საათის განმავლობაში, მგონია, ერთი ღერი საწამლოდ ვერ ეძებნა — რა არ გამომიცდია, რა არ გადამხდენია. საათობით წყალში ვმჯდარვარ... ისე არ მექნა ახლა ან ციმბირში ვიქნებოდი, ან ორნახევარ ადლ მიწის ქვეშ...

ისინი წისქვილის წინ მუსაიფობდნენ. ფარნა შეკაზმული ცხენის გვერდით იდგა, ცალი ხელი უნაგირზე დაედო, მეორეს ფაფარზე უსვამდა. მაძინია კი ფარნას პირდაპირ მაღლობზე იდგა.

წისქვილიდან ვიღაცა დაკონკილ ტანსაცმელში, ფეხშიშველი, თმა-წვერ აბურძგვნილი, შავ-შავი კაცი გამოვიდა და მაძინიას მოუთმენლად მიუბრუნდა.

— დიდი დოლაბი ჩამოვიდა, წინა გიორგის მადლიგე, ეხლა ჩემი დამაყრევინე!

— კარგი, კარგი დააყარე, იცოდე, მეორეჯერ დოქით თუ მაჭარი არ მომიტანე, ისე არ დამენახო! — მიუგო მაძინიამ და ისევ ფარნას მიუბრუნდა: — ამას იმიტომ გეუბნები, ფარნა, რომ შენ თუმცა ჯერ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ამ თავითვე გეტყობა, სახეირო გზას ადგეხარ. მე აქ იაქესავით ვდგევარ, არც ერთი, სულ უბრალო წვრილმანი ამბავიც, რაც სოფელში მოხდება არ გამომეპარება. მთელი სოფელი აქ იყრის თავს და თავის ჭირ-ვარამს და გულის დარდებს ამ ჩემ ოღრო-ჩოღრო კერას უზიარებს. შენზე ბევრს კარგს ლაპარაკობენ, ხშირი ქება მესმის. ღმერთმა იცის, მესიამოვნება, მაგრამ ამ თავიდან უნდა გაგაფრთხილო: მოერიდე ქებას, თუ გაძაგებენ, მაშინ გიხაროდეს, შენი საქმე უეჭველად წინ არის. ხალხი, ჩემო ბაბაია, ისეთია, როგორც ბორბალი, ალმაც ტრიალებს და დალმაც. თუ კარგად მიდის შენი საქმე, შენი ყურმოჭრილი მონაა და ეუდმოგლეჯილი შენ წინ ქედს იხრის. გულში კი, იცოდე, შურიანობის ალი უგუნგურებს. ვინცობაა, თუ უცაბედად ფეხი სადმე ამოკარი და წაჩოთირდი, მორჩა და გათავდა, კბილებით დასაგლეჯად არ დაგზოგავს. ეს შენ დაიმახსოვრე, ახალგაზრდა კაცი ხარ. ღმერთმა იცოდეს, რომ ისე გულწრფელად გეუბნები, თორემ მე, აბა, სხვა რა აზრი უნდა მქონდეს?..

— ეს რავა გეკადრება: მეორე სოფლიდან მოვსულვარ, მთელი დღე აქ ვარ, ახლა მაინც ჩემი სიმინდი დაიყრებოდა, მეგონა, — საყვედურით გამოვიდა წისქვილიდან მაღალ-მაღალი გლეხი: — მეტეკა ის კაცი, თავის ძანგას პირი მოუხსნა და სასიმინდეში ჩაყარა. მაძინია შენი ჭირიმე...

— არიქა ბაბა, შენ საქმეზე გაეჩქარე, მადლობელი ვარ! — უთხრა ფარნამ და ცხენზე შესაჯდომად მოემზადა.

— რის მადლობა, უკაცრაოდ! ამ სიმინდის დაყრას ხომ მუდამ უსიამოვნება მოსდევს! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მაძინიამ და წისქვილისკენ გასწია.

11.

შუადღე იყო. მაძინია მეწისქვილე და ორი ვიღაც სოფლელი წისქვილის წინ მომაღლო ადგილზე ისხდნენ და მუსაიფობდნენ.

ამ დროს მათ თავზე წაადგა ჩვენი ნაცნობი თემა ბოჭოკია თავისი მუდმივი ნაბდის ქუდით და დაფლეთილი ჩოხით.

მაძინია დღეს მხიარულ გუნებაზე იყო, შეიძლება იმიტომაც, რომ — ცოდვა გამომქლავნებული სჯობს! — ამ გარეშე სოფლელების მიერ მოტანილი წითელი წვენი საკმაოდ ჰქონდა გადაკრული. კუდას დანახვა ძალიან გაუხარდა და ხუმრობით მიეგება:

— ჩემს თემას ვახლავარ ოცდა ხუთი ცხენოსანი შინაყმით! მელაკუდას ფეხებია მის, ვინც კუდა დაგარქვა, თორემ შენისთანა ბიჭი...

თემამ იგრძნო, რომ მაძინია სახეიროს არაფერს იტყოდა. გარეშე სოფლელებს დინჯად გადახედა, მაძინიას უკმაყოფილო თვალები გადაუქროლა და წისქვილში შეიხედა.

— იქითკენ რას იყურები? — განაგრძო მაძინიამ. — ჩვენზე უკეთეს იქ ვის ნახავ? ლამაზ ქალებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს იქ ადგილი არა აქვთ!

თემამ უკმაყოფილოდ გადახედა მაძინიას.

— რას მებღვირები? — სიცილით მიმართა მაძინიამ. — მე რა ბრალი მაქვს, არ მოდიან ის გასაწყვეტი ლამაზი ქალები! მოხუცი მაძინია ვის რათ უნდა, ბაბაია? აა, მართლა, თემა, სული ნუ წაგიწყდება, გვითხარი: ის როგორ იყო, გვიმრონ-გვიმრონით, ღობე-ღობე მოფარებით ნიკოიას სახლს რომ ეპარებოდი?

— დაიკარგე იქით! — გააწყვეტინა გულმოსულმა კუდამ.

— ჰო, ახლა გაიოცე, მამა გიცხონდა! რას მალავ, შვილო? აბა სხვა რა დამალულა, რომ ეს დაიმალოს! მაგისთანა საქმე ხომ თავისით დაიძახებს: აქ გახლავარო. აა, თემა, სული ნუ წაგიწყდება, მოაკვარაჭინე რაღა საქმე, თუ კი გერგო, ბეჩა, რამე, ერთი-ორი ლუკმა მაინც. ჩვენი ხელი კაცის საქმე, ხომ იცი, ბაბაია, ნაბოლარაა: სუკებს არ მოგაშავებენ, ეს კი ვიცი, მაგრამ არტალას მაინც თუ დაავლე ხელი ამ ქესატობაში, ესეც დიდი ნუგეშია. აა, ჩემო თემაია, ხი, ხი, ხი! — ხითხითებდა თვალებ-შეწითლებული მეწისქვილე.

— რაებს ბოდავ, მაძინია? — წყენით მიუგო კუდამ. — ამბავი რომ არ იცის, იმისთანა კაცი რას არ იფიქრებს? ისეთი უნდა ილაპარაკო, რომ მართლა რასმე ჰგავდეს, თორემ...

— ჰაი, ჩემო თემაია, როგორ ბალღივით ტიკტიკობ, ძუკუს ამბავი ამათ კი არა, მთელმა დუნიამ იცის.

— ძუკუ მძებრაძეზე ამბობთ? — გაერია ლაპარაკში ერთი გარეშე სოფლელი.

— მართალია, — შეეკითხა მეორე, — ვიღაც გლეხის ქალს ირთავსო?

— აი, აი, აი! — ხელების ქნევით წამოიძახა მაძინიამ. — შენ კი ურა ცხენივით კიშმიშზე დგები. აგერ ამ პატიოსან პირსაც სცოდნია.

— არა, ცოდვა პირველ მთქმელს და, რა ვიცი, ამბობენ, ჯვარს იწერსო, — სთქვა პირველმა სოფლელმა.

— ჯვარს იწერს თუ არა, ჩემო ბატონო, — დინჯად მიუგო მაძინიამ, — რა მოგახსენო, ამის ლეპეშა ჯერ წისქვილში არ მოსულა, მარა მართალი კი ის არის, რომ აი ეს, ჩვენი თემაია ბოჭოკია, ძუკუსაგან მოციქულად გაგზავნილი, ნიკოიას სახლს რომ ეპარებოდა გვიმრონში თავი გამოუჩნდა, არა, თავი კი არა, ნაბდის წაწკვიტინებული წვერი გამოუჩნდა, მერე თავი და ჩოხა. ისიც გამოცხადდა, თუ რისთვის ეპარებოდა, და ხომ მოგეხსენებათ ცოდვი-

ლი ქვეყნის ამბავი: რამე საყბო თუ ჩაუვარდა, მთელ ქვეყანას მოსდებს... ა, თემა, გული რად მოგდის? მითხარი, თუ კაცი ხარ, თუ რიგიანად დაეძეხი, ბეჩა? სხვას რას დაეძებ, მძებრაძის უსამართლოდ შეძენილი ... გენაღვლება!

— ფუი, რანაირებს ბოდავს ეს დაქცეული! — წაიდუდუნა გულმოსულმა თემამ, გულიანად გადააფურთხა და იქაურობას განშორდა.

— მაგისთანა თარნაკი ყაზახი თელ სოფელში არ მოიძებნება, — უთხრა მაძინიამ გარეშე სოფლელებს, როცა თემა წავიდა. — დიდი ზარმაცი, დიდი ხელმრუდე...

— რაც არის, ჩემო ძმაო, იმ გოგოს საქმე კი გაურიგებია და, — შენიშნა ერთმა.

— ისე გაურიგდა მაგას ოხვამერი და ბენი, რაც იმან ის წესიერად გაარიგა! საბრალო გოგოსაც სახელი გაუტეხა: ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოდის წისქვილში...

— ვო, გოძია! — მთქნარებით მიმართა ერთმა გლეხმა მეორეს: — ხარებისთვის რამე საჭმელი ვიშოვოთ, ფალაგებში ბალახი მოვსჭრათ, თორემ ცოდვაა, დღეს სულ პირალმა იყურებიან საწყლები...

— ჰა-ჰაი! — გაიზმორა თავის მხრივ მეორეც, — წავიდეთ, წავიდეთ! კისერიც მოუტეხია იმასაც და იმასაც. მაგათ არშიყობა ახსოვთ, მე კი გულში ათასნაირი ცეცხლი მეკიდება!

და ამ სიტყვებით ფალაგესკენ გაემართნენ.

მაძინიას სიტყვებმა თემა ბოჭოკია ძალიან გააბრაზა. მაგრამ რას იზამდა: მაძინიას ის პირდაპირ ვერ გაუსწორდებოდა. გადასწყვიტა, ყოველივე ძუკუსთვის გადაეცა და იმის მეოხებით შური ეძია. ასეც მოიქცა და როცა წისქვილიდან გაბრუნდა, მაშინვე ძუკუს საძებნელად გაემართა. ძუკუ დუქნებისკენ ეგულებოდა, და მართლაც იქ დაუხვდა. დუქანში, ძუკუს გარდა, სხვა უსაქმურებიც შეგროვილიყვნენ, იყო ერთი სიმღერა, ლაზღანდარობა, ნარდის და ბანქოს თამაში.

ძუკუს ხმამაღლა სიცილი კუდას შორიდანვე მოესმა. უქმაძენი მეფართლის დუქნის აივანზე შეგროვილიყვნენ. კუდა აივანზე არ ასულა, მხოლოდ ახლო გაუარა და ყველას გამარჯვება უსურვა, ძუკუს კი თვალით გააგებინა, საქმე მაქვსო. იქ მყოფთ კუდას ნიშანი არ გამოეპარათ და ერთმანეთს ღიმილით გადახედეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ძუკუ ვითომ ცხენის დასახედად წავიდა, დუქნის წინ სიმინდის ყანას მოუარა და თემას შეეფეთა, რომელიც იქვე უცდიდა.

— ამას მოვკვდე როგორ არ მირჩევნია?! მაგ ბუში, მაგ ტრიკი, მაგ განაყიდი! — ბრაზით მიაძახა კუდამ.

— რა ამბავია? ვინ? რა მომხდარა? — გაიოცა ძუკუმ.

— ბატონო, რა კარგად მიმყავდა საქმე. მაძინიას, ქოსა გაცრუებულს, თურმე ქვეყანაზე ჩვენთვის ხის დანით კისერი გამოუღადრია... რა და რა ჭორები არ გაუვრცელებია. დღეს წისქვილში შევიარე. მომდგა და მომდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მლანძღა და მლანძღა. მაგრამ ჩემ ლანძღვას, ვინ მამაძღლი იტყვის, შენც რომ გარეშე სოფლელებთან სამასხროდ არ აეგდე. რას არ ბოდავდა, შენი ჭირიმე: თოხიტარიას ქალს მძებრაძე გაურიგე თუ არაო...

ძუკუს სახეზე ალმური მოედო.

— მე მართლა მაგ ღობეზე მიგდებულის, მაგ ვირისშვილის სამასხროდ ასაგდები ვყოფილვარ, თუ მაგას კბილები არ ჩავამტვრიე. ჩემს საქმეს მაგას ვინ ეკითხებოდა, ჩემ მედიატორად მაგი ვინ დააყენა ნეტავ? ერთი დამაცადოს! მე ძუკუ არა ვყოფილვარ, თუ მაგას რიგზე არ დავასწავლე, როგორ უნდა მიჭორ-მოჭორვა! — ბრაზმორეულმა ულვაშების გრეხით წამოიძახა ძუკუმ და ხანჯალზე ხელი დაიდო. — შენ ერთი, გესმის! — მიუბრუნდა კუდას, — ჩქონისკენ გაიარე და ცხენი დაათვალიერე, ნახე, ბაწარში ხომ არ გაიხლართა, და მაგ ყურუმსაღის სეირს მე გაყურებიე. ჭორი კი არა, შგონი, ჯორიც დავავიწყო! მამაძაღლი! — გულღვარძლიანად დაუმატა ძუკუმ და მოშორდა კუდას.

გარეშე სოფლელებმა გოძიამ და ბახვაიამ ხარებს საჭმელი ბიუტანეს და ბაძინიასთან ერთად მწვანეზე დასხდნენ. ძუკუმაც ბევრი არ დააყოვნა; ჩქარის ნაბიჯით წისქვილისკენ გაეშურა. როცა მათ დაუპირდაპირდა, ერთ წაძს შეჩერდა, თითქოს არ იცის, როგორ მოიქცესო. მერე უცბად მიტრიალდა და ისარივით მაძინიასკენ წავიდა. მაძინიამ და სოფლელებმა ადგომაც ვერ მოასწრეს, რომ ძუკუ მათ წინ იდგა:

— შენა ხარ მაძინია, რომ ჩემზე სოფელში ჭორებს ავრცელებ და მასხარად მიგდებ? — შეეკითხა ძუკუ და მრისხანედ თვალები დაუბრიალა.

მაძინია მიხვდა, რაში იყო საქმე. რაც შეიძლებოდა ლმობიერად მიუგო:

— ვინ მოგახსენა, ძუკუ, მაგეთი ამბები...

— კიდევ თავს იმართლებს ეს ტრიკი, ესა? — დაიჭყივლა ძუკუმ, ხანჯლის ტარზე ხელი წაივლო, მაგრამ ისევ გაუშვა და, რაც ღონე ჰქონდა, ბარძაყში ქუსლი ჩასცხო მაძინიას.

მაძინია წაბარბაცდა. საუბედუროდ, წისქვილის თხრილის ციცაბოზე იდგა. წინ გადახრა მოინდომა, მაგრამ ღონიერის ვაჟკაცის ფეხმა უკან გადახარა. ხელის მოსავლები, ჰაერის გარდა, სიახლოვეს არაფერი იყო, თავი ველარ შეიმაგრა და წისქვილის წყალში შლაპანი მოადინა.

ძუკუს ეს არ ესიამოვნა: მეტი მომივიდაო, — გაიფიქრა და წყალში ჩაიხედა, — ხომ არ შემომაკვდა ოჯახდაქცეულიო. მაძინია, წყალში ამოვლებული, სასაცილოდ ფართხალობდა და ამოსასვლელად თხრილის კიდეს ებღაუჭებოდა. ძუკუ საჩქაროდ გაბრუნდა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გარეშე სოფლელებმა „ჰაიტ"-ის დაძახებაც ვერ მოასწრეს, მხოლოდ წაეშველნენ და მეწისქვილე თხრილიდან ამოიყვანეს.

მაძინიას ცხვირიდან სისხლი სდიოდა, შუბლიც ერთ ადგილას გაფხაჭნოდა და იქიდან გამოსული სისხლი ცხვირისას უერთდებოდა. მიუხედავად ამისა, მაძინია წისქვილში შეიჭრა და თოფი გამოარბენინა. თოფის დანახვაზედ ძუკუმ იკადრა სიმინდებში შესვლა. სოფლელებმა მაძინიას ხელი სტაცეს და თოფი წაართვეს.

— ეს უნდა მიქნას მაგან?! კარგი, კარგი, მოგიკვდა ჩემი თავი, თუ მაგიერი ტაბაკი წინ არ დაგიდგი, შე მესოფლე ძაღლო შენა. შე გაფუჭებულო, შე ძუკანო შენა! — ყვიროდა მაძინია, მაგრამ მომხდარი საქმის გამობრუნება შეუძლებელი იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ. ედილი

საინგილო

ბუნება და ადგილმდებარეობა

საზოგადო მიმოხილვა. — გზები და ხეივნები. — ტერიტორიის სხვადასხვაობა. — ტყეები, ნადირები, ფრინველები.—საზამთრო და საზაფხულო საძოვრები. — მდინარეები და თევზები.—დაღესტნის გზები და მათი მდგომარეობა. — თავშესაფარები და გამოქვაბულები. — მადნეულობა. — სამკურნალო წყლები. — ჰავა. — ზაფხულის სიცხეები. — ჭაობები.—ტექნიკური მცენარეები.

მდიდარია და თვალწარმტაცი ბუნება საინგილოსი. მთის კალთებიდან დაქანებულ, ქაფად ქცეულ მდინარეებს, კაკლის, წაბლის, ლეღვის ატეხილ ჭალებს, რომელთა შორისაც ტურფად გამოიცქირებიან წითელი კრამიტით გადახურული, მთლად მწვანეში ჩაფლული სოფლები, ზღაპრულ წალკოტად გადაუქცევიათ აქაურობა. ამას დაუმატეთ სახტად აღმართული უღელტეხილი კავკასიონისა თავისი ულრანი ტყეებით, რომელთაც ზევიდან მედიდურად გადმოსცქერიან თოვლით განსპეტაკებული მწვერვალები, ნელად მოდუდუნე, გველივით დახლაკნილი ალაზანი თავისი ასწლოვანი უზარმაზარი ვერხვებით და ატეხილი ჭალებით და თვალწინ წარმოგიდგებათ საინგილო მთელი თავისი სიტურფე-სიდიადით, ეს სწორუპოვარი თვალმარგალიტი მთელი საქართველოსი.

ეს მხარე, რომელსაც სილამაზით ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ შეედრება, იწყება იქ, სადაც დღევანდელი კახეთი თავდება და საზღვრად მას უძევს პატარა მდინარე მაზიმჩაი (ისტორიული მაჭისწყალი). აქედან მისდევს კავკასიონის მთაგრეხილს ყოფილ შექის ანუ ნუხის მიჯნამდის, იქამდის, სადაც პატარა მდინარე ფანიკ-ყობის (სისხლის ღელე) ჩამოწანწკარებს და ერთვის უფრო, დიდ, საკვირველად მიხლაკნილ-მოხლაკნილ მდინარე ეგრი-ჩაის. მთელი ეს სიგრძე, დაწყებული მაჭისწყლიდან ყანიყობ-ეგრიჩაიმდის, 80 კილომეტრს არ აღემატება. ესევე კავკასიონის მთაგრეხილი საზღვრავს მას თავისი ბრწყინვალე მწვერვალებით ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით — ალაზანი, რომელიც აქ ზანტად მიიზლაზნება. მთელი სიგანე მთაგრეხილიდან ალაზნამდის 25-30 კილომეტრს არ აღემატება. მთელი ფართობი საინგილოს დღევანდელი ტერიტორიისა 3.497,5 კვ. კილომეტრს უდრის.

საინგილო დასერილია მშვენიერი გზატკეცილებით. ასეთია არა მარტო მთავარი გზა, რომელიც ლაგოდეხიდან პირდაპირ ნუხაში მიდის და საინგილოს შუაზე სჭრის, არამედ სოფლიდან სოფელში მიმავალი მოკლე გზებიც. ამ გზატკეცილს ორივე მხრივ ჩამწკრივებული აქვს კაკლის დიდრონი ხეები და კაკლის ერთიან ხეივანს წარმოადგენს აქაურობა. ეს ლამაზი ხეივანი იწყება გასცდილდებით თუ არა კახეთის უკანასკნელ სოფელს ლაგოდეხს და მიდის

ქალაქ შექის მიჯნამდის, ე. ი. გაჭიმულია 120 კილომეტრის მანძილზე, ეს ოდესღაც მწყობრად ჩარიგებული პატარა კაკლის ხეები ეხლა უზარმაზარ ხეებად გადაქცეულან და ორთავ მხრივ დაუბურავთ, დაუჩრდილავთ აქაურობა, ისე რომ ზაფხულის პაპანაქება-სიცხეშიაც სიგრილეში გიხდებათ მგზავრობა.

მეტად მომხიბლავია ეს ხეივანი, მეტადრე გაზაფხულზე, როცა ბუნება ზამთრის ღრმა ძილისაგან იღვიძებს, და კაკლის ნორჩი ყლორტების მძლავრი სუნით გაჟღენთილია მთელი ეს გზა.

ამ გზებს თან მოსდევენ აქა-იქ პატარა საჩაიები (აზერბეიჯანურად ჩაიჩი), სადაც შეგიძლიანთ ეტლიდან ჩამოხვიდეთ, ცოტა შეისვენოთ და გემრიელი ჩაი მიირთვათ. ჩაიჩი ჩრდილში გამართულ გრძელ ფარდულს წარმოადგენს, შიგ უბრალო გრძელი მაგიდა დგას, იქვე გვერდით გრძელი სკამებია ჩამწკრივებული, მაგიდის ბოლოს დიდი სამოვარია.

ჩაის იქ წყაროს წყლით ამზადებენ, რომელიც იქვე ახლოს სადმე გამოჩხრიალებს. ამ საჩაიებს, გარდა გამვლელ-გამომვლელთა, ესტუმრება ხოლმე მინდორში მომუშავე ხალხიც. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში გულს აქ იგრილებს იგი და წყურვილს აქ იკლავს. აქაურთა რწმენით, ჩაისავით არაფერი უკლავს ადამიანს წყურვილს. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ აქ ჩაის არაჩვეულებრივად ბევრს სვამენ.

მთელი საინგილოს ტერიტორია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილისაგან შესდგება, რომელნიც ძალზე განირჩევიან ერთმანეთისაგან ჰავით, ბუნებით და ადგილმდებარეობით. პირველი მათგანი მთიანია, კავკასიის მთაგრეხილის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მწვერვალებიც თეთრ ჩადრ წამოსხმულნი, ზევიდან გადმოსცქერიან მიდამოს. ეს მწვერვალები არიან: გუდურდაღი (3. 400 ფ. სიმაღლით), დინდიდა (3. 366), გუტანი (3.668), ჩურუქი, ბეშლამიში, ბოლვალდაღი, გუბახი, მოვრალდაღი, დინგლია. დგანან უძრავად ეს მწვერვალნი კავკასიონისა და მედიდურად გადმოსცქერიან მათ ფეხთქვეშ ფიანდაზად გადაშლილ, ბარის მწვანედ აფერადებულ ველ-მინდორს და ალაზნის გალმა ჩამწკრივებული შირაქის მჭლე, ხრიოკ და უნაყოფო გორაკებს.

მეორე უდიდესი ნაწილი საინგილოსი ბარია — თაიგული მთელი მხარისა, მისი სიმდიდრე და დოვლათი. ადგილი აქ, მთის ფერდობიდან დაწყებული ვაკეა და სწორი, მცირედის დაქანებით სამხრეთისაკენ. ეს დაქანება რაც უფრო შორდებით მთის კალთებს, მით უფრო მატულობს, იზრდება და უაღრეს წერტილს აღწევს ალაზნის სანაპიროებთან, საქართველოს დღევანდელ საზღვრამდე.

პირველის ნიადაგი მწირია, ღარიბი, მთიან-კლდიანი, მეორესი — ნაყოფიერი, მძლავრი და ზღვა მოსავლის მომცემი.

მთა მდიდარია ტყეებით. თუმცა საინგილოში ყველგან მოიძებნება საკმარისი ტყეები, მაგრამ მთა განსაკუთრებით მდიდარია საუცხოვო, პირველხარისხოვანი ტყეებით. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ მთას, ვერც ერთ მცირე გორაკსაც-კი ტიტველს და ტყის მწვანე ხავერდს მოკლებულს. მთის მიუვალი უფსკრული ნაპრალებიც, სადაც ფეხმარდ ჯიხვსაც კი ვერ გაუვლია, სავსეა ძვირფასი ტყეებით. უღრანი ტყეები, რომელთაც კაცის თვალი ჯერ ვერ მისწვდომია და მისი ულმობელი ხელი ჯერ არ შეხებია, მრავალზე მრავა-

ლია. მერე რა მშვენიერია და მრავალფეროვანი აქაური ტყეები! ნახავთ აქ კავკასიის ფლორის ყველა წარმომადგენელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა მათგანი უზომოდ მსხვილია და ძალზედ გალაღებული.

აქაურ ტყეში ბლომად არის წიფელი, მუხა, ცაცხვი, ნეკერჩხალი, თეთრი არყისხე, არჩანი, კევისხე, ხურმა, წაბლი, ლეღვი. ბევრია აგრეთვე ბროწეული, მსხალი, თხილი, შინდი, მაჟალო, პანტა და სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ აქაური ხალხის მშვენიერი ჩვეულება: არა იშვიათად შეხვდებით ნამყენ თუთას, ვაშლს, მსხალს და სხვა ხეხილს. ასევე ნახავთ მთელს საინგილოში ცემენტით ამოყვანილ, გაკეთებულ წყაროებს ან ცემენტისავე ბოგირებს მდინარეებზე და არხებზე.

აქაურ ტყეებში გამონაკლისს შეადგენენ წიწვიანი ხეები. იმოგზაურებთ აქ მთასა და ბარში, მაგრამ მთის განუყრელ შვილს წიწვიან ხეებს ვერსად შეხვდებით. მთელი საინგილოს ტყის დიდს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთ ადგილას შეჰხვდებით მას, სახელდობრ, ბალნურის ხეობაში, ისიც მარტოდმარტო ნაძვს. ნაძვი აქ ძალზე პატარაა, წვრილი, უშნო და ულამაზო.

მთასთან ერთად ბარიც მდიდარია ტყეებით. აქ თითქმის ყოველ სოფელს აქვს ტყე. ბარის ტყეები უმთავრესად ნოტიო ადგილებშია. ხე, რომელიც მთაში ერთი ბეწვაა, აქ უშველებელ ხედ არის გადაქცეული. ტყე ბარად ხშირია და გაუვალი.

აუარებელი ხეხილი დიდძალ ნოყიერ საკვებს იძლევა გარეული ცხოველებისათვის და აკი ისინი ძალზე გამრავლებულნი არიან აქაურ ტყეში. გარეული ოორი, მელა, ტურა, ჯიხვი, ფსიტი, შველი, დათვი, მგელი მრავლად მოიპოვებიან აქაურ ტყეში. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მხოლოდ ზოგიერთს იშვიათ ნადირს, რომელიც საქართველოს სხვა ადგილებში უფრო ნაკლებადა გვხვდება.

ასეთია, მაგალითად, შავი მელა. ეს ძალზე იშვიათი ცხოველია საქართველოში. ის კუნაპეტივით შავია და მხოლოდ კუდის ბოლო აქვს თეთრი. ამგვარი მელა მეტად ძვირად ფასობს. იყო შემთხვევები, რომ ამერიკაში ასეთი დედალ-მამალი მელა 2.000 დოლარად გაიყიდა. ეს მელები ძვირფას საექსპორტო საქონელს წარმოადგენენ. შავ მელასთან ერთად არა იშვიათად შეხვდებით ვერცხლისფერ მელასაც. ამ იშვიათი და ძვირფასი ცხოველების ხოცვა ამჟამად სრულიად აკრძალულია მათის გამრავლების მიზნით. საინგილოში საბჭოთა ხელისუფლების დროს დაარსებული ნაკრძალი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს და დიდი ჯარიმა არის დაწესებული მათზე ნადირობისათვის.

ასეთივე ძვირფასი ცხოველია კვერნა. მთის უღრანსა და მივარდნილ ხეობებში კიდევ მოიძებნება ეს ცხოველი. მონადირე ამ უღრან ადგილებშიაც შესდგომია მათ განადგურებას. კვერნას, როგორც ცნობილია, არ უყვარს წყალში გასვლა და წყლის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ხიდს ან წყალზე წამოქცეულ ხეს ეძებს. აი სწორედ კვერნის ამ ჩვეულებით სარგებლობენ აქაური მონადირეები: ისინი ხელოვნურ საცალფეხო ხიდებს აკეთებენ, იქვე მიუდგამენ ხაფანგებს და იჭერენ. ასე უწყალოდ ნადგურდებოდა ეს ძვირფასი ცხოველი და სრულიადაც ამოვარდებოდა, რომ დროზედ არ მოესწრო საბჭოთა ხელისუფლებას და სასტიკად არ აეკრძალა მათზე ნადირობა.

ავაზა, დღეს იშვიათი ცხოველია ეხლა აქ, ერთ დროს კი თურმე ბლომად მოიპოვებოდა. ძველად ცნობილი მილიონერი დემიდოვი, რომელსაც იჯარით,

ჰქონდა აღებული სანადიროდ აქაური ტყეები, ყოველწლივ 5-8 ცალი ავაზახ მაინც ჰკლავდა. უკანასკნელად ეს ცხოველი მოჰკლეს 1912 წელს და მას შემდეგ თითქმის აღარავის შეჰხვედრია. მაგრამ მონადირენი [illegible] ამბობენ, რომ ეხლაც არის ავაზა საინგილოს ტყეებშიო, რადგან მის ნაკვალევურებს დღესაც ხვდებიან მონადირეები თოვლზე. მონადირეების სიტყვა მართალი გამოდგა: კატეხის ტყეში 1920 წელს მოჰკლეს ერთი ავაზა, რომლის ტყავიც საჩვენებლად გამოკიდებული იყო ზაქათლის სასტუმროსთან, ამ ცხოველს, როგორც მონადირეები ამბობენ, დიდად აქვს განვითარებული ყნოსვა და მეტის-მეტად ფრთხილია, ამიტომ ადამიანისათვის ძნელია მისი პოვნა.

წავი, წინად დიდად ყოფილა გავრცელებული მთელს საინგილოს ტყეებში. მთის პაწია, წმინდა მდინარეები სავსე ყოფილა ამ საუცხოვო ცხოველით. ცნობილია, რომ წავს უთევზოდ არ შეუძლიან ცხოვრება. მთის ანკარა წყლები კიდევ თავის მშვენიერი და გემრიელი კალმახით ხელსაყრელ პირობებს უქმნიან მის გამრავლებას. მაგრამ რადგან მათი ტყავი ძვირად იყიდება, ძალიან შემცირებულა მათი რიცხვი. ამჟამად მათი უმნიშვნელო რაოდენობა გადარჩენილა მდინარე კატეხჩაის სათავეში, ყაბიზდარას ზემოთ. მათზე ნადირობაც სასტიკად აკრძალა საბჭოთა ხელისუფლებამ.

გაწყდა, მაგრამ ჯერ კიდევ მოიპოვება საინგილოს ტყეებში ფოცხვერი. სამაგიეროდ ძალზე ბევრია საინგილოში თხილისა და კაკლის მოყვარული ციყვი, რომელიც ისე შესჩვევია ადამიანს, რომ არც-კი ერიდება მას.

მოიპოვება აგრეთვე პიტალო კლდის შვილი ჯიხვი. მივარდნილსა და უშიშარ ადგილებში ჯიხვები ჯოგებად დაიარებიან, 30-40 ცალი ერთად. ჯოგს ხელმძღვანელობს გამოცდილი ხნიერი ჯიხვი. ზოგ ადგილას ბევრი იცის ჯიხვი. სარუბაშსა და დინდიდას მთებში მცხოვრებნი ხშირად იმდენსა ხოცავენ, რომ ზამთრისათვისაც კი ინახავენ ხორცს მარილ-წყალში გამოსულსა და გამშრალს. ძველს დროში აქ ჯიხვებზე სანადიროდ შორეულ კუთხეებიდანაც კი მოდიოდნენ — ბაქოდან, როსტოვიდან და მოსკოვიდან. მათ არა იშვიათად უცხოელებიც მოსდევდნენ.

ირემიც მოიძებნება საინგილოს მთაში. ამ ბოლო დროს ირმის რიცხვმა საგრძნობლად იმატა ნაკრძალის დაარსების წყალობით. გამოანგარიშებით, მარტო ნაკრძალში მათი რიცხვი 300-ს აღემატება.

საინგილოში ირმის ბუნაგად და მუდმივ სამყოფელ ადგილად ითვლება ვერტიკალის მთების მიდამოები, პატარა მდინარე კალაჩაიმდის და ჩარიგელის ხეობები.

ჯეირანის სამშობლოდ და საცხოვრებელ ადგილად საინგილოში აღიაზლოს, სარიჯასა და აჯინაურის ველ-მინდვრების მცირე გორაკები ითვლება. ეს უწყინარი, მშვიდი ცხოველი მოსალოდნელი საშიშროების დროსაც არ დაფრთხება და ბაწარაღებით მისდევს ერთი მეორეს, თითქოს განგებ უცდის მონადირის ტყვიას.

1921 წლის ზამთარში, როცა დიდი თოვლიანობა იყო და მთელი ველ-მინდორი თოვლ-ყინულით გაივსო, ჯეირანი საკვებს ველარ შოულობდა, დამშეული, ლასლასით მიადგებოდა ხოლმე სოფლებს და მცხოვრებნი ხელით იჭერდნენ. მას შემდეგ ძალიან შემცირდა მათი რიცხვი.

საინგილო მდიდარია გარეული ღორით. ბლომად მოიპოვება იგი როგორც მთაში, ისე ბარში. მაგრამ განსაკუთრებით უყვარს მას ჯაგნარი და ალაზნის

ჭალები. მუსულმანობა გაურბის ღორის ხორცს და ეს ხელს უწყობს მის გამრავლებას.

აქაური ღორი მეტად ავია და დაუნდობელი. ბოლო დროს ნადირობის გამო, მათმა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. ხალხი ებრძვის მას იმიტომაც, რომ ის არ ინდობს საჭმელად არა მარტო ბრინჯის ნათესს, არამედ საინგილოში ახლად შემოსულ კულტურასაც — არახისსა და სიმინდს.

ტყეები და ჭალები სავსენი არიან გარეული ფრინველებით, რომელთა შორისაც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი იშვიათი ფრინველი, რომელიც დანარჩენ საქართველოში ან სრულიად არ არის, ან ძალიან შემცირებულა. ამჟამად მათზე გახშირებული ნადირობისა და ტყეების შემცირების გამო ცოტაღა დარჩენილა გარეული ინდოური. იგი დიდი ფრინველია, მთის მწვერვალების პირმშო შვილი, იქ დაბადებული და გაზრდილი. მისი ხორცი უგემრიელესი რამ არის და სხვა არავითარ გარეულ ფრინველის ან ნადირის ხორცი მას ვერ შეედრება. საუბედუროდ, ძალიან ძნელად მრავლდება, მისი მოკვლა ან დაჭერა ძნელია, ისინი ყნოსვა-განვითარებულნი არიან და ძალზე ფრთხილნი. დიდს მანძილზედ იგრძნობს ხოლმე ადამიანის მიახლოვებას, ხმამაღლა დაუსტვენს, მას ბანს მისცემენ სხვა ინდოურებიც და ერთი თვალის დახამხამებაზე ისე გაჰქრებიან, რომ მონადირე მათ კვალს ვეღარ მიაგნებს.

ხოხობის სამშობლო კავკასიაა და ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ საინგილოში ჯერაც კიდევ ბლომად მოიპოვებიან ისინი. ხოხობი თურმე პირველად საქართველოში გაჩენილა და აქედან გავრცელებულა საბერძნეთში, რომსა და მთელს ევროპაში. თვით მისი ლათინური სახელი — phasianus მიუთითებს მდ. ფაზისზე (რიონზე), იმ ქვეყანაზე, სადაც ხოხობი წარმოშობილა. ხოხობის საყვარელი მაყვლით საინგილო სავსეა და აი სწორედ ეს მაყვალია მთავარი მიზეზი იმისა, რომ ხოხობი მრავლად ბუდობს საინგილოში.

ლაკლაკს (Coconik — ciconia) ქართლში ლამიტოპიას ეძახიან, ალბათ, იმიტომ, რომ უფრო ჭაობიანსა და წყლიანს ადგილებში ხვდება ადამიანს. ეს უშნო ფრინველი საინგილოში წმინდა ფრინველად არის აღიარებული. ინგილო მუსულმანთა სიტყვით, იგი მექადან არის მოსული, სადაც ყოველ შემოდგომაზე დაიარება სალოცავადო. ინგილოები მოკრძალებით ექცევიან და ყოველ მხრივ ხელს უწყობენ მათ გამრავლებას. მათ ბუდეს ხელს არავინ ახლებს, პირიქით, მცხოვრებნი პირველ გაზაფხულზე თბილ ქვეყნებიდან დაბრუნებისას მიუზიდავენ ხოლმე თივას და ჩინჩხვარს ბუდის შესაკეთებლად.

საინგილოს სოფლები სავსეა ყოველგვარი-ქვეწარმავალით. მათ სჭამს და ანადგურებს ფრინველი ლაკლაკი და ამიტომ იგი მახლობელი მეგობარია გლეხკაცისა, თუ შხამიანმა გველმა მიასწრო და უკბინა, ლაკლაკი იავადმყოფებს 3-4 დღეს და შემდეგ თავის თავად მორჩება.

აქაურ ლაკლაკს კიდევ ერთი კარგი ჩვეულება აქვს, — დედალ-მამალი ერთმანეთს არა შორდებიან, არ უღალატებენ ერთმანეთს და სხვას არ მიეკედლებიან. თუ რომელიმე მათგანი მოკვდა ან მოჰკლა ვინმემ, მაშინაც-კი ცალად დარჩენილი ლაკლაკი სხვასთან არ წავა და არავის მიეკედლება.

საინგილო უზომოდ მდიდარია საძოვრებით, განსაკუთრებით განთქმულია მისი საზამთრო საძოვრები: სარიჯა, ავჯინაური, აღიაზლო.

თვალუწვდენელი საძოვრები დასერილია პატარ-პატარა ერთმანეთის მიმდევნო გორაკებით, რომელნიც ადგილ-ადგილ სწყდებიან და იკარგებიან, მაგრამ პატარა დაშორებით ისევ ჩნდებიან და ასე დაუსრულებლივ...

ამ მინდვრებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ, — არსად ამ უზარმაზარ ფართობზე წყალი არ მოიძებნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ტბებს, რომელნიც სიცხეებისა და გვალვის დროს სრულიად შრებიან. ასე ყოფილა თურმე ძველადაც. გეოგრაფი სტრაბონი, რომელსაც ეკუთვნის პირველი გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი, ამბობს: „გაივლით უზარმაზარ, თვალუწვდენელ მინდვრებს — კამბეზინას, ე. ი. კამბეჩოვანს — დღევანდელ შირაქს, რომელიც სრულიად უწყლო არისო. ასეთსავე სურათს წარმოადგენს დღევანდლამდე აქაურობა. ამის გამო მცხოვრებნი იძულებულნი არიან დღის სავალზე ატარონ ცხვარი წყლის დასალევად.

ამ ადგილებში ქარი არ იცის, ფარეხები მყუდრო ადგილებში აქვთ გაკეთებული და ცხვარს ზარალი არსაიდან არ მოელის. ზამთარი აქ თითქმის სრულიად არ იცის, წამოსთოვს ცოტას და იმავე დღეს აიღებს, რომ ცხვარი არც ერთ დღეს მშიერი არა რჩება და მუდამ ბლომად შოულობს საკვებს მთელი ზამთრის განმავლობაში. მაგრამ იცის ხოლმე, თუმცა ძალიან იშვიათად, ყინვიანი და თოვლიანი ზამთრები, რომელსაც თითქმის სრულიად მოუმზადებელნი ხვდებიან ხოლმე მეცხვარეები, ცხვარი კი, რომელსაც მთელი კვირაობით შიმშილი უხდება, უწყალოდ იჟლიტება. ამისთანა ზარალიან ზამთრის თავიდან ასაცილებლად წინანდელი მეცხვარე სრულიად არა ზრუნავდა და იმ თვალუწვდენელ საძოვრებში, სადაც თავზე საყრელია ბალახი, ერთი ბეწვა თივასაც არ იმარაგებდა ამ შავი დღისათვის.

ზაფხულობით აქაური მინდვრები პირწმინდა უდაბნოს მოგაგონებენ. ყველგან გადახრუკულ-გადამწვარი მინდვრებია.

მაგრამ აი შორს რაღაცამ გაინავარდა და უცებ სადღაც გაჰქრა. ეს ჯეირანია, პირმშო შვილი ამ უდაბნოებისა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ არ შორდება აქაურობას. ის ფეხაკრეფით მირბის წყლისაკენ, ან ნამიან ბალახის საძებნელად მივარნილ-მიყრუებულ ადგილებში. ის მხოლოდ ეხლა გრძნობს თავისუფლად თავს მაბეზარ მონადირეთაგან, რომელნიც მთელი შემოდგომა— ზამთარი მოსვენებას არ აძლევენ.

ორი ცხოველი, ჯეირანი და კურდღელი, მუდმივი მობინადრეა ამ უდაბნოებისა. მაგრამ მთავარი მობინადრე აქაურობისა მაინც ნაცრისფერი გულყვითელა შხამიანი გველია. ხალხში გადმოცემაა დარჩენილი, რომ ძველ, უხსოვარ დროში აქაურობა ისე იყო სავსე შხამიანი გველებით, რომ ადამიანს გავლა არ შეეძლოო. მცხოვრებლებმა შემდეგ ხერხს მიმართესო: უცხო ქვეყნიდან მრავალი გველხოკერა მოიყვანეს და გაუშვეს ამ საძოვრებში. გველხოკერა, როგორც ცნობილია, სჭამს გველს, უფრო მეტ წილს კი ჰკლავს და ჰყრის. ამ ხერხმა ნაყოფი მოიტანა, — გველების რიცხვმა შესამჩნევად იკლო. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ მეცხვარეებისათვის გველს არავითარი ზარალი არ მოაქვს, რადგან ცხვარი აქ ზამთრის განმავლობაში არის, როცა გველს არხეინად სძინავს თავის სამყოფელში.

ამ საძოვრების ნაწილს, მცხოვრებნი სახნავ-სათესად ხმარობენ. აქ ნიადაგი ძალიან ნოყიერია და არაჩვეულებრივი მოსავალი იცის, თუ გაზაფხული წვიმიანი შეხვდა და სიცხემ არ მოტრუსა და არ წაახდინა ნათესი. ხალხი ასე ამბობს, გინდ ერთ-ორ წელიწადს არაფერი მოსავალი მოგვივიდეს, მესამე-მეოთხე წელიწადს გაზაფხული აუცილებლად წვიმიანი იქნება და მაშინ ისეთი უხვი მოსავალი მოგვივაო, რომ წინა წლების ხარჯს დაჰფარავს და დიდი მოგებაც დაგვრჩებაო.

ასეთია ეს საძოვარი ზაფხულობით, მაგრამ დადგება თუ არა შემოდგომა, სურათი სრულიად იცვლება, უდაბნო ცოცხლდება, იწყებს ცხოვრებას. მთაში აცივდება თუ არა და წვიმებს დაიწყებს, ცხვრის ფარები აყრებიან და ზამთრის საძოვრებისაკენ გაეშურებიან.

მაგრამ განა მარტო ცხვარი ესტუმრება ხოლმე აქაურობას ამ დროს? ფრინველებიც დაიძვრებიან და აქეთკენ მოეშურებიან. ალაზნის შორეული სანაპიროები და დაჭაობებული ადგილები ფრინველებით ივსება. ზოგჯერ იმდენი ფრინველი გაჩნდება ხოლმე აქაურობაში, რომ სავსებით იფარება მიდამო.

ცხვარი საძოვრად აქ მოჰყავთ წახურელებს (დაღესტანელი ლეკები არიან), აზერბაიჯანელ თათრებს და ჩვენ თუშებს. ყველა ამათ აერთებს ეს საძოვრები, მთელი ზამთრის განმავლობაში მეგობრულად სცხოვრობენ და კეთილ მეზობლურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. ბალახს აქ არავინ თიბავს, ამიტომ აუარებელი ბალახი რჩება გამოუყენებელი, ხმება, ლპება და ოხრდება.

გაზაფხულზე აქ დაინახავთ უშველებელ ცეცხლის კოცონებს, — ცეცხლი მინდვრის გამოუსადეგარ ბალახს უკიდია. მომხიბლავია ეს არაჩვეულებრივი სურათი, მეტადრე ღამ-ღამობით, როცა შავ ფონზე უფრო მკვეთრად გამოკრთიან ცეცხლის ალები.

კავკასიონის მაღალი ქედები თავიანთი ალპიური ზონით საუკეთესო საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენენ. ათასნაირად აფერადებული სურნელოვანი ბალახი ისეთ შემრგო, ნოყიერ საკვებს იძლევა, როგორსაც ბარში ვერა ნახავთ. ამგვარ შემარგო, ნოყიერ და სურნელოვან ბალახს თავისი გავლენა აქვს. აქაური საქონლისა და ცხვრის ხორცი ძალზე გემრიელია, ხოლო რძე მეტის-მეტად ცხიმიანი.

საინგილოს საძოვრები მეტად ხელსაყრელია მესაქონლეობისათვის და განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის. მთელი წლის განმავლობაში საქონელი გარეთ შოულობს საკვებს და წინასწარ საკვების მომარაგება-დამზადება საჭირო არ არის. ამითი დიდად სარგებლობენ განსაკუთრებით ლეკები. გასაბჭოების შემდეგ ყველგან ამ ადგილებში მოეწყო მესაქონლეობის მძლავრი ფერმები, სადაც მშვენიერი ჰიგიენურად მოწყობილი ბინებია გამართული.

საინგილოს უხვ მოსავლიანობას ხელს უწყობს მდინარეთა სიმრავლე. ეს მდინარენი კავკასიონის ქედის პირმშო შვილები არიან. ყოველ ხეობას, ყოველ მთას თავისი მდინარე აქვს, რომლის სიგრძეც მთის სათავედან დაწყებული ალაზნამდის 25-30 კილომეტრს არ აღემატება. ეს მდინარეებია: მაზიმჩაი, მუხახჩაი, ბელაქანჩაი, კატეხჩაი, მაწეხჩაი, თალაჩაი და ქურმუხი. ესენი არიან მთავარი მდინრეები, რომელთც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საინგილოს ყოფა-ცხოვრებაში. გარდა ამ მთავარი მდინარეებისა, მრავალი პატარა, უმნიშვნელო მდინარეც არის, რომელნიც მთის პატარა ხეობებიდან მოჩხრიალებენ და მთავარ მდინარეებს უერთდებიან. ესენი არიან: აახჩაი, კუმჩაი, ბალუდარაჩაი, კაშკაჩაი, ლექითჩაი, სუვაგილოჩაი, წლირანჩაი, კაზიმჩაი, სარტიკელჩაი, ვერტიკელჩაი, ყაბიზდარაჩაი, დალიჩაი და სხვა მრავალი. გარდა ამისა, ბარში ბევრია ფშანებიდან გამომდინარე წყალი და დიდი ნაკადი.

ამ მდინარეებიდან ყველგან არის გაყვანილი უამრავი არხი და პატარა რუ. არც ერთი სოფელი, არც ერთი ბინა და ფეხის დასადგმელი მიწაც კი მოურწყავი არა რჩება, ყველგან ხშირი ქსელია გაყვანილი არხებისა.

ამ არხების წყალზე აგებულია წისქვილები და ბრინჯის საცეხვი დიწგები. საინგილო ბრინჯის ქვეყანაა და არსად მთელს საქართველოში იმდენ ბრინჯს არა ხმარობენ, რამდენსაც საინგილოში.

ამ მდინარეებს დიდი ზარალიც მოაქვთ მცხოვრებთათვის. ყველა ისინი გამოვლენ თუ არა მთის ვიწრო, შეხუთულ ხეობიდან, დიდი დაქანებით გარბიან ალაზნისაკენ. ეს პატარა მდინარეები პირველ გაზაფხულზე, როცა თოვლი დნობას იწყებს ან როცა მთაში თქეში მოდის, საშინელებად გადაიქცევიან ხოლმე.

უდიდესი სისწრაფით მიექანებიან ბარისაკენ, თან მიაქვთ კლდე და ღრე, უმთავრესად კი რიყის სიპი ქვა. უბედურება უფრო ის არის, რომ ეს მდინარეები ხშირად იცვლიან ხოლმე კალაპოტს. როცა ერთ ადგილას იმდენ კლდეღრეს მიაყრიან, რომ იქაურობას გაავსებენ, პირს იბრუნებენ და სულ სხვა მხარეზე გადავარდებიან, სწორედ იქითკენ, საითკენაც სრულიად არ მოელოდება ადამიანი. აზვირთებული მდინარეები იტაცებენ ყველაფერს: ბაღს, ვენახს, სახნავ-სათესს, სახლკარს, ყოველივე ქონებას. მარტო საწყალ კაველებს, რამდენი ასეთი აწიოკება ახსოვთ მდინარე ქურმუხისაგან. 1934 წელს მდინარე თალაჩაი ისე საშინლად მოვარდა, ისეთ სტიქიად გადაიქცა, რომ მთლად წალეკავდა და ამოაგდებდა დიდ სოფელ თალას, ხელისუფლებას დროზე რომ სასწრაფო ზომები არ მიეღო. მდინარეთაგან გავერანებული ეს ადგილები უკვე რიყეებად გადაიქცნენ (ინგილოურად ჩეილაღები). ხშირად ერთი კილომეტრის სიგანეზეც და უფრო მეტადაც იფანტებიან ხოლმე. ჩეილაღები დიდ უბედურებას წარმოადგენენ მცხოვრებთათვის, ხშირად მშვენივრად მოვლილი ბაღ-ვენახი რამდენიმე საათის განმავლობაში რიყედ ქცეულა. მოგზაურობთ საინგილოში და გაკვირვებთ ამ რიყეების სიმრავლე და სიფართოვე. მსგავს რამეს იშვიათად შეხვდება ადამიანი სხვაგან სადმე.

რამდენადაც მოუსვენარნი, დაუდეგარნი, შფოთიანნი არიან ეს მთის კალთებიდან გამოვარდნილი მდინარენი, იმდენად მშვიდია და წყნარი ალაზანი, რომლის შენაკადებიც ისინი არიან. ალაზანი, რომელიც სამხრეთით საზღვრავს საინგილოს და შირაქს და მის შუა გაწოლილა, ისე წყნარი და უჩინარია საინგილოში, რომ შეტბორებული წყალი გეგონებათ. მას აქ არც კი ეტყობა, თუ საით აქვს პირი მიცემული და საით მიემართება. წყნარად, აუჩქარებლად მიიზლაზნება თავის რბილ კალაპოტში, სადაც არც ერთი კლდე არ უშლის, არ აფერხებს მის მოძრაობას. მიდის ეს წყნარი მდინარე და ორთავ მხრივ აღმართული უზარმაზარი ვერხვები და ჭალები წყნარად უკრავენ ტაშს, როცა კი პატარა სიო წამოუბერავს ამ უქარო ქვეყანას. მაშინ ხომ თვით ალაზანიც იშმუშნება, მისი ზედაპირი ცოტათი შეირყევა, გაიღიმება და საერთო ფერხულში ჩაებმება. სხვა დროს კი ეს დარაჯად აყუდებული ვერხვები ყოველ მზის ამოსვლისას ალაზანში იჭყიტებიან, თითქოს კოხტა პატარძალი თავს იკეკლუცებსო. ალაზანი არაფრით გამოსადეგი არ არის საინგილოსათვის, ერთი მტკაველი მიწაც კი არ ნოყიერდება მისგან. ტყუილ-უბრალოდ, უსარგებლოდ მიდის და მიიპარება.

საინგილოს მდინარეებში ძალიან ნაკლებად არის თევზი. ამოდენა ქვეყანაში არის ისეთი მდინარეებიც, სადაც თევზის ხსენებაც კი არ არის. ასეთებს ეკუთვნიან ქურმუხი, მუხარჩაი, სუვაგელჩაი და სხვანი. იქნებ ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ ეს მდინარეები მეტის-მეტი სისწრაფით მიჰქუხ-მიშხუიან მთე-

ბიდან და თვალის სისწრაფით მიექანებიან ალაზნისაკენ, რის გამოც თევზს ფეხი ვერ მოუკიდებია, ვერ გაჩერებულა, ბინა ვერ დაუდვია. სხვა მდინარეებში კი თუმცა ნაკლებ, მაგრამ მაინც მოიძებნება კალმახი, ქაშაპა, მურწა და ლოქო.

კალმახი ბინადრობს უმთავრესად ლექითჩაიში, ლუდარაჩაიში, კატერჩაიში და კემტიკელჩაიში.

მურწა გვხვდება უმთავრესად საინგილოს იმ პატარა მდინარეებში, რომელნიც ფშანებიდან გამომდინარეობენ. მურწა საინგილოში ხშირად 80 სანტიმეტრამდის აღწევს. ქაშაპა ბევრია სოფ. კავახჩიოლის ფშანებში. იქ განსაკუთრებით მარტო ეს თევზი ბინადრობს. მცხოვრებნი მისგან მშვენიერ საჭმელს ამზადებენ. თევზს ჯერ ფუფქავენ, მერე წყალს გადაასხურებენ, ზედ ბროწეულის მაშარაფს მოასხამენ და ხელახლად შუშავენ. ასე დამზადებული ქაშაპა ძალზე გემრიელია და შემრგო.

ლოქო ბუდობს მარტო ალაზანში. იქ მისი ნამდვილი სამეფოა. სხვა თევზი ალაზანში იშვიათად მოიპოვება. ლოქო იქ ძალიან მსუქანი იცის, ისეთი მსუქანი, რომ კაცი სისუქნით ზოგჯერ ვერ შესჭამს. ლოქოს სიმრავლე უფრო იმით აიხსნება, რომ აქ ალაზანი ძალზე წყნარათ მიდის და მისი კალაპოტი ლამით, ქვიშით არის სავსე. მთელი შემოდგომა და ზამთარი ლოქო ამ რბილ ლამზეა გაწოლილი და ნებივრობს. ლოქო უმთავრესად ბაყაყებით და წვრილი თევზით იკვებება და ალბათ ამიტომ თუ არის ალაზანში სხვა თევზების სიმცირე. გაზაფხულზე როცა წყალი იმღვრევა, ლოქო მხოლოდ მაშინ დაიძვრის თავის ბუნაგიდან წმინდა წყლის საძებნელად. მისდევს წყალს ზევით, და აი სწორედ მაშინ მოედებიან ხოლმე მეთევზეები ალაზანს ლოქოს დასაჭერად.

მდინარეებს შესდევს დაღისტანში მიმავალი საცალფეხო გზები, რომლებიც ზამთრობით დიდი თოვლის გამო გაუვალნი ხდებიან და იკეტებიან. ეს გზებია: ბელაქნისა, კატეხისა, ქალიალისა, ჭარისა, სამუბაშისა და სუვაგილისა.

მრავალმხრივ შესანიშნავი და საყურადღებოა ეს გზები, საქართველოსათვის ხომ მათ საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდათ. მრავალი მწარე კაბადონია დაკავშირებული საქართველოს ისტორიაში ამ გზების მოგონებასთან. ეს ის ვიწრო თერმოპილები იყო, საიდანაც ლეკთა უამრავი ბრბო შემოდიოდა დაღესტნიდან საქართველოს ასაკლებად და ასაწიოკებლად.

გათამამებული და თავგასული ლეკები რუსეთის დამკვიდრების შემდეგაც კი არ ისვენებდნენ. შემოიჭრებოდნენ საქართველოში, განსაკუთრებით საინგილოში, და იკლებდნენ იქაურობას. საინგილოს მაშინდელი მმართველი პოეტი გრ. ორბელიანი იძულებული იყო ბრძოლა ეწარმოებინა მათ წინააღმდეგ. 1853 წ. მუხახის ხეობაში შემოჭრილი ლეკები სასტიკად დაამარცხა ორბელიანმა, რის შემდეგაც აღარ გაუჭაჭანებიათ დაღესტნის ლეკებს საინგილოში.

ამავე გზით მიჰყავდათ გატაცებული ტყვე ქართველები, მიჰქონდათ ნადავლი ქონება, საქონელი და სხვა. ამავე გზით გაიტაცეს პოეტი დავით გურამიშვილი. ბედშავ ქართველებს ვისაც კი გამოსყიდვა არ შეეძლო, ყმებად იყენებდნენ და მთელ ახალშენებს აარსებდნენ მათგან. ასეთი ახალშენები იყო დაღესტანში მარტო გუნიბის ყოფილ ოლქში სოფელი დათუნა, მაღარო, ჩოხა და სხვა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს.

გზები მისდევენ მთის მწვერვალებში შეჭრილ მდინარეებს, ადიან უღელტეხილზე და დაღესტანში გადიან. მეტად მიმზიდველი და არაჩვეულებრივი

სილამაზისაა ასეთი ცალფეხა ვიწრო გზა, ვიდრე ტყის ფარგლებს გასცილდება. ასწლოვანი წიფლის ხეები, უღრანი ტყეების შვილნი, აჰყუდებიან ამ ბილიკებს და დაუბურავთ, დაუფარავთ იგი. კლდე-ღრით სავსე ხეობაში მიჰქრიან მთლად ღვართქაფად ქცეული მთის ჩანჩქერები. მეტად ლამაზია ზოგიერთი ასეთი ვარდნილი. მდინარე კატეხის ერთი პატარა შენაკადი, 20 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰქუხს, მთლად წინწკლებად ქცეული იფანტება ჰაერში და მზის სხივებით გაბრწყინებული ცისარტყელის ფერად ელვარებს.

მეორე ასეთი თვალწარმტაცი წყალვარდნილი არის მდინარე ქილისაჩაიზე. ეს პატარა მდინარე კარგა დიდ სიმაღლიდან გადმოსრიალებს ძალზე ვიწრო კლდის მაღალ ნაპრალებიან ხევში. მთლად ქაფად ქცეული სპეტაკი თოვლის ზოლივით მიჰქრის გვერდით აყუდებულ პიტალო კლდეთა შორის. მის თავზედ გადმოკიდებულ დიდრონ ხეებს ჩარდახსავით გადაუხურავთ იგი და მზის სხივებისაგან დაუფარავთ.

მიდიხართ ზევით-ზევით, მთის მწვერვალებისაკენ მიჰყევხარ ამ საცალფეხო გზებს. ხეობა უფრო ვიწროვდება, მდინარეები უფრო მრისხანე ხდებიან, ჩანჩქერები მრავლდებიან, ხან სულ ჰქრებიან, ქვიშასა და ქვებში ძვრებიან, ქვესკნელში იკარგებიან, მერე კი ცოტა მოშორებით ხელახლა ჩნდებიან და თავპირის მტვრევით მიექანებიან ბარისაკენ.

თავდება ტყე, მწვანედ აფერადებული მთის ფერდობები, და სურათი მთლად იცვლება. აქ უკვე შიშველი მთებია, მთები, მთები, საითაც კი გაიხედავთ და სადამდისაც თვალი მიგიწვდებათ. ირგვლივ პირღია უფსკრულებია, ნაპრალები, ფრიალო კლდეები და ღრეები, პირდაღებული ღრეები. ამ კლდეთა და მიუვალ მთათა წიაღში საცოდავად მიიკლაკნება საცალფეხო გზა, რომელიც ხშირად ისეთ ციცაბო მთის მწვერვალს მისდევს, რომლის ორთავ მხრივ თვალუწვდენელი, პირღია უფსკრულებია. მარტო ჩახედვაც კი ამ უძირო ნაპრალებში დიდს საშიშროებას წარმოადგენს. ამ გზების ორთავ მხრივ, მარჯვნივ და მარცხნივ, საშინელი უფსკრულებია, ვერც აქეთ, ვერც იქით ვერ გადიხედავთ. საკმარისია ერთი ფეხის დაცდენა, ერთი წაბორძიკება, რომ უფსკრულში გადაიჩეხოთ, სამუდამოდ დაიღუპოთ. უფრო ხშირად კი ასეთი სურათი გხვდებათ: ბილიკი უმაღლეს მთის ფერდობს გვერდით მისდევს, ეს ფერდობი ხელოვნურად გამოჭრილია, გამოთხრილია ისეთნაირად, რომ გზას ზევიდან უზარმაზარი კლდის ნაპრალები გადმოჰკიდებიან და ჩამოქცევა-ჩამონგრევას აპირებენ. გზის მეორე ნაპირას კიდევ თვალუწვდენელი უფსკრულია, რომლის უჩინარ ძირშიაც გველივით მიიკლაკნება პატარა ანცი მდინარე. ასეთია ეს გზები, რომელნიც ყოველ გაზაფხულზე კვლავ ფუჭდებიან თოვლისა და ნიაღვრისაგან, ასე რომ ხელახალ შეკეთებას საჭიროებენ.

სახიფათოა ამ ვიწრო საცალფეხო გზით მოგზაურობა, მით უმეტეს, რომ მათ სიახლოვეს არავითარი მოსახლეობა არ მოიძებნება. მაგრამ ღამის გასათევი ადგილები, სადაც შეგიძლიანთ დაისვენოთ და უზრუნველი იყოთ წვიმათოვლისაგან, ყველგან მოიპოვება. ბევრგან ეს დასასვენებელი ადგილები მეტის-მეტად ლამაზნი და თვალწარმტაცნი არიან, ბუნებრივ სასტუმროებს წარმოადგენენ და, ეჭვი არ არის, პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი ადგილები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთია პიჩრიგლის გამოქვაბული მდინარე ქილისაჩაიზე, რომლის წინ-წამოწეული უზარმაზარი კლდის ქიმი ნახევრად გადმოჰკიდებია მის მორაკრაკე მდინარეს. წინიდან კიდევ (მდინარის მხრი-

დან) ამ კლდეს სქლად ჩამოჰკიდებია სურო და ფათალო, თითქოს განგებას ხელუხლებელი ფარდა ჩამოუფარებია დიდებული დარბაზის, ღია ფანჯრისა ან შუშაბანდისათვის. ზევიდან ამ კლდეს ამშვენებს, ალამაზებს [illegible] ხეების დიდი ტყე, რომლის საუცხოვო სუნი მთელს არემარეს მოსდებია და სურნელოვან თაიგულად გადაუქცევია აქაურობა. გამოქვაბული ისეთ დიდ ფართობს წარმოადგენს, რომ აქ თავისუფლად მოთავსდება ასიოდე კაცი ან ცხვრის პატარა ფარა. მდინარე პიჩიგელთან კიდევ ასეთს თავშესაფარს წარმოადგენს უძველეს დროიდან დარჩენილი პატარა ეკლესია, რომელსაც თაღი ნახევრად აქვს ჩამონგრეული და ბოლო დრომდე მშვენიერს თავშესაფარს წარმოადგენდა თუშ მონადირეთათვის, რომელნიც აქ შემოდგომით იყრიდნენ თავს სანადიროდ. ეს ეკლესია საქართველოს მეფეთაგან ან დიდებულთაგან იქნებოდა აგებული და ახლა დიდ სტუმართმოყვარეობას უწევს როგორც მონადირეებს, ისე ყოველ მგზავრს. რამდენიმე გამოქვაბული თავშესაფარი მოიპოვება მდინარე კატეხჩაისა და ვერტიკელჩაის ხეობაშიც. ერთს მათგანს სახელად თავის ქალა (ლეკურად ბუგუ ნუნო) ჰქვიან, ალბათ, იმისაგან, რომ მის მახლობლად ოდესღაც მგზავრი დაღუპილიყო თურმე და მისი თავის ქალა და ჩონჩხი დიდხანს ამ გამოქვაბულის სიახლოვეს ყოფილიყო გაფანტული. ასეთსავე გამოქვაბულებს ვხედავთ ქალიალსა და ქურმუხის ხეობაში, რომელთაც ხალხი დაცინვით გულხადრების (დაღესტნის ღარიბი მოსახლეობა ძველად) სასტუმროს ეძახის. ასეთ გამოქვაბულში მგზავრს შეუძლიან დაისვენოს, ცეცხლი დაინთოს, გათბეს თუ სცივა და ტანისამოსი შეიმშრალოს, თუ გზაზე წვიმამ და თოვლმა დაასველა.

საინგილო, ეს ყოველმხრივ უმდიდრესი ქვეყანა, მეტისმეტად ღარიბია მადნეულით. მისი უღრანი მთები და მიუვალი მწვერვალები ჯერ-ჯერობით არავის გამოუკვლევია და იქნებ ამიტომაც დაუვარდა სიღარიბის სახელი. შეუძლებელია, რომ ამდენ მთათა და კლდეთა შორის არაფერი მადნეული არ მოიძებნებოდეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საინგილოს მადნეულის გამოკვლევა-შესწავლას სრულიად არავინ აქცევდა ყურადღებას და ისე ბედის ანაბარად იყო მიგდებული ეს მდიდარი ქვეყანა. ერთად-ერთი მადნეული, რომელიც ფართოდ არის ცნობილი საინგილოში, არის ბელაქნის სპილენძის მადანი, რომელიც უძველეს დროშიც იქცევდა მოსახლეობის ყურადღებას. მადანი მაღალ მთებში მდებარეობს, კავკასიონის უღელტეხილზე. ბელაქანს იგი დაშორებულია 30 კილომეტრით. ძველ დროშივე უწარმოებიათ იქ მუშაობა, რასაც მოწმობს ის პრიმიტიული ღუმელები, რომელნიც დღემდე არიან დარჩენილნი.

1900 წლებში ექსპლოატაციის მიზნით ამ საბადოების კვლევაძიება აწარმოა ვინმე კონდუროვმა, მაგრამ ჩქარა მიატოვა, რადგან ხელსაყრელად ვერა სცნო მათი დამუშავება. 1911 წელს ფართო მაშტაბით შეუდგა მის შესწავლა-გამოკვლევას ცნობილი მილიონერი ფოგაუ. მას უნდოდა საფუძვლიანად შეესწავლა ეს ძველიდანვე ცნობილი მადნეული და შესდგომოდა მის ექსპლოატაციას. მთელი წყება სამთო ინჟინრებისა სამი წლის განმავლობაში დაწვრილებით სწავლობდა და იკვლევდა საბადოებს, ბევრგან მთელს მიდამოში აწარმოეს გათხრა-გამოკვლევა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. მათის გამოკვლევით ბელაქნის სპილენძის საბადოები წარმოადგენენ არა ერთიან მასივს, არამედ პატარ-პატარა საბადოებს, ხშირად დიდის მანძილით ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმანეთისაგან დაშორებულს, მივარდნილს უგზო-უკვლო ადგილებში, რის გამოც ერთიანი მძლავრი ღუმელის მოწყობა მის დასამუშავებლად ეფექტური მოხერხდა.

კვლევა-ძიება მადნეულისა დღესაც არ შეწყვეტილა, 1927 წლიდან ადერბაიჯანის მთავრობამ ხელახლა მოჰკიდა ხელი და ყოველ ზაფხულობით განაგრძობს კვლევა-ძიებას, რაზედაც მუშაობს კარგად ბლომად ხალხი ინჟ. პფაფენგოლცის ხელმძღვანელობით.

ამ მადნეულის დამუშავებას და წესიერ ექსპლოატაციას ბევრი ხელშემშლელი გარემოება უცარავს ხელს. მადანი მეტის-მეტად უხერხულ ადგილას არის, მას უჭირავს კავკასიონის მთავრეხილის მეორე წყება 3.000 ფუტის სიმაღლეზე, სადაც მთელი მიდამო ისეა დასერილ-დაღარული ვიწრო ხეობებით, რომ ერთი ბეწვა სწორე ადგილიც კი არ მოიძებნება შენობის ასაგებად. მკაცრი ზამთარი იცის, ისეთი, როგორც კავკასიონის უმაღლეს მთავრეხილებს სჩვევიათ, როდესაც გარეთ მუშაობა შეუძლებელია დიდი ყინვებისა და ქარბუქის გამო, დიდი უგზოობაა — მადნეულობამდის მხოლოდ ერთად-ერთი საცალფეხო გზა მიდის, ხევ-ხუვებით დასერილი, რომელიც ძნელი სავალია ზაფხულშიც კი, ზამთარში ხომ ისე ივსება თოვლ-ყინულით, რომ სრულიად გაუვალი ხდება. ძნელია არა თუ კვალიფიკაციური, არამედ უბრალო შავი მუშის შოვნაც კი.

სოფ. კუმის (კახის რაიონია) მთებშიც მოიძებნება სპილენძის საბადოები, მაგრამ ისინი უფრო უვარგის პირობებში არიან, ვიდრე ბელაქნისა. აქაც საბადოები მიუვალ ადგილებშია, რომლებსაც უბრალო საცალფეხო გზაც კი არ უდგება, ამიტომ მის გამოკვლევა-შესწავლაზე ჯერჯერობით არავინა ზრუნავს. ამბობენ კი მცოდნე პირები, რომ კუმის მადნეულობა ღირსებით ბევრად უფრო მაღლა დგას ვიდრე ბელაქნისა.

ერთ დროს სოფ. ელისუს ხეობაშიაც აღმოაჩინეს ოქროს მადნის ნიშნები. დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. მაგრამ ისეთი უმნიშვნელო რაოდენობა აღმოჩნდა, რომ მისი დამუშავება არა ღირდა, რის გამოც კვლევა-ძიება სრულიად მიტოვებულ იქმნა.

საინგილოში ბევრი სამკურნალო წყალია. ყველაზე განთქმული თავისი სამკურნალო თვისებებით არის შესანიშნავი აბანო ჰამამდარად წოდებული. გაივლით თუ არა სარაიონო ცენტრს სოფ. კახს და ქურუხის ხეობას შეჰყვებით, 6 კილომეტრის სიშორეზე შეხვდებით სოფ. ელისუს სულთანების ყოფილ რეზიდენციას. აი ამ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომ ხევ-ხევ წახვალთ ძალზე ვიწრო ხეობის ჩიხში დაგხვდებათ ეს შესანიშნავი აბანო. იქ ორ ადგილას პირდაპირ კლდის ნაპრალიდან გადმოჰქუხს ცხელი წყალი, რომლის სითბოც 40 გრადუსს აღწევს. ერთი მათგანი 8 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰქუხს, ხოლო მეორე ½ მეტრის სიმაღლიდან. ორივე სამკურნალო წყარო დღე ღამეში ½ მილიონ ვედროზე მეტ წყალს იძლევა. უმთავრესად წყლები ნაცარტუტისა და გოგირდისაგან შესდგებიან.

მომხმარებელთათვის მოწყობილია სამი აბაზანი, რომელთაგან ერთი ლამითა და ქვიშით არის ამოვსებული, ორით სარგებლობა კი მშვენივრად შეიძლება. აბანო რგეს რევმატიზმით დაავადებულებს და კანის ყოველგვარ ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფობას. ამ წყლებიდან პირველს ჰქვიან ოღლან ჰამამ, ხოლო მეორეს — ყიზ ჰამამ. ხალხის რწმენით, თუ ქალმა პირველში იბანავა ვაჟიშვილი ეყოლება, თუ მეორეში — ქალიშვილი.

ჰამამდარა მეტის-მეტად მიუვალ ალაგას მდებარეობს, სოფელ ელისუდან შვიდი კილომეტრის მანძილზე. სულ ხევ-ხევ და წყალ-წყალ უნდა იაროთ ცხენით. აბანოსთან არავითარი შენობა არ მოიპოვება და არც ადგილ-მდებარეობა უწყობს ხელს, რომ იქ რაიმე შენობა აიგოს. ამიტომ არა ერთხელ აღიძრა საკითხი, რომ წყალი მილებით ჩამოეყვანათ სოფელში, მაგრამ ამის განხორციელებას მუდამ აბრკოლებდა ის, ვითომ წყალი გზაში გაცივდება და თავის სამკურნალო თვისებას დაჰკარგავსო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს მოსაზრება, მაგრამ, თუ რამდენად დაჰკარგავს სამკურნალო თვისებას, ეს დღემდე არავის გამოუკვლევია. რამდენიმე წლის წინად ამ სამკურნალო წყლის თვისებების შესასწავლად და გამოსაკვლევად ბაქოდან მოვიდნენ ინჟენერ-ქიმიკოსი და ექიმი-თერაპევტი, მაგრამ რა დასკვნა გამოიტანეს მათ და, საზოგადოდ რას ფიქრობენ ამ წყლების შესახებ, ადგილობრივ არავინ იცის.

კარგი სანახავია ეს აბანო ზამთარში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აბანოთი ხალხი სარგებლობს მარტო ზაფხულობით, ვიდრე თბილა და პატარა, სახელდახელოთ გამართულ ქოხებში ნაბანავებს გაცივება არ მოელის. აბანო შედარებით მაღალ ადგილას მდებარეობს, ამიტომ ცივი, თოვლყინულიანი ზამთარი იცის მის ირგლივ, მით უმეტეს, რომ მის თავზე წამომდგარ მთებს ადრე ჩამოსთოვს ხოლმე. ირგვლივ სიცივეა, თოვლის თეთრი სუდარა გადაჰკვრია მიდამოს, ბუნებას კრიჭა შეჰკვრია, ჰამამდარა-კი ბუნების სიმკაცრეს გამოჰპარვია, იგი ჩვეულებრივად სჩქეფს და გადმოჰქუხს. მისი მძლავრი ოხშივარი, როგორც დიდი ქარხნის ბუხრის ბოლი, ცას სვეტივით ებჯინება, ნელ-ნელა ზევით-ზევით მიიწევს და ჰაერში იფანტება.

ჰამამდარში ზაფხულობით სამკურნალოდ დიდძალი ხალხი იყრის თავს. შორს არის გავარდნილი მისი სახელი, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, და აი ეს სახელი და სამკურნალო თვისება ბევრს იზიდავს აქეთკენ. ამიტომ აქ ნახავთ როგორც ნუხა-ევლახიდან, ისე შორეულ ბაქოდან, დერბენდიდან, განჯიდან და აზერბაიჯანის სხვადასხვა ადგილიდან მოსულებსაც.

ყიმურლუს აბანო სოფ. კახის მახლობლად მდებარეობს, ყიმურლუს ბინებთან. აბანო გოგირდოვანია, ცივია. აქ ბანაობა ნავებში ხდება. სამკურნალო წყალს ჯერ ნავებში ასხამენ, შემდეგ შიგ გახურებულ ქვებს ჰყრიან, რის გამოც დიდი აორთქლება ხდება. ავადმყოფი ნავში ზის, ზედ წარმოსხმული აქვს ნაბადი. ქვებს თანდათან უმატებენ. ავადმყოფი იმდენხანს ზის ნავში, ვიდრე შესძლებდეს, შემდეგ ამოდის და ლოგინში წვება. ავადმყოფს ზევიდან თბილად ჰხურავენ, რომ ოფლი მოუვიდეს. ამას იმეორებენ ორჯერ-სამჯერ დღის განმავლობაში. ბანაობა მეტის-მეტად უხერხულ პირობებში ხდება. არსად სახლი ან ქოხი არ მოიძებნება, რომ იქ შეაფაროს თავი ავადმყოფმა. ამ აბანოთი სარგებლობენ მხოლოდ ისინი, ვინც უილაჯობისა და მოუცლელობის გამო ელისუს აბანოს ვერ მისწვდომია. ეს აბანო რგებს ქარიანებს და დახუთულებს.

ნაცარტუტიანი სამკურნალო წყალია ყაინათმაც. იგი მდებარეობს სოფ. ალიბეგლისა და ყორაღანის მიჯნაზე. წყალი ცივია და გათბობას საჭიროებს. მკურნალობა აქაც ნავების საშუალებით ხდება, ისევე, როგორც ყიმურლუს აბანოში. ეს აბანო უხდება კანის ავადმყოფობით დაავადებულებს.

ხავანადარას აბანო ყველაზე უფრო შორს არის მოსახლეობაზე. მდებარეობს იგი ქალალ-ჯიმჯიმახის ხეობაში, სადაც პატარა მორაკრაკე მდინარე ხავანას მართლა რომ ხავილი გაუდის. თუმცა ეს აბანო დაშორებულია მოსახლეობას, მაგრამ ძალიან ხელსაყრელ ადგილასა მდებარეობს. იგი მოფარებულ, მყუდრო ადგილას არის, ჰავა მშვენიერია, შეშა კიდევ გამოულეველი, რადგან აბანო შიგ ტყეშია მოთავსებული და მისი ცივი სამკურნალო წყლის გასათბობად შორს არ უხდება ადამიანს შეშისათვის სიარული. აბანო ძალზე გოგირდოვანია. შეხვალთ თუ არა იმ ვიწრო ხეობაში, სადაც აბანოა, უკვე ორი ვერსის სიშორიდან მოგდით მისი სუნი. ღირსებით იგი ბევრად სჯობია ორ წინა აბანოს. სამკურნალოდ უმთავრესად ჭარ-მუხახის ხალხი დაიარება, როგორც მახლობელ აბანოში. ბანაობა იმავე წესით ხდება, როგორც წინა აბანოში, ე. ი. გეჯებში ჩასხმულ წყალში გახურებულ ქვებს ჰყრიან. ეს აბანო არჩენს კანის ყოველგვარ ავადმყოფობას და რევმატიზმს. ზაფხულობით დიდძალი ხალხი ეტანება.

ბელაქნის მთებშიაც ბევრ ადგილას შეხვდება კაცი მინერალურ წყლებს. მდინარე ჩარიგელასა და ქილასაჩაის შესართავთან მდებარეობს გოგირდის წყარო მცირედის დებეტით. თვით ბელაქნის წყლის სათავეშიაც, იქ, სადაც ტყეები თავდება და ალპიური ზონა იწყება, მშვენიერი მჟავე წყლებია. ბელაქანჩაისთან კიდევ ორ ადგილას გამოდის გოგირდის წყარო. ასეთივე წყაროება გამოდის კატეხჩაისა და ქალაჩაის შესართავის სიახლოვეს.

ბელაქნის ეს მინერალური წყლები პირველყოფილ მდგომარეობაში არიან და უყურადღებოდ მიტოვებულნი. ხალხი ან სრულიად არ სარგებლობს ამ სამკურნალო წყლებით მათი სიშორისა და მიუვალ ადგილებში მდებარეობის გამო, ან ძალიან მცირედ. სამაგიეროდ დიდად სარგებლობენ ამ მინერალური წყლებით, მონადირეების გადმოცემით, ირმები, შვლები, ჯიხვები. ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ წყლების ირგვლივ ტრიალებენ, ხარბად სვამენ მას.

საინგილოს მთელი ტერიტორია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილისაგან შესდგება — მთისა და ბარისაგან. ამიტომ ჰავაც და ბუნებაც სხვადასხვანაირია და ერთმანეთს არაფრით წააგვანან. გარდა ამისა, მთაში მოსახლეობაც კი სხვანაირია. მთა ნაკლებად არის დასახლებული, სულ ათიოდე სოფელი შეჰკედლებია მის კალთებს და ისიც სულ წახურიდან გადმოსახლებული ლეკები არიან. კალალი, ჯიმჯიმახი, აზგილოუ, კასი, კარკაი, სუვაგილი, ახბაი, სამუბაში, ელისუ,—აი ეს არის მთის მოსახლეობა. საინგილოს ამ სოფლებში და, საზოგადოდ, მთაში მშვენიერი ზაფხული იცის, როცა თოვლი ჩამოდნება, მთა ზამთრის ძილისაგან გამოფხიზლდება, თვალებს მოიფშვნეტს და ახალ ცხოვრებას დაიწყებს. მისი გრილი, გამაცოცხლებელი სიო, ანკარა წყაროები, იისფრად აფერადებული მთა დიდძალ ხალხს იზიდავს ბარიდან. ბარი სიცხით იწვის, აქ-კი მთის ღელეებში ჩაზვავებული თოვლი ჯერ კიდევ არ გამქრალა,—გამაგრებულია, გაქვავებული, ნელ-ნელა დნება, მთლად ცრემლად ქცეული. მის ძირიდანვე გამოჰქუხს ბროლი, ანკარა ნაკადი. ბუნება ზეიმობს და ისეთი საამური ჰაერით ავსებს მიდამოს, რომ გარინდებული დგეხართ და გინდათ დაუსრულებლად სუნთქავდეთ. ყველგან სიცოცხლეა, სიცოცხლე განახლებული და გაბრწყინებული. „მთის კერძნი კეთილ-აგარაკნი და მშვენიერნი“ ამბობს ბატონიშვილი ვახუშტი საინგილოს ამ ნაწილზე.

აქაური ზაფხულის სიმშვენიერე მთელ ბარს აქეთკენ იზიდავს. ცხვრის ფარები ერთი-ერთმანეთს გზას ვერ უქცევენ, მეჯოგეები გაფაცებით იმზადებენ ადგილებს. აქეთკენვე მოისწრაფვიან მალარიითა და ქლენთით დაავადებულნი. აქეთკენვე გამორბოდნენ ძველად ბარში სიცხით შეწუხებულნი, განებივრებული ბეგები. მთაშივე გადააქვს თავისი სკები გამოცდილ მეფუტკრეს, რათა უფრო მეტი ღალა აიღოს.

ყველა ამათ ფეხდაფეხ მისდევდა გულხადარი. გულხადრებს ძველად დაღესტნის ბოგანო ხალხს ეძახდნენ. ეს ხალხი ძველად მთელი ოჯახობით ჩამოდიოდა შემოდგომობით საინგილოში და აქ ეწყობოდა სამუშაოზე. ზოგი მათგანი მწყემსად დგებოდა, ზოგი სახლში ხელზე მოსამსახურედ, ზოგი დღიურ მუშად და ასე ვაინარჩობით ატარებდნენ მთელ ზამთარს. ქალები ვისიმე გომურში ბინავდებოდნენ, მცხოვრებლებს ეხმარებოდნენ საშინაო საქმეებში,— უჭრიდნენ და უკერავდნენ ტანისამოსს, უცეხვავდნენ ჩალთუყს (ბრინჯს), ურჩევდნენ კაკალსა და თხილს და სხვ. საინგილოს ეკონომიური ცხოვრებისათვის მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან ისინი კარგ დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ საინგილოელთა მეურნეობისა და შინამრეწველობისათვის. რა საქმის გაკეთებასაც ინგილო ვერ ასწრებდა, იმას გულხადების დახმარებით შემოდგომა-ზამთრობით ამთავრებდა.

ამ ხალხის მთელ სიმდიდრეს ვირი ან ბებერი ცხენი შეადგენდა, რომელსაც აჰკიდებდნენ თავიანთ მწირ ქონებას და გაზაფხულზე, გაიხსნებოდა თუ არა დაღესტნისაკენ მიმავალი გზები, მყისვე იქითკენ იზამდნენ პირს. მოუვიდოდა თუ არა გულხადარს გაზაფხულის სუნი, ბარად ვერავითარი ძალა, ვერავითარი სასყიდელი ვერ დაიჭერდა. ბაჯაღლო ოქრო რომ დაგეთვალათ და ჯაჭვითაც დაგებათ, იმას საინგილოში ვერ გააჩერებდით ზაფხულობით. ის მაღალი მთების შვილი იყო, ძველად ეკონომიურად ძალზე შევიწროვებული. დაღესტნის ტიტველა, მშიერი მთები მას ვერ აძღობდნენ, პრიმიტიულად დამუშავებული მიწის მოსავალი ორ თვესაც ვერ ჰყოფნიდა და ამიტომ მორბოდა ბარში.

გასაბჭოების შემდეგ გლეხკაცებიც კარგად მოეწყვნენ და თუ ზოგიერთნი კიდევ ჩამოდიან ბარად, ეს უფრო მამაკაცები, რომლებიც საბჭოთა მშენებლობაზე ეწყობიან, კარგა ფულს შოულობენ მთელი ზამთრის განმავლობაში და გაზაფხულზე უკან ბრუნდებიან, ცოლშვილში.

ასეა მთაში ზაფხულობით, მაგრამ ბარად სულ სხვა სულისშემხუთავი სურათია. „გარნა ჰავა ცხელი, შხამიანი ზაფხულის,“ — ამბობს ვახუშტი საინგილოს ამ ნაწილის შესახებ. ვახუშტის ეს სიტყვები უაღრეს ჭეშმარიტებას შეადგენენ. დადგება თუ არა თიბათვე, ისეთ უზომო, გაუთავებელ სიცხეებს დაიჭერს ხოლმე, რომ საშინელებაა. მიწა ყაშა-ყაშა სკდება ურწყავ ადგილებში.

ყველაზე უფრო კარგი და მომხიბლავი დრო საინგილოში შემოდგომაა. თუ საინგილოს ნახვა გინდათ და მისი სიდიადით დატკბობა, შემოდგომით უნდა ნახოთ იგი. ისეთი კაშკაშა მზიანი დღეები იცის შემოდგომობით, რომ მსგავსს სხვაგან ვერსად შეხვდება ადამიანი. ყველგან სიმშრალეა, მთიდან მსუბუქი ნიავი მოჰქრის, ირგვლივ მოფანტული გაყვითლებული ფოთლები შრიალებენ. გრილა, სულის ჩამდგმელი, სასიამოვნო ამინდია. გზების პირად ჩამწკრივებულ კაკლის ხეებზე დარჩენილი ნიგოზი გზებზე ცვივა. ბაღები

სავსეა თხილის ნარჩენით. ალაზნის ჭალებში ბროწეული მეტის სიმწიფისაგან სკდება და იფანტება. ზაფხულის სიცხით შეწუხებული ხალხი მინდვრად იშლება, მთებში შეხიზნული მოაგარაკენი ბარად ჩამოდიან და ფეხაკრეფით მისდევენ ერთმანეთს. ყველგან გაისმის მთიდან მოზღვავებული ცხვრის ბღავილი. შირაქი, აღიაზლო, აჯინაური ცოცხლდებიან. ბუნება ისეთ ელფერს ღებულობს, თითქოს იგი საქორწილოდ ემზადებაო. მონადირე თოფს იღებს ხელში, — მთიდან ჩამოვარდნილი ღორი ჭალებს მოსდებია, ხოხობი დღესასწაულობს, შამბში აღარ იმალება, ჯეირანი, ტრიალი მინდვრების განუყრელი შველი, ფეხაკრეფით მირბის ახმაურებულ მინდვრიდან და მიყრუებულ ადგილებს ეფარება.

ზაფხულობით მოდუნებული მაჯა ბარისა ეხლა მეტ ინტენსივობაა იჩენს. გლეხკაცი გამალებული მუშაობს, რომ წლის მოსავალი ჩქარა სახლში შეიტანოს, გარედ არ დარჩეს, არ წაუხდეს. ბრინჯის მინდვრებში გახურებული მუშაობაა, რიგი სჭრის ბრინჯს, რიგი უკვე გამხმარს ქეთუქებით კალოზე ლეწავს. დიდი და პატარა არახისს დაჰხვევია. იღებენ მიწიდან მშვენივრად მსხმოიარე ამ მიწის თხილს, აშრობენ, არჩევენ. თამბაქოზე მუშახელი არა ჰყოფნით, — ეხლაა სწორედ გახურებული მუშაობა.

ზამთარი საინგილოში საზოგადოდ თბილი იცის. თოვლს ძალიან იშვიათად დასდებს და თუ დასდო, მეორე დღესვე აიღებს. „ზამთარი კეთილ ჰაეროვანი, თბილი უთოვლო, უყინულო“, ამბობს იგივე ვახუშტი საინგილოს შესახებ. მართლაც, ზამთარი ისეთი წყნარი, უთოვლო და უქარო იცის, რომ ადამიანი არც კი გრძნობს, რომ ზამთარია. თავისუფლად შეგიძლიანთ მთელი ზამთარი მსუბუქ საშემოდგომო ტანისამოსში იაროთ. ამ თბილ ზამთარში ხშირად ნახავთ მყუდრო ადგილას, ბუჩქის ძირას, მშვენივრად გაფურჩქვნილ იას.

საინგილო ასეთი მსუბუქი ზამთრით ხარბად სარგებლობს. ის გულხელდაკრეფილი არა ზის: ახლა ამზადებს ფიჩხს, შეშას, ჭიგოს, ცეხვავს ჩალთიქს (ქერქიან ბრინჯს) და ათას სხვა სამუშაოს ასრულებს ვენახსა და ბაღში. ახლა იხდის ქორწილს, დაიარება ნათესავებსა და ნაცნობებში სტუმრად, სოფლიდან სოფელში. ზამთარი ის დროა, როცა მინდვრის მძიმე სამუშაოსაგან თავისუფალი ინგილო ლაღობს და მხიარულობას ეძლევა. ახლა მიდის სანადიროდაც, განსაკუთრებით ღორებზე. მოგეხსენებათ, რომ ალაზნის ჭალებში ბლომად ბუდობს ზამთრობით გარეული ღორი. ამ ღორებს ემატებიან ზამთრისსიცივისაგან შეწუხებული მთიდან ჩამოვარდნილებიც. სწორედ ამ გარეულ ღორებზე სანადიროდ იცლის ხოლმე ახლა ინგილო. შეიყრებიან მონადირეები, — რამდენიმე კაცი, წაიყვანენ თან ძაღლებს და წავლენ სურაქში. სურაქს აქ ღორზე ნადირობას ეძახიან. ძალიან ხელსაყრელია ეს ნადირობა. იშვიათად დაბრუნდებიან ხოლმე ხელცარიელი ნადირობიდან. ღორს გარდა, სხვა ცხოველებზედაც ნადირობენ ზამთრობით, განსაკუთრებით კი ჯეირანებზე და კურდღლებზე. მაგრამ ინგილო განსაკუთრებით მაინც ღორის მტერია.

ასეთი ამბავია ზამთრობით ბარში, მთა კი ამ დროს სულ სხვა სურათს წარმოადგენს. ის რამოდენიმე სოფელი, რომელიც მთას შეჰკედლებია, სრულიად იცლება ამ დროს მამაკაცთაგან, ყველა სხვაგან მიდის, სახლში ზამთრობით მამაკაცთაგან არავინა რჩება. როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ეს სოფლები მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიან, ბარს კი, სადაც ბევრი ადგილ-მამულია დასამუშავებელი, ვერ ეგუებიან როგორც მთის ჰავას შეჩვეულნი.

ამიტომ ისინი უძველეს დროიდანვე ხელობას მისდევენ და ამით ირჩენენ თავს. ყველა აქაური კალატოზია, ან დურგალი, მექვაბე, მკალავი. ზაფხულს ეს ხალხი სახლში ატარებს, თავის ოჯახსა და ცოლშვილში. მაგრამ მაინც თუ არა შემოდგომა, ერთ კაცს ველარ ნახავთ სოფელში, ყველა იარება და სამუშაოდ მიდის, სოფელი მარტო ქალების ამარა რჩება. სოფელი თითქოს კვდება, სიცოცხლე ეკარგება, ის ეხლა მითიური ამორძალების სოფელს ემსგავსება, სადაც ყოველგვარ საქმეს,შინ და გარეთ ქალები აკეთებენ, მომსვლელის მიმღებნი და პასუხის გამცემნი ისინი არიან. აი ასეთი ამორძლების სოფელს მოგვაგონებენ მამაკაცთაგან მიტოვებული ეს სოფლები მთელი 7—8 თვის განმავლობაში. საითაც გაიხედავთ ამ სოფელში ყველგან ქალები და ქალები... არსად კაცები, გარდა ბავშვებისა.

როცა ჩამოსთოვს ყველანი სახლებში ჩაიკეტებიან და გარედ ფეხს აღარა სდგამენ. ამ მთის ფერდობზე შეფენილ სოფლებში დიდი თოვლი და ყინვები იცის. ამიტომ გარედ არავინ გადის. სხედან ქალები ბუხრებთან და შორს სამუშაოდ წასულ ქმარ-შვილზე ფიქრობენ, ან კიდევ საჩოხე და საჯეჯიმე მატყლს სჩეჩავენ და ართავენ და საზაფხულოდ სამუშაოს იმზადებენ. ზოგნი კიდევ, უმთავრესად სოფელ ელისულში, დაზგაში ჩასმულ ხალიჩებსა და ფარდაგებსა ქსოვენ. ასე უფერულად მიმდინარეობს მთელი ზამთარი სოფელში, ვიდრე სამუშაოებიდან არ დაბრუნდებიან და ჩვეულებრივ სიცოცხლესა და მხიარულებას არ შეიტანენ სოფლის ცხოვრებაში მამაკაცები.

თუ საზოგადოდ გაზაფხული ტურფაა და კეკლუცი, მაშ რაღა უნდა იყოს გაზაფხული საინგილოში, სადაც უიმისოდაც ბუნება მდიდარია და მომხიბლავი! გაზაფხული საინგილოში მეტად თვალწარმტაცია. მთა და ბარი აზურმუხტებულ სამოსელს ისხამს, სურნელოვანი ყვავილებითა და ათასნაირად აჭრელებული ხეხილის თაიგულებით იმოსება. ამას დავუმატოთ მთიდან გამოქცეული მოჩუხჩუხე ნაკადები, ყველგან გაუთავებელი სტვენა-ჭახჭახი ბულბულისა, რითაც სავსეა საინგილო და ადვილად წარმოიდგენთ, რა წარმტაცია ეს კუთხე.

სოფლად ყველგან გაცხარებული მუშაობაა, მამაკაცები ბაღ-ვენახებს მოსდებიან, ბავშვები და ქალები ნაფუზრებში თავიანთ საყვარელ საგაზაფხულო საჭმელს ღანძილს დაეძებენ. გემრიელი ღანძილი იცის საინგილოში, თუმცა მას არასასიამოვნო სუნი აქვს, მაგრამ საინგილოში მას ისე ამზადებენ, რომ სუნი მთლად ეკარგება. გაფუფქვნილ ღანძილს თუშფალანგზედ წამოჰყრიან და როცა დაიწურება, რამდენჯერმე ცივ წყალს გადაავლებენ. ღანძილს სუნი ეკარგება, შემდეგ ერბო-კვერცხში ხრაკავენ, ისევე როგორც სატაცურს.

აქაური ღანძილის სახელი შორს არის გავარდნილი, ის ფოსტით აუარებელი იგზავნება, ისეთ შორს ადგილებშიც კი, როგორც ბაქოა, ერევანი, ნახიჩევანი, ლენინაკანი და ორდუბაი. აბა შედით გაზაფხულზე ზაქათალის ან კახის ფოსტის კანტორაში, თუ ღანძილის სუნმა არ დაგბნიდათ. კანტორა ამ დროს ღანძილის ამანათებით არის სავსე. ღანძილი უმთავრესად კახის რაიონიდან იგზავნება.

იმ დროს, როცა საინგილოს ერთ განაპირა რაიონში ღანძილის გაცხარებული კრეფაა, მეორე რაიონში, ბელაქანში, სხვაგვარი საზაფხულო სამუშაო სწარმოებს. ეს გახლავთ ჯონჯოლის კრეფა. ბელაქნის მახლობელი ტყეები სავსეა ჯონჯოლით. აქ ჯონჯოლის უამრავი ბუჩქია. ადგილობრივი მცხოვრებნი, ლეკები, მას ვერ ეწყობიან. ძველად თბილისის ბაყლების სათარეშოდ იყო გადაქცეული აქაურობა.

ამ დროს ალაზანიც ცოცხლდება, მის სანაპიროებზე მეთევზეები ჩნდებიან. სხვა დროს მიყრუებული ალაზანი, თითქოს ზამთრის ძილისაგან იღვიძებს, მოჭარბებულ წყალდიდობისაგან თითქოს ზღვად გადაქცეული, თევზით ივსება. აქ თევზაობა მარტოდ-მარტო გაზაფხულობით არის მიღებული, სხვა დროს ალაზანს სათევზაოდ კაცი არ ეკარება. თევზს უმთავრესად ჩანგლით იჭერენ.

გაზაფხულზე აქ ზოგჯერ ხშირი წვიმები იცის, ხანდახან ისე ატყდება, რომ მთელი კვირაობით არ გადაიღებს. მაშინ ამინდი იცვლება, საინგილოს თავზე წამოყუდებული კავკასიონის უზარმაზარი მწვერვალები ნისლში ეხვევიან, და მოულოდნელად დათოვს და მოჰყინავს სწორედ ისეთ დროს, როცა ხეხილია აყვავილებული, ვაზი და კაკალი ახალ ყლორტებ-ამოყრილი. ჰხედავ, მშვენივრად აყვავებულ ბუნებას უეცრად ყინულის სარტყელი გადაეკრა, შებოჭა, შეხუთა იგი, სადღესასწაულოდ გამზადებული სასიკვდილოდ გასწირა. გაყინულ-გათოშილი ყვავილი და ყლორტი სცვივა ხეებს, და იმ წელს მოსავალზე ხელი უნდა აიღოს მცხოვრებმა, არც ყურძენი, არც ხეხილი იმ წელიწადს არ იქნება.

სამაგიეროდ სეტყვის მხრივ საინგილო იშვიათი ქვეყანაა, — აქ სრულებით არ იცის სეტყვა. არ ვიცი, რით აიხსნება ეს ბედნიერი მოვლენა, მაგრამ ეს კია, როცა დაიძრება მთებიდან სეტყვის მომყვანი შავი ლეგა ღრუბელი და ბუნება აირევა, ის საინგილოს მშვიდობით გადაუვლის, ასცდება მის ვიწრო და მოკლე ტერიტორიას და ალაზნის გაღმა საძოვარ მინდვრებს დასცემს თავზარს. აღიაზლო, აჯინაური, ხარიჯა, — აი ესენი წარმოადგენენ მის სამეფოს, იქ მინდვრებში დასცემს ხოლმე სეტყვა თავის ბანაკს. ამ საძოვარ მინდვრებში კი იმ დროს წასახდენი არაფერია, ვენახები და ხეხილის ბაღები იქ არ არის და არც ცხვრის ფარებია იმ დროს საძოვრებზე. ასე რომ სეტყვას საინგილოსათვის არავითარი ზარალი არ მოაქვს. ბედნიერია ამ მხრივ საინგილო. თუ აქაურ მცხოვრებს ამ საძოვარ მინდვრებში არ უვლია და იქ არ უნახავს სეტყვა, თვით საინგილოში, სადაც მოსახლეობაა, ვერას დროს ვერა ნახავს.

არც ქარი იცის საინგილოში, იგი უქარო ქვეყანაა. ქარიან ადგილებში შეჩვეულ ადამიანს აქ მოენატრება ქარი. ხანდისხან ისე გაივლის წელიწადი, რომ ქარი არსაიდან არ დაიძვრის. ამიტომ ძველად კალოებს უმთავრესად მდინარეების ნაპირებთან მართავდნენ, რომ განიავების დროს მდინარის ნიავმა მაინც გაიტანოს ბზე და ბრინჯის ბუჩო. ნიავი ისევ ხეობებში თუ ჩამოიქროლებს ათასში ერთხელ, ან კიდევ ალაზნის პირზე ხამუშ-ხამუშ თუ შეათამაშებს მოწყენილ ჭალებს და ვერხვებს, თორემ სხვაგან ძალზე იშვიათია. საინგილოს აღმოსავლეთ-სამხრეთიდან კავკასიონის მთაგრეხილი აქვს აფარებული თავის გრძელი ქიმებით და ალბათ, ეს გარემოება ჰქმნის აქ უქარობას. ეს უქარობა, სხვა ხელის შემწყობ პირობებთან, იმის ერთი მიზეზთაგანია, რომ ხეები აქ უზარმაზარი სიმაღლისა და სიმსხოსი იზრდებიან. აქაური ცაცხვი, მაგალითად უზარმაზარი კაკლის სიმსხო იზრდება და ვეებერთელა ფართობი უჭირავს მას. მაგრამ ამ უქარო ქვეყანაში, თუ ბუნება განრისხდა და საიდანმე ქარი შემოიჭრა, იგი მთელ გრიგალად გადაიქცევა და საშინელებას დაატრიალებს. სახლებს სახურავებსა ჰგლეჯს, თივის ნამჯებს იტაცებს და უზარმაზარ ხეებსაც ძირიანფესვიანად ამოაგდებს ხოლმე. მაგრამ ასეთი მოვლენა ძალიან იშვიათად 15-20 წელიწადში შეიძლება ერთხელ მოხდეს.

საინგილოს ჭაობები და პატარა ტბები სავსეა ქვეწარმავალით. საინგილო, საზოგადოდ, მდიდარია ქვეწარმავალით, განსაკუთრებით კი გველებით. ბარ-

ში და აჯინაურ-სარიჯის ველ-მინდვრებში ფეხს ვერ გადაადგამ, რომ ადგილ-ადგილ გველები არ შეგეფეთნონ. ისინი ისე ბევრი არიან, რომ შარა გზაზე-დაც კი მოსვენებას არ აძლევენ ადამიანს და ხან აქ, ხან იქ გადაუბრენენ ხოლმე ორ-ორი ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინგილოს მდიდარ ბუნებას ბევრი ნაკლიცა აქვს. ასეთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს პატარა ტბები და ჭაობები, რომელნიც უმეტესად ალაზნის სიახლოვეს მდებარეობენ. ეს ჭაობები სავსეა ქვეწარმავალით — გველებით და კუებით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი ისინი ზაფხულობით სავსენი არიან კოღოებით და ქინქლებით. ისე მრავალია აქ კოღო, რომ შორიდანვე ისმის მათი ზუზუნი, რის გამოც ეს ადგილები მალარიის ბუდეებად ითვლებიან. აქაური კოღო მეტად მწვავედ იკბინება და ავრცელებს ერთგვარ მალარიას, რომელიც მაღალი სიცხით იწყება და რომელსაც ტროპიკულს მალარიას ეძახიან. საინგილოში არა ერთი და ორი სოფელი ამოვარდნილა ძველად მალარიის წყალობით.

ამ ჭაობიან ადგილების ამოშრობა ადვილად შეიძლება. ამისათვის საჭიროა არხის გათხრა და აშმორებული წყლის ალაზანში ჩაშვება.

საინგილოს დიდ ნაკლს ძეძვიანი ადგილებიც შეადგენენ. ნახავთ დიდ ფართობს, რომელიც მთლად ძეძვს უჭირავს და ხვნა-თესვისათვის და, საზოგადოდ რაიმე კულტურისთვის გამოუსადეგარია. ასეთი ადგილები ყველგან არის საინგილოში.

ზოგჯერ ისე ხშირია ეს ძეძვი, ისეა გადაბმული, რომ კაცს გავლა გაუჭირდება. ჯერ-ჯერობით ამას ყურადღებას არავინ აქცევს და არავინა სწმენდს ამ გამოუსადეგარ და მავნე ჩირგვებისაგან ნიადაგს.

ალაზნის სანაპიროზე ლამიანს ადგილებში გაზაფხულზე მთელი ტყე ჩნდება სატაცურისა. დაჯექით და ჰკრიფეთ, რამდენიც გინდათ! აქაურები ისე უცქერიან სატაცურს, როგორც სარეველა ბალახს და ახლოსაც კი არ ეკარებიან — ჩხირებიაო, გაიძახიან.

სოკოც დიდძალი მოდის საინგილოში. ტყეებსა თუ ჭალებში ყველგან ნახავთ მშვენიერ საჭმელ სოკოს. ბარში, ნოტიო ადგილებში ხშირად მთელი ტყეა ხოლმე სოკოებისა.

ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ძვირფას სოკოებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, არც ახმობენ, არც სხვა გვარად იყენებენ. მათი მომხმარებელი მხოლოდ მოსული ხალხია, უმთავრესად რუსობა. ისინი კიდევაც ახმობენ და კარგს წნილსაც ამზადებენ მისგან.

საინგილოში მოიძებნება ტექნიკური მინდვრის მცენარეც. დღეს დღეობით ისინი უყურადღებოდ არიან მიტოვებული. ასეთია ძირტკბილა, კანაფი-თრიმლი, თუთუბო. ბლომად არის საინგილოს ზოგიერთ ტყეში, განსაკუთრებით კი ათაღარის ტყეში თრიმლი. მისი გამხმარი და დაბეგვილი ფოთოლი და ნორჩი ყლორტები ბოლო დრომდე იხმარებოდა ტყავის წარმოებაში.

საინგილოში იზრდება გარეული კანაფა-ბალახი, რომელიც თავისთავად ამოდის ალაზნის ქვიშიან ადგლებში. მისი სიმაღლე ზოგჯერ სამ მეტრს აღემატება. მდიდარ ბუნებას და ნოყიერ ნიადაგს ის ძალზე გაუგიჟებია. ამასთან არც მოვლას საჭიროებს და არც პატრონობას. მისგან მზადდება ტილოები, ტომრები, თოკი. საუბედუროდ, ამ მდიდარ ქვეყანაში კანაფის მოხმარება სრულიად არ იციან, ტყუილად მიდის და იღუპება ეს ძვირფასი სიმდიდრე. მას არც საქონელი სჭამს და არც ნადირი ეკარება.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე გოგიბერიძე

უზენაესი არსების ცნება „ვეფხის ტყაოსანში“

სტალინური დიადი ეპოქის სამართლიანმა ხელმა რუსთაველი მსოფლიო გენიოსთა კრებულში მოათავსა. ვეღარავითარი გარემოება მომავალი ისტორიისა რუსთაველს ამ საკრებულოდან ვეღარ გამოიყვანს. თუ ჩვენს დრომდე რუსთაველი ქართველი ხალხის უებრო გენიოსი იყო, სოციალიზმის შუქით განათებული ჩვენი მზიანი ქვეყნის საზღვრებს ახლა იგი გასცდა და საკაცობრიო გენიოსთა ოჯახს მიეკუთვნა.

დღეს დადგენილია, რომ საშუალო საუკუნეების მიჯნაზე რუსთაველის სახით პირველად ამოვიდა გონებისა და ადამიანური სიყვარულის ძალით გამთბარი სხივი და მომავალი კაცობრიობის სავლელი გზა გაანათა. დღეს რუსთაველისათვის საბოლოოდ უზრუნველყოფილია სახელი პირველი ჰუმანისტისა.

მე-12 საუკუნის საქართველოში უსათუოდ არსებობდა ყველა საჭირო ობიექტური პირობაც რუსთაველის გენიის წარმოშობისათვის. საქართველო იყო გზაჯვარედინი ორი უდიდესი იმ დროინდელი ცივილიზაციისა, არაბულისა და დასავლეთურისა. რუსთაველში მოხდა ამ ორი ცივილიზაციის სიმფონია. მეტიც: რუსთაველის გენიაში მარტო შეხვედრა კი არ მომხდარა მაჰმადიანურ-არაბულისა და ქრისტიანულ-დასავლეთური მსოფლმხედველობისა, არამედ ორივეს გადასალახავი გზაც აღმოჩნდა. რუსთაველს არც ქრისტიანული ღმერთისათვის უცია თაყვანი და არც მაჰმადიანურისათვის. მაგრამ რუსთაველი არც ათეისტი ყოფილა და არც წარმართი. მის შემოქმედებაში ოფიციალური ღმერთი არ არის, ღმერთზე კი საერთოდ ძალიან ბევრ ლაპარაკია, ღმერთი ძალიან ფართოდ არის იქ წარმოდგენილი, და ამ შრომის მიზანია გამოიკვლიოს ღვთაების ცნება, რუსთაველისა და აჩვენოს, რომ ეს ცნება ერთგვარი ხიდი და გზა იყო რუსთაველის მსოფლმხედველობისაკენ.

რუსთაველი ისეთი ეპოქის კაცი იყო, რომ საკითხი რელიგიურ მსოფლმხედველობასთან დამოკიდებულებისა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო თვით მისი საკუთარი გზებისა და მსოფლმხედველობისათვის. იმ დროს ამ საკითხს გვერდს ვერ აუხვევდა ვერც პოეტი და ვერც მოაზროვნე. იმ დროინდელი მსოფლმხედველობის დადგენისათვის ღმერთის ცნებაზე უფრო დიდი რკალი არ არსებობს.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ რუსთაველი, XII საუკუნის ქრისტიანული სახელმწიფოს კაცი, ისიც უსათუოდ წარჩინებულთა გვარის შვილი, მღერის უკვდავ საგალობელს და ქრისტიანულ ღმერთს არც ერთხელ

არ უგალობს. ყოველივე ქრისტიანული, აზრისა და შემოქმედების იმ დროინდელი არეული, ღმერთი სამპიროვანი და ერთარსებიანი, ქრისტიანული მესიანიზმი, ღმერთი კაცად ქცეული და სხვა არსად არა გვხვდება რუსთაველთან; არსად არავითარი პატივისცემით არ არის მოხსენებული არც ოფიციალური მაჰმადიანური ღმერთი, თუმცა, პოემის მხატვრული რეალიების თანახმად, რუსთაველს სჭირდება სცენაზე გვიჩვენოს მაჰმადიანური ღვთაება.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ღმერთს, როგორც ცნებას, თუ ერთგვარ facon de parler, რუსთაველი თავის პოემაში შვიდასჯერ მიმართავს.

იმდროინდელ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილი ცნება უმაღლესი არსებისა უკლებლივ გვხვდება რუსთაველთან. რუსთაველის ღვთაება დაჯილდოებულია მონოთეისტური რელიგიებისათვის ყველა დამახასიათებელი პრედიკატით, არა გვხვდება მხოლოდ უსასრულობის პრედიკატით დაჯილდოებული ღმერთი. როგორც ცნობილია, უსასრულობის პრედიკატი პირველად ნიკოლაოს კუზანელმა (XV საუკუნე) მიაკუთვნა ღმერთს; რენესანსის ეპოქის ეს ცნება ჯერ კიდევ უცნობი იყო რუსთაველისათვის, სამაგიეროდ რუსთაველი უკვე აყენებს რენესანსის ეპოქის მეორე დამახასიათებელ ცნებას უმაღლესი არსებისას, ე. ი. ღმერთს, როგორც გ ა ნ გ ე ბ ა ს.

მართალია, რომ განგების ცნება ოფიციალურ ქრისტიანულ თეოლოგიაშიც გვხვდება, მაგრამ იქ ეს ცნება ძალიან მკრთალად არის წარმოდგენილი და დაქვემდებარებულია პერსონალიზმთან. ქრისტიანული, თუ გინდ მაჰმადიანური ღმერთი, უპირველეს ყოვლისა არის პერსონა, პირი, ე. ი. არის ნაყოფი ანთროპომორფისტული ფანტაზიისა. რუსთაველის ღმერთი პირი კი არ არის, არამედ ძალა, რომელიც ადამიანის მიმართ განგებად ვლინდება და მისდამი მორჩილება ადამიანს ექცევა აუცილებლად.

იმ გარემოებამ, რომ რუსთაველი თაყვანს არა სცემს ოფიციალური სარწმუნოების ღმერთებს, ზოგიერთებს აფიქრებინა, ვითომ რუსთაველი წარმართობას დაბრუნებოდეს, ე. ი. პრიმიტიული ანთროპომორფიზმის მიმდევარი გამხდარიყოს. ეს ყოველივე აზრს მოკლებული ფიქრია. წარმართობა ამ შემთხვევაში ან პოლითეიზმს ნიშნავს, ან და უღმერთობას. რუსთაველის პოლითეიზმზე ლაპარაკი აბსურდია. იგი გაუსწორებელი და პრინციპიალური მონოთეისტია. რუსთაველის აზრით, როგორც სახელმწიფოს უნდა ახასიათებდეს ერთმეფობა, ასევე ზეცას ახასიათებს ერთი ძალა. ამ მიმართულებით რუსთაველი არ უშვებს არავითარ კომპრომისს. აბსოლუტიზმისა და ერთმპყრობელობის მომხრეა იგი მიწისათვისაც და ზეცისათვისაც. მეთორმეტე საუკუნის საქართველოში პოლიტიკური მოწინავე აზრი, და სოციალური პროგრესი საერთოდ, აბსოლუტური მონარქიის დაცვაში უნდა გამოხატულიყო, და რუსთაველიც უდიდესი იდეოლოგი იყო აბსოლუტიზმისა. წარმართობასა და პოლითეიზმს რომ დაჰბრუნებოდა რუსთაველი, ეს იდეოლოგიური რეგრესი იქნებოდა და არა პროგრესი. ვინ დაამტკიცა, რომ წარმართობა, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობა, ბერძნული გინდ ქართული, მონოთეისტურ რელიგიებზე უფრო პროგრესულია? ასეთი რაიმეს მტკიცება ისტორიული სანტიმენტალიზმიდან გამოდის და არა ისტორიული მატერიალიზმიდან. წარმართობა, წარმოშობილი პრიმიტიული ეკონომიკის იდეოლოგიად, მოკლებული იყო იმ ორგანიზირებულ ძალებს, რომლე-

ბიც აუცილებელია უფრო განვითარებული ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლებისათვის. ქრისტიანული რელიგიის კრიტიკოსი წარმართული რელიგიისაკენ დაბრუნებით ვერავითარ პროგრესულ სიტყვას ვერ იტყოდა. ძველი ღმერთების აღდგენით ჯერ არც ერთი პროგრესიული საქმე ისტორიაში არ გაკეთებულა. ოფიციალური ქრისტიანული რელიგიის უარყოფა რომ არც წარმართობას ნიშნავს და არც ათეიზმს, ამის ჩინებული მაგალითი არის რენესანსისა და მისი მომდევნო ევროპის ისტორიის იდეოლოგია.

რუსთაველის ათეისტობაზე რომ ვილაპარაკოთ, ეს მოწაფური ვარჯიში იქნება და არა მეცნიერული აზროვნება.

ქრისტიანული ეკლესიის და მისი ოფიციალური ღმერთების არარაობაში რომ დარწმუნებული იყო რუსთაველი, ამას დიდი მტკიცება არ უნდა და ეს გარემოება სვამს სწორედ საკითხს, თუ ვისი ღმერთის თაყვანისმცემელი იყო დიდი პოეტი. ამ საკითხზე ბევრი აზრია გამოთქმული. არსებობს ისეთი შეხედულება, რომელსაც რუსთაველი ორთოდოქს ქრისტიანად სურს დასტოვოს. ქრისტიანულ ორთოდოქსიას, მის ლიტერატურას და მის მსოფლგაგების მანერას რომ კარგად იცნობს პოეტი, ქართული საეკლესიო მწერლობის ერთგვარ გავლენასაც რომ განიცდის იგი, ამის უარყოფა, რასაკვირველია, არ შეიძლება. მაგრამ ქრისტიანული ორთოდოქსიისა რომ მას ბევრი რამ არა სწამს, მისი მესიანიზმისა და გამოცხადების სარწმუნოებისაგან რუსთაველს რომ არაფერი მიუღია, ამის ჩინებული დასაბუთება უკვდავი პოემის მხატვრული კომპოზიციაა.

მაგრამ ისინიც, რომლებიც ამ უკანასკნელ დებულებებს იზიარებენ და რუსთაველში სხვა ღმერთებს დაეძებენ — მაჰმადიანურს, მანიქეველურს, მითრაულს, ნეოპლატონურს, ის კი არა ძველ ინდურსა და ძველ ქართულ-წარმართულს, სწორი ისტორიული მეთოდით ვერ ხელმძღვანელობენ.

რუსთაველის განახლება და ევოლუცია, მისი ჰუმანიზმი და სიბრძნე ძველი ღმერთებით არ გაკეთდებოდა. ღ მ ე რ თ ი ს ძ ი ებ ა შ ი ც რ უ ს თ ა ვ ე ლ ი გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს გ ზ ა ს დ ა ა დ გ ა. როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, აქაც თავის ეპოქას წინ გაუსწრო ქრისტიანობიდან ამოსვლით და იმავე დროს ქრისტიანული ოფიციალური დოგმის დაძლევით, ღვთაების ცნებაც ახალი წამოაყენა მან.

რუსთაველის ფილოლოგიის შემქმნელმა აკად. ნიკო მ ა რ მ ა პირველად მიუთითა რუსთაველის შემოქმედების ანტიქრისტიანულსა და ანტიეკლესიურს ბუნებას. მან სამართლიანად აღნიშნა რუსთაველის მსოფლგაგების პრინციპიალურად მონოთეისტური ხასიათი, მაგრამ, სამწუხაროდ, უსამართლოდ გაამაჰმადიანა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი. „ჩვენი საკითხისათვის გადამწყვეტია, — სწერს აკად. ნ. მარი, — რომ პოეტმა არც ერთს ადგილზე არ უღალატა თავის წარმოდგენას მუსულმანურს ერთღმერთობაზე, ე. ი. ერთია ღმერთი და არავინ არ არის გარეშე მისსა; ის კი არა ეს ასე რჩება იქაც, სადაც თვითონ გამოდის; პოემის მთელს მანძილზე ვერ ვნახულობთ ვერც ერთს მითითებას ვერც ერთ დასახელებას სამებისა. პოემაში არსად არ არის დასახელებული ქრისტიანული წმინდანი, არც ღვთისმშობელი“ [1]).

---

[1]) Н. М а р р: „Грузин. поэма „В. в. т. шк.“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема“. „Известия академии наук“, 1917, გვ. 497.

ნ. მარის ამ დებულებიდან ზოგიერთებმა რუსთაველის მაჰმადიანობა გამოიყვანეს. უდავოა, რომ შოთა მკაცრი მონოთეიზმის მომხრე იყო, მაგრამ ეს მონოთეიზმი არავითარი მუსულმანურ-რელიგიური მონოთეიზმი არ ყოფილა. გარეშე ყოველივე ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანობას ქრისტიანობიდან მთლიანად დამოუკიდებელი ცნება ღმერთისა არ გააჩნია, მაჰმადიანური თვალსაზრისი ამ სფეროში ქრისტიანულ სექტანტურს უფრო ჰგავს, ვიდრე ორიგინალურს; მაგ., მაჰმადის ცნება ღვთაებისა არიანული ღვთაებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ამას ისიც ემატება, რომ ოფიციალურ-მუსულმანურ რელიგიას რუსთაველი ისე ალმაცერად უყურებს, როგორც ქრისტიანულს. მართალია, მისი გმირები მაჰმადიანები არიან, პოემის მთელი მოქმედება მაჰმადიანურ სახელმწიფოებში მიმდინარეობს, ამიტომ ხშირად მისი გმირები ტარიელივით გარშემორტყმულნი არიან ყურანის წამკითხველებით და მუსულმანური სწავლულებით.

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარეშემო მცვიდიან;
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყველანი იკითხვიდიან“ (351).

ნესტან-დარეჯანსაც სასთუმალს ეს მუსაფი (ყურანი) უდევს. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, პოემაში ქრისტიანულ-ლიტერატურული ელემენტი გაცილებით მეტია, ვიდრე მუსულმანური. როცა პოემის გმირები ღმერთს ევედრებიან, ან ლოცულობენ, ადვილი დასანახავია, რომ ამ „მუსულმანებს“ ქრისტიანული ლოცვა და ვედრება აკერიათ პირზე.

პოემის მხატვრული აქსესუარი ავტორისაგან მუსულმანური კოლორიტის დაცვას მოითხოვს, მაგრამ ქრისტიან პოეტს აქა-იქ ეს ავიწყდება და ქართული ქრისტიანული მწერლებიდან აღებული ენით ალაპარაკებს და ალოცებს თავის გმირებს. სამაგიეროდ პოემაში არსად არ არის გამოყენებული მუსულმანური თეოლოგიური და საეკლესიო მწერლების ენა. ასე რომ ზედმეტია ლაპარაკი პოემის ავტორის მუსულმანობაზე (ახირებული და კურიოზული აზრების მომხრეებმა იგი ქართველი მუსულმანადაც კი გამოაცხადეს). იქ, სადაც ავტორი იძულებულია მიმართოს მუსულმანურ რიტუალსა და წესს, ძალიან გარეგნული გარემოების შთაბეჭდილება რჩება.

გარეშე ყოველივე ამისა რუსთაველი მორწმუნე მუსულმანივით სრულიად არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მაჰმადის ერთი ღმერთის მსახურის სიტყვა და შთაგონება ყველაზე უძლიერესი ჭეშმარიტება იყოს ამ ქვეყანაზე. ხშირად ოფიციალური მუსულმანობა კომიკურ სიტუაციაში ვარდება პოემის მოქმედების განვითარებისას და მუსულმანობის განსწავლული და სასულიერო პირნი ძალიან უფერულად არიან პოემაში წარმოდგენილნი. ასე, მაგალითად, ტარიელი პირდაპირ ამასხარავებს მუსულმანთა უმაღლეს განსწავლულებსა და სასულიერო პირებს. როცა მას სიყვარულისაგან დაბნედილს ავადმყოფად მიიჩნევენ და განსაკურნავად თავს ეხვევიან „მუყრნი“ და „მულიმნი“ „მუსაფით“ ხელში, უკითხავენ წმინდა წიგნებს, ულოცავენ და ჰკურნავენ, ტარიელი შენიშნავს: „მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან“ (351). მორწმუნე მუსულმანი „მჩმახველთა“ როლში რომ არ გამოიყვანდა მუსულმანური სარწმუნოების უმაღლეს ქურუმთ და მათ რესპექტს ასე სასაცილოდ არ აიგდებდა, ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს.

როგორც კი სარწმუნოებრივი რესპექტი ცხოვრების რეალურ კანონებს დაეჯახება, მყისვე ეს უკანასკნელნი იმარჯვებენ, და შოთასა მართლმორწმუნე მუსულმანები ივიწყებენ ალაჰსაც და ფიცსაც მის მსახურ-შინაგან ასე, მაგ.; მართლმორწმუნე მუსულმან ვაჭარს, უსენს, მისი ცოლი ფატმანი დაადებინებს მტკიცე ფიცს, მაჰმადის რჯულის თანახმად, არავის უთხრას საიდუმლოება ნესტან-დარეჯნის მის სახლში ყოფნისა. მაგრამ როცა ეს უსენი ნადიმად იყო ხელმწიფესთან:

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აივსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი.
დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!“ (66)

ე. ი. უსენს დაავიწყდა ფიცი, ცოლისთვის მოცემული. ყურანის და მექას ძალა სუსტი აღმოჩნდა და მან მეფეს თავის საიდუმლოება გაუმხილა. ბუნებრივია, რომ ვაჭარმა ღმერთს სიტყვა გაუტეხა, რათა მეფისათვის ესიამოვნებინა [1]).

თუ შოთას, განახლებისა და ჰუმანიზმის გზაზე დამდგარს, თავისი შემოქმედების საგნად გაუხდია ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან (21) და ამის გამო ქრისტიანული ზეცისათვის უარი უთქვამს, ცხადია, რომ მას მუსულმანური ზეცისათვისაც უარი უნდა ეთქვა. რით სჯობდა მუსულმანური ზეცა ქრისტიანულს? რასაკვირველია, არაფრით. შოთას გენიას არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ მუსულმანობა თავისი შინაგანი ბუნებით არავითარ დამოუკიდებელ სარწმუნოებას არ წარმოადგენდა, რომ იგი, პარადოქსალურად თუ ვიტყვით, ქრისტიანობის ნიადაგზე წარმომდგარი სექტა არის. მუსულმანური ზეცა ქრისტიანულისაგან ძირითადში იმით განსხვავდება, რომ ქრისტიანიზმის მორალიზმის ნიადაგზე წარმოდგენილი სამოთხის მაგივრად, იგი მორწმუნეს გულუბრყვილოდ ჰპირდება იმ ქვეყნად აანაზღაუროს ის მატერიალური დოვლათი, რომელიც მას ამ ქვეყნად დააკლეს.

მეორე განსხვავება უფრო პრინციპული და მნიშვნელოვანია. მაჰმადიანიზმმა ქრისტიანობა გასწმინდა ბერძნულ ნიადაგზე წარმოშობილი მრავალღმერთიანობისა და ანთროპომორფიზმისაგან. მაჰმადიანობა პრინციპული მონოთეიზმია და თვით მაჰმადი ღმერთის შვილი კი არ არის, არამედ მხოლოდ ღმერთის წინასწარმეტყველი. მართალია, შოთაც დარწმუნებულ და უკომპრომისო მონოთეისტად გვევლინება, მაგრამ მისი გონიერებითა და სიბრძ-

---

[1]) აკად. ნიკო მარს არ უნდა დაუშვას, რომ შოთა მუსულმანობას ისე უარყოფითად ექცეოდა, როგორც ქრისტიანობას. ნ. მარი ისე აყენებს საკითხს, რომ რუსთაველი ქართველ მუსულმანადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. და როცა ნ. მარი პოემის სხვადასხვა მუსულმანური ხასიათის რეალიებს ჩამოსთვლის, ასახელებს ზემოთ მოყვანილ ადგილსაც. მაგრამ გამოჩენილ მეცნიერს აქ მოსდის ისეთი ლაფსუსი, რომელიც სწორედ რომ გასაკვირველია.

„В третьем государстве с приморским городом—სწერს მარი—когда царь нарушает клятвенное обещание купцу Усену, т. е. Хусейну, закрепленное упоминанием в присяге священнейших мусульманских имен“, поэт говорит:

„დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი? „Царь забыл все клятвенные свои заверения: ни до Корана, ни до Мекки ему не было уже дела“ (იხ. „Вест. Акад. Наук“, 1917 г. გვ. 496). მეფეს კი არ გაუტეხნია ფიცი, არამედ ჰუსეინმა გასტეხა ფიცი, მიცემული თავის ცოლისადმი. ყოველ შემთხვევაში „ვეფხის-ტყაოსანში“ მხოლოდ ეს სწერია.

ნით გამართლებული, მონოთეიზმი არ არის ოფიციალური მაჰმადიანობის რელიგიური მონოთეიზმი. ეს უკანასკნელი არა ნაკლები, მტერი იყო სიბრძნისა და გონებისა, ვიდრე ქრისტიანული დუალიზმი და ტრინიტარიზმი.

მარტო მონოთეიზმი რომ საკმარისი არ არის ოფიციალურ მაჰმადიანიზმთან სოლიდარული დამოკიდებულებისათვის, ამის ჩინებული მაგალითია თვით არაბული ფილოსოფია. არაბული ფილოსოფიაც მონოთეისტური იყო, მაგრამ, როგორც ცნობილია, გამოჩენილი არაბი ფილოსოფოსები მუდმივი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ოფიციალურ მაჰმადიანობასთან. შოთას მონოთეიზმიც სულ სხვა წყაროებიდან საზრდოობდა და სხვა პრინციპებიდან ამოდიოდა, ვიდრე მონოთეიზმი ოფიციალური მაჰმადიანობისა. ოფიც. მაჰმადიანობას მონოთეიზმის გვერდით და მასთან ერთად ბნელეთისა და ფანატიზმის სალაროდან აღებული იმდენი ელემენტი ახლდა, რომ წარმოუდგენელია რუსთაველის ჰუმანიზმი და სიბრძნე მას რაიმე გზით დაუკავშიროთ.

რაც შეეხება ქრისტიანულ ღმერთს, ამის შესახებ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. იმაზე არც კარგია ნათქვამი და არც ცუდი. იგი უბრალოდ იგნორირებულია შოთას გენიალურ შემოქმედებაში. და თუ ჩვენ შოთას ანტიქრისტიანობაზე ვლაპარაკობთ, ეს კარგად უნდა იქნას განმარტებული. გარეგნულად რომ შეხედოთ „ვეფხის-ტყაოსანს", იფიქრებთ, რომ მისი დაწერის დროს ქრისტიანობა შეიძლება არც კი არსებობდაო. ნამდვილად კი იგი იწერებოდა ქრისტიანულ გარემოცვაში, ქრისტიანულ ქვეყანაში, რომელიც შოთას დროს ჯვარის სახელით თავისი მეზობლების მიწა-წყალსაც იპყრობდა, და იმავე ჯვარის სახელით თავის-გავლენას მთელს წინა აზიაზე ავრცელებდა. შოთა რომ ძალიან გატაცებული ყოფილიყო ჯვარის მესიანიზმით, მას რომ ქრისტიანობაში გონების და სიყვარულის სარწმუნოება დაენახა, ცხადია, ეს გამოხატულებას ნახავდა მის პოემაში. მისი გმირები ინდოეთიდან „ზღვათა სახელმწიფომდე" რომ დადიან და მოქმედებენ, ცხადია, მრავალ საშუალებას ნახავდნენ ქრისტიანობის გონიერებისა და მაღალი სამართლიანობის გამოსათქმელად. მაგრამ ასე არ ხდება. რუსთაველი გვერდს უხვევს ქრისტიანობასთან შეხვედრას, მასთან კამათს და ურთიერთობას. ეს რუსთაველური იგნორირება ქრისტიანობისა უდიდესი არგუმენტია ქრისტიანობის წინააღმდეგ.

ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, რომ უკვე პოემის დაწერამდე რუსთაველი დიდს კონფლიქტში იმყოფებოდა ქართული ქრისტიანული ეკლესიის იმ დროინდელ მოღვაწეებთან. მათზე კარგის თქმა არ უნდოდა და ცუდის თქმაც არ შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ რუსთაველი ქრისტიანობის სრული იგნორირების გზას დაადგა.

რას შეეძლო გამოეწვია ეს ანტიქრისტიანული განწყობა რუსთაველისა? ორ რაიმეს: ან რუსთაველი მიემხრო იმ დროს მომქმედ რომელიმე სექტას, მაშინ ამ სექტის ღმერთს უნდა ენახა გამოხატულება მის შემოქმედებაში, ანდა მას, გონებისა და სიბრძნის სინათლის განმცდელს, გული გაუტყდა ქრისტიანულ მორალიზმზე და მესიანიზმზე.

ხშირად იმაზე მიუთითებენ, რომ რუსთაველის პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი მაჰმადიანური ქვეყნებია, ავტორი თუმცა ნამდვილი ქრისტიანი იყო, მაგრამ, იცავდა რა მხატვრულ რეალიებს, მაჰმადიანობის ფარგლებს ვერ განშორდებოდაო. ეს ფორმალური არგუმენტია. რუსთავე-

ლის გმირები წლების მანძილზე შემოივლიან ხმელეთით და ზღვით, ამ დროს ცნობილ ყველა ქვეყანას და ვინ დაუშალა რუსთაველს შეეყვანა ისინი, რომელიმე ქრისტიანულ კათედრალში? ქაჯების და დევების ფანტასტიკურ სადგომში თუ კი იყვნენ პოემის გმირები, ქრისტიანული ტაძრების არხიტექტურით რათ არ შეიძლება დაინტერესებულიყვნენ ისინი.

გარეგნულად პოემაში ვითომ ყველგან მუსულმანური გარემოცვაა დაცული. ფაქტიურად კი ქრისტიანული რიტუალები და დღესასწაულებია აღწერილი: ავტორს ხშირად თითქოს დავიწყებია თავისი გმირების „მუსულმანობა“. აბა რით უნდა ავხსნათ, რომ „მუსულმანი“ ტარიელი გვიყვება:

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“ (552)

აღვსება ქრისტიანული აღდგომაა, წითელი ფერებით ქრისტიანები სწორედ ამ დღესასწაულს ამკობდნენ და ტარიელიც სწორედ ასე მოგვითხრობს: სიძის მისაღებად მოედანზედ დავდგი კარვები წითელი ატლასებით, სიძე მოვიდა, ეგონა აღდგომის წინადღეებიაო. ქრისტიანული განცდები და ემოციები დასახელებული სტრიქონების დამწერისა უსათუოდ ნათელია, და ეს პოემის ერთად-ერთი ადგილი როდია, — ასეთი ადგილები ბევრი მოინახება. სამაგიეროდ არც ერთი ნამდვილად მუსულმანური რიტუალი, არც ერთი მუსულმანური გართობა პოემაში აწერილი არ არის. ეს გაუთავებელი ღვინის სმა და ლხინი, ცხადია, ქართული ფეოდალიზმის აღწერილობაა და არა არაბეთისა და მუსულმანური ზღვათა მეფისა. ტყუილად შეეცადა აკად. ნიკო მარი ცნობილი „ვაჭარისა“ და „მაჭარის“ მაგალითი განემარტა ისე, რომ ირონია არ გამოსულიყო მაჰმადიანობისათვის ჩვეულ ღვინისაგან თავის შეკავებაზე.

ავიღოთ უბრალო რიტუალის დამახასიათებელი ერთი სცენა: გაიგებს რა როსტევან მეფე ავთანდილის გაპარვას ტარიელის საძებნელად, დიდს გოდებასა და მწუხარებას მიეცემა. რუსთაველი აგვიწერს ტირილისა და გოდების ისეთ სცენას, რომელმაც ტირილის ცერემონიის სახით მე-20 საუკუნემდეც კი მოაღწია ჩვენში:

„ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,
დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა“ (825)

ამ სტრიქონების დამწერი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქართველი, აღზრდილი ქართული საეკლესიო და საერო ცერემონიალის მიხედვით. აქ შესანიშნავადაა აღწერილი ჩვენებური ტირილი, რომელიც საუკუნეების მანძილზე უცვლელი დარჩენილა. აქ ნათლად ვხედავთ ქართულ მასობრივ ტირილს, ზარით ტირილს, რომლის დროსაც ყველა მონაწილემ (ეტირება თუ არ ეტირება) უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს მწუხარებაში და როცა ცრემლი, მესაიდუმლე გულისა, აღარ ექვემდებარება მოთხოვნილებას, გაჭირვების გარეგნული გამოხატულების სახით, ისმის ხმა „თავსა ტკაცისა“, ე. ი. გასაგონად იტკაცუნებდა ხელს შუბლზე ზარის მონაწილე ყოველი მამაკაცი.

ვინც აჩქარებულ დასკვნას გააკეთებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორის მაჰმადიანობაზე, ანდა იტყვის, რომ იგი ქართველი მაჰმადიანი იყოო, მან უნდა გვაჩვენოს მაჰმადიანური მსოფლგაგება და მაჰმადიანური რელიგიური ლიტე-

რატურის ზეგავლენა რუსთაველზე. ყველაფერია, მაგრამ მაჰმადიანური მსოფლგაგების არაფერი არ ახლავს გონების წარმომადგენელს რუსთაველის პოემაში, ე. ი. ავთანდილს. აბა რაა მაჰმადიანური მსოფლგაგების ტვირთმატვეელი ავთანდილის ანდერძში:

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“ (803).

ეს გვიან-რომაელი სტოელებისაგან მომავალი მორალიზმი, ქრისტიანობის ჰუმანიზმის მანტიაში გამოწყობილი, მაღალი საშუალო საუკუნეების დამახასიათებელი თქმაა და მას, საერთო არაფერი აქვს მაჰმადიანობასთან.

მეორეს მხრივ, თუ პოემას გულდასმით წავიკითხავთ, შიგ აღმოვაჩენთ უამრავ აფორიზმს, გამოთქმას და ცნებას, რომელიც პირდაპირ აღებულია ქართული საეკლესიო ენიდან და სტილიდან. პოემაში ათჯერ კი არა, ასჯერ გვხვდება ქართული საეკლესიო მწერლობიდან აღებული ისეთი ქრისტიანული ეპიტეტები, როგორიც არის მოციქულნი (791, 1045), „კურთხეულ არს“ (272, 1454) და სხვ.

მეტის თქმაც შეგვიძლიან: როცა პოემის გმირები ღმერთს მიმართავენ, ყველგან ისინი თავიანთ აზრს თუ ვედრებას ქრისტიანული საეკლესიო ენით გამოსთქვამენ. ასეთი მაგალითის შედეგრს წარმოადგენს „ლოცვა ავთანდილისა“, რომლისათვის რუსთაველს თუ რომელიღაც ინტერპოლატორს კიდევაც მიუწერია „მიზგითას“. გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, ცხადია, მაჰმადიან ავთანდილს თავისი უკანასკნელი ლოცვა ჯამეში უნდა ეთქვა. მაგრამ როცა ვკითხულობთ

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო.
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!“ (809),

მაშინ უფრო ცხადი ხდება, რომ ეს არ არის მაჰმადიანური ლოცვა. ამ ლოცვის ენა და ცნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის. ღმერთი დახასიათებულია, როგორც უცნაური, უთქმელი, უფლებათა უფალი. წავიკითხოთ მეორე ადგილი, რომელიც ასე ვთქვათ, უფრო პოპულარულია:

„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა!
დიდება შენდა, არ მომკალ, ამათთვის ცრემლთა დენითა!“ (917)

ქრისტიანული ბუნება ამ ლოცვისა, ქართული საეკლესიო ენა მისი იმდენად ცხადია, რომ მტკიცებაც არა სჭირდება. ცნობილი ქრისტიანული დოგმატი ახასიათებდა ღმერთს, როგორც „სავსებას ყოველთა,“ რომელიც „არ ითქმოდა კაცთა ენითა,“ ქებასა და სმენაზე მაღლა იდგა. გადაშალეთ, თუ გნებავთ, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, მეორე დოგმატური ნაწილი, რომელზედაც ახალგაზრდობაში შეიძლება აღიზარდა თვითონ რუს-

თაველი და რომელიც ქართული დოგმატიკონის საფუძველი იყო, წაიკითხეთ მისი „მართლმორწმუნე სარწმუნეობის ზუსტი დალაგება“ და ნახავთ იმ ღმერთს, რომელიც არის „უცნაური“, „უთქმელი კაცთა ენითა“, „სავსება ყოველთა“, „უფალი უფლებათა“, და სხვა, დამასკელისა — ეს შეძლება პსევდო-დიონისე არეოპაგელის ნეოპლატონურ ცნებათა ენისაგან მოდიოდა; მაგრამ აიღეთ უფრო ძველი ქრისტიანული წყარო, ღმერთზე უშუალოდ პლატონის ენით მოსაუბრე ნეოპლატონიზმისაგან ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ორიგენედან ამოსული კაპადოკიელი მამები ან და აგრეთვე უშუალოდ პლატონიდან ამოსული „ნეტარი“ ავგუსტინე და ნახავთ ამავე ღმერთს, უკვანტიტეტოდ უდიდესს, უკვალიტეტოდ უღირსეს, უსინათლოდ უნათლესს, უცნაურს და უთქმელს კაცთა ენითა, მთლად სიტყვას და მთლად სავსებას ყოველთა, ე. ი. ნახავთ იმავე ღმერთს, რომელსაც რუსთაველის გმირები ეეედრებიან.

ზოგიერთები, რომლებიც სტატიების წერისას სხვისგან განაგონი არგუმენტებით ვარჯიშობენ, „ავთანდილის ლოცვის“ შესახებ ამბობდნენ, რომ ეს ნეოპლატონური წარმართული ლოცვაა. არგუმენტად მოტანილია ის, რომ აქ ღმერთი დახასიათებულია, როგორც მიუწვდომელი ადამიანის აზრისა და ენისათვის. როგორც ვთქვით, ასეთი „ნეოპლატონიზმი“ მოიპოვება ყოველს ქრისტიანულს დოგმატიკონში; მეოთხე სახარება და აპოკალიპსისი მთლიანად ასეთს მსოფლგაგებაზეა აგებული.

ამრიგად, ნათელია, რომ რუსთაველის ამოსავალი გზა ქრისტიანობაა. ქრისტიანული მისი სტილი და მწერლობა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნავსაყუდელი. ქრისტიანული ღმერთი არ არის ის გონებისა და განგების სინთეზი, ის მონოთეისტური სინათლე, რომელსაც რუსთაველის შემოქმედების სიმპატია და იდეა ეკუთვნის.

იცავს რა თავის გმირების გეოგრაფიასა და გარემოცვას, იგი მოქმედებას გამოუკლებლივ მაჰმადიანური კოლორიტის მიხედვით ანვითარებს, მაგრამ ავტორის ქრისტიანული ამოსავალი წერტილი თავს იჩენს იქ, სადაც მის გმირებს ლოცვა და სარწმუნოება სჭირდებათ, ისინი ამისათვის ქართული საეკლესიო ენით ლაპარაკობენ, ეს ენა კი იყო ენა ქართული ქრისტიანობისა. ლოცვის ცნებაც კი რუსთაველს ქრისტიანული აქვს.

მაგრამ რუსთაველური ღვთაების ცნება არ არის ქრისტიანული. აი ეს გარემოება გვაიძულებს ვეძებოთ სხვა წყაროები რუსთაველის ღმერთისათვის. რადგან ქრისტიანობის იგნორირება რუსთაველის შემოქმედებაში ავტორის ოპოზიციონერობაზე მიუთითებს, ცხადია, ვიკითხავთ ამ ოპოზიციონერობის წყაროების შესახებ.

როგორც ცნობილია, მე-11-12 საუკუნეში ოფიციალური ქრისტიანობის შიგნით დიდი ოპოზიციური მოძრაობა არსებობდა. ეს იყო ქრისტიანული მ ა ნ ი ქ ე ვ ე ლ ო ბ ა. ბიზანტიის მოხუცებული სხეული, მისი დრომოჭმული ეკლესია, შიგნიდან დაცრეცილი და გადაგვარებული, დიდს გასაჭირსა და ვაი-ვაგლახში ჩააგდო მანიქეველური სექტის მოძრაობამ. მთელი ბიზანტია ძრწოდა მანიქეველობასთან ბრძოლის გამო. მანიქეველობა ბიზანტიაში ხშირად პოლიტიკური ბრძოლის სარჩული იყო; მას ღებულობდნენ უცხო ხალხები, ექსპლოატირებულნი დრაკონული იმპერიის მიერ. ასე, მაგ., მე-12 საუკუნეში იგი ბულგარეთის ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიას წარმოადგენდა.

ჩვენი საისტორიო წყაროებისა და ქრონიკების მიხედვით, შემდეგში გამოჩენილი ზოგი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, გელათის მონასტრისა და „აკადემიის“ დიდებული, ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში ცხოვრობდა, როცა მე-12 საუკუნის დასაწყისში მანიქეველობამ დაუფლება დაუწყო ბიზანტიის დედა-ქალაქსაც. 1111 წლის დიდი ტრაგედია და ამის მომდევნო ამბები იოანე პეტრიწმა თუ არსენ იყალთოელმა ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში საკუთარი თვალებით ნახეს. ბრძოლას მანიქეველობის წინააღმდეგ მეთაურობდა თვით იმპერატორი ალექსი კომნენი. სხვა საშუალებით რომ ვერ ჩააქრო არასასურველი მოძრაობა, ამ „ბრწყინვალე“ იმპერატორმა შემდეგ მუხანათური ხერხს მიმართა: გაიცნო მანიქეველობის ბელადი ვინმე ექიმი ბასილე, მოტყუებით ეზიარა მისგან მანიქეველურ სექტანურ საიდუმლოობას, შეისწავლა ახალი მსოფლმხედველობა, ამასთან ერთად გაიცნო სექტის ორგანიზაცია და გამოსტყუა ამ ბასილეს მთელი საიდუმლოება. ყველაფერი რომ გაიგო, უეცრად შეიპყრო ბასილე და ორგანიზაციის ყველა მეთაური. 1111 წელს ასიათასი მაყურებლის თანდასწრებით კონსტანტინეპოლის გამოჩენილ ჰიპოდრომზე დასწვეს ეს ბასილე და შემდეგ გაანადგურეს მათი ორგანიზაცია უსასტიკესი ზომებით. ეს დევნა ქრისტიანობის შიგნით წამოჭრილი სექტისა მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ბიზანტიაში. [1])

შეუძლებელია ამას და ამის მომდევნო ამბებს ქართველი მოღვაწეების და თუ გინდ რუსთაველის მხედველობის გარეშე ჩაევლოთ. როგორც ცნობილია, ბიზანტიური ეკლესია და, ცხადია მასთან ერთად ქართულიც მე-12 საუკუნეში ყოველნაირ ოპოზიციურ მოძრაობასა და სექტანტობას მანიქეველობას უწოდებდა. შეიძლება რუსთაველი მანიქეველურ მოძრაობას თანაუგრძნობდა და თავისი ოპოზიციონერობა ოფიციალური ქრისტიანობის მიმართ აქედან აიღო. რუსთაველს, როგორც სპარსულ-არაბული ენისა და ლიტერატურის მცოდნეს, შეიძლება არა მხოლოდ მანიქეველობის ქურქში ნებით თუ უნებლიეთ გახვეული ქრისტიანული სექტანტობა, არამედ თვითონ ნამდვილ მანიქეველობაც, მისი ისტორია და მსოფლმხედველობაც სცოდნოდა. მან ნამდვილად იცოდა თავისი დროის სპარსულ-არაბული ნეომანიქეიზმიც. იმ ეპოქის არაბული ფილოსოფიური მწერლობა ხომ დღემდეც უდიდესი და უებრო წყაროა მანის მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის გასაცნობად.

ამიტომ შეიძლება პატივცემული მკვლევარი პავლე ინგოროყვა მართალი იყოს, ე. ი. რუსთაველის ოპოზიციური მსოფლმხედველობა მანიქეველური წყაროებიდან საზრდოობდეს. ისტორიულად აქ შეუძლებელი არაფერია. მაგრამ ამ შემთხვევაში მანიქეველობა „ვეფხის-ტყაოსანში“ უნდა აღმოჩნდეს. არის თუ არა იგი იქ? ამ საკითხის გადასაწყვეტად სწორედ უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ღმერთის ცნება: თუ რუსთაველი მანიქეველია, ცხადია, მისი ღმერთი უპირველეს ყოვლისა მანიქეველური უნდა იყოს.

მანიქეიზმი არის მკაცრი დუალიზმი. სამართლიანად უწოდებს მას ჰარნაკი „დ უ ა ლ ი ს ტ უ რ მსოფლიო რელიგიას“. [2]) თვითონ მანის მოძღვრების

---

[1]) იხ. V. Döllinger: „Beiträge zur Sektengeschichte des Mittelalters. I Teil.

[2]) იხ. Ad. Harnack: Lehrbuch der Dogmengeschichte. ტომი I, გვ. 738.

თანახმად, დასაბამიდან არსებობს ორი ღმერთი: ღმერთი სარვან—ღმერთი სინათლისა და გონების, მეგობარი სიკეთისა, ღმერთი მანბეგ, ღმერთი ბნელეთის და ბოროტებისა [1]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიქეველობის ყოველი გამოვლინება საშუალო საუკუნეებში ინარჩუნებს პრინციპული დუალიზმის სახეს. პირველად სომხეთში წარმოშობილი (VII) მანიქეველურ-ქრისტიანული სექტა პავლიკიანებისა ასწავლის აგრეთვე არსებობას ორი ერთმანეთისაგან მთლიანად დაშორებული ღმერთისას. ამას ემატება გნოსტიკური მოძღვრება ორი სამყაროს არსებობის შესახებ და პოლიტიკური დუალიზმი ორი სწორუფლებიანი მეფის შესახებ. პრინციპულად ამასვე იმეორებს მე-XI საუკუნეში ბულგარეთში წარმოშობილი ბოგომილობა და შემდეგ ბიზანტიასა და დასავლეთში ფართოდ გავრცელებული მანიქეველურ-ქრისტიანული სექტანტობა.

მე-12 საუკუნეში ეს ნეომანიქეიზმი ანუ კათარობა, როგორც ცნობილია, მთელს დასავლეთს მოედო. მოძრაობა ისე გაფართოვდა, რომ მანიქეველური პაპა ვინმე ნიკეტაც კი იქნა არჩეული. მანიქეველობის ისტორიკოსი საშუალო საუკუნეებში დოლინგერი სწერს, რომ მე-12 საუკუნის დამლევს ევროპის ყოველ ქალაქში არსებობდა მოზრდილი მანიქეველური საიდუმლო საზოგადოებაო და „რომ იგი ხმლით არ აღმოეფხვრათ, მთელს ევროპას დაიპყრობდაო“ [2]), ვიცით ისიც, რომ ასეთი სექტა მე-12 საუკუნის საქართველოშიც არსებობდა.

რით აიხსნება ამ მოძრაობის ასეთი მიმზიდველობითი ძალა? მხოლოდ იმით, რომ ეკლესიის მიერ შეწუხებული და შევიწროვებული კაცობრიობა მანიქეველურ სექტანტურ მოძრაობაში ხედავდა ოპოზიციას ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ. მასებისათვის მიმზიდველი იქნებოდა, ცხადია, ეს ახალი მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხუცობა მთლიანად სატანაიოლს, ე. ი. ეშმაკის ღმერთს ემსახურება და ამიტომ ჩვენი ინტერესის გამომხატველი არ არისო.

არსებითად ეს მოძრაობა მანის გნოსტიკურ დუალიზმს ემყარებოდა; გარეგნულად იგი ქრისტიანობის ქურქში იყო გახვეული. მაგრამ ამ სამოსელშიაც მოძღვრების მკაცრი დუალისტური ბუნება შენარჩუნებული იყო. მანიქეველური გნოსტიკა დასაბამიდანვე ორი სწორ-უფლებიანი ღმერთის არსებობის შესახებ ქრისტიანულ ენაზე გადმოითარგმნა ასე: სატანაიოლი, ე. ი. ბნელეთის და ბოროტების ღმერთი არის ღმერთი ძველი აღთქმისა, სინათლისა და სიკეთის ღმერთი კი არის ღმერთი ახალი აღთქმისა, ღმერთი ქრისტეს სახით გამოცხადებული.

X-XI საუკუნეებში მაჰმადიანობის შიგნითაც დაიწყო სექტანტური მოძრაობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქაც ეს მოძრაობა მანის დროშით მიმდინარეობდა. მაჰმადიანური ოფიციალური კლერიკალობა აქაც ხმლითა და ცეცხლით გაუმასპინძლდა არაბულ ნეომანიქეიზმს. მსოფლმხედველობრივად არაბული ნეომანიქეიზმიც მკაცრ დუალიზმს იცავდა.

ერთის სიტყვით, რა სამოსელშიც არ გამოეწყო მანიქეველობა საუკუნეების მანძილზე, იგი მაინც პრინციპულ დუალიზმად დარჩა, და ვინც რუს-

---

[1]) იხ. Döllinger: Beiträge zur Sektengeschichte des Mittelalters. Erster Feil. Geschichte der gnostisch-manichäischen Sekten გვ. 125.

[2]) იქვე.

თაველის მანიქეველობაზე ლაპარაკობს, მან რუსთაველის ღვთაების გაგებაში ეს დუალიზმი უნდა აღმოაჩინოს. ამის აღმოჩენა კი შეუძლებელია, რადგან რუსთაველი პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციაზე სდგას. იგი დუალიზმის მოწინააღმდეგეა, როგორც ქვეყნიური ისე ზეციური მმართველობის საქმეებში.

ამ საერთო ხასიათის შენიშვნის გარეშე ჩვენს განკარგულებაში არის კონკრეტული ფაქტი, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ რუსთაველს საერთო არაფერი ჰქონია მანიქეველობასთან, არც კლასიკურთან და არც მის ქრისტიანულ-სექტანტურ სახეობასთან.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სახელგანთქმული ასტრალური ხორალი შვიდი პლანეტის სადიდებლად, რომელსაც გალობს ფრიდონისაკენ მიმავალი ავთანდილი. ეს შექება შვიდი პლანეტისა პირველად, როგორც ცნობილია, ბაბილონიაში წარმოიშვა. შემდეგ იგი მთელს აღმოსავლეთში გავრცელდა. მითრას სარწმუნოების გზით დასავლეთშიაც გადავიდა და ნეოპლატონურს მისტერიებშიც ნახა გამოძახილი. მანის მოძღვრების როგორც გნოსტიკურ, ისე ლიტურგიულ ნაწილში ეს შვიდი ღმერთისა და შვიდი მნათობის სარწმუნოება ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს.

შვიდი ღმერთისა და შვიდი მნათობის მისტერიას მანი უერთებს შვიდი ადამიანური სიბრძნისა და ჭეშმარიტების ლეგენდას. „მანის მიხედვით, — სწერს შეფტელოვიჩი, — არსებობდნენ შვიდი მღაღადებელი ჭეშმარიტებისა, ადამი, სეითი, ნოე, ბუდდა, ზარატუსტრა, იესო, და მანი [1]). თავის თავს მანი აცხადებდა იესოს მოძღვრების დამამთავრებლად, მის პარაკლეტად, თუმცა ფიქრობდა, რომ მეშვიდე ადამიანური სიბრძნე, გამომხატველი შვიდი ღვთაების საიდუმლოებისა, ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ერთის სიტყვით, მანის მოძღვრება იყო რელიგიური სინკრეტიზმის იშვიათი სახე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანი ცდილობს თავის მოძღვრებას ერთგვარი ორიგინალური სახე მისცეს და გარკვეულად განასხვავოს იგი სხვა მოძღვრებებისაგან. განსაკუთრებით ცდილობს იგი გარკვეულად გაიმიჯნოს ბაბილონური მანდეიზმისაგან და ირანული მითრას კულტიდან, ე. ი. სწორედ იმათგან, რომლებისაგანაც მან ყველაზე მეტი ისესხა. და გამიჯვნას იგი სწორედ შვიდი პლანეტის კულტის თავისებური გადამუშავებით აღწევს. მანის მოძღვრების თანახმად, შვიდ ღვთაებას შორის მთვარე მთავარი ღვთაებაა. თვითონ მზე ექვემდებარება მთვარეს. თვითონ მზე მთვარისაგან სესხულობს სინათლესა და ძალას. მართალია, მთვარის შემდეგ იგი მზეს უთმობს პირველობას, მაგრამ მზის ძალა და სინათლე მაინც მთვარის მეშვეობით არსებობს. მანის ერთ-ერთ ტექსტში მთვარე მოხსენებულია, როგორც „მთვარე-ღმერთი, მკვდართათვის სიცოცხლისა უკანვე მბოძებელი“ და სხვ. თუ რუსთაველი მანიქეველი იყო, ცხადია, მას მანის მოძღვრება უნდა გაეზიარებინა, და საუკეთესო შემთხვევა ჰქონდა გამოემეღავნებინა ეს ავთანდილის დასახელებულ ასტრალურ გალობაში. მაგრამ ავთანდილი ამ ხორალს გალობს სწორედ ანტიმანიქეველური გაგებით. რუსთაველს პირველ ღვთაებად მზე გამოჰყავს:

---

[1]) იქვე, გვ. 36.

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“ (957).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარეს კი ავთანდილი ეუბნება მხოლოდ:

„მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზეცა გამლევს, ზოგჯერ ვსხლდები, ზოგჯერ ვწვლდები“ (963).

ავთანდილი თავის თავს მთვარეს ადარებს, ხოლო თავისი სიყვარულის საგანს, ე. ი. თინათინს—მზეს. სხვა ადგილს იმავე ავთანდილის შესახებ რუსთაველი სწერს: „მთვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ღმრთისა შენისა“ (839)

ერთის სიტყვით, წარმოუდგენელია, რომ მანიქეველ პოეტს მთვარე ასე უმნიშვნელო და ძლიერებისა და ძალის მზისაგან მიმღებ ღვთაებად დაესახა. მანიქეველურ მოძღვრებაში „უმძლესთა მძლეთა მძლე“ იყო მთვარე და არა მზე, მთვარე თვითონ იყო უმაღლესი ღვთაება და წარმოუდგენელია მანიქეველს მთვარისათვის მიემართა: „იფიცე სახელი ღმერთისა შენისაო“. მზე ასე მაღლა მდგომი იყო ირანულს მსოფლმხედველობაში და განსაკუთრებით მოგვიანო სასანიდების ეპოქის პარსიზმში. შეფტელოვიჩი სწერს, რომ „მოგვიანო სასანიდების ეპოქაში შვიდი მნათობის გაღმერთებამ საპატიო ადგილი მოიპოვა პარსიზმში“-ო [1]) და ბუნებრივია, თუ ვიფიქრებთ, რომ მოგვიანო სასანიდების პარსიზმი თავისი მზის კულტით და სპარსული მაჰმადიანობის დიდი მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობა იყო დასაყრდენი რუსთაველის ხორალისათვის და არა მანიქეველობა.

საინტერესოა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. რუსთაველთან ხშირად გვხვდება სინათლის კულტი. იოანე პეტრიწის პროკლეს კომენტარებშიც უხვად არის გამოყენებული სინათლის მეტაფიზიკა. შეიძლება ვინმემ პირველი დაუკავშიროს მანიქეველობას და მეორე ნეოპლატონიზმს. ბევ-

[1]) სპეციალურ ლიტერატურაში იმ საკითხის შესახებ, თუ საიდან აიღო მანიმ მთვარის კულტი, დიდი დავა სწარმოებს. რაიტცენშტაინი (იხ. Die Vorgeschichte der christlishen Taufe) ამტკიცებს, რომ იგი ირანული მსოფლმხედველობიდან მომდინარეობდაო. როგორც ცნობილია, რაიტცენშტაინმა ქრისტიანული აღდგომის ორეულიც ირანულში აღმოაჩინა (იქვე, გვ. 72).

წინააღმდეგ ამისა აჩვენებს შეფტელოვიჩი, რომ მთვარის კულტი მანიმ სულის გაწმედისა და მაცხოვრობის იდეის გასამართლებლად გამოიყენაო. როგორც ჩანს, — განაგრძობს შეფტელოვიჩი, ეს იდეა საბოლოო ანგარიშით ბერძნების კოსმოგონურ წარმოდგენებამდე დაიყვანება და „მანიმ, გადმოიღო რა ბერძნებისაგან იგი, უსათუოდ ბაბილონური ზეგავლენის დამატებით მზეს მიანიჭა მთვარისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობა“. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ძველს რელიგიურ გნოსტიკურ ლიტერატურაში მანის მოძღვრება ერთად-ერთია, რომელიც მთვარეს პირველობას ანიჭებს ორფეოსის ლეგენდიდან ნასესხებ ასტრალურ მისტერიაში.

ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, რომ თანახმად პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებისა ძველს ქართულს წარმართობაში მთვარე მთავარ ღმერთად ყოფილა მაჩნეული. „ყოველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის, ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“, „მხოლოდ ასურელებს, ქარანელთ და ქართველებს მიაჩნდათ მთვარე მთავარ ღვთაებად და ამასთანავე მამაკაცად“ (იხ. ი. ჯავახიშვილი: „ქართველი ერის ისტორია“, წ. I, გვ. 54-55). ასე რომ ეს ფაქტები რაიტცენშტაინის შეხედულებას ადასტურებენ. გამოდის, რომ მანიმ წინა აზიური წარმართობიდან ისესხა თავისი მთვარე—ღვთის კულტი.

რად უფრო მეტის უფლებით ორივეს დასაბამად იყო ქრისტიანული გნოსტიციზმი, იოანეს სახარება. მართალია, რომ მანიქეველობა მუდმივ სინათლის კულტს, სინათლის ღმერთებს თავს დასტრიალებს [1]). ნეოპლატონიზმიც არა ნაკლებად ეყრდნობა სინათლის კოსმოგონიას, მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ ქრისტიანობაც მთლიანად იზიარებდა სინათლის მეტაფიზიკას.

მეოთხე სახარების ავტორი მაცხოვარს პირდაპირ „ქვეყნის სინათლეს“ (8,12) უწოდებს, და ქრისტიანულ ფილოსოფიას მომდევნო საუკუნეებში არა ერთხელ განუახლებია სინათლის მეტაფიზიკა. ხოლო მე-19 საუკუნეში მოხუცმა ფიხტემ სინათლის მეტაფიზიკა, იდეალიზმის ეს უკიდურესი სახეობა რომ განაახლა, არც ნეოპლატონიზმს დაყრდნობია და არც მანის მოძღვრებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე სახარების ქრისტიანულ დოგმატიკას. ე. წ. ალექსანდრიელი „მამები“, ე. ი. კლემენსი და ორიგენე ქრისტიანული დოგმის პლატონიზმზე აშენებისას უხვად იყენებდნენ სინათლის მეტაფიზიკას და არა იმიტომ, რომ ისინი მანის მოძღვრებას იცნობდნენ ან ნეოპლატონიზმს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანული დოგმისა და გნოსტიკის შემქმნელები, მანიქეველობა, ნეოპლატონიზმი და კიდევ ბევრი რამ დასახელებული ეპოქაში ამოდიან ერთი საერთო სათავიდან.

როგორც ვიცით ქრისტიანობის, მანიქეველობის, ნეოპლატონიზმის, მითრაიზმისა და სხვა რელიგიური მსოფლგაგებისა და გნოსტიციზმის წყარო იყო „უძველესი ბაბილონური რელიგია, ეს პირველი წყარო წინააზიის ყველა რელიგიური გნოსტიციზმისა“ [2]), რუსთაველისათვის კი „სინამდვილის ფილოსოფიის“ უშუალო წყარო შეიძლება ყოფილიყო არა მანიქეველობა, არამედ ქართული საეკლესიო ფილოსოფიური მწერლობა, მაგ., იოანე პეტრიწი. ქრისტიანული თეოლოგიაზე და ფილოსოფიაზე განათლებულ კაცს არ შეეძლო გვერდი აევლო სინათლის მეტაფიზიკისათვის [3]).

---

[1]) ერთ-ერთ ძველ მანიქეველურ ლოცვაში ნათქვამია მანის შესახებ: „კურთხეულ არს ჩვენი ბელადი, პარაკლეტი, მაცხოვარი სინათლისა“ იხ. Kessler: „Mani und Manichaer,“ Real—Enzyklop. fur protestantische Fheol. und Kirche, Bd. XI. გვ. 246.

[2]) იხ. Kessler-ის დასახელებული შრომა, გვ. 256.

[3]) პატივ. პავლე ინგოროყვა „ვეფხის-ტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის წინასიტყვაობაში სწერს: „შოთა ქადაგებს სინათლის მატერიალიზმს“. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „სინათლის მატერიალიზმი“ ყოველივე აზრს მოკლებული გამოთქმაა.

რამდენადაც ვიცით, რუსთაველის სინათლის ფილოსოფია პატივ. პავლე ინგოროყვას მანიქეველური თეორიიდან გამოჰყავდა. გამოდის, რომ მაინც სინათლის მატერიალიზმს ქადაგებთ! „სინათლის მატერიალიზმი“ წინააღმდეგობის შემცველი გამოთქმაა, რაც შეეხება სინათლის ფილოსოფიას, ეს კი მოეპოვება რუსთაველს, მაგრამ ეს ხომ ქრისტიან მწერალს ყოველივე მანიქეველობის გარეშე თვითონ ქრისტიანობისაგან შეეძლო აეღო.

მეტის თქმაც შეიძლება. ეტყობა როცა ქართული ეკლესია და ქართული თეოლოგიური მსოფლგაგება ყალიბდებოდა, ქრისტიანიზმის სინათლის კულტად გაგებას მთავარი როლი უთამაშია, აბა რით ავხსნათ სახელწოდება ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული საკრამენტისა, ე. ი. მ ო ნ ა თ ვ ლ ი ს ა. ეს სიტყვა ხომ სინათლის მეტაფიზიკის განცდის ნიადაგზე არის წარმოშობილი. ადამიანი ხდება ქრისტიანი სინათლის მეშვეობით, მასზე გადმოდის ნათელი, ეს არის მისი მონათვლა. ვფიქრობ, ქრისტიანებში მეორე საეკლესიო ენა არ მოინახება, რომელიც ასე გამოხატავდეს სინათლის ქრისტიანული მეტაფიზიკის ბუნებას.

ამიტომ უმართებულოდ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ პ. ინგოროყვას სინათლის ფილოსოფია სურს გამოიყენოს რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან განდგომის საფუძვლად. ქრისტიანობა თვითონ შეიცავდა ამ სინათლის ფილოსოფიას. სინათლის ფილოსოფიიდან ნატურალიზმამდე და მატერიალიზმამდე არავითარი პირდაპირი გზა არ არსებობს.

მაგრამ არა ქრისტიანული წყაროებიდან მანიქეველობაზე მეტი მნიშვნელობა სინათლის კულტის შეთვისებაში შეიძლება ჰქონოდა ნეოპლატონიზმს. შეიძლება ნეოპლატონური ღვთაების და რელიგიის მორწმუნე იყო რუსთაველი. განვიხილოთ ეს პრობლემაც, თუმცა იგი მოდალობის არც ერთი კატეგორიის არეში არ შემოდის, ე. ი. ის არ ყოფილა არც შესაძლებელი, არც აუცილებელი და არც ნამდვილი. შეუძლებელი იყო ეს იმიტომ, რომ რუსთაველის ეპოქაში ნეოპლატონიზმს თავისი საკუთარი ღმერთი აღარ ჰყოლია, მე-5-6 საუკუნიდან მან კათოლიკური ქრისტიანობის ღმერთი მიიღო და თავისი დიალექტიკითა და სქოლასტიკით ამ ღმერთის ცნების ირგვლივ ჩხირკედელაობდა.

ღმერთის ცნებასაც რომ თავი გავანებოთ, საერთოდ ბევრი თქმულა და დაწერილა რუსთაველის ნეოპლატონელობაზე. და როცა ჩვენ ეს ლიტერატურა გულდასმით გადავიკითხეთ, გაკვირვებული დავრჩით. ერთხელ აკად. ნიკო მარის მიერ ჰიპოთეზურსა და პრობლემატურს ფორმაში გამოთქმულს აზრს, იგიც არა რუსთაველის ნეოპლატონიკობაზე, არამედ ნეოპლატონურ-ქრისტიანულ მწერლობის ზეგავლენაზე, შემდგომი ავტორები კატეგორიულ დებულებად გადააქცევენ და ყოველივე დამტკიცების გარეშე რუსთაველს ნეოპლატონურ ფილოსოფიურ სკოლის ადეპტად აცხადებენ. არგუმენტის მაგივრად იმეორებენ იმ ორ სტროფს პოემიდან, რომელიც ნიკო მარმა დააასახელა, მაგრამ ვიმეორებთ, არა რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის დასამტკიცებლად, არამედ იმის საჩვენებლად, რომ ნეოპლატონურ-ქრისტიანულ ქართულ მწერლობას რუსთაველი იცნობდა[1]). არც ერთს და არც მეორე სტროფში, როგორც ეს ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, არავითარი ნეოპლატონური ფილოსოფია არ არის მოცემული. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ნეოპლატონიზმის ცოდნას მართლაც გვიჩვენებს „ვეფხის-ტყაოსნის“ რამდენიმე ადგილი, მაგრამ დღემდე ეს ადგილები არავის დაუსახელებია ლიტერატურაში. იგი გამორჩა ნიკო მარს, და ბუნებრივია, რომ სხვებსაც გამორჩებოდა!

მაგ., ასეთი ადგილია 836 და 837 სტროფი უკვდავი პოემისა, სადაც ტარიელისაკენ მეორედ მიმავალი ავთანდილის შესახებ სწერს რუსთაველი:

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად
ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვი მაბიან, რკინანი!“

ვინ არიან ეს „ფილოსოფოსნი წინანი“, რომლებსაც მზე გამოუცხადებიათ „ღმერთის ხატად?“ ვინ არიან ისინი, რომლებიც ასწავლიდნენ, რომ მზე არის ხატი „ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისა“-ო. ცხადია, რომ ეს ნეოპლატონიკოსები იყვნენ. ნეოპლატონური მეტაფიზიკა ასწავლიდა, სახელდობრ, რომ მზე არის კოსმიური ხატი უმაღლესი ღვთაებისა, რომელიც არის მთლად გონება და მთლად სული, ერთი და განუყოფელი, ამიტომ

[1]) იხ. Н. Марр: „Вступительные и заключительные строфы, Витязь в барсовой шкуре“, 1910 г.

აგრეთვე: „Вестник Акад. Наук 1917 года“, გვ. 423.

მატერიალური პრედიკატების მიმართ, როგორიც არის სინათლე და ჟამი და სხვა—ნეგატივი. რუსთაველი გენიალურად ახასიათებს ამ უცნაურ ნეგატიურ დიალექტიკას: იგი, ე. ი. ღმერთი არის ერთ-არსება ერთისა, ფაქიზი და ჟამი უჟამო.

მზე ღმერთი კი არ არის, ნეოპლატონიზმის თანახმად, არამედ მხოლოდ მატერიალური ხატი და ამიტომ დაბალი ფორმა ღვთაებისა. თვით ეპიტეტი „ფილოსოფოსნი წინანი“ ნათლად მიგვითითებს აქ დალაგებული მსოფლმხედველობის ბერძნულს წყაროზე. მე-12 საუკუნის ქრისტიანი ავტორისათვის „ფილოსოფოსნი წინანი“ ბერძნები იყვნენ.

მაგრამ საჭიროა ვიკითხოთ, ამ სტროფებიდან გამომდინარეობს თუ არა ის, რომ რუსთაველი ღვთაებასა და მზეზე იმავე შეხედულებისა იყო, როგორისაც ეს „ფილოსოფოსნი წინანი“, ე. ი. ნეოპლატონიკოსები? რასაკვირველია, არა. აქ გამომჟღავნებულია არა საკუთარი რწმენა და მსოფლმხედველობა პოემის ავტორისა, არამედ მისი მრავალმხრივი ერუდიცია. რუსთაველი სრულიადაც არ ამტიკცებს, რომ, მისი აზრით, მზე ღვთაების ხატია, ე. ი. მზიანი ღამის და უჟამო ჟამის მატერიალური ორეულია, არამედ რუსთაველი აქ მხოლოდ იმას ამბობს, სხვებმა „გთქვეს, მზე“, ასეთადო, ე. ი. მან ბევრი რამ იცის მზის სადიდებლად და, სხვათა შორის, იგიც, რომ ძველად ფილოსოფოსებმა სთქვეს, მზე ეს და ეს არისო. ეს ადგილი ამჟღავნებს ნეოპლატონური ფილოსოფიის მშვენიერ ცოდნას რუსთაველის მიერ და არა მის ნეოპლატონიკოსობას.

ნეოპლატონური „ერთ-არსება ერთისა“ არ ყოფილა რუსთაველის ღმერთი.* ნეოპლატონურ ერთ-არსებას დამოუკიდებელი ღვთაების სახით რუსთაველამდე აღარ მოუღწევია. ახლა იგი იყო სამპიროვანი ერთარსება ქრისტიანული კათოლიციზმისა და რამდენადაც ნეოპლატონური ინტერპრეტაცია ერთ-არსებისა ღმერთის პირების დროში თანდათანობითს წარმოშობას სცნობდა, იგი შეიძლება ქრისტიანიზმის ძირითად დოგმატს, დადგენილს ნიკეის კონცილზე, ეწინააღმდეგებოდა, — გარემოება, რომელიც ოპოზიციასა და ბრძოლას იწვევდა ქრისტიანული ეკლესიის ოჯახში, — მაგრამ ამაო იქნებოდა თეოლოგიის ეს სადაო საკითხები რუსთაველთან გვეძებნა.

ნეოპლატონური დემონოლოგია ისე შორსაა რუსთაველისაგან, რომელმაც ქართული დემონური ზღაპარი ქაჯების შესახებ უარჰყო და ქაჯები კაცთა მოდგმად გამოაცხადა, როგორც ცა დედამიწისაგან. და თუ ასტრალურ პლანეტ-ღვთაებათა მიმართ გალობისას რუსთაველი გარკვეულად მზის პრიორიტეტის მსოფლმხედველობას წარმოადგენს, ამის წყარო ნეოპლატონიზმზე უფრო მეტად შეიძლება რუსთაველის დროის არაბული ასტრონომია და პარსიზმი ყოფილიყო. ეს გარემოება თავისთავად ბადებს საკითხს რუსთაველის დამოკიდებულებების შესახებ ირანის ძველ და ახალ მსოფლმხედველობასთან.

არის მართლა მზე რუსთაველის უმაღლესი ღვთაება? ამ საკითხზე ბევრი აზრი გამოთქმულა. ზოგიერთებმა სპარსული მითრის ძველ ინდურ ორეულს მიტრასაც კი დაუწყეს ძებნა და რუსთაველი ძველს ინდოეთში წაიყვანეს ღმერთებისა და მსოფლმხედველობის საძებნელად.

მაგრამ ყველაზე გადაჭრით მზე რუსთაველის ღმერთად გამოცხადებულია პავლე ინგოროყვას მიერ „ვეფხის-ტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის წინასიტყვაობაში, სადაც შოთას ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შე-

სახებ ვკითხულობთ: „ვეფხის-ტყაოსანში ჩვენ გვაქვს პოეტური რელიგია ღვთაება-მზისა, რომელიც აღიარებულია კოსმიური წყობის დასაბამად“ (გვ. XXIX). წინასიტყვაობის ავტორი გარკვეულად ამტკიცებს, რომ რუსთაველის ღვთაება მზე არის. ამაში ხედავს იგი რუსთაველის მანიქეველობასაც. ინგოროყვას რომ გაეთვალისწინებინა მანიქეველობის პირველი წყაროები, მაშინ ყოველ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა მზე მთვარით შეეცვალა. რადგან მანიქეველობა, როგორც ითქვა, მთვარის პირველობას ნიშნავს და არა მზისას.

ჩვენ აქ უფრო გვაინტერესებს, რასაკვირველია, საკითხი იმის შესახებ, თუ რაოდენ არის წარმოდგენილი მზის კულტი რუსთაველთან. მართლა გაუიგივებია მზე და ღვთაება „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორს?

თავისი აზრის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას მოჰყავს ორი ადგილი პოემიდან. პირველი ცნობილი ადგილი ნესტან-დარეჯანის წერილიდან. ეს ის ადგილია, რომლითაც სხვები რუსთაველის ნეოპლატონელობას ამტკიცებდნენ. ჩვენ თავის დროზე დავამტკიცეთ, რომ აქ სპეციფიურად ნეოპლატონური მეტაფიზიკა მზისა და სულის დამოკიდებულებისა არ არის მოცემული. მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვცნოთ, რომ ეს ადგილი შეიძლება ქრისტიანულ-ნეოპლატონური ლიტერატურის ზეგავლენითაც იყოს დაწერილი. მაგრამ პირდაპირ წარმოუდგენელია აქ მანიქეველობაზე ლაპარაკი. რუსთაველის თქმა „მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ ან ჩვეულებრივი პოეტური მეტაფორაა, ანდა, თუ იგი მეტაფიზიკაა, წარმოუდგენელია იყოს მანიქეიზმი. მანიქეიზმის აზრით, უმაღლესი სამყოფელი გაწმენდილი და განთავისუფლებული სულისა იყო მთვარე. მანიქეველ რუსთაველს მთვარე-ღმერთზე უნდა ელაპარაკნა, რომლის „წილი“ ადამიანის სული იყო, და არა მზეზე.

„მეორე ადგილი პოემისა, სადაც ჩვენ ვეცნობით შოთას ამ ფილოსოფიურ კონცეფციას ღვთაება-მზის შესახებ, ეს არის მნათობთა ლოცვა ავთანდილისა“, სწერს პ. ინგოროყვა და იწყებს „ციტირებას“:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის, მზესა:
„აჰა, მ ზ ე ო, გეაჯები, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა“.

გამოდის, რომ ყველაფერი რიგზეა, აქ ვითომ რუსთაველს პირდაპირ უწოდებია მზისთვის სახელწოდება ღმერთი, კიდევ რაღა არგუმენტია საჭირო, ყველაფერი დამტკიცებულია. მართლაც, თუ რუსთაველი მზეს ღმერთსაც კი უწოდებს, მაშინ რაღას ვედავებით დასახელებული წინასიტყვაობის პატივცემულ ავტორს? საიდუმლოება გაიხსნება, თუ ამავე საიუბილეო ტექსტს გადავშლით და მე-200 გვერდზე წავიკითხავთ მე-957 სტროფს:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების ეტყვის მზესა:
„აჰა, მ ზ ე ო, გეაჯები, შენ უმძლესთა მძლეთა მძლესა“.

რაშია საქმე? ჩვენც გვიკვირს. გადავშლით ვახტანგისეულ გამოცემას, მე-19 საუკუნის ოციოდე ბეჭდვითს გამოცემას, ასიოდე ხელნაწერს „ვეფხის-ტყაოსნისას“ ყველგან ვნახავთ: „აჰა, მზეო“ და სხვ. საიდან აიღო წინასიტყვაობის ავტორმა „აჰა, ღმერთო“ და სხვ. ნამდვილად ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერს მე-17 თუ მე-18 საუკუნეში lapsus calami მოუვიდა და ამისათვის რუსთაველს აგებია პასუხი მისი საიუბილეო გამოცემის წინასიტყვაობის ავტორმა, იგი დაუმსახურებლად გახადა მანიქეველად და მზისა თუ სინათლის მატერიალისტად...

გარეშე ყოველივე ამისა უნდა ითქვას, რომ უხერხულია ასეთი უცნაური ლიტერატურული გამოგონებანი. წინასიტყვაობა იმისათვის იწერება, რომ მკითხველს ხელმძღვანელობა გაუწიოს. აქ კი ერთ-ერთ ესეიზულესი და ღრმა პრინციპიალური საკითხის შესახებ წინასიტყვაობაში მოყვანილ სტროფში ერთი სწერია, ხოლო ტექსტში — მეორე.

მაშასადამე, არსად და არასდროს მზესა და ღმერთს შორის რუსთაველს არავითარი იგივეობის ნიშანი არ დაუწერია. როდესაც რუსთაველი შვიდი პლანეტის კოსმიური კრებულის საგალობელს ათქმევინებს ავთანდილს, აქ მსოფლიო ჰარმონიის სათავედ მზე გამოჰყავს და მზეს შესაფერისად შეამკობს. მაგრამ აქ არსად არ არის ნათქვამი, რომ მზე რუსთაველისათვის უმაღლესი არსება ანუ ღვთაება იყოს.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის შემდგენელს, როგორც სჩანს, ძალიან კარგად ესმოდა თავისი საქმე. მას ავთანდილის მნათობთა ლოცვისათვის გაუკეთებია სათაური! „აქა ავთანდილ ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუნებას“. საქმე სწორედ ამას შეეხება. ლოცვა ეხება არა ღმერთს, არამედ ბუნებას. ვარსკვლავთა სამყაროს სათავედ კი რუსთაველს მზე მიაჩნია. ვარსკვლავთა ქვეყანაში რუსთაველის ეპოქის მოწინავე მეცნიერულ აზრს მზე სწორედ „უმძლესთა მძლეფა მძლედ“ ჰქონდა მიჩნეული. რასაკვირველია, ისიც დასაშვებია, რომ ამას იქით რუსთაველი არა სცნობდა არავითარ სხვა ღმერთს, მაგრამ ასეთი დაშვებისათვის „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი არავითარ საბაბს არ იძლევა. ათჯერ და ასჯერ მიმართავს „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი მზესა და მის ძლიერებას, ადარებს მას თავის საყვარელ გმირებს, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რაიმე მზის თეოსოფიასთან ან მე-17-18 საუკუნის პანთეისტურ ნატურალიზმთან, არამედ მხატვრულ სახეებთან და მეტაფორებთან. მაგ., ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს რომ გაიცნობენ, ამის შესახებ რუსთაველი წერს:

„მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;
თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ;
რა მჭვრეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ“ (988).

ეს ჩვეულებრივი პოეტური სახეა. მაგრამ მხატვრულ მეტაფორასაც თავისი საზღვრები აქვს. იტყვის, მაგ., რუსთაველი, რომ ავთანდილის მშვენებამ ღვთაება გააფლიდაო ან ავთანდილის გონიერებამ ღვთაების გონება დააბნელაო? — ანდა მზე რომ რუსთაველისათვის ღვთაება ყოფილიყო, მაშინ იგი იტყოდა: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“-ო? რასაკვირველია, ამას რუსთაველი ღვთაების მისამართით არ იტყვის და რადგან ასეთს რაიმეს მზის მიმართ იგი ათჯერ და ასჯერ ამბობს, ამიტომ მზე არც მის შეგნებაში და არც მის ინტუიციაში ღვთაების სახით არ ყოფილა წარმოდგენილი.

რომ მზე რუსთაველური მონოთეიზმის საფუძველი ყოფილიყო, მაშინ ყოველივე ამას იგი არ იტყოდა. და რადგან რუსთაველი ყოველივე ამას ამბობს, ამიტომ მზე მისთვის არავითარი ღვთაება არ არის. მზე მასთან წარმოდგენილია, როგორც ბუნების სათავე, მნათობთა შორის მთავარი, მაგრამ გონიერებისა და არსებობის სათავე იგი არ არის, ე. ი. იგი არ არის ღვთაება. ამიტომ რუსთაველი არავითარი სოლარისტი არ არის, არც პაგა-

ნისტური და არც სხვა რომელიმე. ღმერთი რუსთაველს განგებისა და გონების სათავედ აქვს წარმოდენილი და არა ბუნებისა და ვარსკვლავებისა.

„ვეფხის-ტყაოსანში“ მზეზე ლაპარაკი ძალიან ბევრია, მაგრამ ეფექმის ყველა შემთხვევაში პოეტი მზეს მიმართავს, როგორც მეტაფორას და არა მეტაფიზიკას. პოემაში არის ორიოდე შემთხვევა, სადაც მზისადმი ბუნებაში მიკუთვნებულ ადგილზეა ლაპარაკი, სადაც მზე ვარსკვლავთა სათავედ არის გამოცხადებული, ამიტომ ყოველივე აზრს მოკლებულია რუსთაველის სოლარიზმზე ლაპარაკი.

ვთქვათ, „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი რაღაც პაგანისტური სოლარიზმის მომხრე იყო. მერე რა? ეს რაიმე დიდი მოვლენისა და დიდი გენიის მომასწავებელი იქნებოდა, ეს უფრო პროგრესიული იქნებოდა, ვიდრე ქრისტიანობა? ვინც ასე ფიქრობს, მას ერთობ პრიმიტიული წარმოდგენა აქვს რელიგიებზე და მათ ისტორიებზე. პაგანისტური ელემენტი ქრისტიანობაში ბევრია და მაჰმადიანობაშიც, მაგრამ ეს ამ რელიგიების პროგრესულ ელემენტს კი არ შეადგენს, არამედ რეგრესიულს და განდგომა ქრისტიანობიდან, თუ პაგანიზმისაკენ დაბრუნებას მოასწავებს, ეს ნიშნავს არა ქრისტიანიზმის და რელიგიური მსოფლმხედველობის დაძლევას, არამედ გაპრიმიტივებას.

რუსთაველის მიერ იგნორირება თავისი დროის ოფიციალური ქრისტიანობისა, ჩვენის აზრით, გამოწვეულია არა პაგანიზმისაკენ დაბრუნებით, არამედ ქრისტიანობაზე უფრო მაღალი მსოფლმხედველობის გზების ინტუიციური ხედვითა და წინაგზნებით.

ამრიგად, უდაოა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ქრისტიანი ავტორის მიერ არის დაწერილი, რომ პოემის ავტორი თავისი დროის ქრისტიანულ მწერლობის დიდ გავლენას განიცდის, რომ ხშირად იქ, როდესაც პოემის მხატვრული სინამდვილე მუსულმანური გარემოს დაცვას მოითხოვდა, სინამდვილეში ქრისტიანულ-ქართული ფეოდალიზმის გარემოა დახატული, — ყოველივე ეს საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ქრისტიანული კათოლიციზმის სამპიროვან ერთარსებაზე რომ არ ჩერდება რუსთაველის მსოფლმხედველობა, რომ რუსთაველი შეგნებულად ეწევა ოფიციალური ქრისტიანობისა და მისი ეკლესიის იგნორირებას, ესეც ანბანური ჭეშმარიტებაა.

საინტერესოა ვიკითხოთ, რას უნდა გამოეწვია ეს უკანასკნელი გარემოება, ე. ი. იგნორირება ქრისტიანობისა რუსთაველის მიერ? ერთ-ერთი, რასაკვირველია, არა ერთად-ერთი მიზეზი ამისა შემდეგი გარემოება უნდა ყოფილიყო: გაბატონდა თუ არა საბოლოოდ ქრისტიანობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხებზე, მან ყველგან მოსპო ყოველივე თავისუფალი აზრი და ხელოვნება. ადამიანის შემოქმედებას ყოველმხრივ უნდა ედიდებინა ღმერთი; ხელოვნება და შემოქმედება ადამიანის ბუნებისა და ზრახვების შესახებ, ხელოვნება, ცხოვრებასა და ეროსს რომ ემსახურება, აღმოფხვრილ და განადგურებულ იქნა. ადამიანური და ეროტული ხელოვნება ქრისტიანობის ცრუ მორალიზმის მიერ „მრუშობად“ იქნა გამოცხადებული. აიღეთ და შეხედეთ ლიტერატურას ადრინდელი ფეოდალიზმის ბიზანტიასა და რომში და აბა თუ სადმე ნახოთ ე. წ. ხელოვნება და მისი ნაწარმოები, რომლის საგანი ადამიანთა რომანი და ადამიანთა სოციალური ზრახვა იყოს! შემოქმედების ადგილს ჰაგიოგრაფიული ლეგენდა იჭერს ან ისეთი რომანი, როგორიც არის ჩვენი „სიბრძნე ბალაჰვარისა“.

ერთის სიტყვით, ბერ-მონოზნის ცრუ სათნოება და ასკეტიზმია ადამიანისათვის იდეალად გამოცხადებული და ნებადართული. როგორც ცნობილია, მაჰმადიანიზმმა ვერ შესძლო თავისი უფროსი ძმისაგან — ქრისტიანობისაგან ეს ცრუ მორალიზმი ესესხებინა. მაჰმადიანობის ქვეყნებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქის ე. წ. საერო მწერლობის აყვავების მოწმენი ვართ. დიდი პოეტები და მწერლები სპარსული მაჰმადიანობისა ჩინებულად ადასტურებენ ამ გარემოებას.

საქართველო, როგორც ქვეყანა, გეოგრაფიულად მდებარე საქრისტიანო და სამუსულმანო მსოფლიოს შორის, სულიერადაც ამ ორ მსოფლიოს შორის დევს. ქრისტიანულ საქართველოზე არაბული ცივილიზაციის ზეგავლენა იმთავითვე საგრძნობია და დიდი. ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ქართველ ხალხს უკვე ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქიდან ორი მწერლობა აქვს, საერო და სასულიერო. ნუ დაივიწყებთ, რომ, მაგ., მე-10-11 საუკუნეში თვითონ ბიზანტიელ ბერძნებსაც კი არ მოეპოვებოდათ ორი მწერლობა, მათ მხოლოდ ერთი ჰქონდათ, — ხორცის მოძულე ქრისტიანული სასულიერო მწერლობა. მაშინ, როცა ჩვენი სასულიერო მწერლობა ფეხდაფეხ მიჰყვება სირიისა და ბიზანტიის ამგვარ მწერლობას, იმეორებს კაპადოკიელ და ანტიოქიელ-სასულიერო მამების სიბრძნესა და მორალს, ჩვენი საერო მწერლობა მთლად მიწაზე დადის, იგი მთლად ხორცია და მთლად ადამიანი, იგი სრულიად არ არის ბერ-მონაზონური ასკეტიზმით დამძიმებული და გამსჭვალული. ეს მწერლობა, თარგმანია, გადმოკეთებულია, თუ ორიგინალურია, თავის სიუჟეტად მაინც სპარსულ ამბებს იღებს, რადგან იქ არის ამგვარი მწერლობა. და როცა რუსთაველი მოახდენს განახლებას, შეჰქმნის რომანს ადამიანის, მიწიერ საქმისა და ვნების შესახებ, რასაკვირველია, იგი ამბობს, რომ ეს სპარსული ამბავიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საფარს იკეთებს ქრისტიანული კლერიკალიზმის წინააღმდეგ. თავის გმირებად გამოჰყავს იმ დროს არსებული თუ არარსებული, ე. ი. პოეტის ფანტაზიით შექმნილი მუსულმანური ქვეყნების ადამიანები, ასე ის იმიტომ იქცევა, რომ საკუთარი ქვეყნის ადამიანებზე ამდაგვარად წერა და ლაპარაკი აკრძალულია. ეკლესია იმას კიდევ მოითმენს, თუ ეს რომანი სხვა ქვეყნის ხალხსა და რჯულს შეეხება, მაგრამ წარმოუდგენელია ასეთი რამის ნება დართოს თვით ქრისტიანობაზე. მაგ., როცა მე-11 საუკუნის ბიზანტიაში რაღაც ლიტერატურული რენესანსის მაგვარი მოძრაობა დაიწყო, ეკლესია ითმენს ძველი ბერძნული პოეზიის წაკითხვას, მაგრამ წარმოუდგენელია ვინმემ გაბედოს და ბიზანტიურ ბერძნულზე წაბაძოს ჰომეროსსა და სოფოკლეს, საფოსა და ევრიპიდეს. ასეთი იყო ქართული ეკლესიის კულტურული პოლიტიკაც. ასე თუ ისე, იგი ეროტიულ რომანს არაბებისა და სპარსელებისა, ე. ი. „ურჯულოთა“ შესახებ კდევ მოითმენს, მაგრამ ქრისტიანულს ქურქში ასეთი ამბავი ვერ გამოეწყობა.

აი ისტორიის რომელ კულუარებშია მოთავსებული რუსთაველის „სპარსული ვერსია“. ამაოდ დაეძებდა მას აკად. ნიკო მარი ბრიტანეთის მუზეუმში, ამაოდ ეძებს მას აქა-იქ მოუმწიფებელი ფანტაზია, თურქესტანულ თუ ირანულ ლეგენდებში. იგი ქართული ამბავია, ქართველის მიერ თქმული იმ დროინდელი საქართველოს დამსურათებელი. ქართულია მისი ღმერთიც და მისი ზეცაც.

პოემის შესავალში, სადაც რუსთაველი თავის შემოქმედების პრინციპულ საფუძვლებს ამკვიდრებს, გარკვეულად მითითებულია ორს „მიჯნურობაზე“. პირველი არის „საქმე საზეო“ და „ტომი გვართა ზენათა“, „ძნელად სათქმელი“. ეს არის იმ დროს ნებადართული საგანი შემოქმედებისათვის. მაგრამ რუსთაველის „ქება“ მიჯნურობისა ამ გვარს არ ეხება. პოეტს თავისი შემოქმედების საგნად აუღია „ხელობანი ქვენანი, რომელნიც ხორცთა ხვდებიან“. რუსთაველი გრძნობს, რომ მას ამისათვის დაიწუნებენ, დევნას დაუწყებენ, მრუშობას დააბრალებენ, ამიტომ აფრთხილებს მკითხველს:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვის გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი“. (24)

ამ განმარტებამ ვერ უშველა „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორს. „მისი ნაუბარი“ არ ესმოდა მისი ეპოქის კლერიკალურ სულისკვეთებას. რუსთაველს იმ თავითვე დევნა დაუწყო ეკლესიამ. მე-18 საუკუნის დამთავრებამდე გრძელდება ეს დევნა. და ჩვენი ამოცანისათვის დიდად საინტერესოა აღინიშნოს, რომ მას სდევნიან არა ათეისტობისათვის, არა მაჰმადიანობისათვის, არამედ „მრუშობისათვის“, ცრუ ქრისტიანული მორალიზმის პრინციპებიდან ამოსვლით. სწორედ ამ ფრონტზე გაურღვია რუსთაველმა ქრისტიანულ ეკლესიას მისი სიმაგრეები. სცენაზე გამოიყვანა ცოცხალი ადამიანი თავისი ვნებითა და ზრახვებით, გვიჩვენა დაუშრეტელი ძალა მიწიერი სიყვარულის და მეგობრობისა, დაძლია და უკუაგდო „ხორცის მოძულე“ ქრისტიანული ასკეტიზმი. პირიქით, თავისი სიყვარულისა და მეგობრობის თეორია ააშენა როგორც „ხელობანი ქვენანი, რომელნიც ხორცთა ხვდებიან“.

პირდაპირ კონფლიქტის თავიდან ასაშორებლად რუსთაველმა თავისი გმირები უცხო ქვეყნის სამოსელში გამოაწყო და უცხო ღმერთს შეავედრა. მაშასადამე, თავისი გმირების ინდურ-არაბულ ადამიანებად დასახვა და მოქმედების არედ სამაჰმადიანო ქვეყნების აღება გამოწვეული იყო ეპოქის სულისკვეთებით და არა იმით, რომ რუსთაველი მართლაც სამაჰმადიანო ქვეყანას უკეთ იცნობდა, ვიდრე თავის სამშობლო ქრისტიანულ საქართველოს. მიუხედავად ამისა, მან ეკლესიას თვალი ვერ აუხვია, „ვეფხის-ტყაოსანი“ ეკლესიას არც სპარსულ ამბად მიუჩნევია და არც არაბულ ლეგენდად. რუსთაველისათვის არავის უთქვამს საყვედური მაჰმადიანობის გამო. ეკლესიას კარგად ესმოდა, რომ მაჰმადიანობა არაფერ შუაში იყო. მას შეებრძოლნენ, როგორც ქართულ საქმეს, როგორც „მრუშობისა“ და „გოგობიჭობის“ მწერლობას.

მაგრამ რუსთაველს საკუთარი მსოფლმხედველობრივი მოტივები ამოძრავებდნენ ძირითადში, როცა იგი შემოქმედების ასეთს ხერხს მიმართავდა. იგი ხომ თვითონვე გვასწავლის, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“-ო. ქრისტიანობის იგნორირებაზე აშენებული შაირობა უსათუოდ რუსთაველური სიბრძნის შედეგი იყო. ჩვენ გვინდა გამოვიკვლიოთ რუსთაველური სიბრძნის გამოვლენა პოემაში მოცემული უმაღლესი არსების გაგების საკითხში, გვინდა ვნახოთ, თუ რა სახის და რა წარმოშობისაა რუსთაველის ღვთაება.

უპირველეს ყოვლისა უდავოდ არის დადგენილი ის, რომ რუსთაველი უკომპრომისო მონოთეისტია. იგი ყოველთვის „ერთს ღმერთს“ მიმართავს, არ იცნობს არც მის თანამეუბნე ძეს, არც სამს პირს ერთ არსებაში. რუსთაველი პირდაპირ ილაშქრებს ღმერთის ბუნების დანაწევრება-დაყოფის წინააღმდეგ. ღმერთი მისთვის არის „ერთ-არსება ერთისა“. მონოთეიზმი პირდაპირ მონარქიანიზმში გადადის. იგი ნამდვილი სურათია მიწიერი თვითმპყრობელობისა და, თუ გნებავთ, ამ მიმართულებით რუსთაველის ღმერთს არაფერი აუღია ქრისტიანულ-ნეოპლატონური ღვთაებისაგან. ნეოპლატონური ღმერთი არ შეიძლება ყოფილიყო უკომპრომისოდ მონოთეისტური, ნეოპლატონიზმისათვის სრულიად არ ყოფილა საჭირო ტრინიტეტის უარყოფა ერთღმერთობის ცნებაში, პირიქით, მას ეს ესაჭიროებოდა.

მეორეს მხრივ, რუსთაველის დახასიათებით, ღმერთი არის ძალა, „ძალითა მით ძლიერითა“ შექმნა მან სამყარო. ღმერთი, რუსთაველის გაგებით, არის იმავე დროს სიკეთის სათავე, იგი მხოლოდ კარგსა და კეთილს წარმოშობს, ბოროტება უცხოა მისი ბუნებისათვის:

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492)

ასე ფიქრობდა, ასე მსჯელობდა ღმერთის შესახებ იოანე პეტრიწი. ამ ლექსით რუსთაველს გამოთქმული აქვს პეტრიწის აზრი იმის შესახებ, რომ ბოროტებას არ აქვს საკუთარი არსება და ამიტომ ბოროტება, როგორც სუბსტანცია არ არსებობს ღვთაებაში. არსება და ძალა აქვს მხოლოდ კეთილს, მხოლოდ კეთილია მარადიული:

„ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“.

ყოველივე ამის მთქმელი არ შეიძლება ყოფილიყო მანიქეველი, ეს უარყოფა გნოსტიკურ-მეტაფიზიკური და ეთიკური დუალიზმისა შეურიგებელია მანიქეველურ მსოფლმხედველობასთან. ნეოპლატონურად შეფარდებული ქრისტიანი კი შეიძლება ამის მთქმელი ყოფილიყო, და რუსთაველის ღმერთიც ძალიან ბევრ ქრისტიანულ ელემენტს შეიცავს, მაგრამ ორთოდოქსალური ქრისტიანული იგი მაინც არ არის. ქრისტიანული რედაქციით, როგორც ეტყობა, იოანე პეტრიწის ხელით მოწოდებული, ნეოპლატონიზმის პოზიტური ზეგავლენა რუსთაველზე სჩანს აქ და არა იქ, სადაც ამას დღემდე ეძებდნენ. აბა მოვუსმინოთ, რას სწერს ამავე საკითხზე პეტრიწი: „ვითავე პირველი სიტყუა კეთილობა მყოფთა შორის... და ზესთა ყოველთა კეთილობათა კეთილობისაგან გაკეთილდებიან“, ეს კეთილობა არის „კეთილობაი ღმერთისა ბუნებისა“ და ამიტომ „არა არს რა ბუნებით ბოროტი“. აქედან პეტრიწიმ თავისთვის საჭირო დასკვნა გამოიყვანა: „ღმერთი თვინიერ და ერთი მიზეზი ყოველთა“ [1]).

აქ ფილოსოფიურ ცნებათა ენაზე იგივეა ნათქვამი, რაც რუსთაველმა მხატვრული სახით გამოსთქვა. ჩვენ თავის ადგილზე დავასაბუთეთ, რომ ეს პეტრიწონული მოძღვრება „ბოროტთა უარსობისათვის“ ქრისტიანობაში გადმოსული იყო პროკლეს ეთიკიდან და ეტყობა იგი რუსთაველმა იოანე პეტრიწის მეშვეობით შეითვისა. პოზიტიურად ეს არის და ეს რუსთაველის შეხვედრა ნეოპლატონიზმთან. მაგრამ დაუშვებელია აქედან აჩქარებული დასკვნა გამოვიყვანოთ და რუსთაველი ნეოპლატონელად ან პეტრიწის მოწაფედ მივიჩნიოთ.

---

[1]) იოანე პეტრიწი: „შრომები“, ტ. II. გვ. 212—214.

იოანე პეტრიწიმ მთელი გენია თავისი აზრმახვილი დიალექტიკისა შეალია ერთარსების სამობად ყოფნის დასაბუთებას. რუსთაველის ღმერთი კი იყო მხოლოდ და მხოლოდ „ერთ-არსება ერთისა“. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის ერთ-ერთი ატრიბუტის —კეთილობის გაგებაში რუსთაველი ამოდის პეტრიწისაგან და ამ გზით ნეოპლატონიზმისაგან, იგი მაინც უმთავრესში მთლიანად განსხვავდება იმათგან. რუსთაველის მონოთეიზმი მონარქიული ბუნებისაა და საერთო მას არაფერი აქვს პეტრიწის ტრინიტეტისტულ ღვთაებასთან. ტრიადისა და სამების გარეშე წარმოუდგენელია პეტრიწის აზრმახვილი სქოლასტიკა. რუსთაველთან ასეთ რაიმეს ვერ ვნახულობთ.

მრავალჯერ ღმერთი დახასიათებულია აგრეთვე როგორც გონიერების სათავე, მაგრამ ნოოლოგიური პრინციპი იგი მაინც არ არის. რუსთაველი არც ერთს შემთხვევაში არ ივიწყებს, რომ ღმერთი არის:

„ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი“ (1250).

თუმცა, რუსთაველის გაგებით, გონების მიხედვით მოქმედება ღვთაების მიხედვით მოქმედებაც არის, მაგრამ ყველა ასეთს შემთხვევაში ღვთაება გვევლინება განგების სახით, ღმერთი უდრის განგებას.

„ულმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების,
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების“ (190)

ამბობს ავთანდილი, ეს გონების და სიბრძნის განხორციელება, კაცი, რომელშიაც, რუსთაველის გაგებით, გაერთიანებულია რაინდული სული და ანტიკური ბრძენის ზომიერება და გონიერება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობაში განგება უდიდეს როლს თამაშობს. ამ შემთხვევაში მისი აზრი სტოიციზმიდან ნაზიარებს უფრო ჰგავს, ვიდრე ქრისტიანობას. მაგრამ ანტიკურ სტოელთა ფილოსოფიური ტრადიციის გავლენასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ისეთს გარემოებასთან, როგორიც გვქონდა დასავლეთელ რენესანსის სახით. რენესანსის ადამიანთა მსოფლმხედველობაშიც ღმერთის ადგილი განგებას ეჭირა. და იგივე მოუვა უსათუოდ, თითოეულ მოაზროვნეს, რომელიც პერსონიფიცირებული ღმერთის სამართლიანობაში დაეჭვდება, რაციონალიზმის გზებზე შესდგება, ღვთაებასა და კოსმიურ გონებას გააიგივებს.

რუსთაველის ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია. რამდენადაც ადამიანი უზენაეს არსებასთან დამოკიდებულებას იჭერს, იმდენად იგი ადამიანისათვის განგების სახეს ღებულობს. „ვეფხის-ტყაოსანში“ ღვთაება, როგორც განგება, ცხრაჯერ არის ნახმარი და ყველა შემთხვევაში ამ აზრით; მეორეს მხრივ, სიტყვა „განგება-განგებიანი“ რუსთაველის ლექსიკით ბრძენსა და გონიერს ნიშნავს. ამიტომ ადამიანისათვის ღმერთი გონებისა და განგების სინთეზია. გონიერად იმოქმედო, ეს იმას ნიშნავს, განგებას მოუსმინო და მისი განაჩენი შეასრულო. გონიერება, შოთას აზრით, არ ეწინააღმდეგება განგებას, რადგან, როგორც ვიცით, „ღმერთი ბოროტს არ დაბადებს“ და ამიტომ განგების მიერ ადამიანისათვის განკუთვნილი არ შეიძლება სიბრძნესა და სიკეთეს ეწინააღმდეგებოდეს. პირდაპირ ანტიური ბრძენის ენით ლაპარაკობს ავთანდილი, რომ ვინც განგების ეს მაღალი ძალა გაიგო, იმას აქვს

ყველა უმაღლესი სიკეთე ადამიანისა, იგი მისებრ არის ვაჟკაცი, გულოვანი, გამძლე და პირდაპირი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სან�library.ge
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;
ვერ მიხსნიან ვერც ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი;
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი“ (1039)

მაშასადამე, ყველა შემთხვევაში განგება გაგებულია, როგორც უზენაესი ძალა, ისე აუცილებელი, როგორც კოსმიური ძალები, ამიტომ მის გაგებას ადამიანი აღწევს სიბრძნითა და გონებით. განგება უბრალოდ ადამიანის ბედი კი არ არის, სიბრძნის წინაშე ბედი და უბედობა, ლხინი და ჭირი სრული არარაობაა. რუსთაველმა ჩინებულად იცის, რომ ბრძენ კაცს „ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“ (1184). განგებისადმი დამორჩილება კი სიბრძნის პირველი სათავეა.

უზენაესი არსება, გაგებული როგორც განგების ძალა, მთლიანად მოგვაგონებს ღმერთის იმგვარ გაგებას, რომელიც წამოაყენა მე-15 საუკუნის დასავლეთმა. რენესანსის ეპოქის ადამიანისათვის ღმერთი აღარ იყო ადამიანის მსგავსი „მამა“, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი კოსმიური ძალა, ადამიანისათვის განგების სახით მოვლენილი. ეს იყო დასაწყისი ღმერთის თვითმპყრობელი ავტორიტეტისაგან ადამიანის განთავისუფლებისა, ეს იყო რელიგიური მსოფლგაგების პირველი სერიოზული კრიტიკის დაბადება. რუსთაველის ღმერთი რენესანსის ეპოქის ღმერთია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ღმერთის ცნებაში ასეთი რევოლუციის მოხდენისათვის რუსთაველის განკარგულებაშიც თითქმის იგივე წყაროები იყო, რაც რენესანსის ეპოქას მოეპოვებოდა. ეს იყო ე. წ. მაღალ სქოლასტიკაში გაერთიანებული არისტოტელურ-ნეოპლატონური ინტერპრეტაცია სარწმუნოების დოგმისა, ამავე დროს გაცნობა არისტოტელესთან უშუალოდ, ერთის მხრივ, და არაბული ფილოსოფია მეორეს მხრივ. პირველი წყარო რუსთაველს იოანე პეტრიწის ფილოსოფიამ მისცა, მეორე, ე. ი. არაბული ფილოსოფია, იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-ისტორიულმა მდგომარეობამ. უდავოა, რომ რუსთაველს მოეპოვებოდა ავიცენას სკოლიდან გამომდინარე ბუნებისმეტყველურ-ფილოსოფიური განათლება, მეცნიერულ-ცნებათა რეალიები. ყველგან, სადაც პოემის ავტორს ასეთს რაიმეზე ლაპარაკი უხდება, არაბული წარმოშობის კვალს ვხედავთ.

არაბული ფილოსოფიიდან რუსთაველის დამოკიდებულება ყველაზე ნათლად ამავე ღმერთის ცნების მთავარი ნიშნის დახასიათების დროს ჩნდება. ღმერთი, როგორც შემომქმედი ძალა, რუსთაველთან მოცემულია არაბული არისტოტელიზმის მიხედვით. რუსთაველის ცნობილი თქმა „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ ავიცენას ფილოსოფიური დოგმის მხატვრულ გადმოცემას წარმოადგენს. მონოთეიზმის აღიარების გვერდით აქ გამოთქმულია აზრი, რომ ღმერთმა შეჰქმნა ფორმა (სახე). ყოველი მატერიისათვის მას მხოლოდ სახე ანუ ფორმა მიუცია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემოქმედების მასალა, ე. ი. მატერია ყოველთვის იყო და იქნება. არ შეიძლება რუსთაველს ავიცენას სკოლიდან გამომდინარე არაბული ფილოსოფია არ სცოდნოდა და ისე დაეწერა ეს.

ბაღდადელი დიდი ფილოსოფოსი ავიცენა (გარდაიცვალა 1037 წ. ჰამადანში, ეს ქალაქი შეიძლება თამარის სახელმწიფოს ფარგლებშიც კი შემოდიოდა) არისტოტელზე დაყრდნობით ასწავლიდა, რომ ღმერთი არის ძალა, რომელმაც „ტანი“ ანუ მატერია გააფორმა, თვითონ ტანი კი არის პირველადი არსებობა, იგი არ შეუქმნია ღმერთს, იგი არც სულის ემენაციაა, იგი არის ის, რაც ყოველთვის იყო და იქნება.

ნამდვილად არაბული ფილოსოფია და მეცნიერება იყო ის წყარო, ოომელმაც საშუალება მისცა რუსთაველს კრიტიკულად შეეხედა ორთოდოქსალურ ქრისტიანულ კაცადქცეულ ღმერთისათვის. არაბული ფილოსოფიის ზეგავლენით წარმოიდგინა რუსთაველმა უზენაესი არსება კოსმიურ ძალად, ადამიანის სიბრძნისათვის განგებად მოვლენილად და ამით ქრისტიანობის გადამუშავების ნიადაგზე შექმნა ახალი ცნება უზენაესი არსებისა. ორიოდე საუკუნის შემდეგ დასავლეთურმა ქრისტიანობამ იმავე არაბული ფილოსოფიის ზეგავლენით რევიზია გაუკეთა თავის არისტოტელიზმსა და კაცადქცეულ ღმერთს და წარმოშვა ცნება უზენაესი არსებისა, როგორც უსასრულობისა, და გააფორმა ეს აზრი კუზანელის დიალექტიკის სახით. უზენაესი არსება რუსთაველის უსასრულობის პრედიკატით არ ყოფილა დაჯილდოებული. სხვა ყველა ნიშანი მოეპოვებოდა მას რენესანსის ეპოქის ღვთაებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჯიბლაძე

გიორგი წერეთელი *)

დიდძალი ხალხი მიჰყვება ნაბატონარის გაცივებულ ცხედარს, მაგრამ მათ შორის არაა არც ერთი „ნამდვილი გულშემატკივარი და თანამგრძნობელი“. მათი მოსვლის მიზეზია მხოლოდ ცნობისმოყვარეობა და უფრო მეტად წაჰ-ხედურობა. „ყველანი აცილებდენ დიდებული მებატონის გვამს და ისინიც ფეხის ხმას აყოლიან“. ეს ხასიათები და ყოფა-ცხოვრებითი დეტალები თვალ-საჩინო რელიეფურობით ასახავენ იმ დროს. ეს ირონია თავისში შეიცავდა არ-სებული სინამდვილის კრიტიკას და არ კმაყოფილდებოდა მოვლენებისა და ფაქტების „შეუფერავი“ გადმოცემით. აქ „შეუფერავი“ რეალიზმი თავისუფ-ლდებოდა „შეუფერავობის“ მანტიისაგან და სინამდვილის ფოტოგრაფი-ული რეგისტრაციის ადგილს იკავებდა მოვლენის სილრმეში შეჭრა. მაშინ გ. წერეთლის პროზა გამოდიოდა „ვიწრო ნაჭუჭიდან“. მოსაბეზრებელი და მშრალი ადგილები იცვლებოდა ცოცხალი ხასიათებით, დიდი მხატვრო-ბით და დამაჯერებლობით, ერთის სიტყვით, ბრწყინვალედ მართლდებოდა აკაკის მოხდენილი დახასიათება: „ოქროს მადნეულის ძარღვი იშორებდა სი-ლა-ტალახს და დღის სინათლეზე გამოდიოდა „ოქროს მარცვალი“. [1])

ამ სინამდვილის მრავალი არსებითი დეტალი მოხდენილად აისახა „შეუფე-რავი“ რეალისტის მხატვრულ შემოქმედებაში. ის ადამიანები, რომლებიც გვიჩვენა ამ თვალსაჩინო რეალისტმა, ყველანი თითქმის ტიპიური არიან. ისი-ნი არ არიან ერთეული ადამიანები. ისინი აერთიანებენ საზოგადოების გარკვე-ული ნაწილის დამახასიათებელ ფსიქო-იდეოლოგიას. ისინი გვევლინებიან, როგორც ტიპები ისტორიის გარკვეული მონაკვეთისა, ყველა რომანი თუ მოთ-ხრობა ამ შემოქმედებითი პრინციპზეა აგებული. ჩვენი დებულების სა-ილუსტრაციოთ „გულქანიც“ საკმაოდ თვალსაჩინო მასალაა.

„გულქანში“ რელიეფურადაა დახატული 60-იანი, 70-იანი და 80-იანი წლე-ბის ქართველი ინტელიგენცია. თერგდალეულები გ. წერეთელმა დაგვიხასი-ათა რუსეთუმეს სახით, რომელსაც „დიპლომიც ხელში ეჭირა, მაგრამ მაინც იმ რჯულის კაცი იყო, რომელიც შინაურ წესწყობილებას და თავის ქვეყნის წარსულს პატივს არ სცემდა“. რასაკვირველია, ასეთები არ იყვნენ საერთოდ თერგდალეულები, მაგრამ რუსეთუმეს ეს დახასიათება არ ატარებს ტენდენ-ციურობის ბეჭედს, რუსეთუმე წარმოადგენს თერგდალეულების ისეთ ტიპს, რომელსაც სინამდვილის საზომად მხოლოდ საკუთარი პიროვნული „მე“ მი-

---

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 4.

[1]) აკაკი წერეთელი—„რჩეული ნაწერების“ ერთტომეული, 1936 წ. გვ. 426.

აჩნდა. მისი ყოველი ნაბიჯი ამ პრიზმის ჩარჩოებს არ ცილდება. სურს საზოგადოებაში პირველობა მოიპოვოს და ამიტომაც მიისწრაფის ჩინებისა და ორდენებისაკენ, რაც აუცილებელი იარაღია იმისთვის, რომ ხალხის თავლში ლირსება და პატივისცემა დაიმსახუროს. ის საზოგადოებრივი წყობის უარყოფითი მხარეების საფუძველს ეძებს მამების, „მოხუცებული კაცების“ არსებობაში და ამიტომ, მისი აზრით, ქვეყანა მხოლოდ მაშინ გათანასწორდება, ამ ქვეყნად მხოლოდ მაშინ დამკვიდრდება სამართალი და პატიოსნება, „როცა ეს მოხუცებული კაცები გაწყდებიან“. მას „ძლიერ უყვარს“ დაჩაგრული ხალხი. გლეხკაცობას სიტყვით თანაუგრძნობს, მაგრამ მისი ლიბერალობა არასოდეს იქამდე არ მისულა, „რომ გლეხისათვის ხელი ჩამოერთმია, ან ეტლში გვერდით მოესვა და წინ სკამეიკაზე არ ეჩვენებინა ალაგი, თუნდაც ის ნასწავლიც ყოფილიყო“. მართალია, რუსეთუმეს უყვარს სამშობლო, მაგრამ ეს სიყვარული კონსერვატიული ინდივიდუალიზმის პრიზმაშია გადატეხილი. ის ხშირად მღერის ჩონგურზე:

„მე სამშობლო მისთვის მიყვარს,
რომ პირველი ვიქნე მეო“...

შეიძლება ითქვას, რომ აქ ირონიაა, მაგრამ თერგდალეულების ნაწილისათვის უდაოდ დამახასიათებელი.

რუსეთუმე, გ. წერეთლის აზრით, წვრილი თავად-აზნაურობის წინამძღოლი და იდეოლოგია. თავად-აზნაურობის კენჭის სიას იგი იწუნებს სწორედ იმიტომ, რომ წვრილი თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, მიუხედავად მათი დამსახურებისა, სიის ბოლოში არიან მოქცეულნი, იმ დროს, როცა დაუმსახურებელი, მაღალი თავად-აზნაურობა სიის თავშია მოქცეული. რუსეთუმე შეუპოვრად იბრძვის წვრილი თავად-აზნაურობის ინტერესებისათვის. ამ ბრძოლაში მან გამარჯვებასაც მიაღწია, ვინაიდან მოხერხებულად გამოიყენა ყველა ხელსაყრელი მომენტი. ბოლოს ცოლად შეირთო დიდი მამულის პატრონი ქალი, გახდა ჩინებიანი მოხელე და მთელი თავისი მოღვაწეობა, დაწყებული პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ნიშნით, მისი ლოგიკური დასასრულით დააბოლავა.

რუსეთუმეების გვერდით გ. წერეთელმა დაგვიხატა ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი „ახალი ახალგაზრდობის“ წრე, რომელიც დაუპირისპირდა ლიბერალური თავად-აზნაურობის იდეოლოგებს — რუსეთუმეებს. ბანკი, რომელიც 70-იან წლებში გაცხარებული დისკუსიისა და შეიძლება ითქვას, კლასობრივი ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა, წარმოადგენს ამ ორი საზოგადოებრივი კლასის ინტერესთა გამწვავებული კონფლიქტის ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო უბანს. „ახალი ახალგაზრდობის“ წრეს,[1]) როგორც ვიცით, ეკუთვნოდა თვით გ. წერეთელიც. „ახალი ახალგაზრდობის“ წრე ფაქტიურად იყო მეორე დასი, დაპირისპირებული თერგდალეულებთან ანუ რუსეთუმეებთან.

გ. წერეთელი, როგორც იდეოლოგი ბურჟუაზიისა, ე. ი. მეორე დასისა, პათეთიური სახეებით გვიხატავს „ახალი ახალგაზრდობის“ წრის მოღვაწეობას.

---

[1]) 1873 წ. ჟურნ. „კრებულში“ მოთავსებულია ნ. ნიკოლაძის სტატია: „ახალი ახალგაზრდობა“. აღნიშნული წერილი წარმოადგენს არა მარტო თერგდალეულების კრიტიკას, არამედ „ახალი ახალგაზრდობის“ პროგრამასაც.

ის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს რუსეთუმეების იდეებს და აშკარად გამოდის ბურჟუაზიის იდეოლოგად. „გულქანში“ ბანკის საკითხი, პირველი და მეორე დასის ბრძოლა, ე. ი. ბრძოლა თერგდალეულებსა და „ახალ ახალგაზრდობის“ წრეს შორის, რელიეფურადაა მოცემული. სამწუხაროდ, „გულქანის“ მესამე ნაწილის პირველი, მეორე და მესამე თავები უფრო პუბლიცისტურია, ვიდრე მხატვრული. უბრალოდ შეიძლება ამ ფაქტის მიზეზის ახსნა: გ. წერეთელს, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგს, პირდაპირ სურს გამოსთქვას და დაამტკიცოს, თუ რამდენად ყალბია პირველი დასის — ლიბერალური თავადაზნაურობის ინტელიგენციის — მისწრაფება. ამიტომ ის არჩევს, მხატვრული სახეების ნაცვლად, ყოველივე გამოხატოს მშრალი პუბლიცისტური დებულებებით.

მიუხედავად ჭარბი პუბლიცისტიკისა, „გულქანში“ მკვეთრად, მხატვრულადაა მოცემული ლიბერალური თავად-აზნაურობის ინტელიგენციის გადაგვარება და ახალი დასის მთელი მოღვაწეობა მეტად თვალსაჩინო ისტორიულ მონაკვეთზე: 70-იან—80-იან წლებში. ეს რომანი ნათლად გვიხატავს ამ მნიშვნელოვან პერიოდს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისას.

რეალური სინამდვილის ტიპიზაცია, — ასეთია გ. წერეთლის შემოქმედებითი სპეციფიკა ჩვენი განხილვის წინაშე ამჟამად მდგარი საკითხების სფეროში. 70-იანი და 80-იანი წლების სინამდვილეს იგი გვისურათებს არა განყენებული ადამიანების ჩვენებით, თუნდაც მარტოოდენ ტიპებით, არამედ ეპოქისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ტენდენციებით. ჟურნალისტიკა, პოლიგრაფიული წარმოება, ვაჭრობის განვითარება, ერთის სიტყვით, მთელი ეპოქა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენები, ორიგინალური მხატვრული ჭერხებითაა ასახული მის თვალსაჩინო მოთხრობაში — „მგზავრის წერილებში“. ამ ეპოქის წარმომადგენელია „მგზავრის წერილების“ ცენტრალური გმირი კიკოლიკი. ეს უკანასკნელი, როგორც ტიპი, იმდენად საინტერესოა, რომ ჩვენ ცალკე გვინდა მისი ინდივიდუალობის პერსონალური დახასიათების მოცემა არსებით და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

კიკოლიკი უაღრესად რეალური ტიპია. პირადი თავმოყვარეობა, ეგოცენტრიზმი, ზოგჯერ ონეგინისებური სიამაყე მისთვის გაუგებარი და ღრმად შეუსწავლელი საკითხების გადაწყვეტის დროს, — ასეთია კიკოლიკის სულიერი ქვეყანა. პოლონელ ხ...სკისთან მას საერთო არაფერი არა აქვს, არც თავისი შეხედულებებით და არც ინდივიდუალობით. ხ...ისკი მზადაა საკუთარი თავი შამულის მსხვერპლად მიიტანოს, ისევე, როგორც ტურგენევის ინსაროვი მზადაა მთელი თავისი ცოდნა, ენერგია, ნიჭი, უნარი ბულგარეთის განთავისუფლებას შესწიროს. კიკოლიკის აზრით, საჭიროა მეფის მთავრობის წინაშე მონური ქედის მოხრა. იგი პეტერბურგის ახალგაზრდა სტუდენტს ეუბნება:[1] „ნევსკის პროსპექტზე ნუ დაიწყებ სიარულს. ბევრია აქ ისეთი ყმაწვილი, რომელთაც მხოლოდ ქეიფი, სიმღერა და ღამით დროს გატარება უყვართ. ნურც იმისთანა კაცებს გაიცნობ. ამ ცოტა ხანში უნივერსიტეტი გაიხსნება, სწავლა დაიწყება, იქნება რაიმე უკმაყოფილეობა მოხდეს. შენ მონაწილეობას ნუ მიიღებ, თუ რაიმე შეკრებულება მოხდეს უნივერსიტეტის ზალაში, შენ აიღე ქუდი და შინ გამოსწიე, გამოიქეცი, რომ იქ უნივერსიტეტის მთავრობამ არა

[1]) ე. ი. გ. წერეთელს.

შეგნიშნოს რა". ესაა კიკოლიკის მთელი პრაქტიკული ფილოსოფია. თუ სტუდენტების არეულობა მოხდა, საჭიროა ქუდი აიღო და სახლისაკენ გასწიო, რომ არავინ შეგნიშნოს. ამ იდეას ემსახურება კიკოლიკი. მისი აზრით, „გონიერი კაცი, მცოდნე, მეცნიერი კაცი" ხალხს სძულს. მას უყვარს კაცი მდიდარი და მთავრობასთან საქმით გამტანი. ამიტომ ფლიდი ავგუსტოსი და იულიოს კეისარი მისთვის იდეალური ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენენ. კიკოლიკს ათიათასჯერ უფრო მეტად უყვარს ნაპოლეონ მესამე, ვიდრე ნაპალეონ ბონოპარტე, რადგან ნაპალეონ პირველმა, ე. ი. ბიძამ ხმლით დაიმორჩილა მთელი ქვეყანა და ამან (ნაპალეონ მესამემ. — გ. ჯ.) სიტყვით." ერთად-ერთი იდეალი, რომლის წინაშეც ქედს იხრის კიკოლიკი, არის პირადი კეთილდღეობა, და როცა მას მიაღწევს, შემდეგ უნდა იზრუნოს ადამიანმა საზოგადოებისა და ქვეყნისათვის. მას სისულელედ მიაჩნია, თუ პიროვნებას, ადამიანს საკუთარი პიროვნული კეთილდღეობა არა აქვს, ის საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის იბრძვის. კიკოლიკის სამოქმედო დევიზია: საკუთარი ნივთიერი მდგომარეობის უზრუნველყოფა და მხოლოდ შემდეგ ზრუნვა საზოგადოებრივი საქმისათვის. „ჯერ უნდა ვიშოვნოთ ნივთიერი კეთილმდგომარეობა და მერე ქვეყანასაც სიკეთე მოვფინოთო", — ამბობს კიკოლიკი, რომელიც ღრმადაა დარწმუნებული, რომ თუ სამსახურში კარგი ადგილი იშოვა, ის შემდეგ ქვეყანასაც სიკეთეს მოუტანს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კიკოლიკი მართლაც ბრუნდება თავის სამშობლოში და მთელი მისი ზრუნვა, მთელი მისი თავდადება მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოპოებისაკენ. კიკოლიკი ხედავს, რომ საჭიროა სტამბა და ისიც სტამბის ერთერთი აქტიური ორგანიზატორია. მაგრამ ეს სტამბა მას უნდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფს თავის მატერიალურ მდგომარეობას, თუმცა ოფიციალურად აცხადებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარული ამოქმედებს მას მოაწყოს სტამბა. კიკოლიკი გრძნობს, რომ საჭიროა გაზეთი და ისიც გაზეთის ერთ-ერთი აქტიური დამაარსებელია, მაგრამ არავითარი სხვა განზრახვა მას არ ამოქმედებს, გარდა პირადი კეთილდღეობისა, და თუ ის მონაწილეობას იღებს გაზეთის დაარსებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ გაზეთისაგან მოელის პირად მატერიალურ კეთილდღეობას, პირად ბედნიერებას, თუმცა ოფიციალურად, როცა გაზეთზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის აზრით. კიკოლიკის მიზანია — დიდი სამსახური ჩაიგდოს ხელში. კიდევაც აღწევს თავის მიზანს და ბოლოს გახდება ისეთივე ჩინოსანი მოხელე, როგორც რუსეთუმე.[1]) კიკოლიკი ყველასთან პირფერი და არაპირდაპირია. მას სისულელედ მიაჩნია სიმართლის გაბედულად და პირდაპირ თქმა. პოლონელ ხ...სკის ის ყოველთვის ლანძღავს და აგინებს, დასცინის კიდეც, მხოლოდ უკან, ზურგს უკან, მაშინ, როცა პირში ეფერება და ელაქუცება.

ასეთსავე დამოკიდებულებაშია ყველასთან, საღათასთანაც კი, ამ კეთილშობილ, დიდი ცოდნის დემოკრატ მოქალაქესთან, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებულ ადამიანთან. საღათა ანსახიერებს იმ ადამიანის ტიპს, რომელსაც საკუთარი თავი გაბედულად მიაქვს საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამსხვერპლოზე, რომელიც პიროვნულს ყოველთვის უკანა პლანზე აყენებს, ხოლო საზოგადოებრივს — წინ. საღათამ გლეხთა

[1]) იხ. „გულქანი".

ბავშვებისათვის სკოლაც კი მოაწყო ერთ-ერთ სოფელში, ასწავლიდა გლეხთა ბავშვებს სრულიად უსასყიდლოდ მანამდის, სანამ მას აზნაურებმა არა სცემეს და არ გამოაგდეს სოფლიდან იმისთვის, რომ მან გაბედა ესწავლებინა გლეხთა ბავშვებისათვის. რას წარმოადგენს საღათა? ის უნივერსიტეტიდან ახლად დაბრუნებული ახალგაზრდაა, დაბრუნებული, რადგან არა ჰქონდა ეკონომიური სახსარი—დაემთავრებინა უნივერსიტეტი. მიუხედავად ამისა, საღათა ისე ღრმა მცოდნეა და საუკეთესოდ მომზადებული, რომ უნივერსიტეტდამთავრებული კიკოლიკი მასთან შედარებით გაცილებით დაბლა დგას თავისი ცოდნითაც და გამოცდილებითაც.

ახლადდაარსებული გაზეთის რედაქტორად საღათა მიიწვიეს, და მიუხედავად მცირე ხელფასისა, მიუხედავად დამცირებისა, რომელსაც მას აყენებს კიკოლიკი თავისი ფილისტერულ ხითხითით, დაცნვით, უადგილო, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით გამსჭვალული შენიშვნებით, ის მაინც თავდადებულად მუშაობს გაზეთის ინტერესებისათვის, იტანს ყოველივე ამას და სრულებით არ ცდილობს გამოაჩინოს საკუთარი თავი, როგორც გაზეთის ფაქტიურმა რედაქტორმა და მთელი გაზეთის ერთადერთმა ცენტრალურმა ძალამ. საღათა ჯერ კიდევ ბატონყმობის სინამდვილეში აგონებდა გლეხებს, ნუ ემსახურებიან ბატონებს, ვინაიდან ისინი არ არიან ამ სამსახურის ღირსნიო. საღათა წარმომადგენელია ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელმაც მიზნად დაისახა,—საკუთარი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება მთლიანად შეეწირა საზოგადოებრივი სიკეთისათვის. კიკოლიკი საღათას ანტიპოდია თავისი სოციალური მდგომარეობით და შეხედულებებით. კიკოლიკი ყოველივეს ზომავს პირადი კეთილდღეობის, საკუთარი მატერიალური მდგომარეობის საზომით, საღათა კი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასპექტით. კიკოლიკი ქარვასლების წინ გავლისას ყოველთვის ფიქრობს: „ესეები თუ ერთ დროს ჩემი გახდენ, მაშინ უყურე რაებს ვიზამ. ჩემი სალონი საუკეთესო ახალგაზრდობის სალონი იქნება. მე ვიქნები იმათი მოთავე და მფარველი, მე ვიქნები, მე, მე...“ [1]) საღათა სულ სხვა თვალსაზრისით უყურებს სინამდვილეს. ეგოცენტრისტული ტენდენციები საღათას ინდივიდუალობისათვის შეუფერებელია. როცა ის რედაქტორად მოიწვიეს, ოდნავადაც არ უფიქრია, რომ ამით დიდი კაცი გახდებოდა, ბევრი ფული ექნებოდა ან ყველა პატივისცემით მოიხსენიებდა თუ დააფასებდა. როცა მიიღო ცნობა რედაქტორად მიწვევის შესახებ, საღათამ აღტაცებით წამოიძახა: როგორც იქნა, ბოლოსდაბოლოს, საჩემო საქმე გამოჩნდაო. კიკოლიკი სტამბას და გაზეთს, როგორც ვთქვით, საკუთარი კეთილდღეობის თვალსაზრისით უყურებს და ოცნებობს, რომ დადგება დღე, როცა შეირთავს ს ... ს ქალს, რომელსაც ხუთი ათასი თუმანი აქვს მზითვად, ქალიც ლამაზია, ხოლო როცა ინსტიტუტში შევა, პირველად ის შემოეგებება და ცოცხლად ეტყვის: „Здравствуй г. учитель, Здравствуй!“, როგორც ხედავთ, საღათა და კიკოლიკი ორი, სხვადასხვა იდეებით გატაცებული, სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები არიან. კიკოლიკის და საღათას დახატვაში გიორგი წერეთელი იყენებს კონტრასტების მეთოდს, ისევე, როგორც მთელი რიგი სხვა ტიპების დახატვაში. „მგზავრის წერილებში“ კონტრასტების მეთოდი ყველაზე უფრო ფართოდ და დიდი დია-

---

[1]) იხ. „ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა“, 1935 წ., გვ. 110. სხვათა შორის, წიგნის ეს გამოცემა სავსეა კორექტურული შეცდომებით.

პაზონით არის გამოყენებული. კიკოლიკი ლიბერალია არამარტო თავისი სტუდენტობის პერიოდში, არამედ, მთელი ცხოვრების მანძილზე. აქ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კიკოლიკისებური ლიბერალიზმი უკანასკნელ დამახასიათებელი სახეა სამოციანი წლების ლიბერალური ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილისა.

პოლონელი ხ... სკი კიკოლიკის ანტიპოდია, მაგრამ საღათაზე უფრო გაბედული და მებრძოლი. ხ... სკი არ მიდის დათმობაზე კიკოლიკთან. ხ... სკი ვერ იტანს კიკოლიკის ლიბერალიზმს და უვიცობას. ვერ ურიგდება მის ფუყე დემაგოგიას, მის მამლაყინწურ ყოყლოჩინობას, ხოლო საღათა ბრძოლის უნარმოკლებულია, უმრავლეს შემთხვევაში დათმობაზე მიდის კიკოლიკთან და, გარდა ორიოდე შესიტყვებისა, ასრულებს მის სურვილს. თუ საღათა გლეხთა ბავშვებისათვის ხსნის სკოლას, ასწავლის მათ და უნერგავს გლეხებს სიძულვილს ბატონებისადმი, ხ... სკი აქტიური მონაწილეა სტუდენტთა მოძრაობისა და მან „პირობა დაადებინა კიკოლიკს და იმის ამხანაგებს, რომ უნივერსიტეტის ყოველ საქმეში თქვენც ჩვენთან იყავითო". მართალია, ხ... სკი დარწმუნდა, რომ კიკოლიკი სრულებით არ იყო ისეთი, როგორც მას ჰყავდა წარმოდგენილი, მაგრამ არც იოლად დაანება თავი კიკოლიკს და ამხანაგების მისდევდნენ, არ გაუწყვეტია კავშირი. ხ... სკი ღრმა მცოდნეა სოციოლოგიისა და პოლიტიკისა. ხოლო დანარჩენ ამხანაგებთან, რომლებიც ხ... სკის გზას მისდევდნენ, არ გაუწყვეტია კავშირი. ხ... სკი ღრმა მცდონეა სოციოლოგიისა და თუ კიკოლიკი თაყვანს სცემს ავგუსტოსს და იულიოს კეისარს, ხ...სკის იდეალია გარიბალდი და ვაშინგტონი.

პოლონელი ხ...სკი თავისი შეხედულებებით და ინდივიდუალობით ძალიან ახლოა ტურგენევის ინსაროვთან. მათი მხატვრული ჩვენების ხერხიც თითქმის განუსხვავებელია. ინსაროვი პირად ბედნიერებას უყურებს, როგორც განუყოფს სამშობლოს ბედნიერებისაგან, და თუ ეს უკანასკნელი არ არსებობს, მისთვის პირველიც შეუძლებელია არსებობდეს. მას უკვირს კიდეც, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ბედნიერი და კმაყოფილი, როდესაც მისი სამშობლო განსაცდელშია და მჩაგვრელთა უღელს ატარებს. ამ მიზნით იგი სწავლობს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში, ამიტომ ამყარებს ურთიერთობას მოსკოვის მოწინავე ახალგაზრდობასთან, ამიტომ სთარგმნის ბულგარულ ლექსებს რუსულ ენაზე, ადგენს ბულგარული ენის გრამატიკას და გრამატიკას რუსული ენისას ბულგარელებისათვის, რომ მოამზადოს ავჯანყება თავის სამშობლოში და ეს უკანასკნელი გაანთავისუფლოს მონობისაგან. ის მზადაა საკუთარი თავი გასწიროს სამშობლოს ბედნიერებისათვის. მაგრამ „Накануне"-ში არა ჩანს ინსაროვის სხვა პრაქტიკული საქმიანობა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის. მართალია, ის მიდის თავის სამშობლოში, მაგრამ მოულოდნელად იღუპება გზაზე და ჩვენ სრულებით არ ვიცით, ინსაროვის განზრახვას ჰქონდა თუ არა მომზადებული რაიმე პრაქტიკული წინასწარი საფუძველი. გ. წერეთლის ხ... სკი პოლონელი ინსაროვია არა მარტო თავისი იდეური შეხედულებებით, არამედ მხატვრული სახითაც. ის დასცინის კიკოლიკის ლიბერალიზმს, გატაცებულია ევროპაში დანთებული განმათავისუფლებელი მოძრაობით, ჯუზეპე გარიბალდის სახელოვანი ბრძოლით იტალიის განთავისუფლებისათვის და აღტაცებით ამბობს, რომ ახლოა ის დრო, როცა დაჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის ამდგარი ტალღა, რომელიც დასავლეთიდან მოდის, მალე მოადგება აღმოსავლეთს აღელვებული ოკეანეს სახით. სახელო-

ვანი გიორგი ვაშინგტონის ბრძოლები ამერიკის განთავისუფლებისათვის ხ...სკის მიაჩნია, როგორც ერთი უძლიერესი საბუთი გარიბალდამდე დაჩაგრული ერების განთავისუფლების სრული შესაძლებლობისა. ის ისევე თავად და გატაცებით მსჯელობს სოციოლოგიის, პოლიტიკისა და ეთიკის საკითხებზე, როგორც ინსაროვი. ხ... სკიმ სავსებით სწორად, მართებულად განმარტა, თუ რატომ აღწევდა გარიბალდი გამარჯვებას იტალიის ჯარებზე. გარიბალდელების სოციალური ბუნებისა და იტალიის ოფიციალური ჯარის კლასობრივი სახის, მათი მიზნებისა და მოვალეობის ანალიზი, რომელიც ხ... სკიმ მოიხდინა კიკოლიკის წინააღმდეგ, ნათლად მეტყველებს, რომ ხ... სკი 60-იანი წლების ისეთივე ღვიძლი შვილია, როგორც ბულგარელი ინსაროვი. ჩვენ არ ვამბობთ, თითქოს „მგზავრის წერილები" დაწერილი იყოს ტურგენევის „Накануне"-ს გავლენით ან მას რაიმე საერთო ქონდეს ამ უკანასკნელთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლონელ ხ... სკის, რომლის პროტოტიპიც ბულგარელი ინსაროვია.

„შეუფერავი" რეალისტის მხატვრული პალიტრისათვის უაღრესად დამახასიათებელია ფართო სოციალური სანამდვილის ჩვენება. ჩვენ ეს ნათლად დავინახეთ „მგზავრის წერილების" ანალიზისას. ჩვენ დავინახეთ, რომ კიკოლიკის პიროვნება ავტორმა არ დაგვიხასიათა სინამდვილის გადმოცემის მეტაფიზიკური ან ვიწრო ემპირისტული მეთოდით. კიკოლიკის პიროვნული „მე" მან გააშიშვლა ჯერ ხ... სკის დაპირისპირებით, შემდეგ საკუთარი თავისა და, ბოლოს, არანაკლები რელიეფურობით, საღათას სულიერი ქვეყნის გახსნით. ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც კონტრასტების მეთოდით გვიჩვენებს ავტორი. ბურჟუაზიას ის უპირისპირებს გადაგვარებულ თუ გადაგვარების გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას. მათი ურთიერთდაპირისპირების სფეროში ყველგან მეღავნდება ინტერესთა მძაფრი კოლიზია, რომელიც ბოლოს სასიკვდილო ბრძოლაში ხორციელდება. ამ ბრძოლის კანონზომიერი საფუძვლები თითქმის ყველგან მითითებულია. ამ ბრძოლას თავისი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური გამართლება აქვს. ის არ არის ნაჩვენები სქემატიურად, მოვლენათა კანონზომიერი ჯაჭვის გარეშე, თუმცა ავტორის შემეცნება თვალსაჩინო ნაწილში მაინც ატარებს სინამდვილის გაგების ყალბ ტენდენციას იმდენად, რამდენადაც ის წარმომადგენელია ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა.

ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გ. წერეთელი გვიხატავს არა მარტო მათი სავაჭრო ოპერაციების პროცესში, არამედ, წარსულის დახასიათებითაც. სავაჭრო ბურჟუაზია მის რომანებსა და მოთხრობებში ყველგან წარსულის დახასიათებითაა მოცემული. პეტრ ივანიჩი, რომელიც ბაკურაძის ყმობას თავს აღწევს ადლერისაკენ გაქცევით, რათა იქ ფული ჩაიგდოს ხელში, ნათლად ადასტურებს ამ დებულებას. ნიკოლაი ნიკიფოროვიჩის წარსულიც ისეთივე უიმედობის წყვდიადითაა მოცემული, როგორც პეტრიელასი. მართალია, ის არ არის ყმა, მაგრამ შკიპერად მუშაობს გემზე და ეკონომიურად ისეთივე ღატაკია, როგორც პეტრიელა. ნიკოლაი ნიკიფოროვიჩმა, გამოიჩინა რა დიდი ნიჭი აღებ-მიცემობაში, — დიდძალი ფული იშოვნა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელი საშუალებებით გადაიქცა დიდძალი ქონების მფლობელად. ბურჟუაზიის დახატვაში გ. წერეთელი დიდი რეალისტია. ის ყველგან აღნიშნული კლასის ინტერესების, ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნედ და მის იდეოლოგად მოსჩანს. მის მიერ დახატული ბახვა ფუ-

ლავა, პეტრ ივანიჩი, ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი დასრულებული, უაღრესად რელიეფური ტიპები არიან. ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი ნათლად გრძნობს, რომ დადგა დრო, როცა ბურჟუაზია „მარილია ქვეყნის. ის არჩენს ხალხს. ხალხის წარმოებას და თვითონაც მდიდრდება". ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი უაღრესად განვითარებული სახეა საქართველოს ბურჟუაზიისა და თუ ბახვა ფულავას ოჯახი ვერ აღწევს მიზანს, იღუპება პეტრ ივანიჩის ავლადიდებაც — ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი თავის ცხოვრების რთულ გზას აგვირგვინებს დიდგვარიანი არისტოკრატი ქალის — გულქან ბაკურაძის შერთვით და საბოლოოდ მკვიდრდება ბურჟუაზიული ოჯახის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ იდილიურ ატმოსფერაში. ამგვარად, ფულავებისა და პეტრ ივანიჩების ცხოვრების დაღუპვა ნიკოლაი ნიკიფოროვიჩის გამარჯვებით გვირგვინდება, ხოლო ის ტრაგედია, რომელიც ბახვა ფულავასა და პეტრ ივანიჩის სახით გაიარა ბურჟუაზიულმა კლასმა საქართველოში, ნიკოლაი ნიკიფოროვიჩს აღარ აწუხებს. ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი ცხოვრებას უფრო ღრმა პრაქტიკოსის თვალით უცქერის. მის ნებისყოფასა და აზროვნებაში ღრმად გაუდგამს ფესვი ალმავლობის პერიოდში მყოფი ბურჟუაზიისათვის უაღრესად დამახასიათებელი ტენდენციებს. ამიტომაა, რომ იგი მწარედ დასცინის სულმოკლეობას და მწუხარებას, ამიტომაა, რომ იგი ასე ხშირად გაიძახის: „ადამიანების მოვალეობაა მოთმინება და სულგრძელობა, რადგან მწუხარება სულმოკლეობის დედაა და სულმოკლეობას კი უდროოდ სამარისაკენ მივყავართ, თუ იგი სულგრძელობით არ ვკურნეთ". როგორც მივუთითეთ, ჩრდილოელი ვაჭარი ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი ბურჟუაზიის უაღრესად დამახასიათებელი და რეალისტური ტიპია. მისთვის ცხოვრება არ არის მოცული არც გაურკვეველი ნისლით და არც გამოუვალი წყვდიადით. ის ნათლად გრძნობს, რომ მომავალი მის ხელშია. მომავალი მას ეკუთვნის, ბედნიერი ცხოვრება მისთვის წინაა. მისკენ სწორედ ამიტომ მიისწრაფის მაღალი არისტოკრატიის წრეებში მორალურად დასუსტებული, ნებისყოფა დამცხრალი და მამაკაცებისადმი ზიზღით ანთებული გულქანი. და როცა ეს უკანასკნელი სთხოვს ნიკოლაი ნიკიფოროვიჩს მისი წარსულის გადმოშლას, ხოლო როცა შემდეგ თვით გულქანი მოუთხრობს მას საკუთარი ცხოვრების ისტორიას, ფაქტიურად აქ ორი საზოგადოებრივი კლასის ურთიერთ ინტერესთა დაპირისპირებაა: ნიკოლაი ნიკიფოროვიჩი წარმომადგენელია ბურჟუაზიისა, რომელიც დათმობაზე მიდის ფეოდალურ არისტოკრატიასთან, მისი საგანძურის მიღებისათვის, ხოლო გულქანი — ლიბერალური არისტოკრატიისა, რომელმაც ქედი მოიხარა ბურჟუაზიის წინაშე და საკუთარი ცხოვრებაც მას შეუერთა, რომ წარსულის კოშმარი უკან მოიტოვოს და ახალ ცხოვრებას მაგრად ჩამოართვას ხელი. სინამდვილე ასე ეხატებოდა გ. წერეთელს.

ამ რთული სოციალური დიფერენციაციის ჩვენებით, როგორც აღვნიშნეთ, „შეუფერავი" რეალისტი არ სტოვებს სავაჭრო კაპიტალის განვითარების სინამდვილის თითქმის არც ერთ დეტალს.

სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის განვითარების შედეგად ფეოდალური მეურნეობის რღვევის თვალსაჩინო სურათები გვიჩვენა გ. წერეთელმა თავის მოთხრობებში: „რუხი მგელი" და „მამიდა ასმათი". ეკონომიურად დაუძლურებული ფეოდალური არისტოკრატია მაინც არ ივიწყებს თავისი ტრადიციულ ჩვევებს, და, მიუხედავად ეკონომიური ხელმოკლეობისა, მაინც თავისებურად მისდევს სიზარმაცეს, მუქთახორობას, ქედმაღლობას. ეს კლასი გა-

აფთრებულია ეკონომიური სივიწროვის გამო და არავითარ ღონეს არ იშურებს, ოღონდ შეინარჩუნოს პირადი კეთილდღეობა, კვლავ უშრომლად და უზრუნველად გაატაროს ცხოვრება. ასეთია ავთანდილ კვიმატაძე, რომელიც ავიწროებს გლეხობას, ამასთან იმ ზომამდის, რომ ეს უკანასკნელნი ჰკლავენ კიდეც მას. „მამიდა ასმათში“ უფრო მწვავედაა დასმული ეს საკითხი. ილაჯგაწყვეტილი წვრილფეხა აზნაურობა ნათესაური დამოკიდებულების საუკუნეობრივ ტრადიციებსაც კი არღვევს პირადი ეკონომიური კეთილდღეობისათვის. ასმათი ძმას როსაფს მემკვიდრეობით მიღებული ქონებისათვის სახლს დაუწვავს, გლეხობას მიუსევს და, ბოლოს, ცრუ დაბეზღებასაც არ მოერიდება, ოღონდაც ხელში ჩაიგდოს მამის მიერ დატოვებული ქონება. ასეთია ფეოდალური არისტოკრატიის გახრწნის, დეგრადაციის დამახასიათებელი სურათები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

„პირველი ნაბიჯი“ დიდი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც სავაჭრო ბურჟუაზიის განვითარების გვერდით ავტორმა მოხდენილად დაგვიხასიათა ფეოდალური არისტოკრატიის გახრწნაც. იერემია წარბა წარმომადგენელია დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალური არისტოკრატიისა. მართალია, მას დიდი ხანია გამოეცალა ეკონომიური სარჩული, მაგრამ ის მაინც უშრომლად და უზრუნველად ატარებს დროს განუწყვეტელ ქეიფში კონტრაბანდისტობით თუ ავაზაკობით მოპოვებული ფულით. მას ეხმარება და ყოველმხრივ ხელს უწყობს დიდგვარიანი და ობსკურანტული რუსეთის მონარქიის მოხელეებთან ახლო მდგომი ნათესავი ვალიდა. გლეხთა წრიდან გამოსული, მაგრამ ვაჭრობით ეკონომიურად მოღონიერებული ბახვა ფულავა დაპირისპირებულია იერემია წარბასთან, და არსებითად აქ ორი ძირითადი საზოგადოებრივი კლასია წარმოდგენილი: კლასი დეგრადაციის გზაზე მდგომი ფეოდალური არისტოკრატიისა და კლასი ახლადფეხადგმული ბურჟუაზიისა. ვალიდა და ესმა განასახიერებენ ორი საზოგადოებრივი კლასის — დეგრადაციის გზაზე მდგომი ფეოდალური არისტოკრატიისა და უფლებრივად დაჩაგრული, მაგრამ ამ დროს მორალურად და ეკონომიურად ძლიერი ახალი საზოგადოებრივი კლასის ხასიათებს. ამ კონტრასტების მეთოდით „პირველ ნაბიჯში“ ნათლადაა წარმოდგენილი დეგრადაციაქმნილი ფეოდალიზმისა და ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმის ბრძოლა. „პირველ ნაბიჯში“ დახასიათებულია რუსი ჩინოვნიკების მექრთამეობა და სასამართლო თავისი გახრწნილებით, როგორც იარაღი პოლიტიკურად უფლებამოსილი საზოგადოებრივი კლასისა. „პირველი ნაბიჯი“ დიდი მხატვრული ტილოა, სადაც მძაფრი რეალისტური ფერებითაა დახატული საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, ის დრო, „როცა ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა“, რაც ნიშნავდა სავაჭრო სამრეწველო კაპიტალის მძლავრ იერიშს საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ სინამდვილეში.

ეს უაღრესად თვალსაჩინო ეპოქა საქართველოს ისტორიაში, შეიძლებაითქვას, ცენტრალური თემატიკური მასალაა გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედებისათვის. „პირველი ნაბიჯის“ ვრცელ მანძილზე ნაჩვენები ჩინოვნიკების მექრთამეობა, გახრწნილება და გადაგვარება, უფრო ადრე, ჯერ კიდევ „პირველ ნაბიჯამდე“, ნაჩვენები იყო „გულქანში“ მეტად დამახასიათებელი სურათებით და ცოცხალი ტიპიზაციით. ეს გზა ავტორის კალმისათვის არ არის შემთხვევითი. იგი გვხვდება მისი მხატვრული შემოქმედების დიდ ნაწილში. შეიძლება ამით აიხსნას, რომ მხატვრული ღირსებით აქ ყოველთვის ძლიერია

გ. წერეთელი, როგორც შემოქმედი და დამკვირვებელი ობიექტური სინამდვილისა.

ობსკურანტული რუსეთის მონარქიის მოხელეთა მექრთამეობა, მათ მიერ სახელმწიფო ქონების განიავება და მათი მორალური ზნედაცემულობა გ. წერეთელმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში მკვეთრად, რეალისტურად დაგვისურათა. ხორხიანეთის გამგე არა მარტო ცუდად მუშაობს, არამედ ითვისებს სახელმწიფო ქონებას, ეწევა მექრთამეობას და ხელგაშლილ ცხოვრებას. ის ათასგვარი ხერხებით ცდილობს სახელმწიფო ქონების მითვისებას და რევიზიისათვის გამოგზავნილ თავად სტაროდუბსკის ჩამოსვლამდე წინასწარ აწყობს გეგმას: თავისი მეუღლისა და გულქანის დახმარებით აუხვიოს თვალი რევიზორს და როგორმე მიჩქმალოს დიდი თანხის გაფლანგვა. „ერთი რამ სახიფათო საქმე მაქვს და მისი მეშინია, — ეუბნება ხორხიანეთის გამგე თავის მეუღლეს: — არ იცი, რომ სახელმწიფო ფულები, რომელიც რკინისგზის საფენის გასაკეთებლად მქონდა ჩაბარებული, მაკლია, ანგარიშები ამებნა, არ ვიცი ნახევარ მილიონზე მეტი როგორ დაიხარჯა?“. მან ინგლისის ბანკში თავის მეუღლის სახელზე 300.000 მანეთი გაგზავნა. მსგავსი შემთხვევები არ არის ერთეული მის ცხოვრებასა და საქმიანობაში. ასეთია თვითმპყრობელობის, რუსეთის მონარქიის არა მარტო წვრილფეხა, არამედ დიდი ჩინოვნიკების დამახასიათებელი „მოღვაწეობა“, რაც ასე დამაჯერებლად დაგვისურათა გ. წერეთელმა. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც „გულქანს“ მზის სინათლე არ აჩვენა ავტორის სიცოცხლეში.

ჩვენ მივუთითეთ იმაზე, რომ გ. წერეთლის შემოქმედების და მოღვაწეობის ეპოქა სავსე იყო საზოგადოებრივი და ეკონომიური ხასიათის მოვლენებით. ეპოქის მიერ წამოყენებულმა საკითხებმა თავისი გამოძახილი ჰპოვეს მის შემოქმედებასა და აზროვნებაში. ეს იყო პერიოდი, როცა პიროვნების ვიწრო განსაზღვრულობას რომელიმე დარგით ფრთები ეკვეცებოდა და საჭირო ხდებოდა მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამ მომენტებმა თავი იჩინეს გ. წერეთლის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში. ამიტომაა, რომ იგი ცნობილია არა მარტო მხატვრად, შემომქმედად, არამედ პუბლიცისტად, ისტორიკოსად, არქეოლოგად, ბუნებისმეტყველად, ჟურნალისტად და რედაქტორად. რასაკვირველია, ყოველივე ამან ხელი შეუშალა და დააქვეითა მისი პროზის მხატვრული მხარე, მაგრამ ეს არ შეიძლება მიჩნეული იქნას საბუთად მისი მხატვრული შემოქმედების დევალვაციისათვის. ის რჩება თვალსაჩინო, დიდი დიაპაზონის მხატვრული კულტურისა და მძაფრი რეალიზმის წარმომადგენლად მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მართალია გ. წერეთლის შემოქმედებაში უხვად არის პუბლიცისტიკა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი პუბლიცისტური მხატვრული პროზის წარმომადგენლად მივიჩნიოთ. მის მიმართ სავსებით სწორია დებულება, რომელიც გ. წერეთელს ახასიათებს, როგორც თვალსაჩინო რეალისტს, რომელმაც უარყო ხელოვნების იდეალისტური გაგება, მშვენიერებისადმი სამსახური და მიზნად დაისახა საზოგადოების ნაკლთა აღმოფხვრისათვის, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა. მისი მხატვრული პროზა, ნეგატიური ნაწილის გამოკლებით (რის შესახებაც ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი), თვალსაჩინო ნაწილად შედის მე-19 საუკუნის მხატვრული პროზის საგანძურში.

იდეოლოგია, რომელიც ვლინდება გ. წერეთლის შემოქმედებაში, აშკარად ბურჟუაზიულია. მართალია, 60-იან წლებში გ. წერეთელი თერგდალეული იყო, მაგრამ 70-იან წლებში ის საბოლოოდ ჩამოსცილდა ამ ფეოდალურ-პროგრესიულ მიმდინარეობას და ჩამოყალიბდა, როგორც ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის იდეოლოგი. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ შინაგან და გარეგან მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ეს გადასვლა, ვინაიდან ისინი საკმაოდ დავახასიათეთ ზევით. აქ აუცილებელია რამდენიმე შენიშვნა ამ იდეოლოგიის ობიექტური ბუნების დასახასიათებლად, მისი რეალური პროფილის ცხადსაყოფად.

გ. წერეთელი იყო იდეური ბელადი იმ ახალი, ეგრეთწოდებული „მეორე დასისა", რომელიც 70-იან—90-იან წლებში მოღვაწეობდა და რომლის მიზანიც იყო — ხელოვნებასა და ლიტერატურაში განემტკიცებინა „შეუფერავი" რეალიზმი, პოლიტიკურ ეკონომიაში გაეტარებინა ჯონ სტიუარტ მილის თეორია, რომელიც უარყოფდა ერის დაყოფას წოდებებად და აყენებდა მთლიანი „ნამდვილი ერის" იდეალს. დემოკრატიული წესწყობილება მიაჩნდა მას ასეთი ერის სახელმწიფოებრივ სისტემად, უარყოფდა თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკს და მის ნაცვლად აყენებდა მოკლევადიან სამრეწველო ბანკების იდეას. ეს უკანასკნელი მან მართლაც განახორციელა. ეს ბანკი ნამდვილად იყო კაპიტალიზმის ინტერესების დამცველი. არ შევეხებით ამ დასში წარმოშობილ ორ მიმდინარეობას, მაგრამ ვიტყვით, რომ ეს დასი არსებითად დარჩა საქართველოს ბურჟუაზიის იდეოლოგიად პოლიტიკაში, სოციოლოგიასა და ხელოვნებაში. ეს ჯგუფი შემდეგ „დაადგა მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურისა და რუსეთის ცარიზმის მხარდაჭერის გზას". თავის დროზე ამ დასის თვალსაჩინო იდეური ბელადი იყო გ. წერეთელი.

ამხანაგ სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი, როგორც ამხ. ლ. ბერია ამბობს, ალექსანდრე (საშა) წულუკიძე აკრიტიკებდა გიორგი წერეთლის პოზიციას, აშკარად ბურჟუაზიულს, შეუთავსებელს „ცნობილი მეცნიერის სწავლასთან კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ"... სახავდა თავის თავს გ. წერეთელი. ეს კრიტიკა მოცემულია საშა წულუკიძის „ლია წერილში ბ-ნ გიორგი წერეთელს" (იხ. ა. წულუკიძე „თხზულებანი", 1927 წ., გვ. 72).

„შეუფერავი" რეალისტი იბრძოდა ადამიანის მიერ ადამიანის გაძარცვის წინააღმდეგ, მაგრამ ცხადია, ის არ იყო სოციალისტი. პირიქით, დასცინოდა სოციალიზმს და მისი განხორციელება უაზრობად და შეუძლებლობად მიაჩნდა. „მგზავრის წერილებში" ის აშკარად გამოდის, როგორც წინააღმდეგი სოციალიზმის თეორიისა. მართალია, მის შემოქმედებაში არის ტენდენცია, მიმართული ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის, ერთის მიერ მეორეს დამცირებისა და დამონების წინააღმდეგ, მაგრამ იგი მაინც წინააღმდეგია სოციალიზმისა, ისევე, როგორც ჰაინე, რომელსაც სოციალიზმი მიაჩნდა ხელოვნების, მეცნიერების დაღუპვად და პიროვნების გათქვეფად ერთფეროვნებაში. გ. წერეთლის აზრით, სოციალიზმი გულისხმობს ნაირსახეობის მოსპობას და თუ ეს განხორციელდა, მოისპობა ყოველგვარი ინტერესი. მართალია გ. წერეთელი სოციალიზმის შესახებ არ ლაპარაკობს პირდაპირ და გარკვევით, არ იხსენიებს ამ სიტყვას, მაგრამ ალეგორიული სახეებით ის სოციალიზმის შესახებ მსჯელობს. სანამ შევუდგებოდეთ ამ მსჯელობის ანალიზს, მოვიყვანთ თვით მსჯელობას:

„რაღაც საშინელ ბოროტ მიდრეკილებას სურს,—სწერს „მგზავრის წერილების“ ავტორი,—მთელი კაცობრიობა ერთ კალაპოტში ჩააყენოს, ერთგვარი მიდრეკილება, მისცეს კაცობრიობა სცდილობს, რომ ქვეყანაზე სულ გაჭრილ ვაშლსავით გვანდეს ცალცალ ერთმანეთს, როგორც შინაგანი აგებულების მოძრაობით, ხასიათით, გონების თვისებით, ენით, ისე გარეგანი სახით, მიხვრა-მოხვრით, ტანსაცმელით. ყველანი ერთად უნდა სჭამდენო, ერთად უნდა სვამდენო, ერთად.. არა-მეთქი, ეგ მიდრეკილება ქვეყნის ცხოვრების წინააღმდეგია და ამის გამო მაგნაირს მიდრეკილებას დიდი ხანი არ უნდა ქონდეს-მეთქი. თვითონ ძირითადი თვისება ბუნებისა ეწინააღმდეგება მაგნაირს მიდრეკილებას. შენ ვერ გხედავ-მეთქი, ჩემ თავს უთხარი, მეორე გვარის ძალის ბრძოლას, რომელიც ამ ცუდს მიდრეკილებას ეწინააღმდეგება-მეთქი. აბა შეხედე, ყოველი არსება თავის სიცოცხლის გულისათვის როგორ ებრძვის მაგ საზოგადო წარღვნის მომასწავებელს ძალას. ვერ ხედავ, ყოველი არსება თავის თვისებას, თავის ბუნებას, თავის გარემოებას, თავის ფეხის დასადგმელს ალაგს როგორ იცავს-მეთქი? ვერ ხედავ, როგორის ძალდატანებით იმაგრებს ხელში თავის ძვირფასს კუთვნილებას? შეხედე სხვა ხალხებს, ფრანციას, შვეიცარიას, იტალიას, საბერძნეთს, ჩეხიას. ამას მოითხოვს თვით ბუნების კანონი, ბუნების მრავალგვაროვნება. მხოლოდ მრავალგვაროვნებას მოაქვს ერთმანეთის განახლება, ერთმანეთის წინ-წაყენება, ერთმანეთის გამხნევება საუკეთესო მაგალითებით. სანამდის უკეთესის უკეთესი არ დაილევა, მანამდის ეს ძალა თავის ბრძოლასაც არ მოიშლის და ამაშიაც მდგომარეობს საზოგადო კეთილმდგომარეობის ძიება. მაშ აკურთხოს ღმერთმა ყოველი გაცალკევებული საგნის არსებობა, თუნდა რომ ჭიანჭველაც იყოს და დასწყევლოს-მეთქი ის ძალა, რომელიც იმის უდროვოთ გასრესვას ნდომულობს“.[1])

ეს „საშინელი ბოროტი მიდრეკილება“ სოციალიზმის ის თეორია იყო, რომელიც ისევე აფრთხობდა გიორგი წერეთელს, როგორც სახელოვან გერმანელ პოეტს ჰაინრიხ ჰაინეს, თუმცა მათი იდეოლოგია რადიკალურად განსხვავებულია.

გ. წერეთელს არა აქვს წარმოდგენილი, რომ სოციალიზმი არ ნიშნავდა ადამიანთა ერთგვაროობის ქადაგებას, სოციალიზმი არ ნიშნავდა გაჭრილი ვაშლის ნაჭრებივით მსგავსი ადამიანების ტიპების შექმნას, არც მეცნიერებისა და ხელოვნების სიკვდილს, როგორც ფიქრობდა ჰაინრიხ ჰაინე. იგი გამოხატავს ადამიანური აზრის კოლოსალურ განვითარებას, მიზნად ისახავს სრულყოფილი ადამიანის შექმნას, შემეცნებისა და ხელოვნების არნახულ სიმაღლეზე აყვანას, მთელი საზოგადოებრივი ბედნიერების პრაქტიკულად განხორციელებას, ისე როგორც ეს უკვე რეალობად იქცა დღეს, ბრძენი სტალინის ეპოქაში, რომლის უდიდესი ნაყოფით ხალისიანად ცხოვრობს საბჭოთა ხალხი დედამიწის ერთ მეექვსედზე.

როგორც ზევით დავახასიათეთ, გ. წერეთელი თერგდალეულების ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, მაგრამ მათი იდეური პოზიციიდან განსხვავებული თავისი შედარებით მემარცხენე ტენდენციებით. იგი შემდეგ ჩამოყალიბდა, როგორც იდეოლოგი ბურჟუაზიისა. და თუ თერგდალეულები ფეოდალურ-პორგრესიული დასის წარმომადგენლებად, ლიბერალური თავადაზნაურობის იდეოლოგებად დარჩნენ, გ. წერეთელმა ზურგი შეაქცია ლიბერალურ ინტელიგენციას და აშკარა ბურჟუაზიის იდეოლოგად გამოვიდა. ბურჟუაზია მას ერთადერთ კლასად მიაჩნდა, რომელსაც ეკუთვნოდა მომავალი: „გაფუჭებული და ღონე გამოლეული ჩვენი თავად-აზნაურობა,—სწერდა გიორგი წერეთელი,—დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმათ არ შეუძლია. სწავლა და მოხერხება არ აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ქრება იმისი

[1]) იხ. „მგზავრის წერილები“, 1935 წ., გვ. 134.

სახელწოდებაც". ხოლო ის ახალი ძალა, რომელიც თავადაზნაურობის ადგილს იკავებს, რომელსაც მომავალი ეკუთვნის, არის მუშა ხალხი, რომელიც წინათ, ბატონყმობის უღელში გაბმული, გამოვიდა ამ არაადამიანური ტანჯვიდან და თავისთვის ჩვეული ენერგიით, თავდადებით დაიწყო ბრძოლა. „ამჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის იგებს, მას გაუდის თავისი ღონისა და გონების ძალა... და იმდენი ბუნებითი კარგი თვისებაც აქვს, რომ აუცილებლად ბურთი და მოედანი იმათ დარჩებათ"-ო...

მაგრამ ეს მუშა ხალხი გ. წერეთლის აზროვნებაში იყო ის ფულავები, პეტრ ივანიჩები, ნიკოლაი ნიკიფოროვიჩები, რომლებმაც თავიანთი სიღატაკეს თავი დააღწიეს და აღებ-მიცემობით ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქონება, გახდნენ ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის გამომხატველნი. მათ არა მარტო ხელში ჩაიგდეს ერთ დროს ძლიერი ფეოდალების (თავფქვილაძე, ბაკურაძე) ადგილმამული, არამედ დააგროვეს დიდძალი სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალი. სწორედ ამ კლასის იდეოლოგია გ. წერეთელი. სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის განვითარება და ფეოდალური მეურნეობის რღვევა ნათელი სინამდვილე იყო მისი მოღვაწეობის ეპოქაში და თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც ეს ორი მთავარი ტენდენცია — ფეოდალიზმისა და ფეოდალური მეურნეობის რღვევა, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის განვითარება დაგვიხატა ასე რეალისტურად.

პროფ. მ. ზანდუკელი აღნიშნავს, რომ გ. წერეთლის შემოქმედებაში სამი ძირითადი თემატური მაგისტრალიაა:

1) ძველი ფეოდალური ყოფის აუცილებელი და კატასტროფიული[1]) რღვევა; 2) ახალი კლასის, ბურჟუაზიის, ფეხის ადგმა და გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე; 3) ახალი ცხოვრების პირობებში მოწინავე ახალგაზრდობის დიფერენციაცია[2]).

ეს დახასიათება მართებულად მიუთითებს გ. წერეთლის შემოქმედების თემატიურ სპეციფიურობაზე და ჩვენც არაფერი გვაქვს დასამატებელი, გარდა კონკრეტიზაციისა, რომელიც მკითხველს ზევით უკვე მივაწოდეთ. გ. წერეთლის შემოქმედების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზის პროცესში ჩვენ შევეცადეთ დაგვესვა და გადაგვეჭრა ისეთი საკითხები, რომლებიც ბუნებრივად გამომდინარეობდნენ გ. წერეთლის შემოქმედების ამ თემატიური ტრიადიდან.

აუცილებელია განხილვის სფეროში შევიტანოთ საკითხი ლიტერატურული გავლენისა გ. წერეთლის შემოქმედებაზე. სანამ უშუალოდ დავახასიათებთ ამ გავლენის ბუნებას, საჭიროა ქართული ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულ მოსაზრებათა წარმოდგენა.

პროფ. მ. ზანდუკელი მიუთითებს, რომ ავთანდილ კვიმატაძის სახლის აღწერაში ილია ჭავჭავაძის გავლენა სჩანსო. იგი სწერს: „ავთანდილ კვიმატაძის სახლის აღწერა გვაგონებს ილია ჭავჭავაძის წერის მანერას. დაახლოებით ამ ფერებში, ამ ტონით აქვს ილიას აღწერილი ლუარსაბ თათქარიძის სახლკარი. ერთგვარ ლიტერატურულ გავლენას ადგილი აქვს".[3]) მართალია, ილიას გავ-

---

[1]) ცნება კატასტროფიული აქ უმართებულოდაა ნახმარი. შესაძლებელია რ. ბაკურიძის დაღუპვა კატასტროფიული იყოს, მაგრამ ფეოდალური მეურნეობის რღვევა კანონზომიერი და ისტორიულია. ამდენად, შეუძლებელია ის იყოს კატასტროფიული.

[2]) მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი — „ახალი ქართული ლიტერატურა", ტომი მე-2, გვ. 463.

[3]) მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი — „ახალი ქართული ლიტერატურა", ტომი მე-2, გვ. 443.

ლენა აშკარად სჩანს გ. წერეთლის შემოქმედებაზე (დაზგა — ლუარსაბ თათქარიძე, დათიკო — იერემია წარბა, ოთარაანთ ქვრივი—როდამი), მაგრამ ჩვენის აზრით ავთანდილ კვიმატაძის სახლის აღწერა გოგოლის „მკვდარი სულების“ გავლენას უფრო განიცდის, ვიდრე ილიას „კაცია ადამიანისას“. ავთანდილ კვიმატაძის ბოდიში სტუმრების წინაშე „უკაცრავად, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა რიგიანად არ მაქვს მოწყობილი“, იგივეა, რაც მანილოვის პასუხი სტუმრებისადმი. ავთანდილ კვიმატაძის მოუწყობელი სახლი, მისი მოუთავებელი კიბე და ყოველივე ამის ასე სარკასტულად დახატვა ძალიან უახლოვდება გოგოლის მანილოვის აღწერას და მის პიროვნულ-საზოგადოებრივ ყოფას. მართალია, მანილოვი დიდი მემამულეა, ხოლო ავთანდილ კვიმატაძე გადაგვარებული არისტოკრატიის წარმომადგენელი, მაგრამ მათი დახატვის ხერხი მსგავსია. ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, უმთავრესად გოგოლის მხატვრული შემოქმედების გავლენით უნდა აიხსნას, ვიდრე ილიას ლიტერატურული გავლენით. გ. წერეთელი ილიას „კაცია ადამიანის“ წაკითხვამდე იცნობდა გოგოლის „მკვდარ სულებს“, მანილოვის სახლის მორთულობის აღწერას და, ცხადია, იმ პასუხსაც, რომელსაც მანილოვი განურჩევლად ეუბნებოდა სტუმრებს. კვიმატაძის მოუთავებელი ოდა, განსაკუთრებით მისი კიბე, რომელიც აიძულებდა სტუმარს თიკანივით შეკუნტრუშებულიყო, რათა ოდაში შესულიყო, იგივეა, რაც მანლოვის სავარძლები.

მანილოვის უდარდელობა, მოუქნელობა და სიბარიტიზმი ძალიან ახლოა კვიმატაძის პიროვნულ-საზოგადოებრივ ყოფნასთან: კვიმატაძის მოუწყობელი სახლი, დაუმთავრებელი კიბე, რომლის ნაცვლად ორი ხეა გადებული, ალეგორიული სახეა მანილოვის სავარძლებისა და იმ წიგნისა, რომელშიც ნიშანი ყოველთვის მეთოთხმეტე გვერდზე იყო ჩადებული და რომელსაც მანილოვი კითხულობდა ორი წლის განმავლობაში.

გოგოლის გავლენა, რომელიც უალრესად ძლიერი იყო რუსეთის ლიტერატურაზე, გასცდა თავის საზღვრებს და ქართულ ლიტერატურასაც თავისი დაღი დაასვა. ჩვენ არა ერთხელ მივუთითეთ, რომ ილიას „კაცია ადამიანი“ დაწერილია გოგოლის „Старосветские помещики“-ს გავლენით. თუ ასეა, მაშინ ბუნებრივია, რომ გიორგი წერეთლის და ი. ჭავჭავაძის შემოქმედების მხატვრული ხერხების ნათესაობას თავისი პირველი წყარო უნდა მოვუნახოთ. ეს წყარო სათავეს ღებულობს გოგოლის დიდ-მხატვრულ შემოქმედებაში, რომელმაც დიდი გავლენა იქონია რუსეთის ისეთ სახელგანთქმულ მწერლებზე, როგორნიც არიან დოსტოევსკი, გონჩაროვი და ტოლსტოი. გ. წერეთელმა რუსეთის დიდი რეალისტის გავლენა განიცადა, თუმცა ამ ორი მწერლის იდეოლოგია ერთი მეორის სრული დაპირისპირებაა: პირველი ბურჟუაზის იდეოლოგია, მეორე თავად-აზნაურობის რეაქციული ინტერესების დამცველი (თუმცა გოგოლის მხატვრულმა შემოქმედებამ უდიდესი როლი ითამაშა მასების რევოლუციური შეგნების განვითარებაში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

ნიკო ლორთქიფანიძე

ნ. ლორთქიფანიძემ მოღვაწეობა დაიწყო 1902 წელს, როგორც იმპრესიონისტული მინიატურების ავტორმა. ამ მინიატურებში არ იყო დასმული ფართო საზოგადოებრივი პრობლემები, მათში მხოლოდ ცალკეული შტრიხები იყო მოხაზული. ნ. ლორთქიფანიძე ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულების თავისებურ დასაბუთებასაც კი ცდილობდა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი განცხადება: „განა მწერალს, როგორც ყოველს ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუტანია ორიოდე სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ ამოუფხვრია? განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი შ ე ხ ვ ე დ რ ა ნ ი, ყ ურ მ ო კ რ უ ლ ი ხ მ ე ბ ი, წ უ თ ი ე რ ი შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა ნ ი გ ა დ ა ს ცე ს თ ა ვ ი ს მ ე გ ო ბ ა რ ს — მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს?! (ხაზი ჩვენია. შ. რ.) მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი შემუშავებული, თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს. მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი უნდა დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოვება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს...“ („უიალქნოდ“).

უნდა ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძე ამ შემთხვევაში არა ყოველთვის გამოდიოდა მკითხველის ინტერესებიდან (როგორც იგი ფიქრობს), არამედ თავისი პირადი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებიდან. იმპრესიონისტულ-სიმბოლისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი მას არ აძლევდა საშუალებას მოვლენები გადმოეცა ფართო მასშტაბით, ღრმად, ტიპიური ნიშნებით. ცნობილია, რომ მწერალი — იმპრესიონისტი სახავს მხოლოდ იმას, რასაც ითვისებს პირველი შეხედვით; მისი მისწრაფებაა გამოხატოს მხოლოდ ცალკეული გარდამავალი მომენტები, რომელიც შეიძლება წარმოსახული იქნას წამიერი გრძნობითი ათვისებით. იმპრესიონისტი არ გვიჩვენებს სინამდვილეს თავის წინააღმდეგობებში, არამედ ახდენს მის ფიქსირებას იმ სახით, როგორც ხედავს სუბიექტურად განსაზღვრულ მომენტში. სწორედ ასეთი თვისებები ახასიათებდა ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებს, რომელზედაც გავლენა მოახდინა იმპრესიონისტ-ესთეტების ვენის სკოლამ — გ. ბარმა, ა, შნიცლერმა, პ. ალტერბერგმა და სხვებმა.

ნ. ლორთქიფანიძის მინიატურები თემატიურად არ ხასიათდებოდა მრავალფეროვნებით. პირადი განწყობილებანი, სიყვარული და ზოგ შემთხვევა-

ში ფილოსოფიური პრობლემები — აი, მწერლის ინტერესის ფარგლები. ცხოვრება ამ მინიატურებში გამოიყურებოდა, როგორც უფერული-ერამ, როგორც შემთხვევითობა და საშინელება, მათში იგრძნობოდა ბანალურობა და ხშირად უკიდურესი გულგატეხილობაც. ნ. ლორთქიფანიძეს ამ პერიოდის შემოქმედების დამახასიათებელი მინიატურებია — „გული", „დაუწერელი მოთხრობა", „უფერულება", „შეხვედრა", „ყელსახვევის ნაფლეთები", „დაჭკნა ყვავილი", „მთვარე" და სხვ. გარეგნული, თვალხილული ქვეყანა და არა შინაგანად ათვისებული ქვეყანა იყო ამ მინიატურების საგანი. მათში უფრო მეტი იყო სურათოვნება, შთაბეჭდილებები, ვიდრე შინაგანი ხილვა და ორგანიული გააზრება.

მინიატურების ჟანრიდან ნ. ლორთქიფანიძე გადადის ისტორიული ხასიათის მოთხრობებსა და რომანებზე. ძველ ფეოდალურ ცხოვრების მრავალი არსებითი მოვლენა აგვისახა მან ისტორიული განხრით დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში.. ამ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს ქართველი თავად-აზნაურობის, ფეოდალური არისტოკრატიის ყოფას, მათ განცხრომასა და ფუფუნებას, ქეიფსა და ნადირობას, მხეცობას და გაუტანლობას, აგრეთვე გვაცნობს მათ შორის არსებულ ჯგუფებს, რომლებიც იბრძვიან გავლენისათვის. ამ ხალხს ახასიათებს ცხოვრება წვრილმანებით, უხეშობა, ველურობა, კარჩაკეტილობა და სხვ. მეფეები, თავადები და აზნაურები — ადამიანურად ყველანი ერთმანეთის მსგავსნი არიან, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, ისინი „ერთპიროვნობის" მრავალი სახენი არიან; მათი იდეები, მათი მისწრაფებანი ისეთივე მოცულობისაა, როგორიც მათი ზოოლოგიური ცხოვრება, ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ბევრი მომხრენი იშოვონ და ძალაუფლება მოიპოვონ; მათ მაღალი გრძნობების, ემოციების არავითარი ნასახიც კი არ გააჩნიათ, მხოლოდ ინსტინქტებით მოქმედებენ, ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „მრისხანე ბატონი". ეს ნაწარმოები იმავე დროს მწერლის ოსტატობის ყველაზე ნათელი გამომხატველიცაა.

„მრისხანე ბატონის" სიუჟეტი ფეოდალური ყოფის ფონზე ვითარდება. მართალია, მის პერსონაჟებს ისტორიულად ცნობილი პირები არ წარმოადგენენ, მაგრამ ეპოქის კოლორიტი მაინც ზედმიწევნით სწორად არის გადმოცემული. თავადი ლევანი, უაღრესად თავნება და დაუზოგველი ადამიანი იყო. მის სიმკაცრეს გლეხობის მიმართ არ ჰქონდა საზღვარი. ლევანი არ ზოგავდა მახლობელ-ნათესავებსაც კი. მან ვერაგულად მოჰკლა თავისი ღვიძლი ძმა და ეძებდა შემთხვევას შური ეძია ძმისშვილზე — ვახტანგზე.

ლევანი ხანში შესვლის ჟამს შეირთავს აზნაურის ახალგაზრდა ქვრივს, ლამაზს, მაგრამ უზნეო ციცინოს. ლევანის და ციცინოს ოჯახური დამოკიდებულება ნაძალადევი იყო. ციცინოში მხოლოდ სქესი მეტყველებდა, იგი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. „ხშირად ციცინოს გარყვნილებით ბრაზმორეული ლევანი შევარდებოდა ოთახში, მაგრამ ორიოდე სიტყვა, ქალის ღიმილი, ვნებით გაზმორება... და ლევანი გრძელ ულვაშებს უერთებდა შავს, ტიტველ მკერდზე დაყრილ კავებს".

გაბოროტებული ლევანი ხელში ჩაიგდებს თავის ძმისწულს — ვახტანგს და ცალკე საკანში ჩაამწყვდევს მას. შემთხვევით ციცინო დაინახავს ახალგაზრდა, წარმოსადეგ ვახტანგს და განიზრახავს მასთან ინტიმური კავშირის დაჭერას.

ციცინო ფარულად დადის პატიმართან, უცხადებს სიყვარულს, მაგრამ ვახტანგს შორს უჭირავს თავი.

ლევანი გაიგებს ციცინოს დამოკიდებულებას ვახტანგისადმი. მისი მეხსიერებას არ აქვს საზღვარი. იგი გასცემს ბრძანებას: „დააკარით, ორივე პალატის მოზვრებს. მერე მიუშვით ერთმანეთზე. ისე დააკარით, რომ ორივე დაფლეთილი იქნეს, დიდხანს კი იცოცხლონ“. ხარების ჭიდილის სცენა და მათზე დაკრული ადამიანთა კვნესა-წამება შემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

ასეთი იყო თავად-აზნაურობა წარსულში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლება და ეხლა უკვე დაცემის გზაზე დამდგარ ხალხთან გვაქვს საქმე. თავადაზნაურობის ყოფის ამ პერიოდის ასახვას მიუძღვნა ნ. ლორთქიფანიძემ თავის საუკეთესო ნაწარმოებთა საგრძნობი ნაწილი.

განადგურებული ოდების, დანგრეული ჭიშკრებისა და გალავნების სურათების მოცემით ნ. ლორთქიფანიძე გვიშლის ქართველ ფეოდალების დაცემასა და გადაშენების მთელს ეპოპეას. ეს ის ხალხია, რომლებიც მწერლის სიტყვებით რომ ვსთქვათ, წინად „ცხოვრობდნენ, დროს ატარებდნენ“. ეხლა ყველგან მოსჩანს მიტოვებული, დანგრეული სრა-სასახლეები, ბნელი და დაცარიელებული ოთახები, მიტოვებული ბაღები. თავადაზნაურობის საცხოვრებელი მიდამოები „მიცვალებულთა კუნძულს“ წარმოადგენს, ირგვლივ მწუხარება, სიჩუმე, უადამიანობა და სიცალიერეა; ბატონები დაიღუპენ, მიატოვეს „თბილი ადგილები“. ნაწარმოებთა ამ ციკლით ნ. ლორთქიფანიძე ქართულ ლიტერატურაში გამოდის უმთავრესად თავადაზნაურების წარსული ცხოვრებისა და განადგურებული კარმიდამოს სურათების მემატიანე — მწერლად.

ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა სერია „დანგრეული ბუდეები“ წარმოადგენს თავად-აზნაურობის „დიდი დაღარიბების,“ მისი დაჭკნობის სურათებს, ნეკროლოგს გარდაცვლილი წოდებისა, „დანგრეული ბუდეების“ პერსონაჟები აღარაფერს კარგს არ მოელიან მომავალში, ისინი მხოლოდ იგონებენ წარსულს, მათ არ იციან პროტესტი, დამორჩილებული არიან თავიანთ ხვედრს და მხოლოდ ფიზიკურ სიკვდილს ელიან. თუ წინად თავადაზნაურები შორეულ მანძილზე ძვირფასად მოჩრთული საკუთარი ცხენებით დაჰქროდენ, დღეს უკვე დიაკვნისაგან სამ აბაზად უხდებათ დღეში გატყავებული ჯორის დაქირავება, ბალიშ-გამოხეულ უნაგირზე ჯდომა; ის ადგილები, სადაც ერთ დროს თავად აზნაურები „ცხოვრობდენ“, „დროს ატარებდენ“ უკვე სხვა სურათს წარმოადგენს. „ორი ცაცხვი წყაროს რომ გადაჰყურებს დასუსტებულა და დაჩაჩანაკებულა... სასეირნოთ განგებ დატოვებული მინდორისათვის ყოველის მხრით ჩამოეკლოთ და დანარჩენი სივიწროვის გამო ურმებს აეჩეხა. ხმა არსაიდან ისმოდა. სანთელი არ სჩანდა. კაცი არ შემხვედრია. მივადექ ბიძაჩემის სახლს. არავინ გამომგებებია. გაწყვეტილა საძაღლეთიც... აივანზე ავედი: სახლი შიგნიდან არის ურდულით დაკეტილი. კარები ღრიჭათაა დატოვებული. ხელი შევყავი ურდულის გამოსაძრობათ. კარს შერცხვა ძველი სტუმარმოყვარეობის დავიწყება და ადვილად დამნებდა. რაღაც ფრინველები დაფრთხენ. უსათუოდ ღამის ფრინველები იყვნენ — გატეხილ ფანჯარაში

არ გაფრენილან — იქვე მიიმალენ ჩამონგრეულ ბუხარში. ძვირფასი ბარკეტი ნაგავითაა მოყრილი. შუაზე გატეხილ დამტვერიანებულ სარკეში [illegible] ულად გამოიხედება ობობის ქსელით ერთმანეთზე გადაბმული [illegible] ნაფლეთები. როიალს სახურავი ახდილი აქვს. კონტრაბასის სიმი გაწყვეტილა და დაჭრილის წელივით საცოდავად გადმოვარდნილა, გვერდზე ჰკიდია. კლავიშები სიკვდილის კბილებივით დარჩენილა, დაყვითლებულა... მეორე ოთახში იგივე სურათი. ძვირფასი აბრეშუმის ფარჩა გადავწიე და ლოგინის მაგიერ ძაღლის მწვირიანი დაგლეჯილი ლეიბი-ღა დავინახე კუთხეში". ასეთ გარემოცვაში ცხოვრობს დავრდომილი, მომაკვდავი ხალხი, რომელსაც სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენია: „ტახტზე დაგებულ ჭუჭყიან, დაგლეჯილ ლეიბზე იწვა ახალოხიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს... მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხები... ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კეხი, აბჟანდები და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა — სევადიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა"... („დანგრეული ბუდეები"). ამ მომაკვდავ წოდებას მომავალში აღარაფერი წილი უძევს. ისინი წარსულის მოჩვენებანი არიან. ისინი იგონებენ „წარსულს", „დაუბრუნებელს", „გუშინდელს". „წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვყურებს წინაპრის მკაცრი, ულმობელი სახე ტრადიცია"-ო — ამბობს „ალბუმის" მოქმედი პირი. ამ ყოფილ ხალხს, რომლებიც დანგრეულ, გაპარტახებულ და გაველურებულ ციხე-კოშკებს და სასახლეებს აფარებენ თავს, ისღა დარჩენიათ ნუგეშათ, რომ ამზეურებენ თავიანთი წარსულის „დიდების" ნაშთებს.

ნ. ლორთქიფანიძე სევდით შეჰყურებს იმათ, „ვისაც სახლ-კარმიდამოში მთელი გვარის ლეგენდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩაუმარხავს და სახლის გაყიდვასთან, წარსულის დაშორებასთან ერთად ეკარგება მომავალი". ყოველივე ამის გამო გულგატეხილობით შეპყრობილი მწერალი ამბობს: „ფრთოსანი ყვავი სჯობია ათას წილ ყვავს — ადამიანს. შავი ყვავი ამოგკორტნის თვალებს და გათავდა. ყვავი ადამიანი კი სძიძგნის მთელს სულს, ყველაფერს, რაც კი გაჰქრა და რაც დარჩა ადამიანისაგან... ეძებს რამეს სასარგებლოს, სახეიროს".. („პანაშვიდი").

ნ. ლორთქიფანიძეს დამოკიდებულება ძველი თავად-აზნაურული ყოფიერების წარმომადგენელთადმი ორგვარია. იგი გრძნობს პატრიარქალური კარმიდამოს დაღუპვას, გრძნობს თავადაზნაურობის დანაშაულს ხალხის წინაშე. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც იმსჭვალება თანაგრძნობით მომაკვდავ თავადაზნაურული სამყაროსადმი. ფეოდალური საზოგადოების რღვევის მიზეზად მას მიაჩნია ცალკეულ ფეოდალთა გადაგვარება, მათი დაჩიავება და უქნარობა.

ნ. ლორთქიფანიძის მრავალი ნაწარმოები წარმოადგენს თავადაზნაურობის ყოფის დაცემის, მისი კარ-მიდამოს განადგურების ლირიკულ პოეტიზაციას, მაგრამ მწერალი აქ არ ჩერდება, იგი გადადის ჩაქრობის, სიკვდილის, დაღუპვის განზოგადოებულ წარმოდგენაზე, საერთოდ ცხოვრების დაღუპვის წარმოდგენაზე, რაც იწვევს უკიდურეს პესიმიზმის და ფატალიზმის, ცხოვრების არარაობისა და ადამიანის მარტოობის მოტივებს. უიმედობასა და სევდაზე აშენებს ნ. ლორთქიფანიძე ნოველების მთელ სერიას („ტაბაკელა", „ბუნება", „საფლავის ვარდი" და სხვ.).

ზოგჯერ ნ. ლორთქიფანიძე ჰუმორისტულ სახეებში გვიჩვენებს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი თავადაზნაურობის ცხოვრებას და მაშინ თავად-აზნაურობა ძალზე გამათრახებული გამოდის. ეკონომიურად განადგურებული და დაცემული თავად-აზნაურები უკვე „შესაბრალის“ არსებას წარმოადგენენ. ისინი კაპეიკის გულისათვის თამბაქოს გაყოფის დროს თითებს სჭრიან ერთმანეთს („ფეოდალები“), ან მოსჩანან როგორც უვიცები („აზნაურ დევდარიძეების ქარაგმა“), ანდა მანეთნახევარის ღირებული მოზვრის ტყავის გულისათვის, არ ერიდებიან ჩხუბსა და დავიდარაბას, სასამართლოში სიარულს, ერთმანეთის გადაკიდებას („რუმბი“). ამ ნაწარმოებში ყველაზე მეტად მეღავნდება კრიტიციზმის ხაზი.

ნ. ლორთქიფანიძეს ახასიათებს ერთგვარი მხატვრული თავისებურებაც. როდესაც გულდასმით ეცნობით ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებების შენებას, უსათუოდ შეამჩნევთ, რომ მათში არის ცენტრი, გმირი, საიდანაც და საითკენაც მიემართება ნაწარმოებში ყველაფერი. ეს გმირი ყოველთვის წინაა წამოწეული. მკითხველიც მას გარკვევით ხედავს. სულ სხვანაირად აშენებს თავის ნაწარმოებს ნ. ლორთქიფანიძე. მკითხველი ვერც ერთ მის ნაწარმოებში ვერ შეხვდება გმირს, ცენტრს (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). მას არ ყავს გმირები, რომელთა ევოლუციასაც ვეცნობოდეთ ნაწარმოების მიხედვით. ნ. ლორთქიფანიძე თავის შემოქმედებაში არ აშენებს დიდ ეპოპეებს, არ იძლევა კონკრეტულად დახასიათებულ გმირებს. მთელი მისი ოსტატობა მიმართულია იქითკენ, რომ შექმნას პატარა მოცულობის ნაწარმოებები, რომელშიაც პირველ პლანზე წამოწეული იქნება პასიური სულიერი განცდების ანალიზი, ჭვრეტითი და სტატიური მომენტები.

ნ. ლორთქიფანიძე არ იფარგლება მარტო თავადაზნაურობის დაცემის მხატვრული სურათების ჩვენებით. მის ყურადღებას იპყრობს სოფლის ცხოვრების მრავალი მოვლენა. ამ მოვლენებს ასახავს „იმერის“ მთელი ციკლი: „ქორწილი“, „ბოროტმომქმედნი“, „სანახავათ“, „მარად და მარად“ და სხვ. მაგრამ ძველი სოფლის და გლეხობის ცხოვრების რელიეფური სახე ნ. ლორთქიფანიძეს ყველაზე ოსტატურად მოცემული აქვს მოთხრობაში „კერიასთვის“.

კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული ეკონომიური სივიწროვის ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი ოჯახის წევრებს შორის იწვევს დიდ კონფლიქტს, ძმების გაყოფვას, ერთმანეთზე გადაკიდებას და ბოროტმოქმედებასაც კი. ხაჭრაშვილის ოჯახის ისტორია, რომელსაც ნ. ლორთქიფანიძე ეხება მოთხრობაში „კერიასთვის“, რევოლუციამდელი სოფლის განზოგადოებული მოვლენაა.

ნ. ლორთქიფანიძე თავისი დიდი მოთხრობით „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ არღვევს თავის შემოქმედების ჩვეულებრივ თემატიკას. იგი „დანგრეულ ბუდეთა“ განწყობილებიდან გადაეშვა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

რას შეიცავს ეს მოთხრობა? კონკრეტულად რა მოვლენების შესახებ არის მასში ლაპარაკი? მოთხრობის დასაწყისში ნ. ლორთქიფანიძეს გადავყევართ სოფლად. აქ „წელმაგარ“ გლეხ ოდანაია სარექველაძესთან ერთად მრავლად არიან ღარიბი და საშუალო გლეხები. ფარნაოზის ოჯახში ვეცნობით მის ძმას პარმენას, რომელიც ქალაქიდან არის ჩამოსული, და გაიოზ ღამბარდავას —

მთავარ სახელოსნოების მუშას, ბოლშევიკს, რომელსაც განზრახული აქვს სოფლად მუშაობა.

ფარნაოზა, პარმენა და გაიოზ, ოდონაია სარექველაძესთან ერთად ბიდიან ტყის საჭრელ სამუშაოზე. აქ ფარნაოზა მარგველაძე იღუპება. ამ ხანებში ძლიერდება რევოლუციური მოძრაობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მასები აქტიურად ებმიან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ ავტორს გადავყავართ ქალაქში, სადაც თავდადებულ რევოლუციონერებთან ერთად ვხვდებით ჯაშუშებსაც (ლადიკო ნორაბიძე), „მორევოლუციონერო" მემამულესაც და სხვ.

რევოლუციონური მუშაობის ცენტრალურ ფიგურად ავტორი გვირდგენს გაიოზ ღამბარდავას და პარმენას, რომლებიც მოძრაობის დამარცხების შემდეგ სატუსაღოში მოხვდნენ.

მოთხრობის მომქმედ პირებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა გაიოზ ღამბარდავა. ის თავდადებული, უანგარო და უშიშარი მებრძოლი — ბოლშევიკია, ასეთი ღამბარდავები 1905 წლის დროს არც ისე ბევრი იყვნენ, მაგრამ მშრომელი მასების წინამძღოლები და ხელმძღვანელები რევოლუციონურ მოძრაობაში სწორედ ისინი იყვნენ.

მისი სიტყვა ფარნაოზა მარგველაძის დასაფლავებაზე მთელი რევოლუციური პროგრამაა.გაიოზა იმდენად გატაცებული და აქტიური რევოლუციონერია, რომ ზოგჯერ აჭარბებს კიდეც (მაგ. ლ. ნორაბიძის მკვლელობა და სხვ.).

სიმპატიურ და ენერგიულ პირად გამოიყურება პარმენაც. ისიც რევოლუციონური მოძრაობის აქტიური მონაწილეა.

ნ. ლორთქიფანიძე მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. ენის სიწმინდე, მოქმედების სურათოვნად ჩამოყალიბება, განწყობილების მთლიანობა — მის ნაწარმოებებს ანიჭებს თავისებურ და თვალსაჩინო მხატვრულ ღირსებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავროსი კალანდაძე

ახლოს სინამდვილესთან[1]

(შენიშვნები ესთეტიკის საკითხებზე)

ჩვენი დროისათვის ბუნებრივია გაცხოველებული ინტერესი ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხებისადმი. ეს ინტერესი სავსებით შეესაბამება საბჭოთა ხალხის, სტალინური ეპოქის ვითარებას.

საუკუნებრივი სოციალური ჩაგვრისა, ნივთიერი სიდუხჭირისა და სულიერი მონობისაგან განთავისუფლებული ხალხი თავისი ნამდვილი ადამიანური იდეალების მიხედვით აწყობს ცხოვრებას.

შერყვნილი და დაჩიავებულია მშვენიერებისა და სილამაზის იდეალი იქ, სადაც ადამიანთა სულიერ ძალებს ბოჭავს ვიწრო ბურჟუაზიული ეგოიზმი, მოგების გაშმაგებული წყურვილი, მგლური მეტოქეობა და ინტრიგა ან, მეორეს მხრივ, ლუკმაპურის მოპოებისათვის შეუწყვეტელი და დამამცირებელი ზრუნვა.

მხოლოდ სოციალისტური ყოფა. და სოციალისტური შრომა სწმენდს საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას წარსულის ამ მანკიერებათაგან. მკვიდრდებიან ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობები, მისწრაფებები და ვნებები. ეს არის ნიადაგი ახალი, დიადი, ჭეშმარიტი ხელოვნებისა.

არა მარტო მდიდარი და მაძღარი, არამედ ლამაზი და მშვენიერი ცხოვრებაც სურს დღეს ხალხს. მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი ცხოველი ინტერესით ზრუნავს დღეს თავისი ქალაქის, თავისი სოფლის, თავისი ბინის, მთელი თავისი საყოფაცხოვრებო გარემოს გამშვენიერება-გალამაზებისათვის. ხალხში ვითარდება ახალი ესთეტიკური გრძნობები. ხარბად ეტანება ის ხელოვნებასა და ლიტერატურას, ეძებს მასში ბრძოლისა და შრომის, ახალი ზნეობისა და ურთიერთობის, სილამაზისა და მშვენიერების მასწავლებელს.

და სწორედ აქ არის ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი დანიშნულება, როგორც ადამიანთა სულის მშენებლისა.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა გასწმინდოს ახალი ადამიანის სული წარსულის მანკიერებათაგან, აღზარდოს მასში სოციალისტური სამშობლოს სიყვარულისა და ხალხისათვის თავდადების მაღალი გრძნობები, ასწავლოს მას ცხოვრების მორთვა და გამშვენიერება, აღძრას და გამოიმუშავოს მასში მაღალი გემოვნება, სილამაზისა და მშვენიერების მაღალი იდეალები.

ხელოვნების არსისა და ბუნების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ამოცანებთან. ეს საკითხები ოდითგანვე იპყრობდა ფილოსოფოსების, ლიტერატურათმცოდნეების, ლიტერატურული კრიტიკოსების და სხვათა ყურადღებას. სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა მოაზროვნე სხვადასხვანაირად სწყვეტდა ამ მარად ძველ და მარად ახალ საკითხებს.

---

[1]) მსჯელობის წესით. რედ.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობასა და ლიტერატურულ კრიტიკას, მარქსიზმ-ლენინიზმის სახით, და კერძოდ, მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული მეცნიერების სახით, მოეპოება მტკიცე საძირკველი ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხების გასარკვევად.

გასული 1940 წლის განმავლობაში საქართველოში დაიბეჭდა რამდენიმე შრომა მხატვრული შემოქმედებისა და ესთეტიკის ზოგად საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია კ. კაპანელის „Генезис эстетического чувства“ (გამოქვეყნდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში). გ. ჯიბლაძის „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“ (გამოვიდა ცალკე წიგნად) და დ. ბენაშვილის „ესთეტიკის საკითხები“ (დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“)

როგორც პირველ, ისე მეორე შრომაში, ჩვენის აზრით, არის ზოგიერთი სადაო და მცდარი დებულება, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ დ. ბენაშვილის წერილზე შევჩერდებით. ვფიქრობთ, ის მოსაზრებები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ გამოითქვამთ პირდაპირ თუ არა პირდაპირ, გამოხმაურება იქნება აღნიშნულ შრომებში აღძრულ ზოგიერთ საკითხებზე.

დ. ბენაშვილის წერილები ფრიად საყურადღებოა მტკივნეული საკითხების დასმით, გაბედული მოსაზრებებით და ზოგიერთი საინტერესო დასკვნით. მაგრამ, ჩვენ შევჩერდებით ამ წერილის მხოლოდ ერთ ფრიად მნიშვნელოვან, მაგრამ ჩვენის აზრით, შემცდარ დებულებაზე. საკითხთან მიდგომისათვის ცოტათი შორიდან დაწყება მოგვიხდება.

ხელოვნებისა და ლიტერატურის მოვლენების მატერიალისტური, მარქსისტულ-ლენინური ახსნისათვის გამოსავალი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნება და ლიტერატურა არის რეალური სამყაროს ანარეკლი, ცხოვრებისა და ბუნების ასახვა-ათვისება სპეციფიურ ფორმაში.

ამ სპეციფიურ იდეოლოგიურ ფორმას გამოხატავს იგი ადამიანთა არსებობის გარეგან თუ შინაგან სამყაროს, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა რამ შინაარსი, გარდა იმისა, რასაც მას ცხოვრების რეალური პროცესი აძლევს.

ცხოვრებისა და ბუნების რეალური პროცესები დაუსრულებლად უფრო მდიდარია, ვიდრე მათი იდეალური გამოხატულება ადამიანთა თავში. ადამიანთა შეგნებას ძალუძს მართლად, ზუსტად, სარწმუნოდ შეიცნოს ცხოვრებისა და ბუნების განვითარების კანონები, შეიცნოს რეალური სამყარო. მაგრამ აზრი ვერასოდეს ვერ მოიცავს რეალური სამყაროს მთელ სიმდიდრეს. საზოგადოებრივი შეგნება მუდამ ილტვის, უახლოვდება და სწვდება მოვლენათა არსს, მათ რთულ საყოველთაო კავშირს. მაგრამ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენები, საგნები მუდმივ ცვლა-განვითარებაში არიან, ისინი უსასრულო და უთვალავი ცოცხალი ძაფებით, კავშირით, გადასვლებით და წინააღმდეგობებით არიან აღსავსენი. აზრი იჭერს მოვლენათა ერთ მხარეს, ერთ წინააღმდეგობას, ერთ არსს, შემდგომ მეორეს, მესამეს და ა. შ. მაგრამ აზრის წინაშე ყოველთვის აღიმართებიან ამოსაცნობად მოვლენათა სხვა მხარეები, უფრო და უფრო ღრმა არსი. არსისა და აზრის ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიის თვალსაზრისით გადაწყვეტა იმ თავითვე მოასწავებს არსის დაუსრულებლად უფრო მდიდარი შინაარსის აღიარებას, ვიდრე აზრისას. მაგალითად, მატერიალისტისათვის უდავოა ის, რომ რეალური ყვავილი მთელი თავისი რეალური საყოველთაო კავშირით დაუსრულებლად უფრო მდიდარია, ვიდრე აზრი ყვავილზე, ვიდრე ყვავილის იდეა. ჩვენ შეიძ-

ლება ვიცოდეთ ამ ყვავილის მრავალი თვისება, მისი წარმოშობისა და განვითარების კანონები, მაგრამ ჩვენს წინაშე მუდამ იქნებიან ამოსაცნობად ამ თვისებათა და კანონთა ახალ-ახალი მხარეები, ახალ-ახალი კანონსომიერებანი.

ცნობილია, თუ როგორ სწყვეტს ამ საკითხს ფილოსოფიის იდეალისტური ბანაკი. მაგალითად, ჰეგელისათვის საგნის ცნება უფრო ჭეშმარიტი და მაღალია, ვიდრე თვით საგანი, რადგან საგნის იდეა, მისი აზრით, არის რეალური საგნის სუბსტანცია, მისი შემომქმედი; რეალური ყვავილი იდეის შინაგანი თვითმოძრაობის დადგენა და გამოვლენაა. ჰეგელის აზრით, ლოგიკური კატეგორიების თვითმოძრაობა გარკვეულ საფეხურზე დადგინდება და გამოვლინდება ბუნებად, რეალურ სამყაროდ. მართალია, ჰეგელმა ლოგიკურ კატეგორიათა თვითმოძრაობის მისტიცირებულ ფორმაში მაინც მოგვცა დიალექტიკის საერთო ფორმების ამომწურავი და შეგნებული სურათი, მაგრამ იდეათა თვითარსობის აღიარება ჰეგელის სისტემისა და მეთოდის მკვეთრ წინააღმდეგობაში გამოიხატა. აბსოლუტურ იდეათა თვითმოძრაობის მთელი გზაგეზი იდეიდან მის თვითშემეცნებამდე მდებარეობს. გაივლის რა ბუნებად და ადამიანთა საზოგადოებად დადგენის საფეხურებს, აბსოლუტური იდეა ადამიანთა შეგნების საშუალებით ელტვის თვითშემეცნებას. რკალი ჰეგელის სისტემით იკვრის, რომელშიაც ჰეგელის აზრით, აბსოლუტურმა იდეამ მიაღწია სრულს თვითშემეცნებას. ამრიგად, ფილოსოფიური აზროვნებით იდეა იმცნაურებს თავის უმაღლეს ჭეშმარიტებას. მხატვრული აზროვნებაც (ხელოვნება) სულის, იდეის ჭეშმარიტების თვითშემეცნებაა. იდეა ადამიანის მხატვრული შემეცნებით შეჰხარის თავის უმაღლეს არსებას, თავის უმაღლეს ჭეშმარიტებას. მაშასადამე, ხელოვნებაც იდეის თვითშემეცნებაა, მაგრამ ის არის შემეცნება არა სრულიად წმინდა აზრით, არამედ ხელოვნება არის ყოვლადის, ე. ი. იდეიის გამოხატვა ერთეულში (в единичном), კონკრეტში, გრძნობადში. ყოველივე სულიდან, აბსოლუტური იდეიიდან წარმოსდგება; ბუნებაც, ადამიანთა საზოგადოებაც და აზროვნებაც, მათ შორის მხატვრული აზროვნებაც; აზროვნება კი სულის უმაღლესი ნაწარმოებია. ამრიგად, ჰეგელი თავისი სისტემის ბოლომდე ერთგული იყო, როცა ასაბუთებდა, რომ მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღალია, ვიდრე ბუნებაში, ვინაიდან ხელოვნება, მისი აზრით, აბსოლუტური იდეის განვითარების უფრო მაღალ საფეხურს შეადგენს, ვიდრე ბუნება. ამავე დროს ჰეგელის ესთეტიკური მოძღვრება ეყრდნობა ობიექტიურ სარბიელს — მშვენიერებისა და ესთეტიკური ფენომენის სათავედ მას ობიექტიური, აბსოლუტური იდეა მიაჩნია.

ობიექტურ სარბიელს ეყრდნობა ყველა თანმიმდევარი მატერიალისტის ესთეტიკური თვალსაზრისიც, მაგრამ სულ სხვა საფუძვლებიდან. თანმიმდევარი მატერიალისტური მსოფლმხედველობა ხელოვნებისა და მისი მშვენიერების სარბიელს ცხოვრებასა და ბუნებაში პოულობს. დიდრომ ბუნება ხელოვნების მოდელად გამოაცხადა, ჩერნიშევსკიმ მშვენიერება ცხოვრებაში დააყენა უფრო მაღლა, ვიდრე მშვენიერება ხელოვნებაში. ეს დიდი მოაზროვნენი ხელოვნების მატერიალისტური, ობიექტური ფუძის დადგენაში სავსებით მართალნი იყვნენ. მათი ნაკლი უნდა ვეძიოთ არა იმაში, რომ ბუნება და ცხოვრება იდეოლოგიურ ფორმათა, მათ შორის, ხელოვნების დაუშრეტელ წყაროდ აღიარეს, არამედ იმაში, რომ, მიუხედავად ზოგიერთი გენიალური მიხვედრისა, მათ აკლდათ ისტორიული თვალსაზრისი, აკლდათ ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნების დიალექტიკური განვითარების გაგება.

თანმიმდევარი მატერიალისტისათვის არ შეიძლება სადაო იყოს ის, რომ ბუნებისა და ცხოვრების რეალური პროცესები, როგორც წყარო ... ობიექტი შემეცნებისა საერთოდ, და მხატვრული შემეცნებისა კერძოდ, ... უფრო ვრცელი და მდიდარია, ვიდრე მათი გამოხატულება ადამიანთა შეგნებაში.

მაგრამ მარქსამდელ მატერიალისტურ ესთეტიკურ მოძღვრებათა ნაკლი მათს მეტნაკლებ მეტაფიზიკურობასა და არაისტორიულობაში მდგომარეობდა.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა გვიჩვენებს, რომ მხატვრულობა და მშვენიერება ისტორიულ-კლასობრივი კატეგორიაა, რომ ადამიანთა ესთეტიკური გრძნობები და მაშასადმე ხელოვნებისა და მშვენიერების სხვადასხვა კრიტერიუმიც ისტორიული განვითარების შედეგია.

მოვიყვანოთ მარქსის ცნობილი გენიალური დებულება ესთეტიკური გრძნობების წარმოშობა-განვითარებისა და მათი საგნების ობიექტური ყოფიერების შესახებ:

„გამოვთქვათ ეს სხვანაირად, სუბიექტიურის მხრივ: — სწერს მარქსი — მხოლოდ მუსიკა აღვიძებს ადამიანის მუსიკალურ გრძნობას; არამუსიკალური ყურისათვის უმშვენიერეს მუსიკას არა აქვს ა რ ა ვ ი თ ა რ ი აზრი, ის მისთვის საგანი არ არის, იმიტომ რომ ჩემი საგანი შეიძლება იყოს ერთერთი ჩემი არსებითი ძალის დამკვიდრება (утверждение) და, მაშასადამე, საგანი ჩემთვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისე, როგორც არსებობს ჩემი არსებითი ძალა თავისთავად, სუბიექტური ნიჭის სახით, — იმიტომ რომ რომელიმე საგნის აზრი ჩემთვის (აქვს აზრი მხოლოდ მის შესაბამის რომელიმე გრძნობისათვის) ზუსტად შეესაბამება ჩ ე მ ს გრძნობას; ამიტომ საზოგადოებრივი ადამიანის გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი სხ ვ ა ა, ვიდრე არასაზოგადოებრივისა; მხოლოდ (საგნობრივად) ობიექტურად განვრცობილი (развернутому) ადამიანური არსის სიმდიდრის მეოხებით მიიღება სუბიექტური ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გრძნობადობის სიმდიდრე, მიიღება მუსიკალური სმენა, ფორმის სილამაზის შემგნები თვალი, — ერთი სიტყვით ნაწილობრივ პირველად წარმოიშვებიან, ნაწილობრივ ვითარდებიან ადამიანური გრძნობები, რომელთაც დატკბობის უნარი აქვთ, გრძნობები, რომლებიც მკვიდრდებიან როგორც ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი არსებითი ძალები. არა მარტო ჩვეულებრივი ხუთი გრძნობა, არამედ ეგრეთწოდებული სულიერი გრძნობები, პრაქტიკული გრძნობები (ნებისყოფა, სიყვარული და სხ.), ერთი სიტყვით, ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გრძნობა, გრძნობათა ორგანოების ადამიანურობა აღმოცენდებიან მ ა თ ი საგნის ყოფიერების მეოხებით, გაადამიანებული ბუნების მეოხებით. ხუთი გრძნობის ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ა, ეს — მთელი მსოფლიო ისტორიის პროდუქტია“.[1]

ამრიგად, გენიალური მატერიალისტ-დიალექტიკოსის თვალსაზრისით ადამიანთა გრძნობები (მათ შორის ესთეტიკური გრძნობებიც) აღმოცენდებიან და ვითარდებიან მხოლოდ მათი საგნების ყოფიერების მეოხებით, ისტორიული განვითარების საფუძველზე.

ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა კლასობრივი შეგნებისათვის მშვენიერებისა და ესთეტიკურობის სხვადასხვა კრიტერიუმი ისახება, და მათ ყოველთვის შეესაბამება ყოფიერების, ობიექტური რე-

---

[1]) „К. Маркс, Ф. Энгельс об искусстве“ Гиз искусство 1938 г. გვ. 43.

ალობის განსაზღვრული პროცესები. ფრანგული კლასიცისტური ესთეტიკის საფუძველს გონების ერთგვარი ურყევი და უძრავი კანონები წარმოადგენდა. მკაცრი ცენტრალიზება, სიმეტრია, ჰარმონია და მთლიანობა შეადგენდა ესთეტიკურობის მთავარ საზომს. ამას კი შეესაბამებოდა აბსოლუტიზმის სამეურნეო და პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციები. სულ სხვა იყო, ვთქვათ, შექსპირის ესთეტიკური კოდექსი. მის შემოქმედებაში, მკაცრი სიმეტრიის, ჰარმონიისა და მთლიანობის ნაცვლად, მთის ადიდებულ მდინარესავით გადმოჰქუხს ადამიანთა რეალური ვნებები და გრძნობები მთელი თავისი მიხვევ-მოხვევებით, მოულოდნელ გადასვლებითა და წინააღმდეგობებით. მათ გონების ვერავითარი უძრავი კანონების ჩარჩოები ვერ დაიტევდა.

სუბიექტიურის მხრივ, ადამიანთა ესთეტიკურ შეხედულებათა და მათ საგანთა მდგომარეობა, შეიძლება ასე გამოვთქვათ: მე მშვენიერად ამქუხარებული მდინარე მიმაჩნია, მეორე ადამიანს კი მდორე მდინარე მოსწონს. მაგრამ ჩვენი გემოვნებისა თუ ესთეტიკურობის კრიტერიუმის სხვადასხვაობა სრულიადაც არ აქრობს ჩვენს საგნებსა და მათ ბუნებრივ თვისებებს, ისინი ჩვენი შეგნების მიღმა და ჩვენს დამოუკიდებლად არსებობენ./„არამუსიკალური ყურისათვის უმშვენიერეს მუსიკას არა აქვს არავითარი აზრი, ის მისთვის საგანი არ არის, იმიტომ, რომ ჩემი საგანი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ჩემი არსებითი ძალის დამკვიდრება“ (მარქსი), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, — რაკი არამუსიკალური ყურისათვის უმშვენიერეს მუსიკას აზრი არა აქვს, რომ უმშვენიერესი მუსიკა თავისთავად, ობიექტურად არ არსებობდეს. ეს აბსურდია. გარკვეული სოციალური წრის, საზოგადოებრივი კლასის სოციალურ გრძნობათა საგნებს მისი არსებითი ძალების დამკვიდრების საგნები წარმოადგენს. მაგალითად, პროლეტარიატისათვის დიდებული და წარმტაცია სოციალისტური რევოლუცია, რომელიც სპობს ბურჟუაზიასა და ექსპლოატაციის მთელ სისტემას. საზარია ის ბურჟუაზიისათვის. მაგრამ მიუხედავად ამ სხვადასხვა დამოკიდებულებისა, სოციალისტური რევოლუცია ისტორიის უბრწყინვალესი ფაქტია.

დიდროს, ჩერნიშევსკის და საერთოდ მარქსამდელი მატერიალისტების სუსტი მხარე მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მათ აკლდათ ისტორიული თვალსაზრისი, რომ მათ ხელოვნებისა და ესთეტიკის საკითხები ვერ განიხილეს საზოგადოებრივი კლასების არსებითი ძალების დამკვიდრების თვალსაზრისით.

ამხ. დ. ბენაშვილი კი ჩვენის აზრით, სულ სხვა მხრიდან და უმართებულოდ ედავება ჩერნიშევსკისა და დიდროს. ამხ. ბენაშვილი სწერს: „ამ თვალსაზრისის (ე. ი. დიდროს თვლსაზრისის ლ. კ.) საწინააღმდეგოდ ყოველ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მოიყვანოს შემდეგი ფაქტი: ვთქვათ შეუკვეთეთ პეიზაჟი რომელიმე ნიჭიერ მხატვარს. მხატვარმა თქვენი დავალება შეასრულა და წარმოგიდგინათ უბრწყინვალესი სურათი. მოდის თქვენთან უცნობი კაცი და ამტკიცებს, რომ მხატვრის მიერ განსახიერებული პეიზაჟი არაა სრულყოფილი.— წამომყევით მე, ამბობს თქვენთან მოსული უცნობი, და გაჩვენებთ ბუნერივ პეიზაჟს, რომელთანაც თქვენი მოწონებული მხატვრის ნამუშევარი გამოჩნდება, როგორც, ყალბი ანარეკლი. თქვენ ფეხდაფეხ გაჰყევით უცნობს. ჯერ კიდევ შორი მანძილიდან უცნობმა მიგითითათ მის მიერ ნაქებ ბუნების პეიზაჟზე. თქვენც მოგწონთ შორიდან დანახული სივრცე და ეჭვი გეპარებათ მხატვრის ძლიერებაში. მაგრამ აი თქვენ უკვე ათი ნაბიჯიდა დაგრჩენიათ ნაქებ ლანდშაფ-

ტამდე. შეხვედით ტყეში. თქვენ ხედავთ დიდიხნის ჭაობს და ყნოსავთ ჭაობის აშმორებულ სუნს. კოღოები დაგიწყებენ კბენას, ფეხს წამოკრავთ ქვე. მოჭრილ ხეს; გინდათ გაიაროთ გზა, რომ მოსცილდეთ ამ სისაძაგლეს, მაგრამ გზა ეკლიან ბარდს გადაეღობავს, გზაზე სიარულის დროს ეკლები გიჩხვლეტენ სხეულს. თქვენ ფიქრობთ, ნუ თუ ეს იყო შორიდან ლამაზად მჩინარი პეიზაჟი. ამ ფიქრებში გართულს თქვენ მოგიახლოვდათ მეორე უცნობი და შეგიყვანათ ხელოვნურად გაკეთებულ ბაღში. თქვენ თვალს ახარებს ჰარმონიულად რიგზე განლაგებული ხეები. იქვე ხელოვნურად გაკეთებული სუფთა ტბა და ზედ მოცურავე გედი; შედიხართ უფრო ღრმად ხელოვნურ ტყეში, თქვენ ხედავთ მოშინაურებულ ირემს, შველს, რომლებიც თავისუფლად დანავარდობენ მოლზე. იქვე კურდღელი, გარეული იხვი და სხვა. აი უკვე ბაღის შუა ნაწილში ხართ და თქვენ თვალწინ აღიმართა ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი,—რომელიღაც დიდი მგოსნისა. ბაღის ბოლოს ამშვენებს უზარმაზარი სასახლე. თქვენ შედიხართ სასახლეში, იქ დაგხვდათ მესამე უცნობი და გეკითხებათ: სად უფრო მეტი სიამოვნება მიიღეთ: მხატვრის პეიზაჟში, ხელოვნურ ტყეში თუ ბუნებრივ ლანდშაფტში? თქვენ უპასუხებთ: მხატვრის მიერ დახატულმა პეიზაჟმა უფრო მეტი სიამოვნება მაგრძნობინა" [1]).

ეს გრძელი ამონაწერი, როგორც ხედავთ, საჭირო იყო ამხ. ბენაშვილის დასრულებული მოსაზრების მოსაყვანად.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ აქედან? პირველყოვლისა, ამხ. ბენაშვილი, თითქოს აწესებს რაღაც საყოველთაო და სამარადისო კრიტერიუმს ესთეტიკური განცდებისა. ესთეტიკური ფენომენის საკითხს ის არ განიხილავს ადამიანთა არსებითი ძალების დამკვიდრების თვალსაზრისით, ძალებისა, რომლებიც ისტორიულად ვითარდებიან და იცვლებიან და რომლებიც გაშუალებული არიან სოციალურ-ისტორიული პირობებით. მშვენიერი პეიზაჟი შეიძლება იყოს ჩემთვის მშვენიერი, თუ ეს ჩემი არსებითი ძალის დამკვიდრებაა. ამიტომ ჩვენი აზრით უსაფუძვლოა ამხ. ბენაშვილის კატეგორიული მტკიცება, რომ ჩვენ ყველა მხატვრის მიერ დახატულ პეიზაჟს ვამჯობინებთ, ანუ ვიტყვით, რომ მან მეტი სამოვნება გვაგრძნობინა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ზოგი იმას აირჩევს, რასაც უცნობი შორიდან დაანახვებს, ზოგი თვით ხელთუქმნელი ტყით დატკბება, მიუხედავად იმისა, იქ შეიძლება ჭაობიც, კოღოებიც და ეკალის ჯაგებიც იყოს (ან-და: ნუ თუ არ შეიძლება უჭაობო და უკოღოებო ტყე იყოს?), ზოგი ხელოვნურ ბაღს არჩევს და ზოგიც მხატვრის შესრულებულ პეიზაჟს. ეს სხვადასხვა არჩევანი დამოკიდებული იქნება ადამიანთა არსებითი ძალების ვითარებაზე და იმაზე, რომ „სხვადასხვა ადამიანებს აქვთ და სოციალიზმის დროსაც ექნებათ სხვადასხვა მოთხოვნილებანი. სოციალიზმი არასოდეს არ უარყოფდა განსხვავებას გემოვნებაში, მოთხოვნილებათა რაოდენობასა და ხარისხში" [2]).

რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ მოასწავებს ხელოვნებისა და ესთეტიკურობის კრიტერიუმის ვიწრო სუბიექტიურობას.

ამხ. ბენაშვილი ერთი ხელის მოსმით მხატვრის მიერ დახატულ პეიზაჟს (ე. ი. მშვენიერებას ხელოვნებაში) მაღლა აყენებს ბუნებრივ პეიზაჟზე (ე. ი. მშვენიერებაზე ბუნებაში), რაზედაც რამდენიმე აბზაცით წინ ჰეგელს ედავებოდა.

---

[1]) „მნათობი" № 9, 1940 წ. გვ. 134-135.

[2]) ი. სტალინი. საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან—სახელგამი, 1939 წ., გვ. 16.

„ამ მაგალითიდან სჩანს, — სწერს ამხ. ბენაშვილი, — რომ ხელოვნებისა და სინამდვილის კაუზალურ დამოკიდებულებაში მთავარ როლს თამაშობს არა ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ხელოვნებას ხან მაღლა აყენებს ბუნებაზე, ხან კი დაბლა, არამედ იმის განმარტება, თუ სინამდვილისა და ხელოვნების ერთმანეთთან შეხვედრის მომენტში ხელოვანი რა ზომით უახლოვდება, ან შორდება სინამდვილეს“ [1])

ხელოვნების ხან მაღლა და ხან დაბლა დგომა ბუნებაზე — ფუჭი და უნაყოფო დებულებაა. მთავარია ავხსნათ და გავარკვიოთ ბუნებისა და ხელოვნების ურთიერთობა, ავხსნათ და გავარკვიოთ ხელოვნების ფუნქცია და ამით მოიხსნება მაღლისა და დაბლის საკითხიც.

რაც შეეხება ხელოვანის მიახლოვება-დაშორებას სინამდვილესთან, შესაძლებელია ამ საკითხის ორგვარი გაგება: პირველი—დროისა და სივრცის ე. წ. დისტანციის თვალსაზრისით და მეორე — შემეცნების თვალსაზრისით.

ცხადია, თუ რომელიმე მხატვარი, ვთქვათ, ხატავს სახლს, ის ამ სახლიდან უნდა დადგეს გარკვეულ მანძილზე, რომ მთელი სახლი ექცეოდეს მისი მხედველობის არეში და არა რომელიმე ერთი ნაწილი; თუმცა, მხატვრისათვის ურიგო არ იქნება, კიდევ მეტი: საჭიროც იქნება — წინასწარ ახლოს და დაწვრილებით გაეცნოს სახლის ნაწილებსაც; ანალოგიურია მწერლის შემოქმედებაც: მან თავისი საგნის, გამოსახატავი ობიექტის უშუალო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი შთაბეჭდილებები უნდა გადაამუშაოს, მოამწიფოს, შეჰკრას და მოისაზროს ისე, რომ მთელი საგანი, მთელი ობიექტი ექცეოდეს მისი შემოქმედებითი, გონებრივი მხედველობის არეში. მხოლოდ ამ გზით შექმნის მწერალი მთლიან მხატვრულ ნაწარმოებს. მაგრამ ყოველივე ეს: ნაწილების გაცნობა, წარმოდგენათა მომწიფება, გადამუშავება და მთელი საგნის მხედველობის არეში მოქცევა არსებითად ნიშნავს საგნის უფრო ღრმად გაცნობას, საგნის არსთან მიახლოვებას და არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს სინამდვილისაგან დაშორებას.

ამხ. ბენაშვილი სინამდვილესთან მიახლოვება-დაშორების საკითხს აყენებს შემეცნებითი თვალსაზრისით, ყოველშემთხვევაში, ასე გამოდის მისი მსჯელობიდან:

„ის, რაც პეიზაჟის შესახებ იყო ნათქვამი,—სწერს იგი,—შეგვიძლიან გავავრცელოთ ადამიანზე, როგორც ხელოვნების ცენტრზე. ხელოვნების ჭეშმარიტ იდეალს რაკი ადამიანის სულის აშენება წარმოადგენს, ეს სული გაშლილ და გაფართოებული უნდა იქნას იმ დროის მიხედვით, რომელმაც განსაზღვრული მიმართულება მისცა ამ სულს. მაგრამ ხელოვანი ამ სულის გამოხატვის მომენტში ასაწერ საგანს უნდა უახლოვდებოდეს გარკვეული მანძილით. დ ა მ ღ უ პ ვ ე ლ ი ა გ ა მ ო ს ა ხ ა ტ ა ვ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა დ მ ი, ა რ ა მ ა რ ტ ო დ ა შ ო რ ე ბ ა, ა რ ა მ ე დ ზ ე დ მ ე ტ ი დ ა ა ხ ლ ო ვ ე ბ ა ც [2]) (ხაზი ჩვენია, ლ. კ.).

მოვიგონოთ რა იყო ნათქვამი პეიზაჟზე?

როცა უცნობმა მხატვრის დახატულ პეიზაჟის ღირსებაში შეგვაეჭვა და შორიდან ნამდვილი პეიზაჟი დაგვანახვა, ჩვენ ეს შორიდან დანახული სურათი ე. ი. მოჩვენებითი სურათი, მოჩვენებითი ტყე თითქოს მოგვეწონა, ლამაზი მოგ-

[1]) მნათობი № 9, 1940 წ. გვ. 135

[2]) იქვე.

ვეჩვენა, მაგრამ ტყე როცა ნამდვილად გავიცანით, როცა ვნახეთ იქ ჭაობი, კოლოები და ბარდი, ილუზია გაქრა და ვისწრაფოდით ჩქარა გავსცლოდით ამ უსიამოვნო ადგილს. ამ რიგად, ტყესთან ზედმეტად დაახლოვებამ ტყის ნამდვილი შინაარსის გაცნობამ, ბენაშვილის აზრით, დამღუპველად იმოქმედა ლამაზ ილუზიაზე. ე. ი. შორიდან დანახულ პეიზაჟზე. და რაკი, ბენაშვილის მიხედვით, პეიზაჟზე ნათქვამი უნდა გავავრცელოთ ადამიანზე, ადამიანის სულზე, როგორც ხელოვნების ცენტრზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი, მხატვარი ზედმეტად არ უნდა დაუახლოვდეს ადამიანის სულს, ღრმად არ უნდა გაიცნოს ის, თორემ ეს დამღუპველია ხელოვნებისათვის. მწერალი ასაწერ ობიექტზე უნდა იყოს დაშორებული, ასე ვთქვათ, საილუზორო, მოჩვენებითობის მანძილზე. ამხ. ბენაშვილის ამ კონცეპციიდან გამომდინარეობს ის, რომ როცა ხელოვანი ადამიანის სულს ხატავს, ის მას ძალიან არ უნდა დაუახლოვდეს, ღრმად არ უნდა გაიცნოს, რადგან იმავე კოლიზიის ძალით, როცა ნამდვილ ტყეში ჭაობი, კოლოები და ბარდი აღმოჩნდა, ალბათ ადამიანის სულსაც, მის ახლო გაცნობისას სხვადასხვა მანკი აღმოაჩნდება და მათი ასახვა ავნებს ხელოვნებას, რადგან ის ეწინააღმდეგება ხელოვნების შინაგან კანონებს, რომლებსაც ამხ. ბენაშვილი ასე გვიმარტავს: „ჰარმონიულობა და მთლიანობა ჰქმნის მშვენიერებას, როგორც ხელოვნების იდეალს". ეს უკანასკნელი დებულება საკმაოდ ძველის-ძველი და გაცვეთილია. აქ არ გამოვუდგებით ამ დებულების ძირფესვიანად გარჩევას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ ჩერნიშევსკიმ დაასაბუთა საფუძვლიანად, რომ ხელოვნების იდეალი მარტო მშვენიერებით არ იფარგლება. მარქსი სამყაროს მხატვრულ ათვისებაზე მიუთითებდა და მაშასადამე ხელოვნების სფეროს მშვენიერებით არ შემოფარგლავდა; ლენინი დიდ მხატვრულ მოვლენას რევოლუციის სარკედ და ცხოვრების არსებითი მხარეების ასახვად თვლიდა; სტალინი მწერლობასა და მწერალს ადამიანის სულის ინჟინრად სახავს.

მაგრამ, აბა რა ინჟინრობას გასწევს ის ინჟინერი, რომელიც სახლს აშენებს და მასალას ახლო არ იცნობს, არ იცის მასალის ნამდვილი ღირსება და ნაკლი? ასევე მწერალი, როგორ გასწევს ადამიანის სულის ინჟინრობას, თუ ამ სულს ახლოს არ იცნობს, თუ არ იცნობს ამ სულის ნამდვილ ღირსებასა და ნაკლს? განა შეუძლია მწერალს ებრძოლოს ადამიანის სულის მანკს, თუ ის არ იცნობს ამ მანკს, თუ ის ადამიანის სულიდან საილუზორო მანძილზე დგას და იქედან უყურებს?

ყოველ შემთხვევაში, აქამდის თითქმის საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ რამდენადაც მწერალი ახლოს იცნობდა ცხოვრებას, რამდენადაც ღრმად იცნობდა ადამიანის სულს, იმდენად უფრო მაღალ მხატვრულ ნაწარმოებებს ჰქმნიდა. შექსპირის სიდიადე, პირველყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ის ახლოს, ძალიან ახლოს, და ღრმად იცნობდა გარკვეული ეპოქის ადამიანთა სულს. განა თანამედროვე საბჭოთა მწერლობისაგან ჩვენ ყოველ ნაბიჯზე არ მოვითხოვთ ცხოვრებასთან ახლოს მისვლას, თანამედროვე ადამიანის სულის ყოველმხრივ და ღრმა გაცნობას?

არა, არავითარი თვალსაზრისით არ არის დამღუპველი ხელოვნებისათვის ადამიანის სულთან მიახლოვება, მისი ღრმა გაგება და შესწავლა. პირიქით, ხელოვნების დაკნინების ორი მთავარი წყარო არსებობს: ბუნების, ცხოვრების, ადამიანის სულის უცოდინარობა და უნიჭობა.

უფრო ახლოს ცხოვრებასთან, უფრო ახლოს ადამიანის სულთან!

ამ მეგობრული კორექტივების შეტანა ამხ. ბენაშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებაში ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ [1]).

ხელოვნებისა და ბუნების, ხელოვნებისა და ცხოვრების დამოკიდებულებისა და ამ დამოკიდებულების ხასიათის ნათელსაყოფად ჩვენ მოგვეპოვება მარქსიზმის ფუძემდებელთა გენიალური დებულებები.

„მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ისტორია და მრეწველობის აღმოცენებული ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა,—სწერს მარქსი, — არის ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა რ ს ე ბ ი თ ი ძ ა ლ ე ბ ი ს გ ა დ ა შ ლ ი ლ ი წ ი გ ნ ი, გრძნობადად ჩვენ წინ მდებარე ადამიანური ფსიქოლოგია“ [2]). ცხადია, მრეწველობის საგნობრივ ყოფიერებაში ე. ი. ყოველ მანქანასა, ფაბრიკასა და ქარხანაში არ არის ისეთი რამ, რაც ბუნებიდან, მატერიალური სამყაროდან არ იყოს აღებული, მაგრამ მრეწველობა და ტექნიკა ბუნებისაგან განსხვავდება მით, რომ ის არის ადამიანთა არსებითი ძალების გადაშლილი წიგნი, ადამიანთა გრძნობადი ფსიქოლოგია, ანუ, ის არის ადამიანთა მიერ, ადამიანთა შეგნებაში გარდაქმნილი ბუნება.

ხელოვნება და ხელოვნების ნაწარმოებნიც ადამიანთა ფსიქოლოგიის გადაშლილი წიგნია. ამ წიგნში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების რეალური პროცესებიდან არ მომდინარეობდეს. მაგრამ ხელოვნება არ არის ცხოვრების პროცესების სარკისებრ-მკვდარი ასახვა, ის ამ პროცესების იდეოლოგიური ათვისება, გარდაქმნა და გადამუშავებაა. ამრიგად, ხელოვნება, ხელოვნების ნაწარმოები არის ადამიანის მიერ (მწერლის, მხატვრის მიერ) წინასწარ გააზრებული, მოფიქრებული და გადამუშავებული იდეოლოგიური ფორმა.

„ობობა ასრულებს ოპერაციას, — სწერს მარქსი „კაპიტალის“ პირველ ტომში, — რაც მოგვაგონებს ფეიქრის ოპერაციას, და ფუტკარიც **თავისი ფიჭის** უჯრედების აგებით არცხვენს ზოგიერთ ადამიან-არქიტექტორს, მაგრამ თვით ყველაზე უარესი არქიტექტორი ყველაზე უკეთესი ფუტკრისაგან იმ თავითვე განსხვავდება მით, რომ სანამ შეუდგებოდეს ფიჭისაგან უჯრედების კეთებას, მან იგი უკვე ააგო თავის თავში. შრომის პროცესის ბოლოს გამოდის შედეგი, რომელიც უკვე ამ პროცესის დაწყების წინ იყო იდეალურად ე. ი. მუშაკის წარმოდგენაში. ის არა მარტო სცვლის იმის ფორმას, რაც ბუნებისაგან არის მოცემული: იმაში, რაც ბუნებისაგან არის მოცემული, ის იმავე დროს ანხორციელებს თავის შეგნებულ მიზანს“.

სწორედ ამის მსგავსად ხელოვანი, მხატვარი, მწერალი თავის ნაწარმოებში ანხორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, თავის შეგნებულ იდეალს. ამ შეგნებული მიზნის განხორციელების თვალსაზრსით შეიძლება განვიხილოთ ხელოვნების ნაწარმოებისა და ბუნების შესატყვისი მოვლენების ხასიათი. ბუნების საგანი, ბუნების მოვლენა შეგნებულად არავითარ მიზანს არ ისახავს, მითუმეტეს იგი შეგნებულად არც იბრძვის არც არავითარ შეგნებულ აზრს ანხორციელებს. მწერალი და მისი ნაწარმოები კი ისახავს და ანხორციელებს გარკვეულ მიზანს.

ჭეშმარიტი ხელოვანი ჭეშმარიტი მებრძოლიც არის!

---

[1]) არას ვამბობთ ზოგიერთ სხვა დებულებებისა და ზოგიერთი უხერხული გამოთქმების შესახებ, მაგალითად, ასეთის შესახებ: „ფერი მაშინ არის მშვენიერი, როდესაც იგი ადეკვატურ ფორმაში გადმოგვცემს გამოსახატავი ობიექტის სუბსტანციას, მის სულს“. ობიექტის სუბსტანციისა და სულის ასეთი იგივეობის განლაგებაში მოცემა, რაღაც მატერიალისტურად არ ისმის.

[1]) „К. Маркс, Ф. Энгельс об искусстве“ зз. 41.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. უზნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია"

სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა 1940 წ.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირში გამოსულ ფსიქოლოგთა შრომების რიცხვში უსათუოდ საპატიო ადგილი უკავია დ. უზნაძის შრომას „ზოგადი ფსიქოლოგია".

ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიის ცალკე აღებულ ერთერთ მიმდინარეობას არ ძალუძს ფსიქოლოგიის ყველა საკითხი იმდენად ერთნაირად „დამაკმაყოფილებლად" მაინც გადაჭრას, რომ ეს მეორე მიმდინარეობისათვის ასე თუ ისე მისაღები იყოს. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობათა ცნობილი წარმომადგენლები თვითონვე გრძნობენ ამას და ამიტომ თავიანთ შრომებში საკუთარ აზრებს გარდა სხვა მიმდინარეობათა აზრებსაც სრულიად გარკვეულ ადგილს უთმობენ. მათი თვითეული შრომა არსებითად წარმოადგენს სხვადასხვა ავტორთა აზრებისა და ცალკეული საკითხების გადაჭრისადმი მიდგომის თვალსაზრისთა ვინეგრეტს. მასში წარმოდგენილი და გაშუქებული პრობლემები უფრო ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო დასკვნებს იძლევა, რაც ზოგიერთ მათგანის მაინც, მცდარ და უსუსურ გადაწყვეტას ააშკარავებს.

ფსიქოლოგიის თანამედროვე ბურჟუაზიულ ძირითად მიმდინარეობათაგან — ემპირიულ და ბიჰევიორისეულ ფსიქოლოგიისაგან სხვა შედეგს არც უნდა ველოდეთ, რამდენადაც ორივე ეს მიმდინარეობა ადამიანის შესასწავლად ცოცხალი ინდივიდიდან კი არ გამოდიან, არამედ ერთ შემთხვევაში, „ცნობიერებიდან როგორც ცოცხალი ინდივიდიდან" (ემპირიული ფსიქოლოგია), ხოლო მეორე შემთხვევაში კი ქცევიდან (ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია).

აკად. დ. უზნაძე ფსიქოლოგიის პრობლემათა განხილვისას ფსიქოლოგთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც „...თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდისაგან გამოდიან და ცნობიერებას განიხილავენ როგორც მათ ცნობიერებას" (იხ. К. Маркс и Ф. Энгельс—„Немецкая идеология" стр. 17).

იმ გარემოების გამო რომ დ. უზნაძე ადამიანის შესწავლას იწყებს ნამდვილი ცოცხალი ინდივიდისაგან, მთლიანი ადამიანისაგან გამოსვლით და არა ქცევიდან ან ცნობიერებიდან გამოსვლით, შესაძლებლობა მისცა მას თავისი წიგნი თავიდან ბოლომდე ერთი უცვლელი თვალსაზრისით დაეწერა. სარეცენზიო წიგნის „ზოგადი ფსიქოლოგიის" ყოველი საკითხი ერთი თეორიის მიხედვით არის განხილული და ამიტომ სარეცენზიო შრომის განხილვაც ამ თეორიის განხილვით უნდა დავიწყოთ.

ავტორი თავის შრომის შესახებ წინასიტყვაობაში სწერს: „... იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება ფსიქოლოგიის ცნობილ კურსებისაგან. არსებითსა და უმთავრესში იგი იმ მასალას ეყრდნობა, რომელიც ჩემისა და ჩემი თანამშრომლების კვლევითი მუშაობის შედეგად არის მიღებული"-ო. სინამდვილის რა სფეროა ის სფერო, რომელსაც სწავლობდნენ და სწავლობენ დ. უზნაძე და მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომლები და რომლის შედეგად მიღებულ მასალებზედაც ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი პრობლემის გათვალისწინებაა ნაცადი? სინამდვილის ასეთ სპეციფიკურ სფეროდ დ. უზნაძეს გ ა ნ წ ყ ო ბ ა მიაჩნია და ამ უკანასკნელის წარმატებით შესწავლაზე ფსიქოლოგიის მთელს მომავალს აფუძნებს.

დ. უზნაძე ეყრდნობა რა ფ. ენგელსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ „სიცოცხლე ცილოვან ნივთიერებათა არსებობის ფორმაა, რომლის არსებითს მომენტსაც გა-

რემო ბუნებასთან ნივთიერებათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა შეადგენდა და „რომელიც ამ გაცვლა-გამოცვლის შეწყვეტასთან ერთად ისპობა“ აკეთებს დასკვნას, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ყოველთვის რაიმე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს (ანუ ნივთიერი მოთხოვნილების) მატარებელია და განსაზღვრულ ქცევას მიტ[illegible] ეს მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მაგრამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას ხომ გარე ბუნება წარმოადგენს და ცხადია, ამიტომ ცოცხალი არსება იძულებული ხდება, ბუნებასთან სათანადო ურთიერთობა დაამყაროს ანუ გარკვეულ ქცევის აქტებს მიმართოს. ამრიგად მოთხოვნილება ორგანიზმის აქტიობის წყაროა. სადაც მოთხოვნილება არ არის, იქ არც აქტიობას აქვს ადგილი.

ბუნებრივად დგება საკითხი: როგორია ის კავშირი, რომელსაც მოთხოვნილების მატარებელი ორგანიზმი გარემო წრესთან აწესებს? დ. უზნაძე ამ საკითხის გათვალისწინებისათვის შემდეგნაირად მსჯელობს.

„როცა ორგანიზმს მოთხოვნილება არა აქვს, მაშინ იგი გარემოსთან ი ნ დ ი ფ ე რ ე ნ ტ ი უ ლ დამოკიდებულებაში იმყოფება. მაგრამ რაიმე მოთხოვნილება უჩნდება თუ არა მას, მაშინვე გარემოსთან მისი დამოკიდებულებაც ან მიმართებაც იცვლება. ცოცხალი ორგანიზმი ახლა გარემოსთან ისეთ ურთიერთობაში ან კავშირში შედის, რომლის გარეშეც მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია“. ამიერიდან იგი (ორგანიზმი, ვ. ბ.) გარემოსთან, როგორც არა ინდიფერენციულ რაღაცასთან, არამედ როგორც თავისი მოთხოვნილების ს ი ტ უ ა ც ი ა ს თ ა ნ აწესებს კავშირს“ (იხ. „ზოგადი ფსიქოლოგია“ გვ. 66).

გარემოსა და ორგანიზმს შორის ეს ურთიერთობა, კავშირი მოთხოვნილების ნიადაგზე შეიქმნა და ცხადია, რომ ასეთ პირობებში გარემოდან ყველაფერი კი არ იმოქმედებს ორგანიზმზე, არამედ მხოლოდ ის, რაც ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს ან როგორც დ. უზნაძე სწერს, რაც „...მოცემულ მომენტში აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ს ი ტ უ ა ც ი ა ს წარმოადგენს“ (გვ. 66) ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმზე გარემოს ცალკეული მოვლენები კი არ აწარმოებს ზემოქმედებას, არამედ მოვლენათა მთლიანი სისტემა, აქტუალური მოთხოვნილებათა შესატყვისი სიტუაცია.

ამრიგად, ორგანიზმის მოთხოვნილების ნიადაგზე გარე სინამდვილე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ს ი ტ უ ა ც ი ა დ იქცევა, ხოლო თვით ორგანიზმი კი ქ ც ე ვ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ა დ.

აქედან გამომდინარეობს, რომ გარე სინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე, ახდენს გავლენას. იგი ორგანიზმზე, როგორც მთლიანზე, მოქმედობს და ცხადია ამ მოქმედების შედეგი ორგანიზმის მთლიანი ცვლილება ან ი ნ დ ი ვ ი დ ი ს მ თ ლ ი ა ნ ი მ ო დ ი ფ ი კ ა ც ი ა იქნება.

მაგრამ როდის მოხდა ამ ინდივიდის მთლიანი მოდიფიკაცია ან ი ნ დ ი ვ ი დ ი ს გ ა დ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ ე ბ ა? ცხადია, მაშინ როცა მისთვის მოთხოვნილების ნიადაგზე გარემო აქტუალური მოთხოვნილების სიტუაცია გახდა; ე. ი. ამ სიტუაციასთან ერთად და მის შესატყვისად თვით ორგანიზმიც შეიცვალა, მაშასადამე—სწერს დ. უზნაძე — იგი როგორც მთელი, როგორც ქცევის სუბიექტი უკვე მანამდე, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს თავის მოთხოვნილების სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას განიცდის და ამიტომ მისი მომავალი მოქმედება მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება, ეს განსაზღვრულ ფარგლებში, უკვე მანამ არის გარკვეული, სანამ მოქმედება დაიწყებოდეს“ (გვ. 68). ორგანიზმის ამ სპეციფიკურ მდგომარეობას დ. უზნაძე „გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს“ უწოდებს და ორგანიზმის მთელს ქცევას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მის რეალიზაციად სთვლის.

მკითხველს უსათუოდ დაებადება კითხვა: აქ ხომ საზოგადოდ ორგანიზმსა და გარემოს შორის დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი? ნუთუ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ორგანიზმები და კერძოდ ადამიანიც გარემოსთან მსგავს ურთიერთობას ამყარებს? სადღაა აქ ადამიანისათვის დამახასიათებელი ცნობიერების როლი? რა ცვლილება იჩენს თავს განვითარების პროცესში ისეთს, რომ ადამიანისა და ცხოველის ქცევის განსხვავებულობის ფაქტს გასაგებად ხდიდეს?

ეს საკითხი დგას დ. უზნაძის წინაშე და მასზე სათანადო პასუხი არის გაცემული.

დ. უზნაძის აზრით „ისე როგორც ცხოველის ქცევას, ბოლოსდაბოლოს, ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად“ (გვ. 70). ეყრდნობა რა იგი კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის დებულებებს იმის შესახებ, რომ ადამიანის მოქმედებაც [illegible] მატერიალური მოთხოვნილებებიდან გამოსვლით უნდა აიხსნას და არა [illegible] გამოსვლით, დ. უზნაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველი ცხოველის და კერძოდ ადამიანის ქცევასაც საფუძვლად მოთხოვნილებები უდევს და ამ თვალსაზრისით ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება არ არსებობსო.

ის რაც ადამიანის ქცევის თავისებურებას ქმნის და ამ თავისებურებით ცხოველის ქცევიდან არსებითად ანსხვავებს მას, ეს ადამიანის მოთხოვნილებათა თავისებურება და სიმრავლეა. „...ცხოველის მოთხოვნილებათა ბუნება და წრე — სწერს დ. უზნაძე—ერთხელ და სამუდამოდ არის განსაზღვრული: მათ ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური თავისებურებები უდევს საფუძვლად. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილება. ადამიანი ისტორიული არსებაა, და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტლივ ქმედობის პროცესში იმყოფება. ამის შედეგი ისაა, რომ არა მარტო ძველი მოთხოვნილებები იცვლება, არამედ განუწყვეტლივ ახალახალი მოთხოვნილებებიც ჩნდება, მოთხოვნილებები, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ვნახავთ ცხოველთა სამკვიდროში: ადამიანი შეუდარებლად უფრო მრავალფეროვანის და მრავალმხრივი მოთხოვნილების პატრონია, ვიდრე ცხოველი“ (გვ. 71).

ადამიანში ამ სხვადასხვა მოთხოვნილებათა საფუძველზე სხვადასხვა განწყობები იქმნება. მაგრამ სანამ ერთი განწყობა მოქმედებაში გადავიდოდეს, მანამდე მეორე მოთხოვნილება მას აფერხებს. ადამიანის შემთხვევაში განწყობა უშუალოდ მოქმედებაში კი არ გადადის, არამედ უპირველეს ყოვლისა ცნობიერებაში. სუბიექტი წარმოადგენს და აცნობიერებს შემდეგი მოქმედების აქტების სურათს. წარმოსახული გაცნობიერებული შესაძლო ქცევა თუ მისაღებია სუბიექტისათვის, როგორც სხვადასხვა მოთხოვნილებების მატარებლებისათვის, მაშინ ხდება განწყობის რეალიზაცია, ე. ი. ქცევაში განხორციელება ხოლო, თუ ეს მიუღებელი შეიქმნა, მაშინ სუბიექტი განწყობის რეალიზაციასაც აკავებს. „ცხოველის განწყობას—სწერს დ. უზნაძე—აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას... გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია“ (გვ. 73) „ადამიანის სპეციფიკური თავისებურება და იმავე დროს მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ მას ძალა შესწევს, თავისი ქცევა განწყობის უშუალო ბატონობას ხელიდან გამოგლიჯოს, რათა იგი ცნობიერების აქტიობით გაშუალებულ განწყობას დაუმორჩილოს“: (გვ. 95) როგორც ვხედავთ დ. უზნაძე განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს მთლიან სუბიექტს ანიჭებს. გარემოსთან ურთიერთობის დაწესებასაც მას მიაწერს. და რაკი დ. უზნაძე მთლიან სუბიექტს ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებად სთვლის, ამიტომაც გასაგებია, რომ იგი განსაკუთრებით მკაცრ კრიტიკას იძლევა ფსიქოლოგიაში გაბატონებულ უშუალობის თეორიისას; იმ თეორიისას, რომლის თანახმადაც ფსიქიკური უშუალოდ გავლენას ახდენს ფიზიკურზე ან ფიზიკური უშუალოდ ფსიქიკურზე ე. ი. თითქოს ფსიქიკა უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს სინამდვილესთან იმ დროს, როცა—როგორც დ. უზნაძე სწერს „სინამდვილესთან ფსიქიკა კი არა, სუბიექტი ამყარებს ურთიერთობას, რომ არსებობისა და განვითარებისათვის ის იბრძოდა და იბრძვის და არა მისგან მოწყვეტილი და მის გარეშე მყოფი ფსიქიკური სამყარო“ (გვ. 36).

იდეალისტურმა-ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ პიროვნების მთლიან არსს, მთლიან ადამიანს მოსწყვიტა ფსიქიკა და სინამდვილესთან უშუალო ურთიერთობაში ის დააყენა, ანდა მთლიანი სუბიექტიც მხოლოდდამხოლოდ ფსიქიკად წარმოიდგინა (ისე როგორც ეს ჰეგელმა აღიარა) და უშუალობის თეორიის გადარჩენა ამით სცადა.

დ. უზნაძის აზრით „ფსიქიკური განვითარების ძირითად წყაროს სწორედ ცოცხალის, რეალურის, ისტორიული ადამიანის პრაქტიკა, ანუ სინამდვილესთან ურთიერთობა წარმოადგენს. პირდაპირი უშუალო კავშირი მხოლოდ ასეთს რეალურ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის არსებობს, და ფსიქოლოგია, რომელიც თავის ამოცანას ადამიანის ფსიქიკის შესწავლაში სჭვრეტს, თავის ამოსავალ წერტილად შეიძლება მხოლოდ აქტიური სუბიექტის სინამდვილესთან ურთიერთობას, რეალური ადამიანის პრაქტიკას სახავდეს“ (გვ. 37). სინამდვილესთან ურთიერთობას ადამიანის ფსიქიკა კი არ ამყარებს, არამედ კონკრეტული სუბიექტი, გარკვეული მოთხოვნილების

მატარებელი ცოცხალი ადამიანი, მთლიანი პიროვნება. მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტში გარემო იწვევს მთლიან ცვლილებას, ჰქმნის განწყობას და სუბიექტის მთელი ქცევა ამ განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს.

როგორც ზემოთაც იქნა აღნიშნული დ. უზნაძე ფსიქოლოგიის ყველა პრობლემას სწორედ ამ განწყობის თეორიის თვალსაზრისით იხილავს. სანიმუშოდ ავიღოთ ფსიქოლოგიის საგნისა და ამოცანებისა და ცნობიერების განვითარების ეტაპების საკითხები.

დ. უზნაძეს სრულიად შეუძლებლად მიაჩნია ფსიქოლოგიის საგნად სულის დასახვა, სულის, როგორც მეტაფიზიკური არსისა. უზნაძის აზრით ფსიქოლოგიის საგნის საკითხის სწორი გადაჭრა ვერც ემპირულმა ფსიქოლოგიამ შესძლო, რამდენადაც მას კვლევის საგნად „შინაგამოცდილების სფერო აქვს აღებული, ე. ი. სფერო, რომელიც ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა“ (გვ. 5) და ვერც ბიჰევიორიზმმა, რამდენადაც მან ფსიქოლოგიის საგნად ადამიანის ქცევა აღიარა, ქცევა, როგორც გარკვეული სტიმულებით გამოწვეულ მოძრაობათა სისტემა; რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა, მისი თავისებურება მხოლოდ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით იქნეს განხილული, იმ დროს, როცა ადამიანი სოციალური არსებაა და სოციალურ პირობებში ყალიბდება.

ფსიქოლოგიის საგნის დადგენა არც შეუძლია ემპირიულსა და ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას, რადგანაც ორივე ეს მიმდინარეობა იდეალისტურ პოზიციაზე სდგას, რამდენადაც „ფსიქიკურს თავისთავად სამყაროდ სთვლის, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს ფიზიკურთან საერთო“ (გვ. 7). ცხადია, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის ასეთი დუალისტური გაგების ნიადაგზე ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის ნაყოფიერი გადაწყვეტა შეუძლებელია.

ფსიქოლოგიის საგნის პრობლემის გადასაჭრელად დ. უზნაძე ახალს, უფრო სწორს მეთოდოლოგიურ წინამძღვარებზე დაყრდნობის საჭიროებას აღიარებს და „ასეთ წინამძღვრებს მხოლოდ დიალექტიური მატერიალიზმი იძლევა“, (გვ. 8), სწერს იგი. ეყრდნობა რა დ. უზნაძე მარქსიზმის მოძღვრებას, რომ მატერია პირველადია და ფსიქიკა, სული მეორადი წარმოებული, რომ ფსიქიკა ლენინის სიტყვით „განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის თვისებაა“, ტვინის „პროდუქტია“ ან მისი ფუნქცია; რომ ფსიქიკა ობიექტური სინამდვილს აქტიურ ასახვას წარმოადგენს და რომ სწორ ასახვას ადამიანი ობიექტურ სინამდვილეზე აქტიური ზემოქმედების პროცესში აღწევს. მიდის იმ დასკვნამდე რომ „ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს შორის, ფსიქიკისა და სხეულს შორის, არც უფსკრული არსებობს და არც იგივეობის მიმართება, მათ შორის დიალექტიკური ერთიანობა უნდა ვიგულისხმოთ“. (გვ. 9). აქედან დ. უზნაძე სრულიად ნათელ დასკვნას აკეთებს იმის შესახებ, რომ „ფსიქიკური არა მარტო სუბიექტურადაა მოცემული, არამედ ობიექტურადაც... რომ ფსიქიკა, რომელიც სხეულთან ერთად ერთს მთლიანს წარმოადგენს, შეუძლებელია ამ სხეულის ობიექტურად გამოვლენილ პროცესებსა და აქტებშიც არ ჩანდეს და, მაშასადამე ობიექტური დაკვირვების შესაძლებლობას არ გვაძლევდეს“ (გვ. 10).

რაკი დ. უზნაძე ფსიქიკურის ობიექტურადაც მოცემულობის შესაძლებლობას აღიარებს, მისთვის საძნელოს და აუხსნელს არ შეიცავს ის გარემოება, რომ მეტყველებაში შეიძლება აზროვნების პროცესების დანახვა იმდენად, რამდენადაც „აზროვნების პროცესები, მისი სტრუქტურა, მისი მიმდინარეობა თვითონ მეტყველების პროცესებში, მის სტრუქტურაში, მის მიმდინარეობაში გვეძლევა. მაშასადამე, მეტყველების დაკვირვება აზროვნების დაკვირვებაცაა“ (გვ. 23).

„რომ ემოციური განცდა ობიექტურადაცაა მოცემული, რომ მაგ., შიშის სხეულებრივი გამოხატულების დაკვირვების დროს თვითონ შიშს ვაკვირდებით და არა მხოლოდ მის ე. წ. გარეგამოხატულებას“ (გვ. 24). ასევე, ქცევაში მოძრაობათა თანამიმდევარ მთლიან სახეს ქცევის შინაგანი მხარე ე. ი. სუბიექტის ფსიქიკური მხარე აძლევს და ამ უკანასკნელის უგულებელყოფით ქცევის მთლიანი ბუნების დაჭერა შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ქცევაში ეს სუბიექტური სახეც სჩანს, ამრიგად, როგორც შემეცნებითი ასევე გრძნობითი და ნებელობითი პროცესებში სუბიექტური მხარე ობიექტურში სჩანს, შინაგანი გარეგანში ე. ი. ფსიქიკური ობიექტურადაც გვეძლევა და სხვათა ფსიქიკის საწვდომად ანალოგიის თეორია თავის მცდარი და მიუღებელი არსით საჭირო არაა.

ამიტომაა რომ დ. უზნაძე ფსიქოლოგიის საგნად ფსიქიკურს აღიარებს, მაგრამ ემპირიულ ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით ფსიქოლოგიის საგნად აღიარებულ ფსიქიკურში „წმინდა სუბიექტური მოცემულობა როდი ესმის“ არამედ, როგორც ობიექტურთან ერ-

თიანობაში მყოფი სინამდვილე, რომელიც სწორედ ამიტომ შესაძლებელია თვითონ იქნეს ობიექტიური შესწავლის საგნად დასახული" (გვ. 11).

დ. უზნაძე ფსიქოლოგიის საგნის ორ ძირითად ამოცანას მიუთითებს. ფსიქიკური სინამდვილის აღწერას და ახსნას. კერძოდ ახსნის შესახებ დ. უზნაძე სრულიად გაბართლებულად ფიქრობს, რომ „ფსიქიკური ფაქტების მატერიალური სუბოტრატის, ფიზიოლოგიური პროცესების, დადასტურება საჭიროა" (გვ. 11). მაგრამ მას ეს საკმარისად არ მიაჩნია იმისათვის, რომ ფსიქიკური ამით საკმაოდ ახსნილად ჩაითვალოს. ეყრდნობა რა მარქს-ენგელსის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ადამიანის ფსიქიკა წმინდა ბიოლოგიური ბუნების მოვლენა არაა: რომ იგი ინსტიქტური ქცევის დონეს გადასცილდა და ცნობიერებად გადაიქცა, რომელიც „იმთავითვე საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს და ასეთსავე პროდუქტად დარჩება, სანამ არსებობენ ადამიანები" (მარქსი) დ. უზნაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფსიქოლოგიამ თავისი კვლევა-ძიებას „ცნობიერების ისტორიულისა და სოციალური განსაზღვრულობის იდეა" უნდა დაუდვას საფუძვლათო.

დ. უზნაძე განწყობის თეორიიდან გამოსვლით ცნობიერების უკიდურეს ეტაპს განასხვავებს. ცნობიერების განვითარების პირველი ეტაპი დ. უზნაძის აზრით უშუალოდ დაკავშირებულია სუბიექტის მთლიან მდგომარეობასთან. ამ ეტაპზე ცნობიერება ჯერ კიდევ უშუალოდ ემიჯნება განწყობას და „...ასე თუ ისე განწყობილი სუბიექტის ასახვას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ობიექტურ სინამდვილის დიფერენცირებულ სურათს" (გვ. 95).

რაც შეეხება განვითარების მეორე ეტაპზე ცნობიერების უკანასკნელ მიზანს, ობიექტური სინამდვილის დიფერენცირებული მრავალფეროვანების ცნობიერად ასახვა შეადგენს. ცნობიერების პირველ ეტაპზე დ. უზნაძე გრძნობებს და ემოციებს ათავსებს, ხოლო მეორე საფეხურზე შემეცნებითი პროცესებს.

ცნობიერების მუშაობის უკიდურესი ეტაპების გათვალისწინების შემდეგ დ. უზნაძე იხილავს ემოციურ განცდათა, ქცევის, აღქმის, მნემურ პროცესების, აზროვნების, ყურადღების და წარმოსახვის ფსიქოლოგიის ყველა ძირითად პრობლემას. ახდენს რა იგი ყველა ამ პრობლემებზე ტრადიციულ ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შეხედულებათა მკაცრ კრიტიკულ მიმოხილვას, უპირისპირებს მათ განწყობის თეორიით ფსიქოლოგიის ყველა პრობლემის დამაკმაყოფილებლად ახსნის უპირატესობას.

ასეთია მოკლეთ დ. უზნაძის წიგნის „ზოგადი ფსიქოლოგიის" არასრულ ხაზებში მიმოხილვა.

რაში მდგომარეობს ამ წიგნის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება? ჩვენ ამ საკითხზე ძლიერ მოკლეთ, მხოლოდ შემდეგ სამ გარემოებაზე მივუთითებთ:

1. კლასიკურ-ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის ფორმულა ორი წევრით ჰქონდა წარმოდგენილი. ფიზიკური ან ფსიქიკური გარემო მოქმედებს ფსიქიკურზე და შედეგად შეგრძნობები და წარმოდგენები ჩნდება. ასე რომ შეგრძნება გამღიზიანებლის უშუალო ზემოქმედების შედეგიაო.

ამ უშუალობის პრინციპზე დაყრდნობით ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას ცოცხალი, მთლიანი კონკრეტული ადამიანი, კონკრეტული სუბიექტი სრულიად მხედველობის გარეშე დარჩა.

დ. უზნაძეს გარემოსა და ორგანიზმის ურთიერთობის ფორმულა სამ წევრიანია გარემო — სუბიექტი (განწყობა) — ქცევა. გარემო უპირველეს ყოვლისა მთლიან სუბიექტზე მოქმედობს და მასში განწყობას იწვევს. ამიტომ ვისაც სურს მთლიანი ადამიანის შესწავლა, იგი გვერდს აუვლის „განწყობის" შესწავლას; ეს მით უფრო რომ, განწყობა ან ადამიანის მთლიანი ცვლილება იმდენად სპეციფიკური მდგომარეობაა, რომ მის შესასწავლად არც ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური და არც ფიზიოლოგიური თვალსაზრისი არ გამოდგება.

რომ სინამდვილესთან ურთიერთობას კონკრეტული ადამიანი, მოთხოვნილების მატარებელი სუბიექტი აწესებს და არა იზოლირებულად მისი ფსიქიკა, ეს არც ახალი დებულებაა და ამჟამად არც მაინცადამაინც სადაო; მაგრამ საქმე იმაშია, რომ როგორც ზემო აღნიშნულიდან სჩანს დ. უზნაძემ ამ დებულებაში სრულიად კონკრეტული შინაარსი ჩასდო და მისგან გამოყვანილი განწყობის თეორიის თვალსაზრისით, არა მარტო ფსიქოლოგიის ტრადიციული საკითხების ახლებურად გადაწყვეტის საჭიროება დააყენა ფსიქოლოგიის დღის წესრიგში, არამედ მთელი რიგი ახალი პრობლემებიც, რომელთა გადაჭრაც უსათუოდ წინ

წასწევს ფსიქოლოგიას როგორც კონკრეტულ, მოქმედებაში მყოფ ადამიანის შესახებ მეცნიერებას.

ამრიგად დ. უზნაძის წიგნის „ზოგადი ფსიქოლოგიის" ერთერთი უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფსიქოლოგიურ მეცნიერულ კვლევაში მუშაობის უდიდეს სარბიელს იძლევა თავისი ახალი პრობლემებით.

2. სარეცენზიო წიგნის მეორე უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში თავმოყრილია და კრიტიკულად განხილული თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და კლასიკურ ფსიქოლოგიის არსებითი შეხედულებანი ამ საკითხებზე. ასე რომ ეს წიგნი თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადად წვდომის შესაძლებლობას იძლევა თავისი უამრავი, ფაქტიური მასალით, პრობლემებით და მნიშვნელოვან ფსიქოლოგთა შეხედულებებით.

3. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონეა ეს წიგნი პედაგოგიკისათვის. მისი ავტორი ხომ მთლიან პიროვნებას ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებად სახავს და წიგნიც ამ მთლიან პიროვნების გათვალისწინების თვალსაზრისით არის შედგენილი. პედაგოგიკასაც სწორედ მაშინ შეუძლიან ფსიქოლოგიის მონაცემების ნაყოფიერი გამოყენება, როცა ეს მონაცემები ცოცხალ, კონკრეტულ მთლიან პიროვნების შესახებ იქნება და არა ცალკეული ე. წ. „ფუნქციათა კანონზომიერების" შესახებ.

გასაგებია, რომ წიგნის მნიშვნელობა ამ სამი გარემოებით არ ამოიწურება. წიგნის ავტორი დ. უზნაძე თავის ძირითად მოსაზრებებში დიალექტიკურ მატერიალიზმის შემქნელთა დებულებებიდან გამოდის და სწორედ ამის გამო და ამის წყალობით მისი წიგნის მნიშვნელობა საგულისხმოა ფსიქოლოგიის ყველა ძირითად პრობლემის გადაჭრის საქმეში. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ საქართველოს ფსიქოლოგიური სკოლის მუშაობას იცნობენ და აფასებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის შიგნით, არამედ მის გარეთაც და ამ მუშაობის შედეგები მისი ნაყოფიერებისა გამო მრავალ ფართოდ გავრცელებულ სახელმძღვანელოებშია შეტანილი.

მაგრამ ყოველივე ეს როდის ნიშნავს იმას, რომ განწყობის თეორია და ამ თეორიის თვალსაზრისით დაწერილი წიგნი სრულიად არავითარ სადაო პრობლემას არ აყენებდეს. ამ წიგნის მიხედვითაც ჯერ კიდევ ზოგიერთი საკითხის მართებულებას საკმაო სინათლე აკლია.

ასე მაგალითად:

დ. უზნაძე ფსიქოლოგიის ამოსავალ ცნებად მთლიან ადამიანს სახავს. ცოცხალი პიროვნებაა რომ გარემოსთან ურთიერთობას ამყარებს. მაგრამ მეორეს მხრივ, ადამიანის მთელი ქცევა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ხომ განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს და სად რჩება ადგილი პიროვნებისათვის, სუბიექტისათვის? განწყობამ ხომ არ მოხსნა სუბიექტი?

განწყობა სინამდვილის თავისებურ ასახვას წარმოადგენს; (თავისებურს მეთქი, რამდენადაც ის ფსიქიკურ ასახვისაგან განსხვავდება და ის მხოლოდ ამ უკანასკნელის საფუძველს წარმოადგენს) ე. ი. ასახვა ხორციელდება იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ადამიანს აღქმა და შეგრძნება გაუჩნდება. რომ ეს აზრი გაზიარებული იქნეს მთლიანად, ამისათვის მარტო თეორიული მოსაზრებანი საკმარისი არ არის. საჭიროა ეს ექსპერიმენტალურადაც იქნას დამტკიცებული. მაგრამ სანამ ასეთი ექსპერიმენტული ფაქტები არ მოგვეპოვება, მანამდე განწყობის როგორც სინამდვილის თავისებური ასახვის მართებულება ერთდაგვარ ეჭვს ბადებს.

ფსიქოლოგიას მეტი ცნობები მოეთხოვება სასწავლო-საალმზრდელო პროცესებისადმი მოსწავლეთა რეალურ პრაქტიკულ დამოკიდებულების და ამ საფუძველზე ბავშვთა მოთხოვნილებების შექმნის შესახებ, ამასთანავე აქედან ფსიქოლოგია უნდა იძლეოდეს განსაზღვრული მნიშვნელობის პედაგოგიურ დასკვნებსაც. ასეთი კი ნაკლებია დ. უზნაძის წიგნში.

ვლ. გეჟიაშვილი.

დ. სულიაშვილი — „ჩემი მოწაფეობის წლები“.

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა, თბილისი, 1960 წ.

ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილის „ჩემი მოწაფეობის წლები“, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების გორს და გორის სასულიერო სასწავლებელს აგვიწერს, შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ საყურადღებო პატარა მემუარულ ნაწარმოებად იმ დროინდელ გორზე დაწერილ წიგნებს შორის.

ავტორს გორის მაშინდელი ცხოვრება დანახული აქვს ბავშვის თვალით. ამით აიხსნება ამ წიგნის უდავო მხატვრული ღირსება — უშუალობა, გულწრფელობა, მიუდგომლობა ამბების გადმოცემაში.

დ. სულიაშვილი მოგვითხრობს ყველაფერს ისე, როგორც ბავშვის თვალს დაუნახავს და ბავშვის გულს განუცდია. ამიტომ წიგნში იშვიათად შეხვდებით ისეთ ეპიტეტებს, შედარებებს, ფიგურალურ გამოთქმებს და სხვა ლიტერატურულ ხერხებს, რომლებიც მწერლის პირადი დაკვირვებებიდან, მისი გამოცდილებებიდან არ გადმომდინარეობდნენ, რომლებიც ნასესხები იყვნენ დაშტამპული, ბანალური ლიტერატურის ლექსიკონიდან, რაც ხშირად ზოგიერთ მწერალს სინამდვილეს ახვევინებს და ალაპარაკებს იმას, რაც ნამდვილად არ ყოფილა. დ. სულიაშვილს 80-იანი წლების გორი არა აქვს „გალამაზებული“ იმ მიზნით, რომ ამით მხატვრულ ეფექტს მიაღწიოს და არც იმ მოსაზრებით, რომ განადიდოს, გააუცხოვოს, წარმოგვიდგინოს იგი რაღაც იშვიათ ქალაქად, რაკი იქ დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა დიდმა ბელადმა.

მწერალი მხატვრულ ეფექტს აღწევს ამბების გაულამაზებელი, უტყუარი, ძალდაუტანებელი გადმოცემით, ისეთი დეტალების შერჩევით, რომლებიც ცხოვლად წარმოგვიდგენენ როგორც ცალკე ადამიანებს, ისე გორის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და საზოგადოებრივ ვითარებას.

წიგნი მკითხველის ნდობას პირველი წინადადებიდანვე იმსახურებს, ისე ცხოვლად და პლასტიურად ხატავს გორში ბავშვის პირველ ჩასვლას: „მამაჩემის მარჯვენა ხელს ჩემი პატარა თითები ჩაუბღუჯავს და თითქოს მკლავზე დაკიდებული ქანაობით მივყვები ჩოხის კალთებს. ხან შიგ ვიბლანდები, როცა ქარი შემოუბერავს, ხან გამალებით მივრბივარ, მსვლელობას რომ არ ჩამოვრჩე“.

ამ სიცხოვლეს და პლასტიურობას ავტორი არ ღალატობს არც ერთ თავში. ორი სამი შტრიხის მოსმით იგი ხატავს თავისი მოწაფეობის დროინდელ და თავისი ბავშვობის მოწმე პირების გარეგნულ პორტრეტებს და ზოგჯერ შინაგან ცხოვრებასაც (პირველ მასწავლებელს, მიკიტან „ჩანახას“, ფოფოდია დიასახლისს, „ველიკოდერჟავნიკს“ ლავროვს, სასწავლებლის ინსპექტორს ბუტინსკის, მასწავლებლებს აბესალაშვილს, სიმონ გოგლიჩიძეს და სხვებს). ასევე ცხოვლად აქვს აღდგენილი მას გორელების ყოფისა და სკოლის ცხოვრების სცენები.

დაუვიწყარია, მაგალითად, „ჩანახას“ სამიკიტნოში მღვდლების ქეიფი და სამიკიტნოს სურათი ქეიფის შემდეგ, „უწესრიგოდ ტახტზე მიგდებული მთვრალი „მამების“ აბნეული თმები და წვერები მუთაქებზე ეფინა. გაბარდნულ ულვაშებში ჩაფლული სქელი გაქონილი ტუჩები საბერველივით ქშინავდნენ, წაღებიანი ფეხები და წინდები ერთმანეთში ირეოდა“, სხვა მწერლების მიერ იშვიათად ნახმარი, უჩვეულო, მაგრამ ამავე დროს ზუსტი, დამახასიათებელი შტრიხებით აღწერილი ქელეხობა, სამღვთოობა, ჯვრისწერა, ნაწილობრივ ყეენობა და კრივი მკითხველის თვალწინ აღადგენს გორის თავისებურებას მთელ „კოლორ-ლოკალით“, რომლითაც გორი, ალბათ, დიდად განსხვავდებოდა მაშინდელი საქართველოს პროვინციულ ქალაქებიდან.

დ. სულიაშვილი თავისი წიგნის თავებში „ქართული ენა“ და „აკრძალული სამშობლო“ უცნობი, ახალი ფაქტებით და ჯერ კიდევ გაუხუნებელი ფერებით ხატავს და მკითხველს განაცდევინებს იმ სულიერ ტანჯვას, რომელსაც ჩაგრული ერის პატარა შვილები განიცდიდნენ სასწავლებლის კედლებში სამშობლოსა და მშობლიური ენის შევიწროებისა და დევნის გამო. არსენიძის წიგნის მაღაზიაში მოწაფეებმა საქართველოს მოზრდილი რუკა ნახეს, იყიდეს, ჩარჩოში ჩასვეს და კლასში დაჰკიდეს ლავროვის გულის გასახეთქად. „დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია ბავშვებში, — მოგვითხრობს ავტორი, — როდესაც რუკაზე თავიანთი სოფლების სახელები წაიკითხეს. დიდხანს ვერ სცილდებოდნენ და თვალგაბრწყინებული შესცქეროდნენ... ხოლო როცა რუსული ენის მასწავლებელი ლავროვი

ალასში შემოვიდა, კედლებთან ახლო გაიარა და რუკა შეამჩნია, მაშინვე მიაფურთხა მას... ჩვენ გავფითრდით, საფეთქელმა გამალებით გვიწყო ცემა. ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა და... უცბათ ისეთი ლაწანი გაისმა, რომ ყველა შეკრთით — მოწაფემ ლაბორატორიის ხელა გაარტყა... მას სათვალეები დაემსხვრა... საკლასო დღიურს ხელი წამოეტაცა და კლასიდან გავარდა... კედლიდან, რასაკვირველია, რუკა ჩამოხსნეს, მოწაფე სკოლიდან დაითხოვეს".

ასევე ახალი საღებავებით გვისურათებს ავტორი გორის სასულიერო სასწავლებელში გამეფებულს, ბავშვის სულის დამასახიჩრებელ სწავლის რეჟიმს და მასწავლებელ-მოწაფეთა ურთიერთობას (თავებში „მასწავლებლები", „გამოცდები", „საცეცხლური").

ყველასათვის გასაგები ღრმა ინტერესით იკითხება თავი „ის" სადაც ავტორი მოგვითხრობს თავის პირველ შეხვედრას უფროსი კლასის მოწაფე სოსო ჯუღაშვილთან და გვაცნობს მას ამხანაგთა და მეგობართა გარემოცვაში, აგვიწერს მის ზეგავლენას მოწაფეებზე. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აქაც არ ღალატობს სიმართლის, სინამდვილის გრძნობას, იშვიათი ტაქტით და სრულიად გაუზვიადებლად გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს მომავალი ბელადის იმ მაღალ მორალურ თვისებებზე, რომლებითაც სოსო ჯუღაშვილი სხვებისაგან გამოირჩეოდა და იმ თავითვე ამხანაგების სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას იმსახურებდა. აი ორიოდე დეტალიც, რომელიც ჩვენ თვალწინ აღადგენს ახალგაზრდა სოსოს! „ჩვენ უმცროსი კლასების მოწაფეებს თავს გვიტოლებდა. მაჯაში ხელს მოგვკიდებდა, გვერდულს მოგვდებდა, თითქოს გვეჭიდებაო, „დახე ამასა, ლამის წამაქციოსო, — იტყოდა და გაგვიცინებდა, წაგვახალისებდა და გარბოდა... წრელახტში მას ქამარს ვერავინ წაართმევდა. პირველობას არავის დაუთმობდა. გუნდის რომელიმე სუსტ წევრს ისე გაამხნევებდა, რომ ისიც თავდაუზოგველად იბრძოდა... თვითონ სოსო წრის გარშემო მარდად დარბოდა, ერთი ქამრისაკენ გაექანებოდა, მოწინააღმდეგის ყურადღებას იქითკენ მიაქცევდა და ამ დროს უცბად გვერდზე გასხლტებოდა, მეორე ქამარს არწივსავით დაეცემოდა, მოიტაცებდა, სივრცეში შეათამაშებდა... მერე კი წრეში მდგომ ქამრიანებს ჩამოურბენდა და, სიცოცხლე გაქვთ, ის მათ წვივებს აუწვავდა... თამაშის დროს ყველა მას უცქეროდა. მისი სიმარდით გატაცებულნი ყვიროდნენ, ტაშს უკრავდნენ, შესძახოდნენ, თვალის გუგას ანათებდნენ, ხტოდნენ, აქეზებდნენ: „გენაცვა, სოსოჯან, ეგრე, ეგრე!.. გენაცვა!.."

ხშირად თამაში შეწყდებოდა. სოსოს გარშემო წრე გაკეთდებოდა. გარს მომღერლები შემოერტყმოდენ. მაშინ სივრცეში სოსოს წკრიალა ხმა გაისმებოდა. მას ისეთი ტკბილი და მიმზიდველი ხმა ჰქონდა, რომ ყველა თამაშს მიატოვებდა, სულს განაბავდა.. მასწავლებლებიც ფანჯრებიდან გადმოდგებოდნენ და, სმენად ქცეულნი, სიმღერით სტკბებოდნენ..."

ვფიქრობ, გორისა და სოსო ჯუღაშვილის მოწაფეობის წლებზე დაწერილი მოგონებებიდ არც ერთ ავტორს არ უნდა ჰქონდეს მოცემული სოსო ჯუღაშვილის გარეგნობა იმ სახით, რა სახითაც გვიხატავენ დ. სულიაშვილის შემდეგი სიტყვები: მას ჰქონდაო „ბავშვის ჩვეულებრივი ცქრიალა თვალები, ეცვა უბრალო ბამბაზიის დაჭმუჭნილი, მაგრამ სუფთა ხალათი, ჩექმებში ჩატანებული შარვალი და კარტუზიანი ქუდი, ხალათი მუდამ ბრტყელი ქამრით მჭიდროდ შემოჭირებული და ქოჩორა თმა შუბლზე ჩამოცვენილი".

დ. სულიაშვილის „ჩემი მოწაფეობის წლებში" სიმართლით და სრული უშუალობით აღდგენილია 80-იანი წლების გორის ცხოვრება, იმ დროინდელი მოწაფეობა, ძირითადი სოციალური ფენების წარმომადგენელთა ხასიათი, მორალური ატმოსფერა, ზნე-ჩვეულება, განწყობილება.

ამგვარად, ყველას, ვისაც ბელადის სამშობლო ქალაქის იმ დროინდელი ვითარების გაცნობა და შესწავლა აინტერესებს (ასეთი კი ბევრზე ბევრია), უეჭველია, ეს პატარა წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს.

მისი გამოცემა საჭიროა რუსულ ენაზედაც, რომ ამით ოდნავ მაინც დაკმაყოფილდეს ბრა ქართველი მკითხველის ღრმა ინტერესი ამ ქალაქის მაშინდელი ცხოვრებისდამი.

ვ. ფ.

მიხ. ხელთუბნელი — „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე“
საბლიტგამი, 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხ. ხელთუბნელი უმთავრესად მუშაობს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის გამოკვლევაზე. მისი უკანასკნელი წიგნი „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე“ გვაცნობს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მასში მდიდარი მასალაა გამოყენებული, იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ამ დიდად ცნობილ ქართველი ქალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, არამედ იმ ეპოქაზე და სოციალურ წრეზე, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას.

მიხ. ხელთუბნელის შრომა პირველი ცდაა ქართველი მოღვაწე ქალის ცხოვრების გაშუქებისა.

ქართველი ქალები დიდი ენერგიით და სიყვარულით ებმებოდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ხელს უწყობდნენ ქართული ლიტერატურის განვითარებას, ახალი თაობაში სიყვარულის გაღვიძებას სამშობლოსადმი, დედა-ენისადმი. ისინი ყველა ამასთან ერთად თავათაც ეწეოდნენ მწერლობას. ამ მხრივ ქართულ ლიტერატურას მრავალი ქალის სახელი ამშვენებს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი.

მიხ. ხელთუბნელი თანდათან შლის მკითხველის წინაშე ანასტასიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფურცლებს. დაწვრილებით იხილავს იგი იმ ოჯახურ წრეს, რომელშიაც იზრდებოდა ანასტასია. მისი მამის ოჯახი ცნობილი ლიტერატურული ოჯახი იყო, სადაც თავს იყრიდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები. ამ წრემ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა საზოგადოებრივი მუშაობისადმი ინტერესი ანასტასიას. მიხ. ხელთუბნელის გადმოცემით, ანასტასიას სწავლის დიდი წყურვილი ჰქონია თურმე. სკოლის შემდეგ ანასტასია ხარბად ეწაფება თვითგანვითარებას, კითხულობს ნ. დობროლუბოვის და სხვა მოწინავე მწერლების ნაწერებს. ხელთუბნელის წიგნში გამოქვეყნებული ანასტასიას კერძო წერილები ააშკარავებენ, განვითარების რა სიმაღლეზე იდგა 23 წლის ქალი, რომელიც თავისუფლად მსჯელობს დობროლუბოვის ნაწერებზე.

მაშინდელი რუსიფიკატორული პოლიტიკა ქართველ მოღვაწეებში აძლიერებდა სიყვარულს ახალ თაობისადმი. ამ მხრივ დიდ აქტიობას იჩენდნენ განსაკუთრებით ქართველი ქალები. სთარგმნიდნენ უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, გამოჩენილი პედაგოგების წიგნებს, რათა ამით სწორი აღზრდა მიეცათ ქართველ ახალგაზრდობისათვის, განემტკიცებინათ მათში სიყვარული სამშობლოსადმი. სხვებთან ერთად ანასტასიაც თავიდანვე ასეთი მისწრაფებით იყო გატაცებული. იგი ეცნობოდა მოწინავე მწერლებისა და მოაზროვნეების წიგნებსა და იდეებს და ავრცელებდა მათ ჩვენში. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველაზე მკვეთრად გამოაშკარავდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ დაარსებასა და მის ხელმძღვანელობაში.

საბავშვო ლიტერატურის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მწერლები. ი. გოგებაშვილი მას სთვლიდა ეროვნული ლიტერატურის საფუძვლად, ახალი თაობის გონებრივი განვითარებისა და ზნეობრივი განმტკიცების დიდ ძალად. ამიტომ იყო, რომ პირველი საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ გამოსვლას (1883) დიდი სიხარულით შეხვდნენ მოწინავე მწერლები. ეს ჟურნალი პირველ ნომერზე შესწყდა, იგი „ჯეჯილმა“ შესცვალა, რომელსაც მტკიცე საფუძველი ანასტასიამ ჩაუყარა.

„ჯეჯილის“ გამოსვლა ნამდვილი ლიტერატურული მოვლენა იყო მაშინდელი ქართული მოწინავე საზოგადოებისათვის. ამ ჟურნალმა 30 წელს იარსება, იგი უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქართველ ახალ თაობას, აძლევდა მას სულიერ საზრდოს, აყვარებდა დედა-ენას, სამშობლოს.

მიხ. ხელთუბნელი საფუძვლიანად იხილავს „ჯეჯილის“ გამოსვლის ისტორიას. ეხება იმ მიზეზს, თუ რად ეძლეოდა ამ ჟურნალის გამოსვლას ასეთი დიდი მნიშვნელობა. „ჯეჯილის“ პირველი ნომრის შედგენა-გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ე. გაბაშვილი, რ. ერისთავი, ვახ. ორბელიანი, ი. გოგებაშვილი, ერთის სიტყვით ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალები.

„ჯეჯილის“ გამოსვლასთან დაკავშირებით, ანასტასიას ბინაზე გაუმართავთ მეგობრული შეხვედრა, რომლისთვისაც ჟურნალის „ნათლობა“ უწოდებიათ. ამ „ნათლობას“ დასწრებიან ნ. ნიკოლაძე, ან. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე და სხვები. ყველაფერი ეს იმას ადასტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ამ ჟურნალის გამოსვლას. ამას ადასტურებს ის გამოძახილიც, რომელიც ამ ჟურნალის გამოსვლამ გამოიწვია ქართულ პრესაში. ამითვე აიხსნება ის სიყვარული, რომელიც დაიმსახურა ამ ჟურნალის ორგანიზატორმა ანასტასია თუმანიშვილმა.

ანასტასიას მოღვაწეობა, როგორც ცნობილია, მარტო საბავშვო ლიტერატურით არ განისაზღვრება. იგი იყო აგრეთვე ჟურნალი „კვალის" რედაქტორ-გამომცემელი. მართალია, ანასტასიის ეს რედაქტორობა ფორმალური ხასიათისა იყო, მაგრამ თვით ფაქტიც ბევრი რამის მთქმელია. „კვალმა" თავისებური როლი ითამაშა ჩვენში მარქსისტული იდეების გავრცელებაში. „კვალის" გამოცემის დროს დიდი ბრძოლა უხდებოდა ანასტასიას საცენზურო კომიტეტთან და მრავალი დაბრკოლებების გადალახვა. „ჯეჯილი" „კვალის" დამატებად ითვლებოდა. ეს იყო თავისებური მანევრი ცენზურისათვის თვალის ასახვევად.

თუ როგორ მტკიცედ იცავდა ანასტასია „კვალის" პრესტიჟს, ამას ადასტურებს ერთი ფაქტი, რომელიც მიხ. ხელთუბნელს თავის წიგნში მოჰყავს, ერთ კრებაზე „კვალს" დასცინა თურმე უმიკაშვილმა. ანასტასიას ამის გამო ასეთი წერილი მიუწერია უმიკაშვილისთვის: „თქვენ მობრძანდით კრებაზე, სადაც იცოდით, რომ უმეტესი ნაწილი „კვალის" წინააღმდეგ იყვნენ და დაიწყეთ დაცინვა და ოხუნჯობა... თქვენ მაშინ ღირსი იყავით სილის შემორტყმისა, ხელიც გაგიწვდინე, მაგრამ ბოლოს თავი შევიკავე. ეს ჩემი ნაწერი შეინახეთ თქვენ არხივში, დოკუმენტებთან, გამოგადგებათ, როგორც აზრი „კვალის" რედაქტორის ანასტასია წერეთლისა".

როგორც ცნობილია, ანასტასია გიორგი წერეთლის მეუღლე იყო, მათ ოჯახში მრავალი წლის განმავლობაში იკრიბებოდნენ საუკეთესო ქართველი მწერლები და პუბლიცისტები.

გ. წერეთელი „კვალის" სულის ჩამდგმელად ითვლებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ „კვალს" ანასტასია ხელმძღვანელობდა. მართალია, „კვალს" მიმართულებას აძლევდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც მის გარშემო შემოიკრიბნენ, მაგრამ შეუძლებელია ამ ახალგაზრდებს ჟურნალში დაებეჭდათ ისეთი რამ, რაც მისი რედაქტორ-გამომცემლისათვის მისაღები არ იქნებოდა. „კვალთან" ერთად „ჯეჯილის" დახურვას ანასტასია ძალზე სწუხდა, მაგრამ პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძის დახმარებით მან ისევ განაახლა „ჯეჯილი", და თითქმის 1923 წლამდე ხელმძღვანელობდა მას.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ანასტასია რთულ რედაქტორულ მუშაობასთან ერთად დაუღალავ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა ქალთა აღზრდისა და განვითარების საქმეში. იგი ამ საქმის ნამდვილი ენტუზიასტი იყო. აარსებდა სკოლებს, კურსებს, მეთაურობდა ხან ბავშვთა აღზრდის სახლს, ხან ქალთა განათლების საზოგადოებას, ხან სოფლის სკოლებისათვის ფულს აგროვებდა. მის მოღვაწეობას ამ მიმართულებით დიდი ისტორია აქვს.

ჭკვიანი, განათლებული, მოწინავე და ენერგიული ადამიანის, ნიჭიერი რედაქტორისა და საზოგადო მოღვაწის სახელი დასტოვა ანასტასიამ. იგი გარდაიცვალა 1923 წელს, 7 თებერვალს. დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.

„საბავშვო ლიტერატურის მოამაგე", გარდა იმისა, რომ ანასტასიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, გზა და გზა უამრავ საინტერესო ცნობასა და ფაქტებს აქვეყნებს ჩვენი წარსულის საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ცხოვრებიდან.

მიხ. ხელთუბნელის წიგნი „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე" ნიჭიერად დაწერილი წიგნია და იგი უსათუოდ სათანადო გამოძახილს ჰპოვებს მკითხველებში.

მიხ. ხელთუბნელის შრომა გამოცემულია საბლიტგამის მიერ. მას დართული აქვს მხოლოდ ერთი სურათი, საჭირო კი იყო მასში მოთავსებულიყო სხვა ქართველ მოღვაწე ქალთა და მწერალთა სურათებიც.

ალ. სულავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა:

	გვ.
კონსტანტინე გამსახურდია — დავით ალმაშენებელი (რომანი. გაგრძელება)	3
ალ. აბაშელი — ახალი მთვარე (ლექსი)	29
ალ. აბაშელი — იავნანა (ლექსი)	30
ლადო ბალიაური — ხოგაი (მოთხრობა)	32
გიორგი ძიგვაშვილი — წერილი (ლექსი	65
უიარალო — მაძიებელნი (რომანი, გაგრძელება)	68

ისტორია და ეთნოგრაფია:

ზ. ედილი — საინგილო	78

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია:

მ. გოგიბერიძე — უზენაესი არსების ცნება ვეფხის-ტყაოსანში	97
გ. ჯიბლაძე — გიორგი წერეთელი (დასასრული)	122
შ. რადიანი — ნიკო ლორთქიფანიძე	136
ლ. კალანდაძე — ახლოს სინამდვილესთან	142

ბიბლიოგრაფია:

დ. უზნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია“	150
დ. სულიაშვილი — „ჩემი მოწაფეობის წლები“	157
მ. ხელთუბნელი — „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე“	159

ფასი 4 მან.

41-26



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ